# კვირის პალიტრა

№ 44 (404) ◆ 4 – 10 ნოემბერი. 2002 წ. ◆ ფასი 50 თეთრი ◆ დაარსებულია 1995 წ.



## „მრცხვენია, რომ ასეთი უსუსურები ვართ...“

გვ.7

**უხერხული მომენტები ნინო ბურჯანაძის ცხოვრებაში...**

არის საკითხები, რაზეც სპეცსამსახურებმა და გენერალურმა პროკურატურამ სერიოზული რეაგირება უნდა მოახდინონ.

დასავლური ორიენტაციის პარტიების დისკრედიტაცია მათი ლიდერების პოლიტიკური სიჭაბუკის გამო საკმაოდ იოლია — ამაში ცესკოში მომხდარმა მოვლენებმაც დაგვარწმუნა.

## რუსულ ენაში „პობედა“ უმეტესწილად, „ბედას“ ანუ უბედურებას შეიცავს

დღეს უკვე აღმოჩნდა, რომ არავითარი სასტიკი და შეუსრულებელი ულტიმატუმი არ ყოფილა.

გვ.3 ***რამაზ საყვარელიძე***

## კიდევ ერთი, დიდი, ანტისახელმწიფოებრივი აფერა...

ფრანგულ თვითმფრინავს ფულით დატვირთული ინგლისური თვითმფრინავი მოჰყვა... 2 თვე ვიკვლევდით ამ ამბავს. აღმოჩნდა, რომ მაშინდელმა ვიცე-პრემიერმა შეუკვეთა ფული ინგლისურ ფირმას. ეს ისეთი დანაშაული იყო, ბევრ ქვეყანაში ამის ჩამდენს სიკვდილით დასჯიდნენ. ის კი ისე გაუშვეს საქართველოდან, სისხლის სამართლის საქმეც კი არ აღძრულა...

გვ.13

## იარაღის ბიზნესი საქართველოში

## სკანდალური მასალები

გვ.6,11




**იარაღის მაღაზიის ყოფილი დირექტორი ალაპარაკდა...**

„აუდიტის მოსვლამდე რამდენიმე დღით ადრე ჩემმა მოადგილემ, რომელსაც ვახტანგ გვარამია თავისი წილიდან პროცენტებს დაჰპირდა, ჭიქაში საწამლავი ჩამიყარა. სიკვდილს მხოლოდ ბედნიერი შემთხვევის წყალობით გადავურჩი. ამიტომ დაზღვეული არა ვარ, რომ ჩემი ამ ინტერვიუს შემდეგ დიდხანს მაცოცხლებენ, მაგრამ ასეთ გაძაღლებულ და დამცირებულ სიცოცხლეს, მირჩევნია, ყველაფერი ვთქვა“.

## 1-ელ ნოემბერს დამთხვეული ორი აქცია...



გვ.7

1-ელ ნოემბერს სააკაშვილი თბილისისთვის დებდა თავს, ქვანია კი საქართველოსთვის.

## მეღეა ჩახავას თემურ ჩხეიძის ბინა აჩუქეს

— იცით რა, სცენაზე რომ ადამიანი გადის, აუცილებლად ღელავს და ალბათ ბატონი ვანოც ღელავდა. ვფიქრობ, ვერ ჩამოაყალიბა ფრაზა კარგად. იქვე დავეჭვდი. მაგრამ იმდენმა შემომძახა, ოთხოთახიანი ბინა მიიღეო, რომ... თემურმა ამ ბინის ორდერი ჯერ კიდევ კომუნისტების დროს მიიღო. გვ.4

**ბატონი ვანო ზოდელავას განცხადებამ ხალხი დააბნია(?!)**

## მივხვდი, რატომ არ სჭირდებათ საქართველოში ფსიქოლოგი...

— თქვენი ქართული სუფრა ქართულ გენეტიკაში ჩადებული დამცავი მექანიზმია

გვ.16,23 ***საქართველოზე შეყვარებული ბერძენი მწერალი***

## „წარმოუდგენელია ამ რაოდენობის ფენტანილის გამოყენება...“



არ შეიძლება ადამიანების აორთქლება მოსკოვის ცენტრში, ასობით სპეცნაზელის თვალწინ...

დახურულ სივრცეში მისი უკონტროლო გამოყენება ნიშნავს ტოლობის ნიშნის დასმას იმ ბოროტებასთან, რასაც იმ მომენტში ჩეჩენი ტერორისტები აკეთებდნენ.

გვ.8

## რატომ დაადეს რჩეულიშვილს თურქებმა იარაღი?!



**უცნობი ტერაქტების უცნობ დეტალებზე პრეზიდენტის დაცვის წევრი გვესაუბრება...**

უკრაინელმა ისე გამარტყა, საით იდგა, ველარ გავიგე. მირტყამდა, მაგრამ ვერ წამაქცია. ვერაფერს რომ ვერ გახდა, თვალში მატაკა თითი. ბრძოლის გაგრძელების ნება აღარ დამრთეს. საცემად გავეკიდე მეტოქეს, — უნდა მოვკლამეთქი. ძლივს გამაჩერეს. შეჯიბრის ბოლოს უკრაინელმა ბოდიში მომიხადა. გვ.5,24

## ვინ უშლის შევარდნაძეს ნერვებს ყველაზე მეტად?

**საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი**

გვ.35

***სპორტი*** გვ.34

## „კიოლნის“ მეკარე საქართველოს ნაკრებში ითამაშებს?!

**ინტერვიუ ალექსანდერ ბადესთან**




*ქართული ფეხბურთი უპრეცედენტო ფაქტის წინაშე აღმოჩნდა — დიდი ფიქრის შემდეგ არჩევანი გერმანიის „კიოლნის“ მეკარეზე შეჩერდა.*

— არ გაშინებთ იმ ქვეყანაში ჩასვლა, რომელსაც რუსები ტერორისტების ბუდედ ნათლავენ?

— რუსების ბავშვობიდან არ მჯეროდა. იმედი მაქვს, თქვენს ნაკრებში თამაშის საშუალება მალე მომეცემა და იქნებ ევროპის ჩემპიონატზეც გავიდე. ეს ზღაპრის ახდენის ტოლფასია.

**ვერსია** გვ.10

## ნაღმი, რომელმაც ყაჩაღებში „გაყიდა“...

...ნაშუაღამევს გარაჟიდან სახლში შემავალი კარიც „გაჭიმეს“, დენიც გათიშეს და ახლა სამეული მეორე სართულის კორიდორში იდგა. მათ უკვე იცოდნენ, საიდან უნდა დაეწყოთ და პირველად ბავშვების ოთახს მიაკითხეს — ძიძასა და ბავშვებს პირი აუკრეს, მერე ძიძა რადიატორზე მიაბეს და ბავშვებთან ერთად ცოლ-ქმრის საწოლი ოთახის კარი შეაღეს. როგორც კი ელექტროფარნის შუქი მოხვდა ოლიგარქს, ბალიშის ქვეშ იარაღისკენ წაიღო ხელი, მაგრამ არ აცალეს. ბუინამ საფეთქელთან მიაბჯინა პისტოლეტი...

## თქვენ გემოვნებიანი მკითხველი ბრძანდებით!

ყვითელი ლურჯი შავი წითელი

## „იტერა“ თავისას არ იშლის...

საქართველოს სტრატეგიული ობიექტების შეძენა-მითვისებასთან დაკავშირებით მრავალ სკანდალში გახვეული რუსული კომპანია „იტერა“, როგორც ჩანს, რუსთავის „აზოტის“ მეპატრონე გახდება. „იტერას“ მიერ შემუშავებული „აზოტის“ განვითარების ბიზნესგეგმის სამუშაო ვარიანტი რუსულმა კომპანიამ ქონების მართვის სამინისტროში უკვე წარადგინა. დოკუმენტში საწარმოში 8 წლის მანძილზე ჩასატარებელი სამუშაოებია ასახული. მასში ლაპარაკია ინვესტიციებზეც. „იტერა“ „აზოტის“ აქციათა 90%-ის პირდაპირი მიყიდვის წესით გადაცემასა და საწარმოს სახელმწიფო ვალის მთლიან რესტრუქტურიზაციას ითხოვს. რამდენს გადაიხდის რუსული კომპანია ქართულ საწარმოში, ჯერჯერობით, უცნობია. ბოლო მონაცემებით, „აზოტის“ საწესდებო კაპიტალი 30 მილიონ 300 ათას ლარს შეადგენს.

## საიმპიჩმენტო მიზეზი გიგი წერეთელსაც მოუნახეს

საარჩევნო დარღვევების შემსწავლელი კომისიის თავმჯდომარემ ზაქარია ქუცნაშვილმა გიგი წერეთელსა და როსტომ დოლიძეს პარლამენტის რეგლამენტის შესახებ კანონის დარღვევა დასდო ბრალად და მათი თანამდებობიდან გადაყენებაც მოითხოვა. ქუცნაშვილის თქმით, პლენარულ სხდომაზე ვიცე-სპიკერმა და საპროცედურო საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ დარღვევით ჩატარებული კენჭისყრის შედეგად საარჩევნო კოდექსში შესატანი ცვლილებები ჩააგდეს.

## ვინ გაავსებს სპორტის სასახლეს?

ეროვნული თანხმობის კავშირმა სპორტის სასახლეში გრანდიოზული ყრილობა გამართა. ყრილობის მთავარი მოქმედი პირი გამსახურდიას მთავრობის ფინანსთა მინისტრი გურამ აბსანძე იყო. ყრილობას საქართველოს სხვადასხვა რაიონიდან ჩამოსული შვიდი ათასამდე დელეგატი ესწრებოდა. მათი პათოსი გამსახურდიას მმართველობის შემდეგ არ შეცვლილა — ექსპრეზიდენტის მომხრეები აცხადებენ, რომ სამართლიანობის აღდგენისთვის ბრძოლას კვლავაც გააგრძელებენ. ორიოდე დღის შემდეგ სპორტის სასახლეში ყრილობა გაერთიანებულმა დემოკრატებმა გამართეს. შეხვედრას 10 ათასამდე კაცი დაესწრო. ზურაბ ჟვანიამ საჯაროდ განაცხადა, რომ მისი პარტია როგორც საპარლამენტო, ისე საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვებისთვის მზად არის (იხ. გვ.7).

## ყაჩაღებმა ენგური ვერ გადალახეს

ზუგდიდში პოლიციასა და ყაჩაღებს შორის შეტაკება მოხდა. დაუდგენელმა ბოროტმოქმედებმა მურთაზ პაჭკორიას ოჯახი დააყაჩაღეს. ოთხი შეიარაღებული ნიღბიანი ოჯახის წევრებისგან ფულს ითხოვდა. პოლიცია ადგილზე ნახევარი საათის შემდეგ მივიდა და სახლს ალყა შემოარტყა. სამართალდამცველებსა და თავდამსხმელებს შორის სროლა ატყდა, რის შედეგად ერთ-ერთი პოლიციელი, მალხაზ ხუბუა გარდაიცვალა. ყაჩაღებმა მძევლად აიყვანეს ოჯახის ორი წევრი და პოლიციის თანამშრომელი. ყაჩაღები აფხაზეთში გადასვლას აპირებდნენ, მაგრამ ადიდებული ენგური ვერ გადალახეს, რის შემდეგაც მძევლები გაათავისუფლეს, თავად კი გალის მიმართულებით მიიმალნენ. ამჟამად მურთაზ პაჭკორია ზუგდიდის რესპუბლიკურ საავადმყოფოში წევს. პროკურატურამ სისხლის სამართლის საქმე უკვე აღძრა. მიმდინარეობს გამოძიება.

## ვითომ ელჩის შეცვლა უშველის?

გამწვავებული ურთიერთობების ფონზე, საქართველოში რუსეთის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს, ვლადიმირ გუდევს ქართული წარმომავლობის დიპლომატი ვლადიმერ ჩხიკვიშვილი შეცვლის. ელჩის თანამდებობაზე რუსმა დიპლომატმა ორწელიწადნახევარი იმუშავა. გამოსამშვიდობებელ საღამოზე გუდევის შეხვედრა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრ ირაკლი მენაღარიშვილთან დახურულ კარს მიღმა რამდენიმე საათს გაგრძელდა. კულუარული ინფორმაციით, რუსეთის ელჩმა კიდევ ერთხელ სცადა ქართველი მინისტრი დარჩენილი 8 ჩეჩენის ექსტრადაციისა და ჩეჩნეთის წარმომადგენლობის დახურვაზე დაეთანხმებინა. რაც შეეხება რუსეთის ახალ ელჩს, ვლადიმერ ჩხიკვიშვილს — სკოლა თბილისში აქვს დამთავრებული. დღემდე იგი რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში დასავლეთ ევროპის დეპარტამენტის ხელმძღვანელად მუშაობდა.

## — არც ერთი იყო ვენეციელი და არც მეორე ფრანგი...“

საქართველოს რკინიგზის დეპარტამენტის გენერალური დირექტორის, აკაკი ჩხაიძისა და ამერიკაში მცხოვრები ბიზნესმენის, ალეკო მაღლაფერიძის დავამ ფართო მასშტაბები შეიძინა. დაპირისპირების თემაზე გასულ კვირაში არაერთი შეხვედრა ჩატარდა. ორივე მხარე ცალ-ცალკე მოწყობილ პრესკონფერენციებზე საკუთარ უდანაშაულობას ამტკიცებდა და ბრალს მოწინააღმდეგეს სდებდა. გენერალურმა პროკურორმა არასამთავრობო ორგანიზაციებთან შეხვედრის შემდეგ განაცხადა, რომ მისი პირადი მეთვალყურეობით და მედიის მონიტორინგით სისხლის სამართლის საქმე ორივე მხარის მიმართ დამოუკიდებლად აღიძვრება. ალბათ გამოძიება სიმართლეს დაადგენს — გამორიცხული არაა, ორივე მხარის ურთიერთბრალდებები გამართლდეს (ვრცლად იხ. გვ.5).

## ასამართლებენ და ვერ გაასამართლეს

დიდუბე-ჩუღურეთის სასამართლოში ბასილ მკალავიშვილთან დაკავშირებით წელს უკვე რიგით 21-ე პროცესი გაიმართა. „იეღოველთა რისხვას“ ბრალი ხუთ ეპიზოდში ედება — მათ შორის, იეღოვას მოწმეთა კონგრესის დარბევის, სახალხო დამცველის ოფისში შეკრებილ იეღოვას მოწმეთა დაშლის, გაზეთ „რეზონანსის“ ოფისის კარის შედუღებისა და გაერთიანებული ბიბლიური საზოგადოების წევრებისთვის რელიგიური ლიტერატურის წართმევის გამო. პროცესი გადაიდო....

## მკალავიშვილი მართალი ყოფილა...

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ოფიციალური დასკვნის მიხედვით, ჟურნალები „ძინძინ“, „დაიმონე მამაკაცი“, „სექსი და საზოგადოება“ პორნოგრაფიულია და კონფისკაციას ექვემდებარება. ექსპერტიზა მაია ნიკოლეიშვილმა ორ ფსიქოლოგთან ერთად ჩაატარა. ექსპერტიზის ჩატარება იუსტიციის სამინისტროს ქალაქის შს სამმართველომ მას შემდეგ მოსთხოვა, რაც ბასილ მკალავიშვილის მრევლმა საგაზეთო ბირჟაზე აღნიშნული ჟურნალების მეპატრონეები დაარბია.

## იუსტიციის სამინისტრო დენის გაძვირებაზე თანახმაა

1-ლი ნოემბრიდან საქართველოში ელექტროენერგიის ტარიფი გაიზარდა. თბილისში დენის ფასმა 12,4-დან 13,7 თეთრამდე მოიმატა. რეგიონებში კი ერთი კილოვატსაათი ელექტროენერგია 8,5 თეთრი ეღირება. ტარიფის გაზრდაზე თანხმობა უკვე განაცხადა იუსტიციის სამინისტრომ.

„ეი-ი-ეს თელასი“ მემორანდუმით გათვალისწინებული ყველა პირობის შესრულებაზე თანხმობას აცხადებს. რეგისტრაციაში გატარების შემდეგ ახალი ტარიფი საკანონმდებლო მაცნეში გამოქვეყნდება, რის შემდეგაც ავტომატურად შევა ძალაში. თბილისის ენერგოგამანაწილებელ კომპანიაში ამერიკული „ეი-ი-ეს“-ის შესვლის შემდეგ, დენის ფასის ზრდის ეს უკვე მეოთხე შემთხვევაა.

## ვეტერანები კუთვნილს მოითხოვენ

ომისა და შრომის ვეტერანებმა ელექტროენერგიაზე რვა თვის წინ გაუქმებული შეღავათის აღდგენის მოთხოვნით რუსთაველის გამზირი გადაკეტეს. მათთვის ყოველთვიურად უფასოდ 50 კილოვატსაათი იყო გამოყოფილი. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, შეღავათები მარტში უნდა აღდგენილიყო. საპროტესტო აქციის მონაწილეები პარლამენტის თავმჯდომარესთან შეხვედრას მოითხოვდნენ, მოგვიანებით კი ნინო ბურჯანაძის მოადგილეს, მერაბ სამადაშვილს შეხვდნენ. პარლამენტარის განცხადებით, წინა კვირებში დაძაბული დღის წესრიგის გამო ამ საკითხის განხილვა ვერ მოხერხდა. დღის წესრიგში პრობლემა მომავალ სასესიო კვირას დადგება.

## გარღვეულ ბიუჯეტზე პასუხს არავინ აგებს

პარლამენტის ხუთმა ოპოზიციურმა ფრაქციამ 2002 წლის ბიუჯეტის ცხრა თვის გეგმის შესრულებასა და ექვსი თვის ანგარიშზე იმსჯელა. მიწვევის მიუხედავად, სხდომაზე არ გამოცხადდა სახელმწიფო მინისტრი ავთანდილ ჯორბენაძე. ბიუჯეტის დეფიციტის თემაზე დასმულ მწვავე კითხვებზე პასუხის გაცემა ფინანსთა მინისტრს მოუწია. სხდომაზე განსაკუთრებით მწვავედ გამოვიდა „მემარჯვენეების“ ლიდერი დავით გამყრელიძე, თუმცა, მოგვიანებით გამოსულმა გოგიაშვილმა მის ინფორმაციას სიცრუე უწოდა. დეპუტატები ფინანსთა მინისტრს პასუხს დაუფინანსებელი რეფორმების, გაუცემელი პენსიებისა და ჯორბენაძის მიერ პარტიისთვის განკარგული სახსრებისთვის სთხოვდნენ. ყოველივე ამის შემდეგ ფინანსთა მინისტრმა განაცხადა, რომ პარლამენტი პოლიტიკურ დაკვეთას ასრულებს.

## თავდაცვის დაფინანსება პოლიტიკურ ელფერს იძენს

უამრავი დაპირების მიუხედავად, შეიარაღებული ძალების ფინანსური უზრუნველყოფის საკითხი ისევ მოუგვარებელია. თავდაცვის სამინისტროს ყველა მიმართულების უზრუნველსაყოფად 129 მილიონი ლარი სჭირდება. ამდენად, არც პარლამენტის მიერ დამატებით დამტკიცებული 11 მილიონია საკმარისი. მიმდინარე წელს კი თავდაცვის უწყებამ 9 თვეში ბიუჯეტის გეგმით გათვალისწინებული თანხის მხოლოდ 88% მიიღო. საქართველოს ჯარს მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის გარდა, კადრების მომზადების პრობლემაც აქვს. საქართველოს შეიარაღებულმა ძალებმა მონაწილეობა ვერ მიიღო ნატოს პროგრამაში — „პარტნიორობა მშვიდობისათვის“. დღეს თავდაცვის სამინისტროს კოლეგიაზე ფინანსური პრობლემების განხილვის შემდეგ, თავდაცვის მინისტრმა ამ საკითხის უშიშროების საბჭოს წინაშე დაყენება მოითხოვა.

## რუსეთი კვლავ გვაფერხებს...

აფხაზეთის პრობლემის მშვიდობიანად მოგვარების პროცესი კვლავ განუსაზღვრელი ვადით გაგრძელდა. 1-ელ ნოემბერს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს სხდომაზე საბოლოოდ უნდა დადგენილიყო აფხაზეთის პრობლემის მოგვარების ბოდენისეული გეგმის საკითხი. როგორც გაირკვა, პროექტის განხილვა საბჭოზე რუსეთის წარმომადგენლებმა დაბლოკეს.

## ევროსაბჭო პანკისის პრობლემაზე ზრუნავს

საქართველოში ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის ექსპერტთა ცხრაკაციანი ჯგუფი ჩამოვიდა. ჯგუფის პირველი სამუშაო შეხვედრა მოსკოვში შედგა. პანკისის ხეობის ფონზე, რუსეთ-საქართველოს შორის გართულებული ურთიერთობების შესასწავლად ევროსაბჭოს პრეზიდენტის რეკომენდაციით სპეციალური კომისია 25 სექტემბერს, სტრასბურგში შეიქმნა. კომისიაში საქართველოს მხრიდან ელენე თევდორაძე და არმაზ ახვლედიანი, რუსეთის მხრიდან კი ლეონიდ სლუცკი და იური შარანდინი შევიდნენ. კომისიაშია აგრეთვე ევროსაბჭოს წევრი ქვეყნების შვიდი დეპუტატი. საქართველოში ექსპერტთა ჯგუფი ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის ელჩებს, ასევე აღმასრულებელი და საკანონმდებლო ორგანოებისა და უშიშროების საბჭოს ხელმძღვანელ პირებს შეხვდა. დელეგაციამ შს და უშიშროების მინისტრებთან ერთად პანკისის ხეობაც მოინახულა. სტრასბურგში დაბრუნების შემდეგ ჯგუფის ხელმძღვანელი, ბუნდესტაგის დეპუტატი კრისტა ლორხერი საგანგებო მოხსენებას დაწერს, რომლის საფუძველზეც ევროსაბჭომ პრობლემის გადასაჭრელად რეკომენდაციები უნდა შეიმუშაოს.

## რუსეთი ქართულ კულტურას აფინანსებს?!

რუსეთ-საქართველოს გამწვავებულ ურთიერთობათა მიუხედავად, საზეიმო და გულითადი აღმოჩნდა რუსეთის კულტურის მუშაკთა ოფიციალური დელეგაციის ვიზიტი საქართველოში. დელეგაციის შემადგენლობაში რუსეთის თვალსაჩინო პირები არიან — კულტურის მინისტრი მიხეილ შვიდკოი, „მოსფილმის“ დირექტორი კარენ შახნაზაროვი, „მოსკოვსკიე ნოვოსტის“ დირექტორი ვიქტორ ლოშაკი, ცნობილი მსახიობი სერგეი შაკუროვი და სხვა.

ვიზიტის მსვლელობისას გაირკვა, რომ რუსი კოლეგები დააფინანსებენ გრიბოედოვის სახ. რუსულ დრამატულ თეატრს და ერთობლივ ფილმს, რომელსაც ღვაწლმოსილი რეჟისორი რეზო ჩხეიძე გადაიღებს. კინოსტუდია „მოსფილმის“ დირექტორმა შახნაზაროვმა განაცხადა, რომ ხელოვნება და კულტურა მყარი საფუძველია რუსულ-ქართული ურთიერთობისა.

## მოგზაური შინ დაბრუნდა

მსოფლიოში სახელგანთქმული მოგზაური, ჯუმბერ ლეჟავა 9-წლიანი მოგზაურობის შემდეგ სამშობლოში დაბრუნდა. ამ ხნის განმავლობაში მან მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანა შემოიარა და მათ საქართველო გააცნო. ხანგრძლივი მოგზაურობის მანძილზე ლეჟავამ 9 ველოსიპედი გამოიცვალა.

## საარჩევნო ბაქანალია გრძელდება

ორი ივნისის არჩევნების საბოლოო შედეგებთან დაკავშირებით გადათვლის პროცესი ფაქტობრივად დასრულებულია, მაგრამ ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ ოქმი მაინც ვერ მიიღო. ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრები გარკვეულ დეტალებზე ვერ შეთანხმდნენ. შუა თათბირის დროს ცესკო-ს შენობაში მოულოდნელად ასამდე ადამიანი შეიჭრა. ადგილობრივმა დაცვამ მათ წინააღმდეგობა გაუწია, რასაც შეტაკება მოჰყვა. სამართალდამცველებმა სერიოზული ინციდენტის თავიდან აცილება შეძლეს. მოგვიანებით ცესკო-ს შენობასთან „ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერი მიხეილ სააკაშვილი მივიდა. მისი განცხადებით, „ნაციონალების“ აქტივისტებს ცესკო-ს სხდომაზე დასწრების უფლება ჰქონდათ, შეტაკება კი ხელისუფლების მიერ დადგმული პროვოკაცია იყო. სააკაშვილის მოწოდების შემდეგ აქცია დაიშალა. ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ თათბირი დახურულ კარს მიღმა გამართა.

## დიდი მამულიშვილის გახსენება

მიუხედავად პოლიტიკური ბატალიებით გადატვირთული კვირისა, ქართველმა საზოგადოებამ ღირსეულად აღნიშნა ქართული ფსიქიატრიული სკოლის ფუძემდებლის, აკადემიკოს ავლიპ ზურაბაშვილის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი იუბილე.

გლდანში, ქალაქის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში ავლიპ ზურაბაშვილის მემორიალური დაფა გაიხსნა და საავადმყოფოს მისი სახელი მიენიჭა...

მიხეილ ასათიანის სახელობის ფსიქიატრიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ეზოში საზეიმოდ გაიხსნა აკადემიკოს ავლიპ ზურაბაშვილის ბარელიეფი (მოქანდაკე მამუკა სალუქვაძე). საზეიმო გახსნის შემდეგ ინსტიტუტში ჩატარდა მისი ხსოვნისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია.

100 წლისთავის აღმნიშვნელი დღესასწაული მის მშობლიურ სიღნაღშიც იზეიმეს და დიდი მეცნიერის სახელობის მოედანზე დაიდგა ბიუსტი (მოქანდაკე თენგიზ კრაწაშვილი). მის საფლავთან, დიდუბის პანთეონში და დიდუბის ტაძარში სულის მოსახსენიებელი პანაშვიდი გადაიხადეს.

საიუბილეო დღეების დამაგვირგვინებელი აკორდი თბილისში, ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში გამართული საიუბილეო საღამო გახლდათ. დიდ მეცნიერს ღირსეული პატივი მიაგო მადლიერმა ერმა.



## ვაშინგტონი პასუხს ელის...

ვაშინგტონმა კრემლისგან ინფორმაცია მოითხოვა იმ გაზის შესახებ, რომელიც სპეცრაზმმა „ნორდ-ოსტის“ შენობის შტურმის დროს გამოიყენა. მოსკოვის ერთ-ერთ საავადმყოფოში ჩეჩენი ტერორისტების ტყვეობიდან გათავისუფლებული ამერიკელი მოქალაქე იმყოფება. ინფორმაციის მოთხოვნისას ამერიკა სწორედ ამ მოტივს ასახელებს. ჯერჯერობით, ოფიციალური მოსკოვი პასუხს არ ჩქარობს. მისი მტკიცებით, გაზი უსაფრთხოების ფედერალური ბიუროს მიერ დაშვებულ იარაღთა რიცხვს ეკუთვნის და იგი სიცოცხლისთვის საშიში არ არის. როგორც გაზეთი „გარდიანი“ იუწყება, რუსმა სპეცრაზმელებმა შენობაში გაზი „ფენტანილი“ შეუშვეს, რომელიც ნარკოტიკული საშუალებებით დამზადებული ქიმიური ნივთიერებაა. დასავლელ ექსპერტთა ცნობით, მძევლები სწორედ ნარკოტიკული ნივთიერების ზედმეტი დოზისგან დაიღუპნენ.

## ევროპა დათმობებზე მიდის...

დანიაში ჩეჩნეთის ლეგიტიმური პრეზიდენტის ასლან მასხადოვის სპეციალური წარმომადგენელი აჰმად ზაკაევი რუსეთის მიერ მიწოდებული მასალების საფუძველზე დააპატიმრეს. ზაკაევი კოპენჰაგენში „ჩეჩნების მსოფლიო კონგრესზე“ დასასწრებად ჩავიდა. მას ბრალად ედება მოსკოვის კულტურის სახლში მძევლების აყვანის დაგეგმვა, აგრეთვე 1996-1999 წლებში რუსეთისა და ჩეჩნეთის ტერიტორიაზე ტერაქტების განხორციელება. აჰმად ზაკაევის პირველი ოფიციალური დაკითხვა უკვე შედგა. სწორედ დაკითხვის შემდეგ უნდა გადაწყვეტილიყო, გადასცემდა თუ არა მას დანიის მხარე მოსკოვს. დანიის ელჩმა რუსეთში უკვე განაცხადა, რომ ზაკაევის ექსტრადიცია არ მოხდება. საბოლოო გადაწყვეტილებას დანიის მხარე 12 ნოემბრამდე მიიღებს. მანამდე კი მეთვალყურეობის ქვეშ იქნება. იტარ-ტასის ინფორმაციით, მოსკოვმა დანიის მთავრობას კონგრესის კიდევ 77 წევრის დაპატიმრება მოსთხოვა, მაგრამ ჯერჯერობით ისინი არ დაუკავებიათ. ასლან მასხადოვის პირადი წარმომადგენელი მის მიმართ წაყენებულ ბრალდებებს კატეგორიულად უარყოფს. აჰმად ზაკაევის დაკავების ფაქტს უკვე აპროტესტებენ საერთაშორისო ორგანიზაციებიც. უცხოეთში ლაპარაკობენ იმაზე, რომ დანიის მთავრობამ რუსეთის ზეწოლას ვერ გაუძლო. კოპენჰაგენში ჩეჩენთა სახალხო კონგრესის ჩატარებამ ოფიციალური მოსკოვი სასტიკად გააღიზიანა. მოჰყვება თუ არა ამას ჩეჩნური დიასპორის წარმომადგენელთა დაპატიმრება სხვა ქვეყნებში, უცნობია.

## კავკასიის შეერთებული შტატები

**(რუსული პრესის მიხედვით)** მოსკოვმა „ნორდ-ოსტის“ ტრაგედიის შემდეგ საბოლოოდ დაკარგა კავკასია. აბა, რა ამერიკელები იქნებოდნენ, თუ ამ ტრაგიკული შემთხვევის ფინალს თავის სასარგებლოდ არ გამოიყენებდნენ პოსტსაბჭოური სივრცის იმ ნაწილის მოსაპოვებლად, რომელსაც ჯერ არ დაუფლებიან. აშშ სასწრაფოდ შეუდგა სომხეთის დამუშავებას. ამერიკის ელჩმა გულისამაჩუყებელი გულახდილობით გაუზიარა პრესას, თუ როგორ გაძლიერებულ სამხედრო თანამშრომლობას აპირებს ამერიკა სომხეთთან. აღსანიშნავია, რომ სომხეთი რუსეთთან ერთად დსთ-ის გაერთიანებული ჰაერსაწინააღმდეგო სისტემის წევრია, სადაც რუსეთის კომუნიკაციური ტექნოლოგიაა გამოყენებული. ამერიკელებს ეტყობა უნდათ სომხეთის არმია ნატოს სტანდარტებს შეუსაბამონ, რისთვისაც ფორსირებულად ვითარდება სამმხრივი სამხედრო თანამშრომლობა აზერბაიჯანს, სომხეთსა და საქართველოს შორის. საქართველოსა და აზერბაიჯანში მიმდინარე მოვლენები ცხადყოფს, რომ ამ ქვეყნების მთავრობა, რუსეთის უკმაყოფილების მიუხედავად, მორჩილად აპირებს გაჰყვეს აშშ-ს.

ჩანს, აშშ არ დასჯერდება მხოლოდ სამხრეთ კავკასიაში გავლენის გავრცელებას, მისი ამ ტერიტორიაზე გაბატონება მხოლოდ საწყისი ეტაპი იქნება მთელი კავკასიის დასაპყრობად. ჩეჩნეთში დაიწყება გეგმაზომიერი მუშაობა სიტუაციის დასარეგულირებლად, ოღონდ რუსეთის გარეშე. აშშ ამისთვის გამოიყენებს ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სამხედრო რესურსებს. აშშ ახლავე აცხადებს, რომ მზად არის უზარმაზარი თანხები დააბანდოს ჩეჩნეთის ეკონომიკაში. ეტყობა, მალე გავხდებით მოწმე იმისა, თუ როგორ დაიწყებს ამერიკა ამ რესპუბლიკაში წესრიგის დამყარებას.

## კინოვარსკვლავს ქურდობისთვის ასამართლებენ

ვაინონა რაიდერის სასამართლო პროცესი კვლავ მასმედიის ყურადღების ცენტრში რჩება. ერთ-ერთ მოსმენაზე ბრალდებულის ადვოკატმა მაღაზიის მენეჯერი დაჰკითხა. კენეტ ევანსი სწორედ იმ მაღაზიაში მუშაობს, რომლის გაქურდვაც რაიდერს ბრალდება. ადვოკატმა ყურადღება ბრალდების ძირითად სამხილზე, მაღაზიის ვიდეოფირზე გაამახვილა. 90-წუთიან ჩანაწერზე აღბეჭდილია, როგორ დადის რაიდერი ფეშენებელურ მაღაზიაში რამდენიმე ჩანთით ხელში. მოსარჩელეთა განცხადებით, ჩანაწერზე თვალნათლივ ჩანს, რომ კინოვარსკვლავი ტანისამოსსა და აქსესუარებს იპარავს. ვაინონა რაიდერს მეხუთე ავენიუს მაღაზიიდან 5 ათასი დოლარის ღირებულების ტანსაცმლის მოპარვას სდებენ ბრალად. ექსპერტიზამ დაადგინა, რომ დანაშაულის ჩადენის მომენტში რაიდერი ნარკოტიკების ზემოქმედების ქვეშ იყო.

# საქართველო მაშველი რგოლია, რომელსაც რუსეთს ართმევენ

## ტერაქტის შედეგები ტერორისტების წარმოდგენასაც გასცდა



*ჩვენს მეზობელ ქვეყანაში მიმდინარე პროცესებს მთელი მსოფლიო ყურადღებით ადევნებს თვალყურს. მოხდა ისე, რომ ტერორისტებისთვის ქვეყნის სანაცვლოდ (რომელთა ერთადერთი მოთხოვნაც, სხვათა შორის, მშვიდობა იყო) ხელისუფლებამ ყველაზე იოლი გზა — საკუთარი ხალხის განირვა არჩია. ეს მოვლენა რუსეთის სინამდვილისთვის უცხო და ახალი ნამდვილად არ არის. რუსეთის ისტორიაში XX საუკუნე სწორედ „სისხლიანი კვირით" — ბოლშევიკებისთვის ქვეყნის სანაცვლოდ უბრალო ხალხის დახვრეტით დაიწყო. ანალოგიურად დაიწყო რუსეთმა XXI საუკუნეც, ოღონდ ამ შემთხვევაში ტექნოლოგიები განვითარდა და ხალხისთვის პირდაპირ ტყვია არ დაუშენიათ, ის გაზით გაგუდეს... ჯერჯერობით, ამის გამო რუსეთში არც საერთო-სახალხო მგლოვიარება გამოცხადებულა და არც პასუხი მოთხოვიათ ვინმესთვის. უფრო მეტიც, მოსკოვის მოქმედი მოსახლეობის ერთი ნაწილი ტერაქტის ალყაშიით აღფრთოვანებულია, მეორე ნაწილი კი პროკურატურაში შეიგენს, იქებს, იქების ფოტოგრაფიით დადის და რუსულ ყინვაში საათობით დგას ხარბელთან, საიდანაც დაღუპულთა და დაშავებულთა სიებს აცხადებენ. უახლეს წარსულის გამოცდილებით ვიცით, რომ დიდხანს არც ეს გაგრძელდება... პუტინის ხელისუფლება შეუძლია („ეს აუცილებელი იყო") — ის საკუთარ ხალხს ერთ დაღუპულში 3000 დოლარს უხდის, დაშავებულში კი 1500-ს. რუსეთში მიმდინარე მოვლენები ცხადყოფს, რომ ჩეჩნეთის ჩრდილოეთი მეზობელი ამჯერად ტრადიციული დიქტატურისკენ მიდის. რას ნიშნავს რუსული მორჩილობა და რა გავლენა შეიძლება ამან საქართველოზე იქონიოს, რომელიც დასავლეთისა და რუსეთის ურთიერთობაში ლამის სიფრთხილის ქვად ქცეულა?*

*საერთაშორისო ვითარება ჯერჯერობით ჩვენს სასარგებლოდ არის მიმართული. ამას ტერაქტის მეორე დღესვე ევროსაბჭოს საგანგებო დელეგაციის ჯერ მოსკოვში, შემდეგ კი საქართველოში ვიზიტიც ადასტურებს. აღარაფერს ვამბობ ნატოში ინტეგრაციის პერსპექტივაზე, რომელსაც, სხვათა შორის, ევროპელი ჩვენზე არანაკლები ოპტიმიზმით უყურებენ. რამდენად იქნება დამოკიდებული საერთაშორისო განწყობა საქართველოს შიდაპოლიტიკურ სიტუაციაზე, რომელიც რუსეთისგან განსხვავებით (და მისივე გამოისობით) ჩვენთან ზედმეტად აჭრელია?*

*ამ და სხვა საკითხებზე ვესაუბრებით პოლიტოლოგსა და ფსიქოლოგს, ბატონ* ***დაჩი გრძელიშვილს.***

— მომხდარი ტერაქტი რუსული სახელმწიფოებრიობის მორიგ ეტაპად შეიძლება ჩაითვალოს, რომელიც მხოლოდ „ნორდ-ოსტის" კონკრეტული ფაქტით არ შემოიფარგლება. მას თან უამრავი წინაპირობა და პარალელური მოვლენა ახლავს. ტერაქტის დასაწყისშივე რუსეთის იმიჯი განწირული იყო. ჩეჩენი ტერორისტები ხომ ერთადერთი — მშვიდობას მოითხოვდნენ. სხვათა შორის, თავის დროზე ანალოგიური სიტუაციის წინაშე აღმოჩნდა ელცინიც და ჩერნომირდინის მთავრობა. მაგრამ მაშინ რუსეთმა ტერორისტების მოთხოვნა შეასრულა და მიუხედავად იმისა, რომ მსხვერპლი მაშინაც იყო, რუსეთის იმიჯი შეურყვნელი გადარჩა, რადგან საომარი მოქმედებების შეჩერებით ხელთ იგდო ტერორისტების ინიციატივა — ჩეჩნეთში მიმდინარე მოვლენების სამშვიდობო რელსებზე გადაყვანა. პუტინის რუსეთმა სრულიად განსხვავებული ხასიათი გამოიჩინა. საგულისხმოა, რომ ტერაქტის მეორე დღესვე ისრაელის ვიცე-პრემიერი ოფიციალური განცხადებით გამოვიდა. იგი მზად იყო რუსეთს ნებისმიერი ძალებით დახმარებოდა. ამგვარი სურვილი სხვა ქვეყნებმაც გამოთქვეს. რუსეთი კი ტერორისტებთან მიმართებაში სრულიად არატიპურად მოიქცა. ასეთ დროს ხომ ყველაზე მნიშვნელოვანი დროის გაყვანაა — ტერორისტებს პირობის წამოყენებას სთავაზობენ და ყველაფერზე ეთანხმებიან, უმნიშვნელო დათმობებზეც მიდიან, რაც სულაც არ ნიშნავს კაპიტულაციას. უბრალოდ, ამ დროს პროცესი ჭიანურდება, რათა ანტიტერორისტული ოპერაცია უკეთ დაიგეგმოს და მას მაქსიმალურად ნაკლები მსხვერპლი მოჰყვეს. მაგრამ რატომღაც, რუსეთმა ძალიან იჩქარა. დღეს უკვე აღმოჩნდა, რომ არავითარი სასტიკი და შეუსრულებელი ულტიმატუმი არ ყოფილა. უფრო მეტიც, ჩეჩენი ტერორისტები რუსულ სპეცსამსახურზე უფრო ჰუმანურები აღმოჩნდნენ. რუსული მედიიდანვე გახდა ცნობილი, როგორ აფრთხილებდნენ ჩეჩნები მძევლებს, დარბაზში გაშვებული გაზის გამო ნაჭრები აეფარებინათ სახეზე და ისე ესუნთქათ. ამის მიუხედავად, მათ აფეთქებისგან თავი შეიკავეს. ასეა თუ ისე, ფაქტია, რომ ხალხი, რომელიც ზოგადად, ტერაქტის დროს მთავარი მოქმედი პირია და ვისი ბედიც ყველაზე ძვირფასი ხდება ამ სიტუაციაში, ტერორისტებზე მეტად საკუთარმა მთავრობამ განირა.

**— რუსეთს მარილაც შეჭიდა შანსი, ტერორისტების მოთხოვნა იეტადგინათ და საომარი მოქმედებები თუნდაც დროებით შეეჩერებინა. ასეთ შემთხვევაში, ტერაქტი მაინც მსხვერპლით რომ დასრულებულიყო, რუსეთს უკვე ყველანაირი მოქმედების მორალური უფლება ექნებოდა, რაც მთავარია, ჩეჩნეთის საერთაშორისო იმიჯის ხარჯზე. მაშინ რას მივაწეროთ იერიშის, რბილად რომ ვთქვათ, სულელური გადაწყვეტილება?**

— სხვათა შორის, სიტყვა სისულელე რუსეთზე ლაპარაკის დროს ძალიან მოსახერხებელი ეპითეტია. ტერაქტის ამსახველ ვიდეომასალას შემორჩა კადრი, სადაც ერთ-ერთი ტერორისტი გაოგნებული კითხულობს — „Что мы делаем". ამის გარდა, სხვა უამრავი ფაქტიც მეტყველებს იმაზე, რომ ტერაქტის შედეგები ტერორისტების წარმოდგენასაც გასცდა. მათ გეგმებში ამხელა მსხვერპლი არ შედიოდა და აქედან გამომდინარე, ამ ადამიანებთან ლაპარაკიც შეიძლებოდა. ისევე როგორც „კურსკის" ეკიპაჟის განირვა, ამ ოპერაციის ყველა ასპექტიც მისი ავტორის სოლდაფონობაზე მეტყველებს, იმის მიუხედავად, დღეს მას პრეზიდენტის კოსტიუმი აცვია თუ სამხედრო ფორმა. რუსული მხარის, და არა ჩეჩნების, ტერორისტულ აზროვნებაზე ტერაქტის შემდეგ განვითარებული მოვლენებიც მეტყველებს. ვთქვათ, შტურმის დროს გამოუცდელობამ და სხვა ფაქტორებმა იმოქმედა და შედეგი გარდაუვალი იყო. რითი აიხსნება ის ფაქტი, რომ ათეულობით მძიმე ავადმყოფი გამოყენებული გაზის ტიპის საიდუმლოდ შენახვით სასიკვდილოდ გაწირეს?! ეს იყო ყველაზე ნათელი დადასტურება იმისა, რომ ხელისუფლებას საკუთარი ხალხი არაფრად უღირს. მაგრამ აქ კიდევ ერთი და, ჩემი აზრით, ყველაზე მნიშვნელოვანი მომენტი დაფიქსირდა — შედეგების მიუხედავად, მოსახლეობის ფართო მასები აღტაცებით შეხვდნენ ტერაქტის ლიკვიდაციას.

**— იერიშიდან ორიოდე საათში რუსეთის საინფორმაციო საშუალებები უჩვეულო კადრებს გადმოსცემდნენ. საავადმყოფოებთან უამრავი ხალხი იდგა და მორჩილად უსმენდა სამართალდამცავებს. მათ არ აჩვენებდნენ ახლობლებს, არ აცნობდნენ ავადმყოფობის ისტორიას... მიუხედავად ამისა, ბედნიერი იყო ის, ვინც მხოლოდ სიტყვიერად გაიგებდა, რომ მისი დედა, და, ან ძმა ცოცხალი იყო და საავადმყოფოში იწვა. აღარაფერს ვამბობ უგზო-უკვლოდ დაკარგულთა შესახებ... რუსი ხალხის მორჩილება ისტორიული ფენომენია, თუ ამ შემთხვევაში „მაღალ სამოქალაქო შეგნებასთან" გვაქვს საქმე?**

— ის, რაც დღეს რუსეთში ხდება, ერთჯერადი მოვლენა სულაც არ გახლავთ. გასულმა დღეებმა კიდევ ერთხელ დამარწმუნა, საით მიდის პუტინის რუსეთი. „იმპერია დაინგრა, გაუმარჯოს ახალ იმპერიას" — ეს ლოზუნგი დღევანდელი რუსეთისთვის ზედგამოჭრილია. აქ საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებულ ფენომენთან გვაქვს საქმე — საქართველოს ისტორიაში ყველაზე დიდი და წარმატებული დაპყრობითი ომები დავითმა აწარმოა. ამის მიუხედავად, მას ერმა „აღმაშენებელი" შეარქვა, ანუ მისი პოზიტივი დაპყრობებში კი არა, აღმშენებლობაში, საკუთარ კეთილდღეობაში დაინახა. დაუკვირდით რუსულ სახელებს: „ვლადიმირ", „ვლადივოსტოკ", „ვლადიკავკაზ". რუსი ერის ფსიქოლოგიაში რაც შეიძლება მეტი ფართობის, ტერიტორიების დაპყრობაა გამჯდარი და ამის ხარჯზე საკუთარი კეთილდღეობა, საკუთარი ნება ჩამკვდარია. თითოეული რუსი უმნიშვნელო ჯარისკაცია, რომელიც ამ მიზნებისთვის პაიკივით უნდა მოკვდეს. იქნებ, ამიტომაც შეიცავს რუსულ ენაში გამარჯვების აღმნიშვნელი სიტყვა „პობედა" უმეტესწილად „ბედას" ანუ უბედურებას... როგორ მკრეხელობადაც არ უნდა ჟღერდეს, „ნორდ-ოსტის" მოვლენებში ყველაზე ტრაგიკული არა იმდენად ადამიანების დაღუპვაა, რამდენადაც მომხდარის გამო პროტესტის არარსებობა. რა თქმა უნდა, შორს ვარ იმ აზრისგან, რომ მთელი რუსეთი ერთპიროვნულად დავახასიათო. რუსულმა ინტელიგენციამ საკმაოდ ჯანსაღი პროტესტი გამოთქვა მომხდარის გამო. მაგრამ, სამწუხაროდ, რუსეთში მიმდინარე პროცესების მიმართ, ინტელიგენცია უძლურია.

**რაც შეეხება კორუფციის აჟიტირებას, მასთან ბრძოლა ხელზე ზედმეტად არ უნდა დავიხვიოთ. დაჭერებით და რეპრესიებით ამ საქმეს არაფერი ეშველება — ასე რომ იყოს, საბჭოთა კავშირი მსოფლიოში ერთ-ერთი სპეტაკი ქვეყანა იქნებოდა. ესეც არ იყოს, სახელმწიფოებრიობის გარიჟრაჟზე და შემდეგაც, კარგა ხნის განმავლობაში ამერიკაში ისეთი კორუფცია მძვინვარებდა, ჩვენ რომ არც დაგვესიზმრება.**

**— ინტელიგენციის უძლურება იოლი გასაგებია, რადგან ქვეყნის ბედს მაინც უმრავლესობა განსაზღვრავს. ამ უკანასკნელის აზროვნებაზე კი ინტელიგენციამ მასმედიის საშუალებით უნდა იმოქმედოს. პუტინის ხელისუფლებაში მოსვლა რამდენიმე ცნობილი ტელერადიოსადგურის და გაზეთის დახურვით აღინიშნა. რუსული ცენზურა იმდენად ძლიერია, რომ ტერაქტის გაშუქებასთან დაკავშირებით, ორი რადიოსადგური და გაზეთიც დახურეს. როგორც ჩანს, დიქტატურას მედია არ სჭირდება?**

— არა, მედია დიქტატურისთვისაც აუცილებელია, ოღონდ როგორც რუპორი და პუტინის ხელისუფლება ამისთვის ყველაფერს აკეთებს. ამ შემთხვევაში რუსული მასმედია მხოლოდ ერთი რგოლია მთლიანი შიდაპოლიტიკური მოვლენებისა და ამდენად მისი მდგომარეობაც გასაგებია. მაგრამ ეს პროცესი შეუქცევადი არ არის. დღეს რუსეთის ეკონომიკა ძალიან გაჭირვებულია საიმისოდ, რომ დიქტატორული რეჟიმი შეინახოს. ამის გარდა მას უზარმაზარი საგარეო ვალიც აქვს. ამიტომ, სახელმწიფოს გადარჩენისთვის ორი გზა აქვს. პირველი — დასავლური ცხოვრების სტილია. როდესაც საშუალო ფენას, ანუ მასებს საკუთარი ბიზნესი გაუჩნდება, ხელისუფლებას უკვე სერიოზულად მოსთხოვს პასუხს ძალისმიერი ქმედებისთვის საგარეო თუ საშინაო პოლიტიკაში. ამ შემთხვევაში მიზეზი უკვე არა უბრალოდ იდეა და ფასეულობები, არამედ კაპიტალი იქნება, რომელსაც რუსეთის მოქალაქე კბილებით დაიცავს. მეორე გზა, რომელიც აგრეთვე რუსეთის იმპერიულ მენტალიტეტს გააქრობს, მისი დაშლა გახლავთ და ეს პროცესი, ფაქტობრივად, უკვე მიმდინარეობს. სხვათა შორის, ერთი გზა მეორეს არ გამორიცხავს. სწორედ ამისკენ უბიძგებს დასავლეთი რუსეთს, რომლის ხელისუფლებაც ყველანაირად ცდილობს პოზიციების და ვითარების შენარჩუნებას. ეს კი, პირველ რიგში, მსოფლიოს ბაზარზე ნავთობის ფასთან არის დაკავშირებული, რადგან თუ ნავთობის ფასი დაეცემა, რუსეთი კატასტროფის წინაშე აღმოჩნდება და იძულებული გახდება, ზემოთ ნახსენებ დასავლეთის თამაშის წესებს დასთანხმდეს.

**— ასეთ შემთხვევაში, ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. საქართველო რუსეთისთვის მაშველი რგოლის როლში გამოდის, რომლის წართმევასაც დასავლეთი ცდილობს. ალბათ არა მხოლოდ საქართველოს, არამედ რუსეთის კეთილდღეობისთვისაც — მუდმივად მაშველი რგოლით ცურვას ვერასოდეს ისწავლი... თუმცა, აქ უკვე საქართველოს შიდაპოლიტიკურ ვითარებასაც დიდი მნიშვნელობა აქვს — როგორც არ უნდა ეცადოს დასავლეთი, საქართველო შესაძლებელია რუსეთის ნანგრევების ქვეშ აღმოჩნდეს...**

— საქართველოს და რუსეთის სასიცოცხლო ინტერესები რომ იკვეთება, უდავოა. თუმცა, არა მგონია, დასავლეთის მიზნებში დანგრეული და უმართავი რუსეთი შედიოდეს. ამით უზარმაზარი პრობლემები, პირველ რიგში, განვითარებულ ქვეყნებს, ანუ იმავე ევროპას და ამერიკას შეექმნებათ. ალბათ, ამ შემთხვევაში, მართებული — „მაშველი რგოლის" პრინციპით ნასწავლი ცურვა იქნება, რომელსაც რუსეთს ხელში არ დააჭერინებენ. მას არ მისცემენ საშუალებას, საქართველოს უსაფრთხოების კონტროლი მილსადენებზე და, შესაბამისად, ნავთობის ფასზე კონტროლი განახორციელოს. სწორედ ამიტომ ვითარდება მოვლენები ელვის უსწრაფესად საქართველოს ნატოში გასაწევრებლად. ორი-სამი წლის წინ ამაზე მხოლოდ საქართველოში თუ ლაპარაკობდნენ და ეს არასერიოზულიც ჩანდა. ბოლო პერიოდში კი ამასთან დაკავშირებით საკმაოდ თამამი განცხადებები გააკეთეს ნატოს ისეთმა ფიგურებმა, როგორიც ჯორჯ რობერტსონი და დევიდ კოლინზია. დასავლეთი აფხაზეთის დაბრუნებაზეც საკმაოდ სერიოზულ აქცენტებს აკეთებს. არა მხოლოდ ევროსტრუქტურები, ტერაქტის დღეებში პუტინთან სატელეფონო საუბრისას ბუშმა არაერთმნიშვნელოვნად მიუთითა კრემლს, ტერაქტის მწვავე შედეგები საქართველოზე არ გადასულიყო. თუნდაც იმავე ევროსაბჭოს საგანგებო ჯგუფის ვიზიტი რუსეთსა და საქართველოში, რომლის დროსაც ევროპარლამენტარები სწორედ იმ რუს პოლიტიკოსებს შეხვდნენ, რომლებიც საქართველოსადმი „განსაკუთრებული სიყვარულით" გამოირჩევიან. მოკლედ რომ ვთქვათ, ცივილიზებულ მსოფლიოს ხელს უშლის რუსეთის იმპერიული ამბიციების, და არა თვითონ რუსეთის, არსებობა. ამ შემთხვევაში კი საქართველო გადამწყვეტ როლს თამაშობს. რაც შეეხება ჩვენს შიდაპოლიტიკურ სიტუაციას, ზემოთ ნახსენები მიზეზების გამო აქ ბევრი მოვლენა რუსეთის პროვოცირებულია, რადგან საქართველოს შიდასამზარეულოში ჩარევას ევროპა ჯერჯერობით ნაკლებად ახერხებს. ჩვენი მთავარი პრობლემა ჩვენივე მენტალიტეტში მდგომარეობს. სამწუხაროდ, ჩვენ ვერ გავცდით ფეოდალურ ხანას (სხვა ფორმაციის გაცნობის შანსი არც გვქონია, კომუნისტურს თუ არ ჩავთვლით). ამიტომაც არის, რომ საქართველოში მინისტრი საკუთარ პერსონასთან — თავის სამინისტროს, პარტიის ლიდერი — პარტიას, რეგიონის მმართველი კი რეგიონს აიგივებს და თავის ინტერესებთან შესაბამისობაში მოჰყავს, როცა პირიქით უნდა ხდებოდეს. ლოგიკურია, რომ რუსული ორიენტაციის პარტიები ამ ქვეყნის ინტერესებისთვის იბრძოლებენ, რადგან თუნდაც იმავე ასლან აბაშიძემ საეჭვოა, თავი დასავლეთთან ინტეგრაციის შემთხვევაშიც ისევე კარგად იგრძნოს, როგორც დღეს. დასავლური ორიენტაციის პარტიების დისკრედიტაცია კი მათი ლიდერების პოლიტიკური სიჭაბუკის გამო საკმაოდ იოლია — ამაში ცესკოში მომხდარმა მოვლენებმაც დაგვარწმუნა. რაც შეეხება კორუფციის აჟიტირებას, მასთან ბრძოლა ხელზე ზედმეტად არ უნდა დავიხვიოთ. დაჭერებით და რეპრესიებით ამ საქმეს არაფერი ეშველება — ასე რომ იყოს, საბჭოთა კავშირი მსოფლიოში ერთ-ერთი სპეტაკი ქვეყანა იქნებოდა. ესეც არ იყოს, სახელმწიფოებრიობის გარიჟრაჟზე და შემდეგაც, კარგა ხნის განმავლობაში, ამერიკაში ისეთი კორუფცია მძვინვარებდა, ჩვენ რომ არც დაგვესიზმრება. დღეს კი ყველამ ვიცით, იქ რაც ხდება. კორუფცია ისეთი სენია, ერმა თვითონ უნდა მოიხადოს და მის წინააღმდეგ იმუნიტეტი გამოიმუშაოს. მას ქირურგიული ჩარევით ვერ უშველი. საერთაშორისო ვითარება რომ ჩვენს სასარგებლოდ არის მომართული, ფაქტია. ალბათ ძალა და ნება ისევ ხალხმა უნდა გამოიჩინოს — კერპების დრო აღარ არის. დროა, ფეოდალური წყობიდან გამოვიდეთ და მჯერა, გამოვალთ კიდეც.

არც ათ წელიწადში არ იცვლება ერის მენტალიტეტი.

**„ვლადიმირ", „ვლადივოსტოკ", „ვლადიკავკაზ". რუსი ერის ფსიქოლოგიაში რაც შეიძლება მეტი ფართობის, ტერიტორიების დაპყრობაა გამჯდარი და ამის ხარჯზე საკუთარი კეთილდღეობა, საკუთარი ნება ჩამკვდარია. თითოეული რუსი უმნიშვნელო ჯარისკაცია, რომელიც ამ მიზნებისთვის პაიკივით უნდა მოკვდეს.**

***დაჩი გრძელიშვილი***

# შე მამაცხონებულო, თუ არ მოგწონს, ადექი და წადი, რაღა...



*იგი ბუკინისტურ წიგნებს ყიდის და ბევრი კლიენტიც ჰყავს. ისე დღე არ გავა, ოცდაათ ლარამდე მაინც არ ივაჭროს. მის დახლზე გამოფენილი წიგნები რომ დავათვალიერე, აღფრთოვანებული დარჩი. რომელი მწერლის ნაწარმოებს არ ნახავთ აქ: მერიმე და მოპასანი, ბალზაკი და გოეთე, რემარკი და ჯეკ ლონდონი, დრაიზერი და ჰიუგო, — თანაც ძალიან კარგი გამოცემები.*

*ბუკინისტური წიგნების გამყიდველმა ჩემი ყურადღება იმით მიიპყრო, რომ ცოტა უცნაური სახელით მიმართეს — „ძია სურენ-სოსო!“. ჯერ ვიფიქრე, ალბათ უცხოური სახელი ჰქვია-მეთქი (ერთიანი), მერე მივხვდი, ორი სხვადასხვა სახელი რომ იყო შეერთებული.*

— **ძია სურენ-სოსო, რატომ გეძახიან ასე?**

— შენც რომ ასე მეძახი? — ღიმილით მეკითხება.

— **სხვანაირად არც კი ვიცი, როგორ მოგმართოთ.**

— შენც სხვებივით სურენ-სოსო დამიძახე. შევეჩვიე უკვე და მომწონს კიდეც ეს სახელი... ადრე სომეხი ვიყავი, შვილო...

— **ახლა აღარ ხართ?**

— ადრე-მეთქი, იმიტომ ვამბობ, რომ სანამ სრულწლოვანი გავხდებოდი, ვაჰანიანი ვიყავი, მერე კი, როცა ჭკუა მომემატა და ქართული წიაღი მთელი არსებით შემიყვარდა, გადავწყვიტე დედის გვარზე გადავსულიყავი. ასე გავხდი სალარაძე.

— **მამას უღალატეთ და არ გაგინაწყენდათ?**

— მამა მაშინ აღარ იყო ცოცხალი, 1937 წელს სხვებთან ერთად დააპატიმრეს. 3 წლის ვიყავი და მამა აღარც კი მახსოვს. სწორედ მისი ხსოვნის გამო დავიტოვე მისგან შერქმეული სახელი — სურენი. ნათესავები მამაჩემს აქაც ჰყავს და ერევანშიც, მაგრამ როცა გაგვიჭირდა, არავის გავხსენებივართ. მე სალარაძეებში გავიზარდე და ჩემში ქართული გაცილებით მეტია, ვიდრე სომხური.

— **როცა დავა ატყდა, ჩაიწეროს თუ არა ქართულ პასპორტში ეროვნება, თქვენ რომელ აზრს იზიარებდით.**

— ქართველებს შემოევლოს ჩვენი სიცოცხლე... რა თქმა უნდა, უნდა ჩაიწეროს. მთელი მსოფლიოს ხალხთან პაექრობაში შემიძლია დავამტკიცო ქართველების უპირატესობანი. მაშ, რატომ არ უნდა ჩაიწეროს ეროვნება. ქართველს უნდა ეამაყებოდეს, რომ ქართველია.

— **სოსო ვინ დაგარქვათ?**

— დედამ, მამამისის სახელია.

— **დედათქვენსა და მამათქვენის ქორწინებას წინააღმდეგობებიც ხომ არ ახლდა?**

— მამას და დედას ისე უყვარდათ ერთმანეთი, რომ სალარაძეებს ხელი ჩაუქნევიათ და ქალიშვილისთვის უთქვამთ: თუკი ბედნიერი იქნები მასთან, ნება შენია, გაჰყევიო. სამაგიეროდ, ვაჰანიანებს აუტეხავთ ერთი ამბავი: სხვა გოგო გვინდოდა შენთვის, ქართველი რატომ მოგყავსო. მამაჩემი ხელოსანი კაცი იყო, ცხოვრების არ შეეშინდა და ცალკე საცხოვრებლად გავიდა. პირველი გოგო შეეძინათ, ჩემი და — შუშანა. ხუთი წლის მერე გავჩნდი მე. მერე მამა დააპატიმრეს და დარჩა დედაჩემი მარტო. მას მშობლები, ძმები და ბიძაშვილები ამოუდგნენ მხარში. ისე გაგვზარდეს, ობლობა არ გვაგრძნობინეს. აბანოთუბანში გავიზარდეთ მე და ჩემი და. მაშინ ძაან ჭრელი უბანი იყო, ვის აღარ ნახავდით: ქართველს, ებრაელს, სომეხს, ქურთს, თათარს... ყველასთან ვმეგობრობდი, მაგრამ ქართველს მაინც სხვანაირი ჯიგარი ჰქონდა. ერთხელ, მახსოვს, ფეხბურთის თამაშის დროს ერთ სომეხ ბიჭთან წავკინკლავდი. ასე მითხრა: — რას „ტრიპაჩობ“, ქართველებს რას „უძვრები“, შენც სომეხი არა ხარო? გავმწარდი და ვუპასუხე: ქართველი ვარ და ქართველად დავრჩები-მეთქი. როცა გვარი შევიცვალე (თვრამეტი წლის ვიყავი) მხოლოდ მაშინ მომინახულა მამის მამიდამ და მისაყვედურა: გვარი რატომ გამოიცვალეო, ზრდილობის ფარგლებში, რაც ეკუთვნოდა, ის პასუხი გავეცი. მერე ერევანში დამპატიჟეს მამის ნათესავებმა. წავედი, დამიჯერებთ? ისე მომენატრა ჩემი თბილისი, თბილისური დილა და ყვავილები, რასაც ქართული ჰქვია, რომ სამ დღეზე მეტი აღარც დავრჩი, გამოვიქეცი. ჩემი ცხოვრების მანძილზე, რამდენჯერმე წამომაძახეს — სად ვაჰანიანი და სად სალარაძეო. შე ოჯახაშენებულო, დედაც რომ არ მყოლოდა ქართველი, თუკი შენი ყველაფერი მიყვარს, თუკი სულით და გულით შეგიყვარე, შეგითვისე და მინდა მეც შენიანი გავხდე, რატომ უნდა მითხრა: შენ „ის“ კი არა, „ესა“ ხარო? ქართველობა დედაჩემმა, ულამაზესმა და უსათნოესმა ქალმა, მისმა ახლობლებმა და ჯიგრიანმა ქართველებმა შემაყვარეს, თორემ უვარგისებმა კი არა!

— **წარმომიდგენია, დედას როგორ გაეხარდებოდა, როცა მის გვარზე გადახვედით.**

— დედას არც ჩემთვის, არც ჩემი დისთვის არასოდეს უთქვამს, მით უფრო, არ მოუთხოვია, გვარი შეიცვალეთო. ბოლოს და ბოლოს, მას უყვარდა მამაჩემი და სომხობის გამო არ დაუხევია უკან, ცოლადაც გაჰყვა. გვარი რომ გამოვიცვალეთ, მაშინ, ბაბუა — ლევან სალარაძე ცოცხალი იყო. აი, მან კი კაი სადილი მოაწყო ამის აღსანიშნავად. ჩვენს ქუჩაზე, ერთი ავი ქალი ცხოვრობს, სომეხია. ამ გაჭირვებამ უფრო შარიანი გახადა. გამოვა ყოველ დილით, ქუჩის კუთხეში გამოიტანს სკამს, დაჯდება და მათხოვრობს. თუ ვინმემ ფული არ ჩაუდო ხელში, მწარედ იწყევლება. ერთხელაც, გავუბრაზდი: ყველას თავი გასჭირვებია, რა გინდა, რად სწყევლი ამ ხალხს-მეთქი. ქართველების ასე და ისეო, — დაიწყო „გაჭრილად“ გინება... მაგათ რომ არ აეტეხათ ერთი ამბავი, რომ თავისუფლება გვინდაო, ხომ ვიცხოვრებდი ისევ კარგად, საჭმელ-სასმელი მექნებოდაო. არავინ გიჭერს, შეგიძლია წახვიდე სომხეთში ან რუსეთში-მეთქი. ისე გაბრაზდა, სულ ქოქოლა მაყარა: შენ მაგას არავინ გეკითხება, აქ დავიბადე და აქ უნდა მოვკვდეო. თუ არ მოგწონს, წადი, მამაცხონებულო, სადაც უკეთ იქნები, იქ იცხოვრე. ხოლო თუ ვერ ახერხებ წასვლას, იმდენი ზრდილობა მაინც იქონიე, რომ გაჩუმდე! კიდევ, ბევრი ვიცი ისეთი (ეგ, განსაკუთრებით რუს ქალებს სჭირთ), რომელიც ქართველს გაჰყვება ცოლად, აქ ცხოვრობს, ქართულ ენას კი შეგნებულად არ სწავლობს, ქართულ ადათ-წესებს პატივს არ სცემს, მაშ, რად მიჰყვებოდა იმ ქართველს? მე ჩემი საქართველო თავის ტკივილ-უბედურებიანად მიყვარს. ვისაც უნდა სურენა დამიძახოს, მთავარი სულია...

— **ისევ თქვენს წიგნებს დავუბრუნდეთ. უფრო ხშირად რა ასაკის ხალხი მოდის თქვენთან?**

— ყველაზე ხშირად ორმოცდაათს გადაშორებული ხალხი მაკითხავს. მოდიან 20-30 წლისანიც. გული მწყდებოდა, რომ 15-16 წლის გოგო-ბიჭები სიახლოვეს არ მეკარებოდნენ, მაგრამ ამას წინათ ერთი ბიჭი მოვიდა (თხუთმეტის იქნებოდა) და დიუმას „სამი მუშკეტერი“ იკითხა. არ მქონდა და ვთხოვე, მეორე დღეს მოსულიყო. იმედი არ მქონდა, რომ მოვიდოდა, თუმცა წიგნი მაინც ვუშოვე. მოვიდა, მადლობა მითხრა და გახარებული წავიდა. იმ დღეს მეც ძალიან კარგ ხასიათზე დავდექი...

— **ძია სურენ-სოსო, გამოდის, რომ თქვენ ხართ კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარს?**

— *(იცინის)* ეგრე გამოდის! ისე, გურამ დოჩანაშვილიც ძალიან მიყვარს და მისი წიგნიც ლიტერატურის მოყვარულ კაცზე...

— **კიდევ რა გიყვართ?**

— თბილისური დილა მიყვარს. გარიჟრაჟზე ვდგები ხოლმე, რომ გარეთ გამოვიდე... თითქოს ვმსუბუქდები და გაფრენა მინდება. „უცნობი“ რომ მღერის, სწორედ იმდაგვარი განწყობა მეუფლება: „აქ ყველაფერი მახარებს... აქ გავშლი ფრთებს და... გავფრინდები“.

**მარინა ბაბუნაშვილი**

## ფოტო რებუსი




# დიდი მსახიობისთვის ნაჩუქარი ბინა მისი ვაჟისა აღმოჩნდა(?!)

**როგორც იქნა! ხანგრძლივი დაგვიანებით, მაგრამ დედაქალაქმა მაინც აღნიშნა დიდი მსახიობის, ქალბატონი მედეა ჩახავას სახელოვანი იუბილე — სასცენო მოღვაწეობის სამოცი წლისთავი. იყო გულითადი მისალმებები, იყო ვარდები, ყვავილები, მუსიკა და ჩვენი შეჭირვებული დროისთვის შესაფერისი პატარ-პატარა, მაგრამ კეთილი გულით მირთმეული სუვენირები და აი, ასეთ ფონზე, დედაქალაქის მერმა, ბატონმა ვანო ზოდელავამ თავისი მისალმება ამ სათაყვანო ქალბატონის მიმართ იმით დაასრულა, რომ მთელი საქართველოს გასაგონად განაცხადა, ამ იუბილესთან დაკავშირებით, ქალბატონი მედიკოს მრავალსულიან ოჯახს ოთხოთახიანი ბინის გასაღები გადავეცითო. ეს ითქვა მაღალი ტრიბუნიდან და ისეთ ვითარებაში, სადაც ამ ცრუწუთისოფლის საცეცებს თითქოს ვერ უნდა შეეღწია, მაგრამ...**

*არ დაგიმალავთ და პირადად მე, ამ წერილის ავტორს, ერთდროულად გამიხარდა და მეწყინა კიდეც. გამიხარდა იმიტომ, რომ ამჟამად ქალბატონი მედიკოს ბინაში ჩემი მეგობრის, ბატონი კოტე მახარაძის შვილი, თვითონაც ჩემი მეგობარი ივიკო ცხოვრობს მეუღლესა და პატარა კოტე მახარაძესთან ერთად (უფროსი გოგონა ამჟამად უცხოეთში სწავლობს) და მართლა განიცდიან სივიწროვეს. მეწყინა კი იმიტომ, რომ ჩვენ ერთ სახლში ვცხოვრობთ და ასეთ მეზობელს უნდა დავშორებოდი, მაგრამ, რაკი ეს მართლაც მეფური საჩუქარი ამ ოჯახისათვის სადღეისოდ აუცილებელი გახლავთ, ჩემს მოვალეობად ჩავთვალე მიმელოცა მათთვის.*



სახლი რომელშიც დღეს ცხოვრობს მედეა

**ივიკო მახარაძე** (ქალბატონი მედიკოს უმცროსი შვილი მსახიობი, სპორტული მიმომხილველი): — შენ, იცი, მერამდენე ხარ? ტელეფონის ზარებმა აგვიკლო, ქუჩაში ვერ გამივლია, ყველა ბინის მიღებას გვილოცავს. არადა ღმერთი, რჯული, არავის არაფერი მოუცია. ყოველ შემთხვევაში, ჩემთვის და დედაჩემისთვის.

**თემურ ჩხეიძე** (ქალბატონი მედიკოს უფროსი ვაჟი, ყველა დროის ერთ-ერთი გამოჩენილი ქართველი რეჟისორი): — რვა წლის წინ მივიღე ბინის ორდერი. სახელმწიფოს ჩემი ვალი ჰქონდა და რამდენიმე თვის წინ გამისტუმრეს. შემიშვეს ბინაში... უფრო სწორად, ბინა კი არა, ეს იყო ჩონჩხი, რომელსაც თუ რამ გამაჩნდა, მოვახმარე, რათა ადამიანური პირობები შემექმნა ჩემი ოჯახის წევრებისთვის. არ მესმის, რა საჩუქარზეა ლაპარაკი ან ასეთ შემთხვევაში რა შუაშია დედაჩემი?..

*მართალი გითხრათ, დავიბენი და ამ აბსურდის გასარკვევად „მთავარ დამნაშავეს“, ქალბატონ მედიკოს მივადექი.*

— **ქალბატონო მედიკო, ძალიან ვწუხვარ, რომ ისეთი რანგის ხელოვანთან, როგორიც თქვენ ბრძანდებით, ასეთ ყოფით ამბავზე მიწევს საუბარი, მაგრამ სინამდვილეს ვერსად გავექცევით.**

— იცით რა, სცენაზე რომ ადამიანი გადის, აუცილებლად ღელავს და ალბათ ბატონი ვანოც ღელავდა. ვფიქრობ, ვერ ჩამოაყალიბა ფრაზა კარგად. იქვე დავეჭვდი, მაგრამ იმდენმა შემომძახა, ოთხოთახიანი ბინა მიიღეო, რომ იძულებული ვარ, ვთქვა, რომ მე კი არა, თემურმა მიიღო ბინა. ალბათ საჭირო იყო უფრო დაკონკრეტება, რადგან თემურმა ამ ბინის ორდერი ჯერ კიდევ კომუნისტების დროს მიიღო, თუმცა ბინაში არ შესახლებულა. სწორედ ბატონი ვანოს დროს დაადგა საშველი და რვა წლის წინ მიღებული ბინა მისცეს. ფაქტობრივად, იგი თემურმა გააკეთა. კიდევ კარგი, მან იტალიაში ლა სკალასა და პეტერბურგის „მარინის“ თეატრებში განახორციელა დადგმები და რომ არა იქ აღებული გასამრჯელო, კიდევ რამდენიმე წელს მოუწევდა ცდა. თუმცა ახალ კორპუსში ელემენტარული საცხოვრებელი პირობებიც კი არაა. თვითონ განსაჯეთ: ცხრასართულიან სადარბაზოში მხოლოდ ორმა ოჯახმა მოახერხა მეტ-ნაკლებად კეთილმოეწყო ბინა. დღემდე არაა ლიფტი. დღე-ღამის განმავლობაში მხოლოდ ერთი საათის განმავლობაში მოდის წყალი და ა. შ.

უმადურობა არ გამომივიდეს, თუმცა ფაქტია, რომ ბატონი ვანოს განცხადებამ ხალხი დააბნია. ოთხოთახიანი ბინის გასაღები მივეციო იუბილარს. მართალია, მერე დააკონკრეტა, რომ ლაპარაკი ჩემს შვილზე იყო, მაგრამ სხვათა შორის, ჩემს ყველა შვილს თავისი გვარი და სახელი აქვს. ამასთან, ეს ჩემთან, ჩემს იუბილესთან, არც ჩემს ღვაწლთან არაფრით არ იყო დაკავშირებული და ალბათ ეს იყო ბატონი ვანოს შეცდომა.

— **კარგად მესმის თქვენი. თქვენ იმითაც გამორჩეული ქალბატონი ბრძანდებით, რომ თქვენი სულიერი კულტურა არ გაძლევთ ვინმეზე განაწყენების უფლებას, თუმცა აშკარად ვხედავ, რომ ბატონ ვანოს არც თემურის შემთხვევასთან ჰქონია რამე საერთო.**

— არ ვიცი როგორ ვთქვა. მისამართი მისცა, მიუთითა ის სახლი და... ერთი კი გავიფიქრე, ალბათ, გაიგო ვანომ ჩვენი სივიწროვის შესახებ, ისიც, მერვე სართულზე რომ ვცხოვრობთ, ხშირად ფუჭდება ლიფტი და რომ უკვე მიმძიმს კიბეებზე სიარული და ეტყობა, პირობების გაუმჯობესებას მთავაზობს-მეთქი. სხვათა შორის, ქალბატონმა ნანული შევარდნაძემაც, როცა საოცრად გულთბილი შეხვედრა მომიწყო, მითხრა, თვითონ გავიგონე, რაც ზოდელავამ თქვა და როგორ შეიძლებოდა, ეცრუაო. მაშინ მივუგე, თქვენს პირს შაქარი თუ ეგრე იქნება, მაგრამ მეეჭვება და იმაზეც კი დავთანხმდებოდი, ჩემი პრივატიზებული ბინა ჩამებარებინა, თუ ერთ ოთახს დამიმატებდნენ, რადგან პატარა კოტე აღარ ვიცით სად შევკუჭოთ. საღამოთი გავუშლით ლოგინს, დილით ავკეცავთ და გამუდმებით ამ დღეში ვართ, არადა წამოიზარდა, ბიჭს თავისი კუთხე სჭირდება...

*თქვენი არ ვიცი და მე კი ისეთი აზრი გამიჩნდა, რომ ქალბატონი მედეა მისივე დიდსულოვნებიდან გამომდინარე ძალიან ცდილობდა წყენა დაემალა, მაგრამ ჩემზე მაინც ნაწყენის შთაბეჭდილება დატოვა და ამის საკმაო საბაბიც აქვს. ჯერ ერთი, მართლა და რა შუაში იყო ბატონი თემურ ჩხეიძის რვა წლის წინ მიღებული ბინის ორდერის, ასე ვთქვათ, დასაქონლება. ესეც არ იყოს, ბატონი თემური არ გახლავთ ის ადამიანი, რომელმაც (მით უმეტეს ამ ასაკში) დედიკოს ხათრით უნდა მიიღოს ბინა. განა რამდენი გვყავს იმ დონის ქართველი რეჟისორი, რომელსაც ლა სკალასა და „მარინის“ თეატრები იწვევენ სპექტაკლების დასადგმელად? მე თუ მკითხავთ, მარტო დედაქალაქის მერიას კი არა, მთლიანად საქართველოს, ოცი-ოცდახუთი წლის წინ უნდა ეზრუნა იმისათვის, რომ ამ დონის შემოქმედს თავისი სამუშაო კუთხე მაინც ჰქონოდა, რასაც მასთან ერთად მოკლებული იყო მისი მეუღლეც, დიდებული არტისტი და ადამიანი ქალბატონი ნანი ჩიქვინიძე.*



თემურის სახლი, რომელშიც „მალე გადავა“ მედეა

P.S. **წერილი აქ უნდა დამესრულებინა, მაგრამ თავი ვერ შევიკავე და ბარემ ისიც უნდა ვთქვა, რომ ბინის ჩუქება კი არა, ბაქტრიონის ქუჩაზე მდებარე იმ სახლის მობინადრეებმა, რომელშიც ქალბატონი მედიკო ცხოვრობს, ამ ბოლო წლების განმავლობაში რამდენჯერმე მიავლინეს ქალთა დელეგაცია ქალაქის მერიაში (იმედი ჰქონდათ, რომ ქალებს უფრო მოუსმენდნენ) ერთადერთი სათხოვრით, წერტილი დაესვათ უკანონო მშენებლობებისთვის, თუნდაც მათი სახლის ირგვლივ, მაგრამ უშედეგოდ. ამას წინათ კი სამარშრუტო ტაქსიდან ჩამოსულმა ქალბატონი მედეას მძახალმა ქუჩაში მანქანების სავალ ნაწილზე მანქანის მისაბმელად დასობილ პალოზე წამოჰკრა ფეხი და დასისხლიანებული ძლივს მოასულიერეს. თუმცა ეს კიდევ არაფერი, მანქანის გარაჟები სანახევროდ პირდაპირ ქუჩაში დგას. აღარაფერს ვამბობ იმ ხელისგულისოდენა საბავშვო მოედანზე, რომელიც ასევე გარაჟებით დაფარეს სხვადასხვა მიზეზით ქალაქში ახლახან ჩამოსახლებულმა ჩვენმა თანამემამულეებმა.**

**აი, ასე „ზრუნავს“ ჩვენი ქალაქის მერია ჩვენს სახელოვან ადამიანებზე, თუმცა ჩანს, ეს სულაც არ ადარდებს.**

**ვაჟა გავაშელი**

# რა ბედი ელის აკაკი ჩხაიძეს...

## რკინიგზის დეპარტამენტის შეფი კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის პირველი მსხვერპლი?

არცთუ დიდი ხნის წინ №1 ბიზნესმენად დასახელებულ რკინიგზის დეპარტამენტის შეფს, აკაკი ჩხაიძეს არასამთავრობო ორგანიზაციები დღეს უკვე №1 მაფიოზად ასახელებენ. არსებობს ეფ-ბი-აი-ს დასკვნაც, სადაც საუბარია აკაკი ჩხაიძის კავშირზე რუსეთის კრიმინალურ სამყაროსთან. ასევე ჩხაიძის შავ ბიზნესზე და, ასეთივე ტიპის ბიზნესთან დაკავშირებულ მაქინაციებზე. აკაკი ჩხაიძის ყოფილ პარტნიორს, ალეკო მაღლაფერიძეს, რომელიც მის მაქინაციებზე საუბრობს, აშშ-ის ფედერალურმა ბიურომ უკვე მფარველობის გარანტია მისცა. შეიძლება ითქვას, რომ სახეზეა ორი კლანის დაპირისპირება, რომლებიც უკანონო ბიზნესის ლაბირინთებში მოსისხლე მტრებად იქცნენ. მას შემდეგ, რაც „60 წუთში“ ამერიკაში მყოფმა ბიზნესმენმა ალეკო მაღლაფერიძემ ჩხაიძე ამხილა, გენერალურ პროკურატურაში მოკვლევა დაიწყო. ნუგზარ გაბრიჩიძემ გამჭვირვალობის მიზნით, გასულ კვირას გამოძიებაში ჩართო არასამთავრობო ორგანიზაციები და ჟურნალისტები. არ არის გამორიცხული, უახლოეს მომავალში სისხლის სამართლის საქმე აღიძრას თავად ჩხაიძის წინააღმდეგ და პრეზიდენტის გარემოცვის წევრი უკვე ოფიციალურად ამხილონ კორუფციასა და უკანონო ბიზნესში. ამ საკითხებთან დაკავშირებით „კვირის პალიტრა“ ესაუბრა არასამთავრობო ორგანიზაცია „ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისათვის“ თავმჯდომარეს **ნანა კაკაბაძეს**.



**— ქალბატონო ნანა, არასამთავრობო ორგანიზაციები ითხოვთ რკინიგზის დეპარტამენტის შეფის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის აღძვრას. რა უდევს საფუძვლად ყოველივე ამას?**

— საქართველო რომ მოიცვა კორუფციამ და ქვეყანა უკვე იძირება მასში, სიახლე არ არის არც არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის და არც მოსახლეობისთვის, ტელევიზიით გასული მასალები საგანგაშოა. ამ საქმეს მივყვებით ბოლომდე. ჩვენი ხელისუფლებისთვის ჩხაიძის საქმე, შეიძლება ითქვას, ლაკმუსის ქაღალდივით იქნება. მართლაც მზად არიან დაისაჯოს თუნდაც ერთი კორუმპირებული პირი, თუ მათი დაპირებები და ჩვენი ძალისხმევა კვლავ დარჩება „ხმად მღაღადებლისად“?.. ისე, სიმართლე გითხრათ, ჩვენი ხმაურის მიზეზი ისიც გახლდათ, რომ სანამ გადაცემა ეთერში გავიდოდა, ჟურნალისტის მიმართ ადგილი ჰქონდა სერიოზულ მუქარას. მას აფრთხილებდნენ, რომ გადაცემა არ გასულიყო. როდესაც ეფ-ბი-აი-ს დასკვნაში ნათქვამია, რომ ბატონ ჩხაიძეს სერიოზული კონტაქტები აქვს რუსეთის კრიმინალურ სამყაროსთან და პარალელურად ემუქრებიან ჟურნალისტს, ეს მუქარა უკვე არცთუ უსაფუძვლოდ ჟღერს.

**— რამდენადაც ვიცი, თქვენ ფლობთ კონკრეტულ ინფორმაციას ჩხაიძესა და რუს კრიმინალებთან დაკავშირებით. ვისზეა საუბარი?**

— ეს კონკრეტული ინფორმაცია ეფ-ბი-აი-ში დევს. მათ ჩაატარეს კონკრეტული კვლევა-ძიება. მათი კვალიფიკაცია და საგამოძიებო მეთოდები ცნობილია და თუ ვინმეზე შეიძლება ითქვას, რომ ობიექტურ ინფორმაციას ფლობს, ეს ეფ-ბი-აი-ა. ამას დამატებით ჩვენი გადამოწმება, ვგონებ, არ სჭირდება. მიგვაჩნია, ეს საკმაოდ სერიოზული არგუმენტია იმისათვის, რომ სათანადო სტრუქტურები დაინტერესდნენ — რატომ უნდა ჰქონდეს კავშირი რკინიგზის დეპარტამენტის ხელმძღვანელობას კრიმინალურ სამყაროსთან. ვიცით, როგორც ხორციელდება შავი ბიზნესი, ფულის გარეცხვა-გათეთრება. ასეთი ბიზნესის მიმდევრები უკავშირდებიან შავ სამყაროს.

**— ეფ-ბი-აი-ს დასკვნაში ნათქვამია, კონკრეტულად ვისთან აქვთ კავშირი?**

— ამონაწერში ამის თაობაზე არ არის საუბარი, მაგრამ ვიცით, რომ უფრო დეტალურ ინფორმაციას ფლობენ. ვაპირებთ გამოვითხოვოთ ეს დეტალები და როცა მივიღებთ, მერე შეგვეძლება კონკრეტული ფაქტების დასახელება. ჩხაიძემ განაცხადა, რომ არის ხალხი, ვისაც სურს, რომ თანხები იმ მიმართულებით კი არ მიედინებოდეს, რა მიმართულებითაც მიდის, არამედ სხვა მიმართულებითო. ამ საქმეში ჩვენი ჩართვა მას დაარწმუნებს, რომ ჩვენ ერთადერთ მიმართულებას ვეთანხმებით: თანხები უნდა მიემართებოდეს ბიუჯეტში. გამოძიების ბოლოს ამაში თავადაც დარწმუნდება.

**— რა საეჭვო ბიზნესზეა საუბარი?**

— ფაქტობრივად, რკინიგზის დეპარტამენტი გადაკეთდა შპს-დ. მეოთხედ ფასში მოხდა მისი გასხვისება-შესყიდვა. ჩხაიძის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ნათქვამია, რომ თითქოს რკინიგზა პირველ აუქციონზე არ გაიყიდა. ამ შემთხვევაში გასაყიდ ობიექტს აკლდება თვითღირებულების 30%. თუ მეორე აუქციონზეც არ გაიყიდა — აკლდება 70% და ბოლოს, რა ფასშია გასხვისებული რკინიგზა, თავად წარმოიდგინეთ. იცით თუ არა, რომ ტენდერი ცხადდება საპრივატიზაციო „მაცნეში“, რომლის მთლიანი ტირაჟიც 400-500 ცალს არ აღემატება. მოგეხსენებათ, დაინტერესების შემთხვევაში სულაც არ იქნებოდა ძნელი ტირაჟის შესყიდვა და განადგურება. ჩვენ გვინდა ძირფესვიანად გამოვიძიოთ, რა იყო იმის საფუძველი, რომ რკინიგზა გაყიდულიყო, მართლა იყო თუ არა ის წამგებიანი ორგანიზაცია. გარდა ამისა, არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ რკინიგზა სტრატეგიული ობიექტია და მისი გასხვისება მხოლოდ და მხოლოდ გამოუვალ სიტუაციაში ხდება. როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, ხელოვნურად იქნა ნაჩვენები, რომ თითქოს ობიექტი წამგებიანი იყო.

**— ფაქტია, ჩხაიძის ფიგურა მას შემდეგ ამოტივტივდა, რაც მისმა ყოფილმა პარტნიორმა, ალეკო მაღლაფერიძემ ამხილა. როგორ ფიქრობთ, თვითონ მაღლაფერიძე სუფთა პიროვნებაა?**

— იცით, ჩვენ ნაკლებად უნდა გვაინტერესებდეს, ვინ არის მაღლაფერიძე და რატომ ამხელს ჩხაიძეს. მთავარი ის არის, რომ მოხდა ორ კლანს შორის დაპირისპირება და ამ დაპირისპირებამ ამოატივტივა მათ საქმიანობაში არსებული შავი ლაქები. ჩვენ გვაინტერესებს ის დარღვევები, რომელსაც ადგილი აქვს და არა ორ პიროვნებას შორის არსებული დაპირისპირება.

**— სხვათა შორის, საუბარია იმაზე, რომ მაღლაფერიძემ 900 ათასი დოლარი გამოსძალა ჩხაიძის გარემოცვას და მის წინააღმდეგ საქმეა აღძრული თაღლითობის მუხლით.**

— ფულის გამოძალვის თაობაზე ჩვენ არაფერი ვიცით. ვფლობთ მხოლოდ და მხოლოდ იმ ოფიციალურ მონაცემს, რომელსაც გამოძიება გვაწვდის. ჩვენ მაღლაფერიძის წინააღმდეგ სარწმუნო მტკიცებულებები არ გაგვაჩნია. რაც შეეხება ჩხაიძის მიმართ ბრალდებებს, ოფიციალური სტრუქტურის მხრიდან აქამდე არავითარი რეაგირება არ ყოფილა. მასალები არაოფიციალური გზით მოიპოვეს ჟურნალისტებმა. მინდა გითხრათ, რომ არსებობს საკმაოდ სერიოზული ორი განსხვავებული მომენტი: ერთი — როდესაც სახელმწიფო დაინტერესებულია, კანონიერი თუ უკანონო გზით დაუმტკიცოს დამნაშავეს მისი ქმედებების უკანონობა და მეორე — როდესაც მიუხედავად იმისა, რომ არსებობს დანაშაული, სახელმწიფოს არ სურს გამოიტანოს იგი დღის სინათლეზე. პირდაპირ შეიძლება ითქვას, რომ ჩხაიძის შემთხვევა სწორედ ის შემთხვევა გახლდათ, როდესაც ხელისუფლება დაინტერესებული იყო, ეს საქმე არ გამოსულიყო დღის სინათლეზე.

**— როგორც ცნობილია, ჩხაიძე პრეზიდენტის დაახლოებული პირია. რამდენად რეალურად მიგაჩნიათ, რომ გენერალური პროკურატურა ობიექტურად ჩაატარებს გამოძიებას და მის წინააღმდეგ მართლაც აღიძვრება სისხლის სამართლის საქმე?**

— რომ ვიცოდით, პრეზიდენტის დაახლოებული პირი იყო და ნაკლებად გვქონდა გამოძიების იმედი, ამიტომ მოვითხოვეთ ჩვენი ჩართვა გამოძიების პროცესში.

**— რატომ მოხდა განხეთქილება მაღლაფერიძესა და ჩხაიძეს შორის?**

— როგორც მაღლაფერიძე ამბობს, იგი ვერ შეეწყო ჩხაიძეს, როგორც პარტნიორს ბიზნესში და ამის გამო, ცდილობდა ჩამოშორებოდა. ჩხაიძე მიუხვდა ამ სურვილს და ამის გამო მიმართავდა ინტრიგებს. ჩხაიძე და მისი კლანი შეეხო მის ბიზნესს და ყველაფერს, რაც გააჩნდა. როცა მაღლაფერიძემ დაინახა სერიოზული საფრთხე, თავი შეაფარა აშშ-ს. მივიდა ფედერალურ ბიუროში, განაცხადა ჩხაიძის ყველა ქმედების შესახებ და ითხოვა მფარველობა. ფედერალურმა ბიურომ ეს საქმე კონტროლზე აიყვანა, დაიწყო გამოძიება და სწორედ გამოძიების შედეგად წარმოადგინა ის დასკვნა, რომელზეც ზემოთ ვისაუბრეთ.

როდესაც „კვირის პალიტრა“ აკაკი ჩხაიძეს დაუკავშირდა და ინტერვიუ სთხოვა, მან ჯერ მოუცლელობა მოიმიზეზა, შემდეგ კი ირონიული პასუხით თავიდან მოგვიცილა. ჩვენთვის თუ არაფერი აქვს სათქმელი, არა უშავს, მთავარია, სადაც მოუწევს პასუხის გაცემა, იქ ჰქონდეს სათქმელი...

***მარინა მამისაშვილი***

# რატომ დაადეს რჩეულიშვილს თურქებმა იარაღი?!

ჩემი რესპონდენტი 1992-98 წლებში პრეზიდენტის პირად დაცვაში მუშაობდა. მანამდე იყო თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტი, მთავარი სადაზვერვო სამმართველოს სკოლა, ყირიმის სამედიცინო ინსტიტუტი, ეგვიპტის პოლიციის აკადემია, დაბოლოს, — ამერიკის სამხედრო ბაზაზე 5-თვიანი პროგრამის დაჩქარებული შესწავლის კურსი.

**ვასიკო გიგოლაშვილს** საფრთხე პირველად ავღანეთში შეეჩეხა. მაშინ ისწავლა შიშის დაძლევა და რისკი. ეტყობა, ბედიც წყალობდა — მოჯაჰიდებისგან მოწყობილი სასაკლაოდან რამდენჯერმე სასწაულებრივად გადაურჩა სიკვდილს. ერთხელ მისმა ოჯახმა ე.წ. „პახარონკაც“ მიიღო, მაგრამ... სიკვდილის ცნობას 2 კვირაში ვასიკოს წერილი მოჰყვა — ცოცხალი და სალ-სალამათი ვარო...



„თურქი ავაგდე და დემირელის უკან დავჯექ“

## უცნობი ტერაქტების უცნობ დეტალებზე პრეზიდენტის დაცვის წევრი გვესაუბრება...

დღეს პრეზიდენტის ყოფილი მცველი მაიორის ჩინს ატარებს, ანტიტერორისტულ ცენტრს კურირებს. მისმა მეგობრებმა მითხრეს, — ავღანეთში საომარი მოქმედებების დაწყების წინ ამერიკელებმა საელჩოში უხმეს გამოცდილ ავღანელს და რჩევა ჰკითხესო...

— ავღანეთში მოჯაჰიდების იარაღის საწყობებს და ქარავნებს ვანადგურებდით. სპეცნაწილების მთავარი ამოცანა იყო, ამ ქარავნებს არ გადაეტანათ იარაღი, ტყვია-წამალი და ნარკოტიკები. მეტს ვერაფერს გეტყვით, ავღანეთი ჩემთვის დახურული თემაა. საუბარი საქართველოზე გადამაქვს.

**— რა კრიტერიუმებით ხდება პრეზიდენტის პირადი დაცვის შერჩევა?**

— ინტელექტის, ფიზიკური მონაცემების და გარეგნობის მიხედვით; გასაუბრებაზე და უშიშროების პოლიკლინიკაში შემოწმებისას დიდი ყურადღება მიაქციეს ფსიქოლოგიურ ტესტირებას, ექსტრემალურ პირობებში სწორი გადაწყვეტილების მიღების უნარს. უმნიშვნელოვანესია რეკომენდაციაც...

პრეზიდენტის დაცვის სამსახური უშიშროების სამინისტროს მე-9 სამმართველოს ბაზაზე შეიქმნა. დაცვის სისტემას, რომელიც საქართველოში ამერიკელების რეკომენდაციით ჩამოყალიბდა, ყოფილ საბჭოთა კავშირის

> უკრაინელმა ისე გამარტყა, საით იდგა, ველარ გავიგე. მირტყამდა, მაგრამ ვერ წამაქცია. ვერაფერს რომ ვერ გახდა, თვალში მატაკა თითი. ბრძოლის გაგრძელების ნება აღარ დამრთეს. საცემად გავეკიდე მეტოქეს, — უნდა მოვკლა-მეთქი. ძლივს გამაჩერეს. შეჯიბრის ბოლოს უკრაინელმა ბოდიში მომიხადა.

და სოციალისტურ ქვეყნებში ანალოგი არ აქვს. პრეზიდენტის დაცვაში, ძირითადად, იურისტები და ოპერატიულ სპეცსამსახურებში ნამუშევარი ხალხი იყო.

**— პრეზიდენტის დაცვაში მუშაობა, ალბათ, მაღალანაზღაურებადი სამსახურია...**

— 1998 წლამდე ხელფასი 120 ლარი იყო. კუპონების დროს კი იმდენს გვაძლევდნენ, 2 ლიტრ ბენზინს ვერ ვყიდულობდით იმ ფულით...

**— „მაღალი იდეალების“ და მხოლოდ პრეზიდენტის სიყვარულის გამო 120 ლარად სიცოცხლეს საფრთხეში არ ჩაიგდებდით, ეტყობა, პრესტიჟული სამსახური გიზიდავდათ...**

— რატომ პრეზიდენტის?.. ეს სამშობლოს სიყვარული უფროა — იცავ ადამიანს, რომელიც ახალ ქვეყანას აშენებს. ჩემი სამსახური მომწონს, თუმც ვერ ვიტყვი, რომ პრესტიჟულია და არც რაიმე მატერიალური დაინტერესება მაქვს. არც ბიზნესში ვარ ჩართული...

**— როგორი იყო პრეზიდენტის პირადი მცველის დღის რეჟიმი?**

— შვიდის ნახევარზე ვდგებოდით, 7 საათზე მანქანა გვაკითხავდა — შინაგანად მობილიზებულნი ამქვეყნიური და პირადი პრობლემებისაგან თავისუფლები მივდიოდით სამსახურში. შემდეგ ვამოწმებდით ესკორტის მანქანებს და კრწანისის რეზიდენციაში ავდიოდით. მთელ დღეს პრეზიდენტის მისაღებში ვატარებდით, სამ დღეში ერთხელ კი კრწანისში გვიწევდა მორიგეობა.

**— პრეზიდენტის მისაღებში ხალხს ჩხრეკდით?**

— ვამოწმებდით პრეზიდენტთან შემსვლელებს. უშიშროების საბჭოს დადგენილებით — უშიშროების საბჭოს მდივანი, სახელმწიფო მინისტრი, ირაკლი მენაღარიშვილი და ძალოვანი მინისტრები შემოწმებას არ ექვემდებარებიან, მაგრამ მათ ხანდახან მათივე სურვილით ვამოწმებდით.

**— რამდენადაც ვიცი, პრეზიდენტზე განხორციელებულ ტერაქტებსაც შეესწარით.**

— ალბათ გახსოვთ, 1995 წლის 29 აგვისტოს ტერაქტი იმელის შენობასთან მოხდა. პრეზიდენტი მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლეში მიდიოდა. იმ დღეებში განსაკუთრებულ სიფრთხილეს ვიჩენდით — უშიშროების სამსახურიდან გვქონდა ოპერატიული ინფორმაცია, რომ ტერაქტი მზადდებოდა. მანამდე, აგვისტოს დასაწყისშიც, იყო ტერაქტის მცდელობა, მეტეხის ხიდთან მანქანაში დამონტაჟებული ბომბი უნდა აეფეთქებინათ. რაკი ეს ვერ მოხერხდა, 29 აგვისტოს „იმელის“ შენობასთან მდგარ თეთრ „ნივაში“ დაამონტაჟეს ასაფეთქებელი მოწყობილობა. პრეზიდენტის ესკორტმა შენობასა და „ნივას“ შორის გაიარა, როცა წამის მეათედით გასცდა პრეზიდენტის მანქანა „ნივას“, აფეთქება მოხდა. მაშინ ყუმბარის ნამსხვრევებით დაცვის ოთხი თანამშრომელი დაიჭრა.

პრეზიდენტზე ტერაქტის მცდელობა სოლიკო ხაბეიშვილის დაკრძალვის დღესაც იყო. დაცვამ და ოპერატიულმა სამსახურმა საეჭვოდ მიიჩნიეს პრეზიდენტის ლიფტით აყვანა და ეს ეჭვი საფუძვლიანი აღმოჩნდა — მოგვიანებით გავიგეთ, რომ ასაფეთქებელი მოწყობილობა ლიფტში იყო ჩამონტაჟებული.

**— 1997 წლის ტერაქტზე რას იტყვით?**

— კრწანისისკენ ღამის 11 საათზე წავედით, თავდასხმა „300 არაგველის“ ძეგლთან მოხდა. ტანკსაწინააღმდეგო ნაღმმტყორცნებით ზედიზედ ააფეთქეს ესკორტის მანქანები. შემდეგ კი ავტომატებით ცეცხლი გაგვიხსნეს. აფეთქებისთანავე, მიმავალი მანქანებიდან ვხტებოდით. რაკი დავინახეთ, რომ პრეზიდენტის მანქანა გასული იყო ცეცხლის ზონიდან, დაცვამ საკუთარ თავზე აიღო ცეცხლი. პირველ წამებშივე ტყვიის მაქსიმუმი გავუშვით, რათა ყურადღება ჩვენკენ გადმოგვეტანა და პრეზიდენტის ევაკუაცია მოსწრებულიყო.

**— რომელი მხრიდან გესროდნენ?**

— სკვერიდან, თავდამსხმელთა მხარეს ლამპიონები ჩამქრალი იყო, ჩვენ კი განათებულ გზაზე — თითქოს ხელისგულზე ვიყავით. თავდამსხმელებს ვერ ვხედავდით, ორიენტაციით ვისროდით იქითკენ, საიდანაც ტყვიები მოდიოდა. სროლა დაახლოებით 10 წუთს გაგრძელდა. ბიჭები ერთმანეთის გადარჩენაზე ვფიქრობდით, მაგრამ კახა შევარდენიძე და დათო კოკაური სასიკვდილოდ დაიჭრნენ.

**— პრეზიდენტი ამ დროს მარტო იყო?**

— მასთან ვახტანგ ქუთათელაძე და მძღოლი იყვნენ... დაცვის სამსახურში ცნობილი აქსიომაა, თუ დასაცავი ობიექტი დაიბნა და დაცვას არ ექვემდებარება, 80%-ით მისი სიკვდილია მოსალოდნელი. პრეზიდენტი არასოდეს დაბნეულა, იგი ძალზე გაბედული პიროვნებაა.

***(გაგრძელება იხ. გვ.24)***

CMYK

# სად გაქრა უშიშროების სამინისტროს კუთვნილი სპეციარაღი?!


„კავკასიონის" იარაღის საფირმო მაღაზია კლიენტების ნაკლებობას არ უჩივის

## იარაღის მაღაზიის ყოფილი დირექტორი ალაპარაკდა...

რამდენიმე კვირის წინ რედაქციაში ერთი ხანში შესული მამაკაცი მოვიდა. ჩვენი სტუმარი საქართველოს სამხედრო დაზვერვის ყოფილი თანამშრომელი აღმოჩნდა, რომელმაც მართალია, ნაჩქარევად, მაგრამ მეტად საინტერესო ინფორმაცია მოგვაწოდა. „უშიშროების სამინისტროს ახალმა ხელმძღვანელობამ ქონების ინვენტარიზაციის დროს რამდენიმე ათეული სპეციარაღის დანაკლისი აღმოაჩინა. ამის გამო საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროში სისხლის სამართლის საქმეც აღიძრა. ამის მეტს არაფერს გეტყვით... თუ თქვენ დაინტერესდებით და გამბედაობაც გეყოფათ, მოგცემთ ერთ-ერთი ფირმის მისამართს, სადაც ამ საქმესთან დაკავშირებით ბევრ საინტერესო და სენსაციურ ფაქტს გაგაცნობენ. თუნდაც იმას, თუ როგორ „განადგურდა" სპეციარაღი, რომელიც სინამდვილეში არ განადგურებულა და მალულად გაყიდეს. ამასთანავე, იმ პირსაც დაგისახელებთ, რომელიც შეიძლება ამ საკითხზე დაგელაპარაკოთ", — გვითხრა ჩვენმა ანონიმმა სტუმარმა. მართლაც, დაპირებისამებრ ფირმის დასახელება, მისამართი და პოტენციური ინფორმატორის ვინაობა ჩაგვაწერინა. რაოდენ დიდი იყო ჩვენი გაოცება, როცა საქართველოში ცეცხლსასროლი იარაღის ლეგალური ვაჭრობის პირველი და, ამასთანავე, საქართველოს ცეცხლსასროლი იარაღის მთელი სამომხმარებლო ბაზრის 80%-ის (როგორც თავად ამბობს) მფლობელი ფირმის შპს „კავკასიონის" გენერალური დირექტორის გვარ-სახელი (ვალერი კონჯარია) ამოვიკითხეთ.

გამოცდილებით ვიცით, — იშვიათად მოიპოვება ისეთი ვინმე, ამ ბიზნესში იყოს ჩართული და მან ჟურნალისტს ზედმეტი ინფორმაცია მიაწოდოს, ლაპარაკი ზედმეტია საიდუმლოებებზე, რადგან ცეცხლსასროლი იარაღით როგორც არალეგალური, ისევე ლეგალური ვაჭრობა საკმაოდ ბინძური ბიზნესია და ზედმეტად ენაგახსნილებს კარგი დღე არ ელით.

თავიდან ოფიციალური წერილით საქართველოს სახელმწიფო უშიშროების მინისტრს, ბატონ ვალერი ხაბურძანიას მივმართეთ: „გთხოვთ, ჩვენი გაზეთის ჟურნალისტს, ზვიად ჩაკვეტაძეს ნება დართოთ, გაეცნოს თქვენივე სამინისტროს თანამშრომლების მიერ მიმდინარე წელს აღძრულ სისხლის სამართლის საქმეს, რომელიც შეეხება უშიშროების სამინისტროს კუთვნილი სამოცი ერთეული სპეციარაღის განადგურებას შპს „კავკასიონის" მონაწილეობით". რამდენიმე დღის შემდეგ სამინისტროს ხელმძღვანელობამ სამინისტროში მიგვიწვია, სადაც ერთ-ერთი განყოფილების უფროსი **მალხაზ ჩიკვილაძე** გველოდებოდა, რომელმაც გვითხრა: „თქვენს წერილთან დაკავშირებით შემიძლია გითხრათ, რომ სამინისტროში ჩატარდა ქონების ინვენტარიზაცია, სადაც სპეციარაღთან დაკავშირებით რაღაც გაურკვეველი მომენტები აღმოჩნდა(?!). დოკუმენტებით ირკვევა, რომ ეს იარაღი განადგურებულია. ამჟამად მიმდინარეობს გადამოწმება. ამას ვერც გამოძიებას და ვერც მოკვლევას ვუწოდებთ. უბრალოდ, ინვენტარიზაციის შედეგებს ვამოწმებთ. არავითარი სისხლის სამართლის საქმე არ აღძრულა და ამასთან დაკავშირებით არც არავინ დაგვიკითხავს", — აი, ასეთი ლაკონიური პასუხი გაგვცა განყოფილების უფროსმა და გამომცდელად შემომხედა. ალბათ აინტერესებდა, რამდენად დამაჯერებელი იყო მისი ინფორმაცია. დიდხანს ვისაუბრეთ, მაგრამ უშიშროების სამინისტროდან იმედგაცრუებული წამოვედი. მხოლოდ ერთიღა მანუგეშებდა — იქნებ ფირმა „კავკასიონის" გენერალურ დირექტორს ეთქვა რამე? მეორე დღეს შპს „კავკასიონის" კუთვნილ ცეცხლსასროლი იარაღის სარეალიზაციო მაღაზიას ვეწვიეთ და ვალერი კონჯარია მოვიკითხეთ. მაღაზიის თანამშრომლებმა ერთხმად გვიპასუხეს, ჩვენი გენერალური დირექტორი თითქმის ორი წელია თვალითაც არ გვინახავს, არც მისი ასავალდასავალი, არც მისამართი და არც ტელეფონის ნომერი ვიცითო. ის იყო ხელი უნდა ჩამექნია, რომ მოულოდნელად ბატონი კონჯარია ჩვენს ერთ-ერთ თანამშრომელს რედაქციაში თვითონვე მოჰყვა. თვალებს არ დავუჯერე. გამოცნაურების შემდეგ ვალერი კონჯარიას ჩემს ხელთ არსებული ინფორმაცია მივაწოდე. თავდაპირველად, ყველაფერს უარყოფდა, მერე კი უეცრად ინტერვიუზეც დამთანხმდა და ისეთი გულახდილი საუბარი გამიბა, გაოცებული კითხვის დასმას ძლივს ვახერხებდი. ჩემს რესპონდენტს თურმე გულში იმდენი ბოღმა და ნაღველი ჰქონია ამ საქმესთან დაკავშირებით, რომ გამიკვირდა, აქამდე რომ არავის გაუზიარა თავისი დარდი. ერთი სიტყვით, საქართველოში პირველი ცეცხლსასროლი იარაღის მაღაზიის დამაარსებელი და მფლობელი ალაპარაკდა. **ვალერი კონჯარია:** — საქართველოში ცეცხლსასროლი იარაღის სარეალიზაციო მაღაზიის გახსნის იდეა პირველად მე დამებადა. ამისთვის შევქმენი ჩემს მეგობართან, ევგენი ხარბედიასთან ერთად შპს „კავკასიონი", მაგრამ იმ დროისათვის საქართველოში არ არსებობდა იარაღის იმპორტისა და რეალიზაციის შესაბამისი კანონი და კანონქვემდებარე აქტები. ჩვენ ავიყვანეთ გამოცდილი იურისტი, რომელმაც მოამზადა კანონქვემდებარე აქტების პაკეტი, რომელიც მაშინდელ მინისტრთა საბჭოს სხდომაზე იმ დროს იუსტიციის მინისტრის მოადგილემ ვახტანგ გვარამიამ გაიტანა და პაკეტი მიღებულ იქნა კიდეც. ამჟამად გვარამია საქართველოს პარლამენტის წევრი და პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეა. მე და ხარბედიას ყველა საბუთი, რაც საჭირო იყო იარაღის იმპორტისა და მაღაზიისათვის, მზად გვქონდა და ლიცენზიაც ავიღეთ. ლიცენზიის აღების დროს ვახტანგ გვარამიამ და ვახტანგ ქუთათელაძემ, თითოეულმა ცალცალკე, შემოგვთავაზეს თავიანთი ე.წ. „კრიშობა". წინააღმდეგ შემთხვევაში, როგორც ვახტანგ გვარამიამ გვითხრა, დიდხანს ვერ ვიმუშავებდით და მალე გადაულახავი პრობლემების წინაშე დავდგებოდით. სანაცვლოდ, თითოეულმა იარაღის რეალიზაციისგან მიღებული მოგების 25-25 პროცენტი მოითხოვა. სამაგიეროდ, გვპირდებოდნენ, რომ უბატონოდ ხმას ვერავინ გაგვცემდა — დაზღვეული ვიქნებოდით როგორც ოფიციალური, სახელმწიფო, ასევე არაოფიციალური რეკეტისაგან (ანუ ვერც კრიმინალები შეგვაწუხებდნენ და ვერც სახელმწიფო კონტროლი). იმასაც დაგვპირდნენ, რომ არც ერთ სხვა ფირმასა და ორგანიზაციაზე აღარ გაიცემოდა იარაღის საქართველოში იმპორტის და რეალიზაციის ნებართვალიცენზია; ე. ი. ამ საქმეში ჩვენ ვიქნებოდით აბსოლუტური მონოპოლისტები. ვახტანგ ქუთათელაძემ (რომელიც მაშინ სახელმწიფო დაცვის უფროსი გახლდათ), იარაღის დასაწყობად თავისი დაწესებულების საწყობიც შემოგვთავაზა. სხვა გზა არ გვქონდა და მათ წინადადებას დავთანხმდით. სამწუხაროდ, არც ერთი პირობა გვარამიამ და ქუთათელაძემ არ შეასრულეს, გარდა ერთისა. მათ მხოლოდ ფული მიჰქონდათ. არ იფიქროთ, მხოლოდ 25-25 პროცენტს სჯერდებოდნენ. გვარამიას ნებისმიერ დროს, რამდენიც უნდოდა, იმდენი მიჰქონდა. ფულის გამოძალვის სხვა ხერხებსაც მიმართავდა. მაგალითად, როცა თავდაპირველად ჩეხეთის რესპუბლიკიდან იარაღის დიდი პარტიის შემოსაზიდად ასი ათასი აშშ დოლარი დამჭირდა, გვარამიამ საკუთარი ფული მოიტანა, მაგრამ ეს თანხა ნასესხებად გაასაღა, რომლის პატრონიც ვითომ თვეში 30% სარგებელს ითხოვდა. ამ პროცენტმა დიდი ხნით გაგვწყვიტა წელში და მანამ ვერ ამოვისუნთქეთ, სანამ ვალი არ გავისტუმრეთ. ისეთი შემთხვევაც იყო, როცა ვახტანგ გვარამიამ მაღაზიის სარემონტო ფული მიითვისა და იგი თავისი ბინის რემონტს დაახარჯა. სხვათა შორის, ჩვენი „კრიშებისგან" ხშირად გაისმოდა სატელეფონო ზარებიც — გვიბრძანებდნენ, ამა თუ იმ პატივსაცემი კაცისათვის ძვირფასი იარაღი გვეჩუქებინა.

— **თქვენი საუბრის ტონით ჩანს, რომ თქვენ შორის შავ კატას გაურბენია.**

— არ შემცდარხართ. ვახტანგ ქუთათელაძემ და ვახტანგ გვარამიამ ჩემი პარტნიორის, ევგენი ხარბედიას გადაბირება მოახერხეს და დამიპირისპირეს. ამის შემდეგ ვახტანგ გვარამიამ მაღაზიის სალარო თავის ნათესავს, ზურაბ ხოშტარიას ჩააბარა და ამ სამეულმა სრულიად ჩამომაცილა მაღაზიის ფინანსურ საკითხებს. მხოლოდ ისინი აკონტროლებდნენ სალაროს. ისიც კი არ ვიცოდი, რა შემოსავალი ჰქონდა დღეში მაღაზიას. თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ ზოგიერთ იარაღზე წმინდა მოგება ხუთას დოლარს აღემატებოდა და ცეცხლსასროლი იარაღის საქართველოს სამომხმარებლო ბაზრის თითქმის 80 პროცენტზე მეტს ვფლობდით და ახლაც ვფლობთ, მაშინ იოლი წარმოსადგენია, რამხელა ნავაჭრი თანხა და მოგება რჩებოდა მაღაზიას. ამას იარაღზე სახელმწიფო შეკვეთებიც დაუმატეთ, რომელიც არცთუ იშვიათად გვქონდა. რა თქმა უნდა, სახელმწიფო შეკვეთისგან მიღებული მოგების წილს შემკვეთი სტრუქტურის ხელმძღვანელსაც ვაძლევდით, მაგრამ მოგება ჩვენც გვრჩებოდა. რამდენჯერმე მოვთხოვე ჩემს პარტნიორებს მაღაზიის ფინანსური და საბუღალტრო საბუთების მოწესრიგება და მოგების ყველასთვის თანაბრად განაწილება. მუდამ უარს მეუბნებოდნენ, რადგან მღვრიე წყალში თევზს უფრო იოლად იჭერდნენ. ხშირად ატარებდნენ უკანონო ოპერაციებსაც, მერე მაღაზიაში თვითონვე „მოიწვევდნენ" მაკონტროლებელ სახელმწიფო ორგანიზაციებს. დარღვევების მისაჩქმალავად მათ სოლიდურ თანხებს ვუხდიდით, საიდანაც გვარამია თავის წილს იღებდა.

— **უკანონო ოპერაციები ახსენეთ. გაიხსენეთ თუნდაც ერთი მაგალითი.**

— როცა ვახტანგ ქუთათელაძე უშიშროების სამინისტროდან წავიდა, ბუნებრივია, ახალი ხელმძღვანელობა მოვიდა, რომელმაც ჩვენ მიერ, უფრო სწორად, ჩვენი ხელშეწყობით ჩატარებული ერთი უკანონო ოპერაცია გამოავლინა. კერძოდ, არსებობს სპეციარაღი, რომელიც უშიშროების თანამშრომლებისათვის სპეციალური ოპერაციების ჩასატარებლად, მაგალითად, ადამიანის უხმაუროდ ლიკვიდაციისათვის არის საჭირო. ეს სპეციარაღი სახელმწიფო უშიშროების საკუთრებას წარმოადგენდა. ერთხელ სწორედ ასეთი რვა ერთეული სპეციარაღი მოიტანეს უშიშროებიდან მაღაზიის სახელოსნოში შესაკეთებლად. რა თქმა უნდა, ხარისხიანად შევაკეთეთ და სამინისტროში დავაბრუნეთ. სხვა სპეციარაღი უშიშროებიდან მაღაზიაში არ შემოსულა. ოფიციალურ საბუთებში კი წერია, რომ შპს


ვალერი კონჯარია

**„აუდიტის მოსვლამდე რამდენიმე დღით ადრე ჩემმა მოადგილემ, რომელსაც ვახტანგ გვარამია თავისი წილიდან პროცენტებს დაჰპირდა, ჭიქაში საწამლავი ჩამიყარა. სიკვდილს მხოლოდ ბედნიერი შემთხვევის წყალობით გადავურჩი. ამიტომ დაზღვეული არა ვარ, რომ ჩემი ინტერვიუს შემდეგ დიდხანს მაცოცხლებენ, მაგრამ ასეთ გაძაღლებულ და დამცირებულ სიცოცხლეს, მირჩევნია, ყველაფერი ვთქვა".**

„კავკასიონში" შეტანილ იქნა შესაკეთებლად სამოცი ერთეული სპეცდანიშნულების იარაღი. ვიმეორებ, მაღაზიაში უშიშროებიდან რვა ერთეულის გარდა, სხვა სპეციარაღი არ შემოსულა, მაგრამ მიღება-ჩაბარების აქტში სამოცი ერთეულია დაფიქსირებული. ამაზე ხელი იძულებით(?!) მეც მომაწერინეს. მერე შედგა აქტი, რომ იარაღი შეკეთებას არ ექვემდებარება და საჭირო იყო მისი განადგურება. ერთი სიტყვით, შეიქმნა ყალბი დოკუმენტები, რომელთა მიხედვით იარაღი თითქოს განადგურდა. სინამდვილეში, იგი არ განადგურებულა — გაიყიდა. მერე გავიგე, რომ ჩემს მალულად შეუტანიათ მაღაზიაში. მისი კლიენტი კი დღეს საქართველოში საკმარისზე მეტია, ეს იარაღი კილერებისათვის ზედგამოჭრილია. დანამდვილებით ვერ გეტყვით, ვინ იყიდა. მაგრამ უშიშროებას, კერძოდ, იმას, ვინც ყალბი საბუთები შეადგინა იარაღის განადგურებაზე, რამდენიმე იაღლიში მოუვიდა. როგორ შეიძლება ხმარებიდან ამოღებული, შედარებით ძველი სამოცი იარაღიდან ერთი მაინც არ შეკეთდეს?! ასეთი რამ არ ხდება, ბოლოს და ბოლოს ყველას ერთი და იგივე ნაწილი ხომ არ ექნებოდა გაფუჭებული. სამოციდან მესამედი მაინც შეკეთდებოდა დანარჩენი იარაღის ნაწილებით. და თუ ეს არ მოხდა, შეუკეთებელი იარაღი უკან, უშიშროების სამინისტროში უნდა დაბრუნებულიყო და უშიშროებასვე უნდა გაენადგურებინა. ჩვენი მაღაზია როგორ გაანადგურებდა? ჩვენ არც ღუმელი გვაქვს და არც იარაღის გასანადგურებელი მოწყობილობა. საინტერესოა, რატომ არ დაბრუნდა სპეციარაღი სამინისტროში და იქიდან რატომ არ წაიღეს გასანადგურებლად? კანონი ხომ ამას მოითხოვდა. ჩვენ იმიტომ ჩაგვრთეს ამ საქმეში, რომ ყალბი აქტი დაეწერათ და იარაღი ისევ ჩვენი მეშვეობით გაეყიდათ. უშიშროების სამინისტროს ახალმა ხელმძღვანელობამ სწორედ ამ საეჭვო გარემოებების გამო დამკითხა, რომლის დროსაც ყველაფერი დავაფიქსირე.

— **რასაც თქვენ ამბობთ თუ სიმართლეა და არა იარაღის ბიზნესიდან გაგდებული განაწყენებული კაცის ცილისწამება, რატომ არ მიმართავთ შესაბამის ორგანოებს?**

— დარწმუნებული არ ვარ მათ კეთილსინდისიერებაში. ისე, მივმართე კიდეც და მერე რა გამოვიდა? არაფერი!.. როცა მე დაჟინებით ვითხოვდი ფინანსური წესრიგის დამყარებას მაღაზიაში, ჩემთან დაპირისპირებულმა მხარემ თავისი აუდიტი მოიყვანა. ვახტანგ გვარამიამ ქუთათელაძესთან შეთანხმებით მოწვეულ აუდიტს შავი სამყაროს წარმომადგენლები მოაყოლა და მათ ასეთი დავალება მისცა: ყველა ხერხი ეხმარათ, რათა ფირმიდან წავსულიყავი. ერთი სიტყვით, მოჰყვნენ აუდიტს „შავები" და მითხრეს — „ამან უნდა დათვალოს და გაიგოს რა ხდება აქ, ჩვენ კი აუდიტის გვერდით უნდა ვიყოთო". იმ დღიდან დაიწყო ჩემი ტერორი. ჯერ იყო და, შუა ქალაქში ჩემი „ლენდ როვერით" მიმავალი გამაჩერეს „შავებმა" (მანქანა ფირმის სახელზე მქონდა გაფორმებული) და მანქანა წამართვეს. აღმაშენებლის პროსპექტზე, ჩემს სახელზე 400 კვ. მ კაპიტალური შენობის ფართი მქონდა გაფორმებული. პანკისის ხეობაში გატაცებისა და მოკვლის მუქარით მაიძულეს აღნიშნული ფართი ფირმაზე გადამეფორმებინა. ამასობაში, აუდიტმა მუშაობა დაამთავრა, რის შემდეგაც „შავებმა" შინ მომაკითხეს და მილიონ 850 ათასი დოლარი მომთხოვეს. ეს ფული შენ წაიღე მაღაზიიდან და უკან დააბრუნეო. საქმე გავარჩიეთ, რასაც „შავებთან" ერთად დაპირისპირებული მხარეც ესწრებოდა. დავუმტკიცე, რომ სალარო მე არ მებარა და ამხელა თანხის წაღებას ვერ შევძლებდი. სხვათა შორის, მოპირდაპირე მხარის წარმომადგენელმა ზურაბ ხოშტარიამ, რომელსაც სალარო ებარა, ჩემი ნათქვამი დაადასტურა. რა უნდა ექნათ, სანამ მე მოვითხოვდი ამ თანხის დაბრუნებას მათგან, ვინც მართლა წაიღო, „შავები" წავიდნენ — რაღაც გვაქვს გადასამოწმებელი და მოვალთო. აი, ასე აირიდეს უხერხული კითხვა, — ვის ჰქონდა წაღებული ფული და ვის უნდა დაებრუნებინა იგი მაღაზიაში?!

— **არ გეშინიათ, რომ ყოველივე ამის გამოქვეყნების შემდეგ თქვენს სიცოცხლეს დიდი საფრთხე დაემუქრება?**

— ვხვდები, რასაც გულისხმობთ. ჩემი ლიკვიდაცია ერთხელ უკვე სცადეს. აუდიტის მოსვლამდე რამდენიმე დღით ადრე ჩემმა მოადგილემ, რომელსაც ვახტანგ გვარამია თავისი წილიდან პროცენტებს დაჰპირდა, ჭიქაში საწამლავი ჩამიყარა. სიკვდილს მხოლოდ ბედნიერი შემთხვევის წყალობით გადავურჩი. ამიტომ დაზღვეული არა ვარ, რომ ჩემი ინტერვიუს შემდეგ დიდხანს მაცოცხლებენ, მაგრამ ასეთ გაძაღლებულ და დამცირებულ სიცოცხლეს, მირჩევნია, ყველაფერი ვთქვა.

— **თქვენ ამტკიცებთ, რომ შპს „კავკასიონის" საბუთებში მოწილეებად მოხსენიებულნი არიან ვახტანგ გვარამია და ვახტანგ ქუთათელაძე, რომლებმაც ფირმის გენერალური დირექტორის პოსტი ჩამოგართვეს?**

— ოფიციალურ საბუთებში ფირმის დამფუძნებლებს შორის ვახტანგ გვარამია არ ფიგურირებს. ჯერ იყო და, თავისი წილი მეუღლეს გადაუფორმა, ახლა კი მოწილედ თავისი ვაჟი ჰყავს გაფორმებული. რაც შეეხება ვახტანგ ქუთათელაძეს, მან თავისი წილი თავდაპირველად ჩემზე გააფორმა, განხეთქილების შემდეგ კი თავისი კაცი მოიყვანა და მას გადაუფორმა. როდესაც ჩემი თავიდან მოშორება გადაწყვიტეს, ორივე ვახტანგმა ევგენი ხარბედიასთან ერთად ფირმის დამფუძნებლებიდან და მოწილეებიდან ჩემი გვარი სასამართლოს გადაწყვეტილებით ამოიღეს, ისე, რომ ჩემთვის არავის არაფერი უკითხავს, მათ შორის, სასამართლოსაც. ეს რომ ასეა, ამას სასამართლო გადაწყვეტილების საბუთებში ჩემი ხელმოწერის არარსებობაც ადასტურებს. ერთი სიტყვით, ამ ხალხმა რომ დაინახა, რა მომგებიანი იყო იარაღის ბიზნესი, იქიდან ჩემი გაგდება გადაწყვიტა. რატომ უნდა გაეყოთ ვინმესთვის ფული? როცა ყველაფერი ავაწყვე, აღარავის ვჭირდებოდი. მაღაზიიდან რაც მეკუთვნოდა, ყველაფერს ისევ საქმეში ვაბანდებდი. სწორედ ამ ფულით ავაწყვე თბილისში ქართული პისტოლეტების, ავტომატური იარაღის და ჯავშანჟილეტების და ჩაფხუტების წარმოება. ჩემი ფირმიდან გამოგდების შემდეგ წარმოება მოიშალა, არადა, ეს ძალიან სჭირდებოდა ქართულ არმიას და ფირმისთვისაც მომგებიანი იქნებოდა. დღეს გვარამია და ხარბედია ლაფში სვრიან ჩემს სახელს. რას არ მაბრალებენ, დაწყებული ლოთობით და დამთავრებული ქურდობით.

*(გაგრძელება იხ. გვ. 11)*

# სად გაქრა უშიშროების სამინისტროს კუთვნილი საეციარაღი?!

*(დასაწყისი იხ. გვ. 6)*

თბილისში ფირმის დაარსებამდე ორი სახლი მქონდა და მაქვს. ამბობენ, რომ ვითომ ორივე ფირმის ფულით ვიყიდე. ერთადერთი, რაც იმ პერიოდში შევიძინე, აგარაკია საგარეჯოს რაიონის ერთ-ერთ სოფელში... ახლა გადავწყვიტე სხვა ფირმა შევქმნა. ამის უფლებასაც არ მაძლევენ.

**— სხვა უკანონო ოპერაციებიც ხომ არ ყოფილა იარაღთან დაკავშირებით?**

— გენდობით, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ყველა საიდუმლო გაგიმხილოთ. ყველა უკანონო ოპერაციის წინააღმდეგი რომ ვიყავი, ალბათ ესეც იყო კიდევ ერთი მიზეზი იმისა, რომ ფირმიდან გამომაგდეს. ახლა მაღაზიასთან ახლოსაც არ მიშვებენ. როგორც კი დამინახავენ, მაშინვე „შავები“ დამადგებიან თავზე.

და კიდევ: ჩვენს მაღაზიაში არსებობდა ე. წ. შავი ბუღალტერიაც, რომელიც გადასახადებისა და უკანონო ოპერაციებისგან მიღებული შემოსავლების დაბეგვრის თავიდან ასაცილებლად იყო აუცილებელი. მიუხედავად იმისა, რომ მაღაზიის საქმეებს თითქმის ჩამოცილებული ვიყავი, შევძელი ამ შავი რვეულისა და ზოგიერთი დოკუმენტის ხელში ჩაგდება, რითაც ბევრი უკანონო ოპერაცია დასტურდება. ტყუილად ნუ მთხოვთ ამ რვეულს, — იგია ჩემი ერთადერთი დამცავი საშუალება, რომ არ გამასაღონ. თუ მომკლავენ, ეს რვეული და შესაბამისი საბუთები (რომლებიც რამდენიმე ეგზემპლარად მაქვს გამრავლებული და სხვადასხვა ადგილზე შენახული), მაშინვე გამოქვეყნდება...

კიდევ დიდხანს ვესაუბრეთ ვალერი კონჯარიას, რამდენჯერმე შევხვდი კიდეც. უეჭველია, მას ბევრის თქმა შეუძლია და ის, რაც გვიამბო, ალბათ, წვეთია იმ ზღვა დარღვევებში, რომლებიც იარაღის ლეგალურ თუ არალეგალურ ბიზნესში არსებობს.

ჩვენ ბატონ **ვახტანგ გვარამიას** პარლამენტში, თავის კაბინეტში ვესტუმრეთ და რამდენიმე კითხვით მივმართეთ:

**— იარაღის ბიზნესის გამო შეგაწუხეთ...**

— მერე მე რა შუაში ვარ?

**— თქვენ არავითარი კავშირი არ გაქვთ იარაღის ბიზნესთან?**

— არა, არავითარი. რომც მქონოდა, რა დაშავდებოდა?

**— არც თქვენი ოჯახის წევრებს?**

— თქვენ რა გაინტერესებთ?

**— შპს „კავკასიონი“ თუ გაგიგიათ? როგორც შევიტყვეთ, იქ თქვენი შვილი გაგიფორმებიათ მოწილედ...**

— შეიძლება. მერე რა არის ამაში ცუდი? ვთქვათ, არის ჩემი შვილი ან მე ვარ იარაღის ბიზნესში. ეს კანონდარღვევა არ გახლავთ. პარლამენტის დეპუტატს უფლება არ აქვს იყოს საწარმოს დამფუძნებელი და სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, თორემ რომელიმე საწარმოში ან სააქციო საზოგადოებაში წილიც რომ ჰქონდეს და აქციებიც, შეიძლება. ვიცი, ვისაც შეხვდებოდით, — ვალერი კონჯარიას საქმე იქნება ეს.

ახლა მაგ საქმიდან ძალიან შორს ვარ და თუ სიმართლე გინდათ, არც ჩემი შვილი იღებს მაღაზიის მართვაში აქტიურ მონაწილეობას. ალბათ ჩემთან კონჯარიამ მოგაგზავნათ. ერთი სიტყვაც არ დაუჯეროთ — გათახსირებული და ზნედაცემული კაცია. მეტიც, კონჯარია „პრესტუპნიკი“ და შეთავსებით „პადლეცია“, ხვალ ან ზეგ დაიჭერენ და მაგასთან საერთო არაფერი მაქვს. როცა მაგ არაკაცმა მაღაზია გახსნა, დამფუძნებლებში ჩემს უკითხავად ჩემი გვარიც ჩაწერა. იქიდან წილი როგორც შენ, ისე მე არ მიმიღია. არ გაერიო მაგ ბინძურ საქმეში, კაცურად გირჩევ. მე რომ არ ვიყო, ვალერი კონჯარია დიდი ხანია ციხეში იქნებოდა, იმდენი დანაშაული აქვს ჩადენილი მაღაზიაში. ყველაფერი რომ ვთქვა, მაგ უბედურს დახვრეტენ, მაგრამ რა ვქნა, ცხონებული მამამისი ჩემი მეგობარი იყო.

**— მაინც რა დანაშაულზე ლაპარაკობთ, იქნებ დაგვიკონკრეტოთ?**

— იპარავდა და იპარავდა მაღაზიიდან ფულს. მერე ჩვენს უკითხავად, ფირმის სახელით, ბანკებიდან კრედიტები აიღო. ერთ მშვენიერ დღეს ყველაფერი გაირკვა. ახლა, თუ არ ვცდები, მაღაზიას ვალად 400 ათასი დოლარი დარჩა. ჩვენი ფულით, ანუ მაღაზიის ფულით სახლები და აგარაკები იყიდა.

**— ის კი ამბობს, რომ ქონებისა და ფულის წასართმევად, მას თქვენ ქურდები მიუგზავნეთ.**

— მე რომ მისთვის ქურდები მიმეგზავნა, ვალერი კონჯარიას დღეს ვერავინ იპოვიდა. ცილისწამება მისთვის იოლი საქმეა. ასე მოექცა თავდაცვის მინისტრის ყოფილ მოადგილეს, კეკელიძესა და ფინანსთა ყოფილ მინისტრს, ცხონებულ დემურ დვალიშვილს. გირჩევ, ეგ ცილისმწამებელი ახლოს არ გაიკარო, თორემ შენც რაღაცას დაგწამებს...

ვახტანგ გვარამია კაბინეტში საკმაოდ აღელვებული დავტოვეთ, მაგრამ სანამ ოთახიდან გამოვიდოდით, გვთხოვა: „აუცილებლად შეხვდით და გაესაუბრეთ „კავკასიონის“ პრეზიდენტს ევგენი ხარბედიას და დასკვნები შემდეგ თვითონ გააკეთეთ. ხარბედია ახლა საზღვარგარეთაა, რამდენიმე დღეში ჩამოვა და მასთან შეგახვედრებთ“.

რამდენიმე დღე მალე გავიდა. ვახტანგ გვარამიამ დანაპირები შეასრულა და შპს „კავკასიონის“ პრეზიდენტს ჟურნალისტთან გასაუბრება სთხოვა.

**ევგენი ხარბედია:** — არ დაიჯეროთ, რასაც ვალერი კონჯარია ამბობს. იგი ჩემამდე ერთი რიგითი ექიმი-პროქტოლოგი იყო და ადამიანის იმ ორგანოს მეტი არაფერი იცოდა. მერე როგორც თანაქალაქელმა (ორივე ფოთიდან ვართ) ამ საქმეში მოვიყვანე და ფირმის გენერალურ დირექტორად დავნიშნე. ამ ბიზნესით ჯერ კიდევ მაშინ ვიყავი დაკავებული, როცა აფხაზეთში საომარი მოქმედებები მიმდინარეობდა. საქართველოს არმიისთვის საზღვარგარეთიდან, კერძოდ კი ჩეხეთის რესპუბლიკიდან ცეცხლსასროლი იარაღი ჩამომქონდა. ასე რომ, ფირმაც და მაღაზიაც ჩემი დაარსებულია. რაც შეეხება ვალერი კონჯარიას, მისი ფირმაში მოყვანით დიდი შეცდომა დავუშვი. მუშაობის დროს გაირკვა, რომ იგი პირწავარდნილი ლოთი და, ამასთანავე, ქურდია. ცუდის გარდა, მას ფირმისთვის არაფერი გაუკეთებია. ამის დასტურად ერთ ფაქტს მოგახსენებთ: თურქეთის ჟანდარმერიისგან მათი არმიისთვის ჯავშანჟილეტების ძალიან დიდი შეკვეთა გვქონდა. ეს შპს „კავკასიონს“ მრავალმილიონიან მოგებას უქადდა. იმ პერიოდში ძალზე დაკავებული ვიყავი და საბოლოო შესათანხმებლად და ხელმოსაწერად კონჯარია გავუშვი. თან გავაფრთხილე, წესიერად მოქცეულიყო, არაყში არ ჩამხრჩვალიყო და ყველა პირობა აეწონ-დაეწონა. იმდენი ქნა, რომ არყის სმის მეტი არაფერი გაუკეთებია და ხელშეკრულებაც ჩაშალა. გარდა ამისა, მაღაზიის დიდი ვალი დაედო, რაც ჩვენ მიერ მოწვეულმა აუდიტმაც დაადასტურა. იგი მაღაზიის ნავაჭრი თანხიდან უძრავ ქონებას ყიდულობდა და თავისი ნათესავების სახელზე აფორმებდა. ასე რომ, თუ ვინმეს პრეტენზიები აქვს, უპირველესად მე მაქვს კონჯარიას მიმართ და არა პირიქით.

**— უშიშროების კუთვნილი სპეციარაღის განადგურებაზე თუ გაყიდვაზე რას იტყვით?**

— არავითარი სპეციარაღი მაღაზიიდან არ გაყიდულა. ის მას შემდეგ განადგურდა, რაც შეკეთებას აღარ დაექვემდებარა, თუმცა განადგურებული იარაღისთვის კლასიფიკაციის მინიჭებისას შეცდომები იქნა დაშვებული. ზედმეტი ლაპარაკი არ მინდა. კონჯარიასავით ვერ მოვიქცევი. ვინ ყიდიდა უკანონოდ იარაღს, საკუთარ თავს ჰკითხოს. კაცს არ ვენდობოდი და თქვენ როგორ ფიქრობთ, სპეციარაღთან მივუშვებდი? სხვათა შორის, ვალერი კონჯარიას ერთი დოკუმენტი აღმოვუჩინე, რომლითაც იგი ფირმიდან ჩემს გაგდებას გეგმავდა. როცა პასუხი მოვთხოვე, ვერაფერი მითხრა და საუბარი სხვა საკითხზე გადამიტანა. არც ბატონი ვახტანგ ქუთათელაძეა ჩვენთან რაიმეთი დაკავშირებული — ეს კონჯარიას ფანტაზიის ნაყოფია.

P. S. მოგეხსენებათ, ჟურნალისტი არც გამომძიებელია და არც პროკურორი, მან მხოლოდ დაპირისპირებულ მხარეებს აზრის გამოთქმის საშუალება მისცა. თუმცა ერთი რამ ნათელია: ან ერთი მხარე ტყუის, ან მეორე. ასეა თუ ისე, ყოველივე ეს სამართალდამცავი ორგანოების საქმეა. მაგრამ კითხვა კითხვად რჩება *(რომელსაც პასუხი სჭირდება — ზ. ჩ.)*, სად წავიდა უშიშროების კუთვნილი სამოცი ერთეული სპეციარაღი?!

P.P.S. ჩვენ შევეცდებით მივყვეთ მოვლენების განვითარებას და ახალი ფაქტები შევთავაზოთ მკითხველს.

***ზვიად ჩაკვეტაძე***










# „მრცხვენია, რომ ასეთი უსუსურები ვართ...“

## უხერხული მომენტები ნინო ბურჯანაძის ცხოვრებაში...

*ქართული პოლიტიკური სპექტრი „იმპიჩმენტობანამ“ მოიცვა. ოპოზიცია პოლიტიკური რევანშისთვის ემზადება და ხელისუფლებასთან ულტიმატუმის ენაზე იწყებს საუბარს. ითქვა, ოპოზიციის მოთხოვნა (თანამდებობაზე დასანიშნთა სია) სახელმწიფო მინისტრს მაგიდაზე უდევს და მისი დაკმაყოფილება გადაწყვეტს ჯორბენაძის ბედსო... ბოლოდროინდელ პოლიტიკურ მოვლენებზე კომენტარი პარლამენტის თავმჯდომარეს ქალბატონ ნინო ბურჯანაძეს ვთხოვეთ:*

**— ქალბატონო ნინო, მოსკოვის ტერაქტთან დაკავშირებით საქართველოს მეორე პირის ოჯახის დადანაშაულება მოხდა (რაზეც „კვირის პალიტრის“ წინა ნომერში ანზორ ბურჯანაძის კომენტარი შემოგთავაზეთ — ი.რ.). ფიქრობთ, რომ ეს გამიზნულად გაკეთდა?**

— ეს იყო აბსოლუტურად გამიზნული... არ მინდა კონკრეტულ ადრესატებზე მივუთითო, რადგან ჯერ არ მაქვს სათანადო არგუმენტები... რუსეთს განზრახული ჰქონდა საქართველოსთვის ტერორისტების მფარველობა დაებრალებინა და ეთქვა — ამ საქმეში პარლამენტის თავმჯდომარის მამაც კი მონაწილეობსო. იმ პირებს კი, რომლებიც საქართველოში არიან (შესაძლოა მის ფარგლებს გარეთაც), ჩემი დისკრედიტაცია ჰქონდათ დაგეგმილი.

ჩემს პოზიციას ზედმეტი მოკრძალების გარეშე ვაფიქსირებ რუსეთ-საქართველოს პრობლემურ საკითხებზე. ეტყობა, ვიღაცას რუსეთში ეს ძალიან არ მოსწონდა. ამიტომაც მიმართეს ამ ხერხს — თუ ტერორისტებს მფარველობ და რეპუტაცია შებღალული გაქვს, არც კატეგორიული ლაპარაკის უფლება არ უნდა მისცე თავს. ჩემი პოზიცია ეტყობა საქართველოშიც აწუხებდა ვიღაცას და რუსეთშიც.

მამამ გენერალური პროკურორისა და უშიშროების მინისტრის სახელზე განცხადებები შეიტანა. იგი ითხოვს, გაირკვეს, საიდან იღებს სათავეს ეს დეზინფორმაცია. აქვს თუ არა კავშირი მას ჩეჩენ ტერორისტებთან, დაბოლოს, ვინ იყო დაინტერესებული ამ დეზინფორმაციის გავრცელებით. მინდა (განცხადებაც გავაკეთე ამის თაობაზე) ამ გამოძიებაში რუსეთის სპეცსამსახურები და გენერალური პროკურატურა ჩართონ. შესაძლოა მერე იმის თქმისაც არ შერცხვეთ — გენერალური პროკურორის პირველი მოადგილის სიმამრზე და პარლამენტის თავმჯდომარის მამაზე საქართველოს პროკურატურამ არაობიექტური გამოძიება ჩაატარაო. საერთაშორისო ექსპერტებიც ჩართონ და გაარკვიონ, კავშირი თუ აქვს ჩემს ოჯახს ტერორისტებთან. ძალზე მეუხერხულება ამ თემაზე ლაპარაკი, მაგრამ რაკი არსებობენ პირები, რომელთაც არაფრის რცხვენიათ, სხვა რაღა დამრჩენია.



**— „ბოროტი ენები“ ამბობენ, რომ ეს ინფორმაცია მოსკოვში ვახტანგ რჩეულიშვილმა ჩაიტანა...**

— არ მინდა ბატონ ვახტანგს ბრალი დავდო, ჯერ კარგად არ ვარ გარკვეული დეტალებში...

**— ბოლო დროს ქართულ პოლიტიკაში ყველაზე პოპულარული იმპიჩმენტის თემა გახდა — საიმპიჩმენტო კანდიდატთა სიას (პრეზიდენტი, სახელმწიფო მინისტრი) რამდენიმე დღის წინ ასლან აბაშიძეც მიემატა.**

— რამდენიმე კვირის წინ ბურჯანაძის იმპიჩმენტზეც იყო საუბარი. ამის ინიციატორი ბატონი ვახტანგ რჩეულიშვილი გახლდათ...

როცა ქვეყანაში ამდენს ლაპარაკობენ იმპიჩმენტზე, ბუნებრივია, ეს კარგი ნიშანი არ არის. არ მინდა ამ დებატებში ჩავერთო, მაგრამ როგორც იურისტი გეტყვით, — იმპიჩმენტი არის სამართლებრივი პროცედურა და იმპიჩმენტზე ლაპარაკი სჯობს ხალხის ქუჩაში გამოყვანას.

**— პოლიტიკური ექსპერტები სახელმწიფო მინისტრის იმპიჩმენტს სავსებით შესაძლებლად მიიჩნევენ.**

— არ მგონია, 9 თვის შედეგების გამო ჯორბენაძეს იმპიჩმენტი მოუწყონ. კიდევ სამი თვეა წლის ბოლომდე. მინდა ბიუჯეტი შესრულდეს და ნაკლები პრეტენზიები მქონდეს სახელმწიფო მინისტრსა და სხვა თანამდებობის პირებთან, მაგრამ სერიოზული შეშფოთების საფუძველი რომ არსებობს, ესეც ცხადია. ზოგიერთებს სურთ ბიუჯეტის გამო ჩემი შენიშვნები ჩემს და სახელმწიფო მინისტრს შორის დაპირისპირებად მონათლონ, მაგრამ ხომ კარგად გვახსოვს, რას გვეუბნებოდნენ აპრილში, როცა სახელმწიფო მინისტრი შეგვპირდა, 4 თვეში ბიუჯეტს გავზრდიო, დავიჯერე და ჩემი შენიშვნები აღარ გამიხმაურებია. შედეგად ის მივიღეთ, რომ გაზრდის ნაცვლად, ბიუჯეტი ვერ შესრულდა. ვინმეს კრიტიკა ჩემი თვითმიზანი არ არის, მაგრამ ამ საკითხის გამო, პასუხს მოვითხოვ. 1997 წლის შემდეგ ბიუჯეტი არ შესრულებულა, უკვე ამოიწურა ხალხის შესაძლებლობები... მრცხვენია, რომ ასეთი უსუსურები ვართ...

რეგიონები ავიღოთ, აღარ შეიძლება თბილისსა და ბათუმს შორის ასეთი ურთიერთობა გაგრძელდეს. ვფიქრობ, ამ დაპირისპირებაში წვლილი ორივე მხარეს მიუძღვის, მაგრამ ურთიერთბრალდებებს სჯობს ამ რთული ვითარებიდან გამოსვლაზე ვიფიქროთ. 10 დღის წინ პრეზიდენტს შევთავაზე, შეგვექმნა სახელმწიფო კომისია, რომელიც გაარკვევდა ამ დაპირისპირების მიზეზს. ასეთ დაძაბულ ვითარებაში ცენტრისა და რეგიონის დაპირისპირება სახელმწიფო ინტერესებს არ შეესაბამება და ეს ყველამ კარგად უნდა გაიგოს.

**— ბოლო დროს ორმა ფრაქციამ — „აღორძინებამ“ და „აფხაზეთმაც“ ხმაურიანი საპარლამენტო ბატალიები მოაწყვეს, რაც ურთიერთბრალდებებში გადაიზარდა.**

— ეს ძალზე შემაშფოთებელი ფაქტია და ხელისუფლებამ რადიკალური ნაბიჯები უნდა გადადგას ამის აღმოსაფხვრელად. აჭარის და აფხაზეთის წარმომადგენლებს უნდა ეყოთ გონიერება, რათა ეს პროცესი რეგიონებს შორის დაპირისპირებაში არ გადაზარდონ. ამ დაპირისპირებაში არის საკითხები, რაზეც სპეცსამსახურებმა და გენერალურმა პროკურატურამ სერიოზული რეაგირება უნდა მოახდინონ. ურთიერთბრალდებები აუცილებლად უნდა გადამოწმდეს.

**— თქვენ თუ გააკეთეთ რაიმე ამ ორი ფრაქციის შესარიგებლად, მათი დაპირისპირება ხომ თქვენ თვალწინ მოხდა?**

— თქვენმა კითხვამ მაფიქრებინა, რომ უფრო მეტი უნდა გავაკეთო ამ საკითხის მოსაგვარებლად. ორივე მხარეს ვესაუბრე, მაგრამ ამ დაპირისპირების მიღმა სერიოზული პრობლემები დგას.

P.S. მოსკოვში ჩეჩნების მიერ მოწყობილ ტერაქტთან დაკავშირებით მისი ოჯახის მოხსენიებამ პარლამენტის თავმჯდომარე უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენა — მას და მის ოჯახს მთელი ქვეყნის წინაშე მოუხდა თავის მართლება.

მეორე უხერხულობა ქალბატონ ნინოს, ალბათ, უახლოეს დღეებშიც ელის: პარლამენტის გადაწყვეტილებების უგულებელყოფის გამო, დეპუტატები პრეზიდენტის იმპიჩმენტს ითხოვენ. პარლამენტის თავმჯდომარეს ამ შემთხვევაში ნამდვილად მოუწევს თავისი პოზიციის დაფიქსირება...

მართლაც საინტერესოა, შეუერთდება თუ არა ნინო ბურჯანაძე პრეზიდენტის იმპიჩმენტის მოთხოვნას?! ვფიქრობთ, ინტერვიუში ამ კითხვის დაუსმელობით კიდევ ერთი უხერხულობა ავარიდეთ სპიკერ ქალბატონს.

***იზო რიკაძე***

# 1-ელ ნოემბერს დამთხვეული ორი აქცია





1-ელ ნოებერს სააკაშვილი თბილისისთვის დებდა თავს, ჟვანია კი საქართველოსთვის. უფრო კონკრეტულად: პარასკევს, სამ საათზე დანიშნულ ცესკოს სხდომაზე კომისიის 17 წევრს თბილისის საკრებულოს სიები ხელმეორედ უნდა დაემტკიცებინა. ამისათვის 9 ხმაც საკმარისი იყო. პარასკევს, დილით უკვე ცნობილი გახდა, რომ სიების დამტკიცებას ხმას მინიმუმ 10 კაცი მისცემდა. თუმცა, ეტყობა, სააკაშვილმა ეს არ დაიჯერა და „ჯანსაღი საზოგადოებრივი აქტივობა“ გამოიჩინა. მისი რაზმის აქტივისტებმა კი თავი გამოიდეს და ცესკოში შესაღწევად იარაღიც გამოიყენეს. სააკაშვილის შეიარაღებული გულშემატკივარი ვინმე მეტრეველი აღმოჩნდა და მას იქ, სადაც ჯერ არს, დაკითხვაზე ელოდებიან. როგორ დაიცავს იუსტიციის ექსმინისტრი სამართალდამცავებისგან ვიდეოფირებზე დაფიქსირებულ იარაღიან თანამებრძოლს, ჯერ უცნობია. ის კი ცხადია, რომ სააკაშვილი შეტევაზე გადავიდა. მან აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლების დაცვის სამსახურს ქალაქის ცენტრში თავმოყრილი შეიარაღებული ბანდიტები უწოდა, თანაც, მნიშვნელოვანი ახალი ამბავიც შეიტყო: „ახლა მივხვდი, თუ რატომ დავკარგეთ აფხაზეთი“ — მიხეილ სააკაშვილი. ბევრს გაუჩნდა კითხვა, ვის ან რისთვის სჭირდებოდა ეს დავიდარაბა, მაშინ, როდესაც საღამოს საკრებულოს სიები „გეგმის გადაჭარბებით“ (12 ხმა) დამტკიცდა?

კულუარული ეჭვების ობიექტი კვლავ ხმაურიანი სააკაშვილი და მისი ოკეანისგაღმა, იმიჯკურსებზე მიღებული განათლებაა. თუმცა სააკაშვილს ამჯერად, ეტყობა პოლიტიკური კომპასი აერია და ვერ საზღვრავს, ქალაქის ცენტრში იარაღის დემონსტრირება და საშიში ვითარების შექმნა აღმოსავლური ორიენტაციის ქმედებაა თუ დასავლური, ანუ ცივილიზებული. რაც შეეხება თბილისის საკრებულოს, ცესკომ ხელები დაიბანა. სიები დაამტკიცა და ორშაბათს, დილის 9 საათზე საკრებულოს თათბირიც კი დანიშნა. აქ კი ჯუმბერ ლომინაძეს ცოტა მეტი მოუვიდა და ცესკოს უფლებებს გადააჭარბა, რაზეც მოგვიანებით მოიბოდიშა: — ისეთი ამბავი ტრიალებდა, მეტიც მეპატიებაო. ბევრის გასაოცრად, თბილისის საკრებულოს ბედი ცესკომ კბილებით დაიცვა. განკარგულებაში ცალკე პუნქტის შეტანით შეეცადა კიდეც გასაჩივრების შემთხვევაში საკრებულო არ დაშლილიყო. ამას დიდი დავა მოჰყვა და ბოლოს განკარგულებაში გასაჩივრების სამდღიანი ვადა დადგინდა. ორშაბათს, დილის 9 საათამდე სასამართლოში ჩივილს ვერავინ მოასწრებს. არადა, გასაჩივრების შესახებ განაცხადი უკვე გააკეთა „სახალხო პარტიამ“ და „სოციალისტებმა“. გამოდის, რომ სასამართლოს ამ შემთხვევაში უკვე შეკრებილი საკრებულოს ფუნქციის შეჩერება მოუწევს.

მანამდე კი პროდასავლელი აქტიური ქართველი პოლიტიკოსები ერთმანეთს პოლიტიკურ „სვლებში“ ეჯიბრებიან. ზურაბ ჟვანია სააკაშვილს მთავარ ამბიციაში ასწრებს და 1-ელ ნოემბერს თავს საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატად წარმოადგენს. თარიღი სიმბოლურია, შეგახსენებთ, რომ იგი პარლამენტის სპიკერის პოსტიდან 2001 წლის 1-ელ ნოემბერს გადადგა. „ჩვენ მზად ვართ, მოვიგოთ საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნები...“ აცხადებს ჟვანია და გულისამაჩუყებლად გვიყვება, თუ როგორ ჩაგრავდა მას პრეზიდენტი შევარდნაძე. „ჩვენ ჯერ კიდევ წელიწად-ნახევრის წინ განვაცხადეთ, რომ მზად ვართ პასუხისმგებლობა ავიღოთ შექმნილ პრობლემებზე, მაგრამ პრეზიდენტმა არ დაგვანება...“ აი, თურმე, რატომ არ აუსრულდა ქართველ ხალხს ის ოცნებები, რომელთა ასრულებასაც დარბაზში მსხდომთ ჟვანია აუცილებლად დაჰპირდა (ერთი შეხედვით წარმოუდგენელია, მაგრამ ნამდვილად დაჰპირდა — რ.ხ.).

ამ გრანდიოზული (ანუ სავსედარბაზიან) შეხვედრაზე, ზურაბ ჟვანია მოსულთ ხშირად ახსენებდა, რომ ის „მზად არის“, მაგრამ არ დაუკონკრეტებია, თუ ვინ მოამზადა ამ „რთული ბრძოლისთვის“.

ჯერ კიდევ მოქკავშირელობის დროს, ჟვანიამ სამეგრელოში მოგვარეები მოიძია და აბაშაში, რომელიღაც წინაპრის ეზოში თოხიც კი დაჰკრა. მაშინ ვიღაც გლეხმა თქვა, ახლა კი ვიცი, ამას რა უნდაო... მეგრელობით უნდა თავი მოგვაწონოს და მერე პრეზიდენტი გავხადოთ, ჩვენ ხომ პროცენტულად ბევრი ვართო. გლეხს სიტყვა ბანზე აუგდეს, რას მიედ-მოედები... მაგაზე საერთოდ როგორ იფიქრებს, ან ეგ რა მეგრელიაო. თუმცა, მას შემდეგ ჟვანიას სამეგრელოში ყოველ ჩასვლაზე მეტი მომხრე უჩნდება და ადრინდებულად მწარედ არც სხვები იგინებიან. მასწავლებლის ხელი მას აქაც კარგად ეტყობა. საინტერესოა, შევარდნაძემ მას ხეზე ასვლა თუ ასწავლა? აჩქარებაზე ეტყობა, რომ არა.

მართალია, ზურაბ ჟვანიამ სააკაშვილს დაასწრო, მაგრამ დაასწრო შევარდნაძესაც (რა ვიცით, იქნებ კიდევ უნდა...)?! თანაც 2 წლით ადრე. რეაქციამაც არ დააყოვნა. განცხადებიდან მეორე დღესვე ზურაბ ჟვანიას გადაწყვეტილება მიხეილ სააკაშვილმა, შალვა ნათელაშვილმა და მოქალაქეთა კავშირმა მკაცრად გააკრიტიკეს.

მიხეილ სააკაშვილი კი ჯერ დასავლურ განათლებას ძველ გამოცდილებებთან აჯერებს. ახალ კომპლიმენტებს იფერებს და კმაყოფილი აღნიშნავს, მიხარია, ზვიად გამსახურდიას რომ მამსგავსებენ, ის ხომ ძალიან დიდი ფიგურაა საქართველოსთვის, მაგრამ მე მიხეილ სააკაშვილი ვარო. სხვათა შორის, ზვიად გამსახურდიასთან მის მსგავსებაზე „იმელ“-ის შენობის შტურმის შემდეგაც ალაპარაკდნენ. თურმე იქაც ძალიან აქტიურობდნენ ქალბატონები, ოღონდ, ამჟამად „ვაკის გონივრული განვითარების“ ორგანიზაციიდან.

1-ელ ნოემბერს დამთხვეული ორი აქციიდან ჩანს, რომ საპრეზიდენტო არჩევნებამდე ნამდვილად არ მოგვაწყენენ. საკუთარ ამბიციებს აშკარად და ფარულად ჯერ მხოლოდ ეს ორი პოლიტიკოსი ვერ მალავს. აშკარაა, ყველას დაასწრეს, მაგრამ არც ის არის გამორიცხული, რომ ყველაზე ადრე „დაატოვებინონ“ ასპარეზი. როგორ?

ეს უკვე ცალკე თემაა.

***რუსუდან ხუბულავა***





# „წარმოუდგენელია ამ რაოდენობის ფენტანილის გამოყენება...“



**არ შეიძლება ადამიანების აორთქლება მოსკოვის ცენტრში ასობით სპეცნაზელის თვალწინ**

„ნორდ-ოსტში“ დატრიალებული ტრაგედია გრძელდება. ოფიციალური ინფორმაციით, მომწამვლელი გაზის შედეგად უკვე 121 ადამიანია გარდაცვლილი, 7 კი ისევ უმძიმეს მდგომარეობაშია. სხვათა შორის, 132 პიროვნება უგზო-უკვლოდ არის დაკარგული, რაც ეჭვს იწვევს (არ შეიძლება ადამიანების აორთქლება მოსკოვის ცენტრში ასობით სპეცნაზელის თვალწინ, სხვა თუ არაფერი წყალქვეშა ნავში ხომ არ ხდებოდა ეს ყველაფერი. — მ.მ.). დღესდღეობით ჯერ კიდევ გაურკვეველია, ისეთი რა გაზი გამოიყენეს, რამაც მასობრივი სიკვდილიანობა გამოიწვია. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის ჯანდაცვის მინისტრი შევჩენკო ფენტანილზე საუბრობს, უცხოელი სპეციალისტები ამას გამორიცხავენ და ჰალოტანს, ასევე ფლოროტანს ასახელებენ. ფენტანილს იმიტომ გამორიცხავენ, რომ მედიცინაში იგი ხსნარის სახით არსებობს და ორგანიზმში მისი მოხვედრა მხოლოდ ინიექციის საშუალებით ხდება. ფლოროტანის გამოყენებას ექიმები მხოლოდ თეორიულად უშვებენ, რადგან პრაქტიკულად შეუძლებელია ამ მოცულობის დარბაზში ისეთი კონცენტრაციით გაშვება, რომელიც ხალხს დააძინებდა. და მაინც, რა შეიძლებოდა გამოეყენებინათ შტურმის დროს. „კვირის პალიტრა“ ესაუბრა იუსტიციის სამინისტროს ექსპერტიზის ცენტრის ხელმძღვანელს **მაია ნიკოლეიშვილს** და მეცნიერებათა დოქტორს, ტოქსიკოლოგ **გელა ღლიღვაშვილს**.

**— ქალბატონო მაია, რუსეთის ჯანდაცვის მინისტრმა განაცხადა, რომ შტურმის დროს გამოყენებული იყო ფენტანილის აირი. რამდენად სარწმუნოა ეს განცხადება?**

— ეს საკმაოდ ცნობილი და გავრცელებული პრეპარატია, რომელიც ნარკოზის დროს, მოსამზადებელ პერიოდში გამოიყენება. მას ახასიათებს საკმაოდ ძლიერი ზემოქმედება მცირედი დოზითაც კი. ეს პრეპარატი საკმაოდ ძვირად ღირებულია და წარმოუდგენელია ამ რაოდენობის ფენტანილის გამოყენება შტურმის დროს. ეს გაზი, საერთოდ, იმდენად ძლიერია, რომ გულ-სისხლძარღვთა სისტემის ფუნქციონირების მოშლას იწვევს.

**— სხვათა შორის, ითქვა, რომ ფენტანილის ორგანიზმში შეყვანა ვენიდან ხდება და მას ჰაერში ვერ გაუშვებდნენ...**

— ამიტომ გითხარით, რომ წარმოუდგენელია ფენტანილის აირის სახით მიწოდება. მედიცინაში ამ სახელწოდების პრეპარატი მხოლოდ საინიექციოდ გამოიყენება. იგი ხსნარია. ოდნავ ზედმეტი დოზა სერიოზულ გართულებებს იწვევს გულზე.

**— უცხოელი ექიმები თავის მხრივ ჰალოტანსა და ფლოროტანს ასახელებენ.**

— ფაქტია, რომ ის, რაც გამოიყენეს, ნევროპარალიტიკური ზემოქმედებისაა. კონკრეტულად რომელი იყო, ნამდვილად ვერ ვიტყვი, რადგან მაშინვე უნდა ჩატარებულიყო სამედიცინო ექსპერტიზა და მაშინვე დადგენილიყო. მერწმუნეთ, ახლა კვალის პოვნა უკვე შეუძლებელია. აირის სახით მიწოდებული მომწამვლელი ნივთიერება ძალიან ცოტა ხნით რჩება ორგანიზმში. მისი მოძიება და აღმოჩენა შემდეგ ძალზე რთულია. 9 აპრილსაც გვქონდა ამაზე დავა. ეს რომ ყოფილიყო ჩვეულებრივი ინიექცია ან აბები, მაშინ კი... ფაქტია, რომ ის, რაც გამოიყენეს ნევროპარალიტიკური ზემოქმედების ნივთიერება და დახურულ სივრცეში მისი უკონტროლო გამოყენება ნიშნავს ტოლობის ნიშნის დასმას იმ ბოროტებასთან, რასაც იმ მომენტში ჩეჩენი ტერორისტები აკეთებდნენ.

თავის მხრივ ტოქსიკოლოგი გელა ღლიღვაშვილი მიიჩნევს, რომ გამოყენებული იყო ტოქსიკური ნაერთების ჯგუფი და დარწმუნებულია, რომ რუსეთმა საკუთარი ხალხი სასიკვდილოდ გაიმეტა.

**— ბატონო გელა, დღესდღეობით შტურმის დროს გამოყენებულ ნივთიერებასთან დაკავშირებით სამ პრეპარატზეა საუბარი: ფენტანილი, ჰალოტანი და ფლოროტანი. თქვენ, როგორც ტოქსიკოლოგს, როგორ მიგაჩნიათ, რომელი აირი შეიძლებოდა გამოეყენებინათ?**

— პირადად მე ღრმად ვარ დარწმუნებული იმაში, რომ გამოყენებული იყო არა ერთი ნაერთი, არამედ ნაერთების ჯგუფი კომბინაციის სახით. იმ კლინიკური სურათიდან გამომდინარე, რომელიც ტელევიზიით ვნახეთ, ეს ნათლად ჩანდა. მთავარი ის არის, რომ სრულიად ნათელია — გამოყენებული იყო სასიკვდილო დოზა. საერთოდ დოზის დადგენა ხდება სხეულის წონიდან გამომდინარე. როდესაც ვიღაცის წინააღმდეგ, ამ შემთხვევაში მეომრის წინააღმდეგ იყენებ ქიმიურ ნაერთს, იგულისხმება ჯანმრთელი, ზრდასრული ადამიანი და დოზა განსაზღვრული გაქვს მასზე, სრულიად ნათელია, რომ ეს დოზა სასიკვდილო იქნება 10-12 წლის ბავშვისთვის. ამასაც რომ დავანებოთ თავი, სასიკვდილო იქნება ფეხმძიმისთვის, გრიპით, თირკმლებით დაავადებულთათვის და ა.შ. 9 აპრილსაც ამბობდნენ, რომ გამოიყენეს რაღაცა მსუბუქი, ცრემლსადენი გაზი და მერე იმით დამთავრდა, რომ სერიოზული ქიმიური ნაერთი აღმოჩნდა. ვიმეორებ, მექმნება შთაბეჭდილება, რომ იქ მხოლოდ ერთი ნაერთი არ ყოფილა გამოყენებული.

**— და მაინც, რა შეგიძლიათ თქვათ ჰალოტანსა და ფლოროტანზე?**

— იცით, კონკრეტულ ნაერთს შეიძლება უამრავი ფორმა ჰქონდეს, B ფორმა, D ფორმა. რასაც თქვენ მეუბნებით, მისი სახელწოდება იმდენად ზოგადია, რომ როგორც ტოქსიკოლოგს არაფერს მეუბნება. ამ ნაერთებს უამრავი სინონიმი აქვთ და მათ სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვანაირად ეძახიან. ფაქტი ერთია, — რაც გამოიყენეს, ხასიათდება მასობრივი განადგურების უნარით.

**— მიგაჩნიათ, რომ რუსეთის სპეცსამსახურებმა საკუთარი მოსახლეობა სასიკვდილოდ გაიმეტა?**

— ეს კიდევ ეჭვს იწვევს?! პირადად ჩემში არავითარ ეჭვს არ იწვევს. სხვა თუ არაფერი, დოზის პრინციპიდან გამომდინარე, სრულიად ნათელი იყო, ერთი ჩეჩენი თუ მოკვდებოდა, მის გვერდით მდგომი 10 წლის ბავშვი უფრო ადრე დაიღუპებოდა.

ჩემი აზრით, ეს იყო გამგუდავი ნივთიერება (ე.წ. მხუთავი გაზი), რომელსაც ჰქონდა ადგილობრივი მოქმედების უნარი. მედიცინაში გამოყენებული საანესთეზიო საშუალებები, სერიოზულ ტესტირებას გადიან, რათა არ ჰქონდეთ თანმხლები უარყოფითი ეფექტი. ამიტომ დიდად მეპარება ეჭვი, რომ ეს იყო საანესთეზიო საშუალება ძალიან დიდი დოზით... ამ ოპერაციის შედეგები რუსეთისთვის იქნება დამანგრეველი ისევე, როგორც საბჭოთა კავშირისთვის — 9 აპრილი.

***მარინა მამისაშვილი***

# ჩვეულებრივმა დოყლაპიობამ ასობით უდანაშაულო ადამიანი იმსხვერპლა



იერიშის შემდგომ დეტალებზე ალბათ კიდევ ბევრს ისაუბრებენ, მაგრამ მანამდე ვიტყვით, რომ მართლაც განსაცვიფრებელია ერთი გარემოება: როდესაც მძევლების გასათავისუფლებლად შექმნილ შტაბში გეგმავდნენ გაზის გამოყენებას, უკვე იცოდნენ, რომ ამას მძევალთა დიდი მსხვერპლი მოჰყვებოდა, მაგრამ უკან არ დაუხევიათ. ამის დამტკიცების საშუალებას იძლევა ერთი პატარა დეტალი — იერიშამდე მძევლებთან მყოფმა ცნობილმა რუსმა ბავშვთა ექიმმა როშალმა შტაბში მიიტანა გრძელი სია იმ წამლებისა, რომლებიც ტერორისტების მიერ დაკავებულ მძევლებს სჭირდებოდათ.

ახალბედა ექიმიც კი, ამ სიაზე თვალის გადაკვრით მიხვდებოდა, რომ მძევალთა შორის იყვნენ ბრონქიტით, ეპილეფსიით თუ გულით დაავადებული ადამიანები, ანუ მათთვის დამღუპველი იქნებოდა იმ გაზის ჩასუნთქვა, რაც სპეცსამსახურებმა იერიშის წინ შეუშვეს საკონცერტო დარბაზში.

რამდენიმედღიანი სიჩუმის შემდეგ ოფიციალური მოსკოვი, საერთაშორისო ზეწოლის შემდეგ, იძულებული გახდა, დაესახელებინა გაზი (როგორ ჰგავს ყოველივე ეს 9 აპრილის შემდგომ მოვლენებს!) — ფენტანილი.

**ჩვენი დოსიე: ფენტანილზე სხვადასხვანაირი, ხშირად ურთიერთსაწინააღმდეგო ინფორმაცია არსებობს. ერთ-ერთი მონაცემის თანახმად, იგი თეთრი კრისტალური ფხვნილია, წყალში ძნელად იხსნება, ხოლო სპირტში — ადვილად. არის ნარკოტიკული ანალგეტიკი, ოპერაციამდე ნახევარი საათით ადრე უკეთებენ ავადმყოფს კუნთში 0,05-1 მგ-ის ოდენობით.**



**რუსი სამხედრო ექსპერტი ეკრანზე უჩვენებს თუ რა შეიძლება მოჰყოლოდა დარბაზში ბომბების აფეთქებას**

ფენტანილი, მართალია, მყარი სახით არსებობს, მაგრამ შესაძლოა, სპეცსამსახურებისთვის დამზადებულია აირისებური ვარიანტიც. იგი დიდი წნევით არის ჩატუმბული სპეციალურ ბალონებში, რომლებიც მყვინთავის ჟანგბადის ბალონებს წააგავს. ერთ-ერთი თვითმხილველის განცხადებით, შენობის შიგნით შეღწეულმა სპეცრაზმელმა შალითიდან ამოიღო ამგვარი ბალონი და სავენტილაციო ხვრელში ჩადო.

შეიძლება ითქვას, რომ ფენტანილის, უფრო სწორად კი, მისი ერთ-ერთი ნაწარმის გამოყენება არ იყო ეფექტური, რადგან ტერორისტთა უმეტესობას გონება არ დაუკარგავს, მათ შორის შეიძლება რამდენიმე კამიკაძე-ქალს, რომლებსაც შეეძლოთ აეფეთქებინათ „შაჰიდის“ ქამრები, მაგრამ მათ ეს არ გააკეთეს (თუმცა ამაზე ქვემოთ).

პირველ რიგში ფენტანილის ზემოქმედებით დაზარალდნენ უშუალოდ სავენტილაციო ხვრელებთან მსხდომნი და ის ხალხი, რომელთაც ზემოთ ნახსენები დაავადებები სჭირდათ.

ბავშვების დაღუპვა ფენტანილის დიდმა დოზამ გამოიწვია. ფენტანილის ხსნარს პაციენტს ნელ-ნელა, დოზებით უკეთებენ, ყოველ 10-30 წთ-ში, დარბაზში კი ერთბაშად შეუშვეს ეს გაზი. ამასთან, საოპერაციო მაგიდაზე მოთავსებულ პაციენტს მუდმივად აკვირდებიან ექიმები, რათა ფენტანილის მოქმედებამ არ გამოიწვიოს სულის ხუთვა, რისთვისაც მზად აქვთ ხელოვნური სუნთქვის აპარატი; ხოლო თუკი ფილტვების ხელოვნური ვენტილაციის საშუალება არ არის, აკრძალულია ფენტანილის გამოყენება.

საკონცერტო დარბაზიდან გამოყვანილ გონწასულ მძევლებს კი სასწრაფოდ სჭირდებოდათ ხელოვნური სუნთქვის ჩატარება, მარტო ანტიდოტის ნემსის გაკეთება საქმეს ვერ შველოდა.

ყველაფერი ეს კი იმით იყო გამოწვეული, რომ ექიმები არავინ გააფრთხილა, რა პირველადი სამედიცინო დახმარება გაეწიათ დაზარალებულთათვის. ჩვეულებრივმა დოყლაპიობამ და უწყებრივმა შეუთანხმებლობამ ასობით უდანაშაულო ადამიანი იმსხვერპლა.

ამასთან, არსებობს ეჭვი, რომ „შაჰიდის“ ქამრებში მოთავსებული ასაფეთქებელი მოწყობილობები ან უბრალო მულაჟი იყო, ანდა მართლაც ტროტილისგან შედგებოდა, მაგრამ არ გააჩნდა ამფეთქი. თუმცა მოგვიანებით პრესკონფერენციაზე წარმოდგენილი იქნა თეატრალური ცენტრიდან ამოღებული 30 ასაფეთქებელი მოწყობილობა, 16 ხელყუმბარა Ф-1, 89 თვითნაკეთი ხელყუმბარა, ერთი РГД-5 და ВОГ-25 ტიპის ყუმბარების სასროლი ერთი თვითნაკეთი ყუმბარსატყორცნი.



**სპეცსამსახურებმა წარმოადგინეს დარბაზიდან ამოღებული 120კგ ტროტილის ეკვივალენტი სიმძლავრის ასაფეთქებელი მოწყობილებები, მათ შორის საარტილერიო ჭურვები და ხელყუმბარები.**

ასაფეთქებელი მოწყობილობები შეიცავდა საერთო ჯამში 110-120 კგ ტროტილის შესაბამის ასაფეთქებელ ნივთიერებას და არა 2 ტონას, როგორც მანამდე იტყობინებოდნენ. მათგან ყველაზე მძლავრი იყო ცილინდრში ჩადებული 152 მმ კალიბრის მსხვრევად-ფუგასური ჭურვი.

კამიკაძე-ტერორისტებს „შაჰიდის“ ქამრები მიერთებული ჰქონდათ სპეციალური სადენებით, ცალ ხელში ღილაკიანი ამფეთქი ეჭირათ, მეორეში კი ბატარეები. თუმცა რჩება ეჭვი, რომ ან ეს „შაჰიდის“ ქამრები არ იყო ბოლომდე გამართული, ანდა მისი პატრონები არ იყვნენ კამიკაძეები და თავის აფეთქებას არ აპირებდნენ.

ფენტანილის მოქმედება მეყსეულად არ ხდება. დარბაზში გაზის გავრცელება ბევრმა მძევალმა იგრძნო, ზოგიერთმა ცხვირსახოცისა და შარფის აფარებაც მოასწრო სახეზე (რა თქმა უნდა, ეს საშუალებები თავისი ეფექტურობით ვერ შეედრებოდნენ აირწინაღს, მაგრამ სულ არაფერს ესეც სჯობდა), მაშინ იბადება კითხვა — რატომ არ აამოქმედეს „შაჰიდის“ ქამრები კამიკაძე-ქალებმა, მით უმეტეს, რომ დარბაზში თავად ბარაევმა მოასწრო Газовая атака-ს ძახილით შევარდნა, სადენების შეერთებას ხომ წამიც არ სჭირდებოდა.

ყველაზე უფრო რეალურია, რომ აფეთქებებს ტერორისტები სულაც არ აპირებდნენ, ისევე როგორც მძევლების თანდათანობით დახვრეტას. მათ ეტყობა იმედი ჰქონდათ, როგორც ბუდიონოვსკისა და პერვომაისკის შემთხვევაში, ახლაც რუსეთის ხელისუფლება საშუალებას მისცემდა მძევლებთან ერთად დაეტოვებინათ დაპყრობილი შენობა, მაგრამ ამჯერად მათი იმედები არ გამართლდა.

ასეა თუ ისე, მძევლების განთავისუფლების სპეცოპერაციის წარმატებით შეფასება, როგორც ამას ოფიციალური მოსკოვი აკეთებს, დაღუპული მძევლების ხსოვნის ნამდვილად დიდი შეურაცხყოფაა.

***ირაკლი ალადაშვილი***

# პუტინს რუსული სამხედრო ბაზებით ანტიტერორისტული ბრძოლის დაწყება... საქართველოში სურს

რუსეთის პრეზიდენტმა პუტინმა მოსკოვში ჩეჩენი ტერორისტების განადგურების მეორე დღესვე ბუნდოვანი ბრძანება მისცა თავის გენშტაბს — ამიერიდან ტერორისტებსა და სეპარატისტებს ადეკვატურ საპასუხო დარტყმებს მივაყენებთ, რომელშიც მთავარ როლს რუსეთის შეიარაღებული ძალები ითამაშებენო!

ეტყობა, ამ ბრძანების გამოძახილია ის ინფორმაცია, რომლის თანახმადაც საქართველოს ტერიტორიაზე ჯერჯერობით მყოფი რუსეთის ჯარების დაჯგუფება აქტიურად ჩაერთვება ახალ ანტიტერორისტულ ბრძოლაში.

ამ ინფორმაციამ, ბუნებრივია, შეაშფოთა ოფიციალური თბილისი — მესამე წელია, რაც რუსეთის ჯარი ჩეჩნეთში ამაოდ ცდილობს ე.წ. ანტიტერორისტული ოპერაციის წარმატებით დამთავრებას. ადვილი წარმოსადგენია, მოსკოვიდან ასეთი ბრძანება რომ მიიღონ, რა დღეში ჩავარდებიან საქართველოში დისლოცირებული რუსული სამხედრო ბაზები.

„კვირის პალიტრა“ მკითხველს მუდმივად აცნობს, რეალურად თუ რა სამხედრო ძალა გააჩნია ГРВЗ-ს საქართველოში. კვლავ გავიმეორებთ — ამ რუსულ სამხედრო ბაზებს აღარ შეუძლიათ რაიმე სერიოზული საბრძოლო ამოცანის გადაწყვეტა, ვთქვათ, მეზობელი თურქეთის არმიების შეჩერება ან მათ მიმართ კონტრდარტყმების განხორციელება. ГРВЗ-ს ერთადერთ დანიშნულებად რჩება სუვერენული საქართველოს საშინაო პოლიტიკაში ჩარევა და ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური მომავლის ძალით განსაზღვრა ისე, როგორც ეს კრემლს სურს.

რაც შეეხება ბათუმის მე-12 და ახალქალაქის 62-ე რუსული სამხედრო ბაზების ანტიტერორისტულ ბრძოლაში ჩართვას, რაც, ფაქტობრივად, ანტიპარტიზანულ მოქმედებას გულისხმობს, ამ მხრივ ГРВЗ-ს შესაძლებლობები მიზერულია თვით ჩრდილოკავკასიის სამხედრო ოლქის — СКВО-სთან შედარებით.

ჩვენში არსებული რუსული სამხედრო ბაზების პირადი შემადგენლობა დაუკომპლექტებელია, ამ ბაზების ფარეხებში მდგარი მძიმე საბრძოლო ტექნიკა ძნელად თუ გამოდგება ეფექტიანი ანტიპარტიზანული მოქმედებების საწარმოებლად.



რუსული ტანკებით საქართველოში ტერორისტებს ვერ დაამარცხებ

მაგრამ მაინც სად აპირებს ტერორისტების წინააღმდეგ ბრძოლას? ალბათ საქართველოს ტერიტორიაზე, კერძოდ კი, პანკისის ხეობაში, მაგრამ ამ ხეობაში ორ თვეზე მეტია უკვე საქართველოს შინაგანი ჯარების საგუშაგოებია განთავსებული, რომლებიც მეტ-ნაკლებად მაინც აკონტროლებენ სიტუაციას ამ რაიონში და იქ რუსი სამხედროები ძალზე არასასურველი „სტუმრები“ იქნებიან.

ამ დაძაბულ მომენტში ჩვენ, ეტყობა, გარკვეულწილად, უფრო თეთრი სახლი დაგვიდგება გვერდით; ამ მხარდაჭერას ყოველდღიურად ამაგრებს... ბუნება. ერთი-ორი კვირაც და, ჩეჩნეთის, დაღესტნისა და ინგუშეთისკენ მიმავალი ყველა ბილიკი საიმედოდ ჩაიკეტება.

კრემლს დრო არ ჰყოფნის. ჩვენ რომ არ მოგვესწრო და არ გვეიძულებინა შეიარაღებული ჩეჩნები პანკისიდან გასულიყვნენ და ამ პერიოდს დამთხვეოდა მოსკოვში მძევლების აყვანა, მოსკოვი უსათუოდ ეცდებოდა ვაშინგტონის ქმედების კოპირებას — თუ 11 სექტემბერს ავღანეთში ამერიკელების ანტიტერორისტული ოპერაციის დაწყება მოჰყვა, 26 ოქტომბრის შემდეგ რუსეთი პანკისს „მიხედავდა“.

პრეზიდენტ პუტინის რეაქცია ამჯერად დაგვიანებულად მოჩანს — ძნელია პანკისის თემა დააკავშირო მოსკოვის ცენტრში გათამაშებულ ტრაგედიასთან, თუმცა ამის დიდი მცდელობა კვლავ იქნება და მთავარია, არ უნდა წამოვეგოთ ამ დამღუპველ „ანკესს“.

# ტერაქტის გამო დასავლეთმა შეიძლება ჩეჩნები გაწიროს

აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი ამჟამად აქტიურად იკვლევს, ხომ არ ჰქონდათ კავშირი ჩეჩენ საველე მეთაურებსა და „ალ-ქაიდას“ ხელმძღვანელებს.

ეჭვს აძლიერებს ის სატელეფონო საუბრებიც, რომლებიც მოსკოვში, საკონცერტო დარბაზში გამაგრებულ ბარაევსა და მის ხალხს საზღვარგარეთ, კერძოდ კი, თურქეთსა და საუდის არაბეთთან ჰქონდათ.

გარდა ამისა, თეთრმა სახლმა აღარ დამალა, რომ აშშ-ის ერთ-ერთი ყველაზე გასაიდუმლოებული სპეცსამსახურის NSA-ს (ეროვნული უსაფრთხოების ბიურო, რომელიც ძირითადად რადიოელექტრონულ დაზვერვას ახორციელებს მთელ მსოფლიოში) მოსკოვის პუნქტმა (იგი, სავარაუდოდ, მოსკოვის ცენტრში, აშშ-ის საელჩოს შენობაშია განთავსებული) დააფიქსირა, რომ საკონცერტო დარბაზიდან ერთ-ერთი ტერორისტი, აბუ-საიდი, მობილური ტელეფონით ცდილობდა დაჰკავშირებოდა საუდის არაბეთის საელჩოში ამ ქვეყნის სპეცსამსახურის წარმომადგენელს.

თუკი აშშ-ის სპეცსამსახურებმა მართლაც დაადგინეს რაიმე კავშირი მოსკოვში, საკონცერტო დარბაზში ჩეჩნების მიერ მძევლების აყვანასა და „ალ-ქაიდას“ შორის, მაშინ არ არის გამორიცხული, რომ შეურიგებელი შეიარაღებული ჩეჩნური მოძრაობა აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა საერთაშორისო ტერორისტული ორგანიზაციების ნუსხაში შეიყვანოს.

ამჟამად სახელმწიფო დეპარტამენტის „შავ სიაში“ შესულია მსოფლიოს 35 ტერორისტული ორგანიზაცია, რომლებთანაც ნებისმიერ ამერიკულ სახელმწიფო დაწესებულებას ეკრძალება საქმის დაჭერა. ამ ორგანიზაციებს მსოფლიოს ბანკებში „ეყინებათ“ ყოველგვარი ფინანსური ანგარიში, მათ ასევე არ მისცემენ ვიზებს აშშ-ის ტერიტორიაზე შესასვლელად და, რაც მთავარია, აშშ-ის ყველა სპეცსამსახური მათზე იწყებს „ნადირობას“.

თუკი ჩეჩნები მოხვდებიან ამერიკულ „შავ სიაში“, მათთვის ეს ბევრად უფრო მტკივნეული დარტყმა იქნება, ვიდრე რუსული ბომბდამშენების მთელი პოლკის მიერ განხორციელებული „ხალიჩისებრი“ დაბომბვა. ამით ასლან მასხადოვს და შამილ ბასაევს გადაეკეტებათ არა მარტო ფინანსური დახმარების გარკვეული მიმართულებები, არამედ შეუწყდებათ ის ერთგვარი პოლიტიკური მხარდაჭერა და თანაგრძნობა, რასაც მათ კრემლის გულის გასახეთქად დღემდე უწევდნენ დასავლეთის ადამიანის უფლებების დაცვის ორგანიზაციები.

ასეთ შემთხვევაში, ეტყობა, გაიზრდება თეთრი სახლის ზეწოლა ოფიციალურ თბილისზე, რათა უფრო აქტიურად შევებრძოლოთ ჩვენს ტერიტორიაზე აქა-იქ დარჩენილ უკანონო შეიარაღებულ პირებს, მათ შორის იმ 70-80 ძებნილს, რომლებიც პანკისის ხეობის ტყეებს აფარებენ თავს.

არსენალი

# რით დახოცა „ალფამ“ ტერორისტები?!

მაღალი კონცენტრაციის დასაძინებელი გაზის გაშვების მიუხედავად, საკონცერტო დარბაზში შეჭრილი რუსეთის ფედერალური უშიშროების სამსახურის ანტიტერორისტული ცენტრის „ალფას“ დანაყოფი იმ შეიარაღებულ ჩეჩენ ტერორისტებს გადაეყარა, რომლებზეც გაზს თითქმის არ უმოქმედია.



„ალფა“ იერიშისთვის ემზადება

ასეთ პირობებში გაიმართა ორმხრივი სროლა მოკლე დისტანციაზე, მაგრამ იმის გამო, რომ „ალფას“ სწორედ ეს დანაყოფი წლობით ვარჯიშობს ქალაქის პირობებში მძევლების გათავისუფლების გეგმით, რისთვისაც აუცილებელია ახლო კონტაქტურ ბრძოლაში უზუსტესი სროლის ზედმიწევნით დახვეწა, ბუნებრივია, გამარჯვებაც მათ დარჩათ.

ამასთან „ალფას“ დანაყოფი შეიარაღებული იყო სწორედ ასეთი ოპერაციების წარმატებით ჩასატარებლად შექმნილი სპეციარაღით.

საკონცერტო დარბაზის პირველი იერიშის სატელევიზიო კადრები დღემდე არ უჩვენებიათ (სატელევიზიო არხები მხოლოდ იმ კადრებს „ატრიალებენ“, სადაც უკვე სხვა სპეცჯგუფებია დაფიქსირებული, რომლებსაც ან მძევლები გამოჰყავთ გარეთ, ანდა ათვალიერებენ ბრძოლის ადგილს), წინააღმდეგ




შემთხვევაში, დაკვირვებული თვალი აუცილებლად შეამჩნევდა იმ სპეციარაღს, რომლითაც „ალფა“ ელვის უსწრაფესად მოქმედებდა.

ჩვენი მონაცემებით, „ალფამ“ იერიშისას ფენტანილის გაზის გარდა, გამოიყენა გაზის ხელყუმბარები, სტრესის გამომწვევი შუქურ-ხმოვანი ხელყუმბარები და მაყუჩიანი, მოკლელულიანი ავტომატები, ასევე უმაყუჩო, უხმაურო პისტოლეტები.

მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია სპეციალური ავტომატი 9А-91 და მის ბაზაზე შექმნილი მსუბუქი, უხმაურო ავტომატური სნაიპერული შაშხანა ВСК-94. აგრეთვე უხმაურო პისტოლეტები ПСС და სპეციალური მოკლელულიანი ავტომატი Гроза

ავტომატი 9А-91 და სნაიპერული შაშხანა ВСК-94 იყენებენ ერთნაირ, 9X39 მმ კალიბრის СП-5 და СП-6 ტიპის სპეციალურ ვაზნებს, რომლებშიც შემცირებულია დენთის რაოდენობა და ტყვიის საწყისი სიჩქარეც არ აღემატება ბგერის სიჩქარეს, ამიტომაც მაყუჩის გამოყენებისას სროლის ხმა მინიმალურია.

ავტომატი 9А-91-ით დამიზნებითი სროლა 200 მ-ზე ხორციელდება, მის მჭიდში 20 ვაზნა ეტევა და წუთში 700-900 გასროლის განხორციელება შეუძლია. იგი ძალზე მსუბუქია თავისი კლასის იარაღში — მჭიდის გარეშე 1,75 კგ-ს იწონის. გახსნილი კონდახით ამ ავტომატის სიგრძე 60 სმ-ს არ აღემატება.

მსუბუქი სნაიპერული შაშხანა ВСК-94 400 მ-ის დისტანციაზე ინარჩუნებს ეფექტიანობას, იგი მაყუჩის, მჭიდისა და ოპტიკური სამიზნის გარეშე 2,7 კგ-ს იწონის.

„ალფას“ მებრძოლების ერთი ნაწილი თუ საკონცერტო ცენტრის ფოიეში ორთაბრძოლაში ჩეჩენ ტერორისტებს უსწორდებოდა, მათი მეორე ნაწილი უშუალოდ დარბაზში გაზით გათიშულ ჩეჩენ კამიკაძე-ქალებს სავარძლებშივე ხოცავდა. ეტყობა, მათ საამისოდ საგანგებო ბრძანება ჰქონდათ მიღებული — საკონცერტო ცენტრში შეჭრილი ჩეჩნები ადგილზევე უნდა გაენადგურებინათ. „ალფას“ სპეციარაღი, რომლის შექმნაში თავის დროზე დიდი როლი ითამაშა ჩვენმა თანამემამულემ, აწ განსვენებულმა ალექსანდრე ხინიკაძემ (ამის შესახებ „კვირის პალიტრა“ დაწვრილებით წერდა), საკონცერტო დარბაზის ვიწრო ფოიეში ბევრად უფრო ეფექტიანი აღმოჩნდა, ვიდრე ბარაევის ჯგუფის „კალაშნიკოვის“ ავტომატები და ПКМ ტიპის ტყვიამფრქვევი. მართალია, თავად ბარაევს ჰქონდა მოკლელულიანი (და ე.ი. შენობის შიგნით მოქმედებისთვის უფრო მოსახერხებელი) ავტომატი АКС-74У, მაგრამ მისი გამოყენება ვეღარ მოასწრო.




# სამხედრო კალეიდოსკოპი

## აზერბაიჯანელები თავდაცვისთვის ფულს არ იშურებენ

შარშანდელთან შედარებით, 2003 წლისათვის ოფიციალური ბაქო სამხედრო ხარჯებს 12%-ით გაზრდის და იგი ამჟამინდელი 124 მლნ დოლარიდან 139 მლნ-მდე მოიმატებს.

ეს ციფრები საარაკოდ მოჩანს ქართული არმიის ბიუჯეტის არა მარტო წლევანდელ 36 მლნ ლართან, არამედ საგაისოდ დაპირებულ 50-57 მლნ ლართან შედარებითაც. გასაგებია, რომ აზერბაიჯანს თავისი ტერიტორიის ოკუპირებული, დაახლოებით 20%-ის დაბრუნება სწადია და ამიტომაც ზრდის სამხედრო ხარჯებს, მაგრამ ჩვენც ხომ გვაქვს დროებით დაკარგული ტერიტორიები? ნუთუ კიდევ ვინმე ელოდება, რომ ძალით წართმეულს ხონჩით, უბრძოლველად მოგვართმევენ?

## რუსეთმა ჩეჩნებისგან თავდასაცავად მანქანების დაჯავშნა დაიწყო

ჩეჩნეთის ტერიტორიაზე რუსეთის ფედერალური ძალების პირადი შემადგენლობის მსხვერპლის დიდი ნაწილი გამოწვეულია სამხედრო კოლონებზე თავდასხმებით.

ასეთ თავდასხმებს უმთავრესად ის რუსი ჯარისკაცები და ოფიცრები ეწირებიან, რომლებიც შეუჯავშნავი УАЗ-ებით და Урал-ებითა თუ КамАЗ-ებით მგზავრობენ. ამ მანქანების მძღოლები ჯერ კიდევ ავღანეთის ომის გამოცდილებას იყენებენ — თავის საშტატო ჯავშანჟილეტებს იხსნიან და მათ მანქანის კარებს აფარებენ.

ამგვარი დაცვა ეფექტიანობით სულაც არ გამოირჩევა, მაგრამ მძღოლებს გადარჩენის სულ მცირე იმედს მაინც უტოვებს.

ჩეჩნეთის ომის მწარე გამოცდილების შედეგად რუსმა კონსტრუქტორებმა დაიწყეს საარმიო ტრანსპორტის დაჯავშნა. УАЗ-ებისთვის გამოშვებულ იქნა მალული დაჯავშნის ელემენტები, რომლებსაც სალონის შიგნით აყენებენ, ჩვეულებრივი შუშები ჯავშანმინებით



შეჯავშნული Óðàë-ი

იცვლება, ძლიერდება მანქანის ძირიც, რათა გაუძლოს ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმების აფეთქებას. ანალოგიური ქმედებები ხორციელდება სატვირთო КамАЗ-ებისა და Урал-ების მძღოლების დასაცავად. მანქანის ძარაში მყოფი მებრძოლები კი სქელი რკინის ნაჭრებით ამაგრებენ ძარის გვერდებს ჩეჩენ სნაიპერთაგან თავის დასაცავად.

ქართულ არმიაში საკმაოდაა საბჭოთა წარმოების საარმიო მანქანები, რომლებსაც ბოლო დროს თურქული და გერმანული ჯიპები და სატვირთო ავტომობილები დაემატა. ჩვენი აზრით, ცუდი არ იქნებოდა, გაგვეთვალისწინებინა რუსების გამოცდილება საარმიო დანიშნულების მანქანების შეჯავშნაზე, რადგან მცირე ინტენსივობის შეიარაღებული კონფლიქტები, რომლებიც უფრო პარტიზანული ჩასაფრებების ტაქტიკაზეა აგებული, ყოველთვის ერთნაირი სცენარით მიმდინარეობს. ჩვენ, სამწუხაროდ, გვაქვს გამოცდილება, თუ როგორ იღუპებოდნენ ქართველი მებრძოლები სატვირთო ავტომობილებსა და ავტობუსებში აფხაზეთის ფრონტისპირა გზებზე.

## რუსული „ღამის“ შვეულმფრენი საერთაშორისო ასპარეზზე გამოდის

მილის სახელობის საკონსტრუქტორო ბიუროში დაამთავრეს Ми-17Н ტიპის შვეულმფრენის გამოცდა, რომელიც საზღვარგარეთ გასაყიდადაა განკუთვნილი. იგი Ми-8МТКО ტიპის სამხედრო-სატრანსპორტო შვეულმფრენის საექსპორტო ვარიანტს წარმოადგენს და ჩვენთვის იმიტომაცაა საინტერესო, რომ მისი „დედობილები“ ღამის შეტევებს ახორციელებდნენ საქართველოს საზღვრისპირა რაიონებში.

Ми-8МТКО-ზე დაყენებულია ახალი საპილოტაჟო-სანავიგაციო კომპლექსი КНЭИ-8, ხედვის სისტემა ГОЭС-321М და პილოტების ღამის ხედვის სათვალეები ГЕО-ОНВ-1. ამ ციფრების ჩამოთვლა ბევრისთვის შეიძლება არაფერს ნიშნავს, მაგრამ სპეციალისტები მიხვდებიან, რომ ღამით და ცუდ მეტეოროლოგიურ პირობებში ფრენის საშუალების მომცემი აპარატების დაყენება სხვა შვეულმფრენებზეც შეუძლია მოსკოვს და ქართველები, რომელთაც ლოკატორები არა აქვთ, ღამით, ვიზუალურადაც ვეღარ გაარჩევენ, თუ რამდენი უცხო მფრინავი აპარატი ბომბავს მათ სამშობლოს.

*რუბრიკა მოამზადა ირაკლი ალადაშვილმა*

# ნაღმი, რომელმაც ყაჩაღები „გაყიდა“...

***ყოველთვის მიჭირდა გამოუძიებელ საქმეებზე წერა და არა იმიტომ, რომ საკუთარ თავს არ ვენდობოდი. პირველი მიზეზი ის არის, რომ ჭეშმარიტებას მხოლოდ მართალი კაცი ღაღადებს. დანაშაულში კი, მოგეხსენებათ, ყველა მართალი ვერ იქნება. მეორე, იმიტომ, რომ ერთი ნამუსგარეცხილი გამომძიებელი ან მოსამართლე იმ შენს სიმართლეს სიცრუედ აქცევს და, ასე ვთქვათ, „პროცესუალურადაც გაამაგრებს“. მესამე — არ მავიწყდება, რომ საქართველოში ვცხოვრობ, სადაც დაზარალებულს ნებისმიერ წუთს შეუძლია იყვიროს — მე კი არ გადმოვუგდივარ კიბიდან ბრალდებულს, თვითონ გადმოვხტი ამ ხელისუფლებისადმი პროტესტის ნიშნადო.***

***და კიდევ ერთი: გამოძიება (როცა იგი მოუსყიდავია), გარკვეული დროის მანძილზე, ვერსიების დონეზე მიმდინარეობს და რაკი გამომძიებელმაც არ იცის, ბოლოს და ბოლოს, რომელი შერჩება ხელთ, აჯობებს ამ შემთხვევაში საკუთარი ვერსია შევთავაზო მკითხველს. აკი ჩვენს გვერდსაც „ვერსია“ ჰქვია. ასე რომ, წინამდებარე პუბლიკაციას სულაც არა აქვს მტკიცებულების პრეტენზია და ამიტომაც იძულებული ვარ, მონაწილეთა გვარსახელები შევცვალო, დანარჩენს კი ზუსტად ისე გადმოგცემთ, როგორც ჩემმა ინფორმატორებმა მიამბეს. ამბავი, რომელზეც ქვემოთ გვექნება საუბარი, მიმდინარე წლის გაზაფხულზე მოხდა. დამნაშავენი ახლახან დააკავეს...***

## ღამის სტუმრები

— დავიწყეთ ჩაშვება, — ჩაილაპარაკა ბანდის თავკაცმა და პირველმა თვითონ ჩაიბა თოკი...

ორ თვეზე მეტხანს ელოდნენ ამ შემთხვევას. როგორც იქნა, იმ საღამოს გისოსების დაბოქლომება დაავიწყდათ მალაციძეებს. ბინა ბოლო სართულზე ჰქონდათ და როგორც კი ფული გაუჩნდათ, პირველად გისოსები გაუკეთეს ლოჯიასა და ფანჯრებს. მერე თითო გისოსზე ორ-ორი ბოქლომი დაჰკიდეს და ახლა უკვე შიშის გარეშე იძინებდნენ. ფული კი მართლაც ბევრი შემოსდიოდათ. რაკი ერთხელააწყვეს საქმე, დოლარებმა ღელესავით იწყო დენა. კომუნისტების დროს, ე. წ. „ლევ“ საამქროებში დამზადებული უფაქტურო შპალერებით ვაჭრობდა ოჯახის უფროსი. მერე დრო რომ შეიცვალა, გარისკა და ვიდრე ფული გაფუჭდებოდა, დოლარები იყიდა. მოგვიანებით დოლარები სპირტის ბიზნესში დააბანდა და წამოვიდა, მაგრამ რა წამოვიდა. ფული რომ არ გაჰფუჭებოდა, ვეებერთელა სახლის მშენებლობა წამოიწყო. აბა, ბანკში ხომ არ შეიტანდა სხვებივით, ერთიანად რომ დაკარგეს მთელი სიცოცხლის მანძილზე ნაგროვები. მალაციძე სულ იმით ამაყობდა — ფულის შოვნაზე ძნელი მისი დაბინავებააო, მაგრამ იმ გვიან ღამით, როგორც ჩანს, მაინც უყელეს...

— ნელა ჩამიშვით. მეორე ჩიჩო ჩამოვიდეს, ორნიც აქ დარჩით და დანარჩენი ისე გააკეთეთ, როგორც შევთანხმდით.

ბანდის მეთაურს ბუინა ერქვა მეტსახელად. ასე იცნობდა მას ქურდული სამყარო და აქამდე არავის უკითხავს მისთვის ნამდვილი სახელი. ხუთჯერ გაასამართლეს ხან ყაჩაღობისთვის, ხანაც — ქურდობისათვის. ერთხელ მკვლელობისთვისაც მოიხადა სასჯელი. შვილიც თავისნაირი გაზარდა. ახალგაზრდობის მიუხედავად, არჩილს ორჯერ უკვე მიეღო ციხის საგზური და ამ მხრივ ისიც ტიტულოვანი „პრესტუპნიკი“ გახლდათ.

თოკი მალე გათავისუფლდა. ეს იმას ნიშნავდა, რომ ბუინა უკვე ლოჯიაში გადამძვრალიყო და ჩიჩოსლა ელოდა. გისოსებს იქით ფანჯრები გაეღოთ და აგვისტოს ხვატის მიუხედავად, ბინაში სასიამოვნოდ უბერავდა გამჭოლი ქარი. შუქი არც აუნთიათ, მით უმეტეს, დენი ორი საათის წინ გათიშეს. ჯიბის ფარნებით დაზვერეს ანტიკვარებით გამოტენილი სასტუმრო ოთახი. მერე სამზარეულოში შეიხედეს, ჩიჩომ მაგიდაზე ყვითლად მოკიაფე სანთებელა ჩაბღუჯა, მერე კბილებს შორის მოიქცია და... — ოქროა, — გახარებულმა ამცნო მეთაურს. „კრახაბორ“, — თავისთვის, ისე, რომ ჩიჩომაც ძლივს გაიგონა, წაიბურტყუნა ბუინამ და საწოლი ოთახები მოათვალიერა. ადამიანის ჭაჭანება არ ჩანდა. იცოდა, ოჯახის პატრონი მარტო უნდა ყოფილიყო ბინაში. თვითონვე ნახა, ღამის პირველ საათზე რომ მოვიდა საკუთარი „კრაისლერით“. მანქანა გარაჟში ჩაკეტა და ლიფტი გამოიძახა. მაშასადამე, სადღაც ქვემო სართულზე გაჩერდა? თითქოს ყველაფერი გათვალა, მაგრამ ამაზე ალარ უფიქრია.

— რა განერვიულებს, ივანიჩ? ნახევარ საათში დავშმონავ აქაურობას.

— კრეტინი... — დაასკვნა გუნებაში ბუინამ და ახლა ბავშვების ოთახი მოათვალიერა, — რომ დაშმონავ, მერე რას ნახავ, რა ფეხებად მინდა ეს ხარახურა? აქ, სადღაც, დიდი ფულია დამალული. პატრონია საჭირო. სულ სხვა ეშხი აქვს, საკუთარი ხელით რომ გახსნის სამალავს და ნადავლს საჩუქარივით გადმოგცემს. საქმე ამას ჰქვია, თორემ... — რატომღაც კარგ გუნებაზე დადგა მეთაური, — თუმცა სხვა გზა არა გვაქვს. დავიწყოთ.

მალე ყველაფერი თავდაყირა დადგა. მართალია, არაფერს უფრთხილდებოდნენ, მაგრამ მაინც ცდილობდნენ, არ ეხმაურათ. ფული და ოქრო ვერ იპოვეს. ნივთები კი იმდენი იყო, რამდენსაც მოისურვებდნენ.

— არსადაც არ წავალ. აქ უნდა დაველოდო იმ ქონის ნაჭერს. ფული და ოქრო მჭირდება. შემოსასვლელი მივალაგოთ, ერთბაშად რომ ვერაფერს მიხვდეს, დანარჩენი მე ვიცი...



ის იყო, რიჟრაჟის პირველი ათინათი გაკრთა აღმოსავლეთით, რომ ფეხის ხმა გაისმა. მერე ვიღაცამ ქურდივით წყნარად გააღო კარი და ფეხაკრეფით შევიდა ბინაში. სახლის პატრონმა საშინაო ფლოსტებში წაყო თუ არა ფეხები, ერთბაშად ჯიბის ფარნის შუქი ეძგერა თვალებში, შუქზე კი თვალისმომჭრელად ლაპლაპებდა მისი ყელისკენ დამიზნებული თურქული ბებუთი.. დაყვირება უნდოდა, მაგრამ შიშს დაედამბლავებინა მალაციძე, ერთიანად ცახცახებდა. ის კი ხელად დაამღერა, მთელი ღამე მეზობლის ქმარშვილიან ქალთან ვიყავიო, მაგრამ როცა ფული მოსთხოვეს, სულ ტლინკები ჰყარა — აი, ჯიბეში რაცა მაქვს, ესაა, სახლში ერთი მანეთიც არ მიდევსო.

ბუინა სამზარეულოში გავიდა, გაზქურა აანთო და ზედ უთო დადგა.

— მომისმინე, რქიანო! — შეუღრინა მასპინძელს, — ეგებ არ გახსოვს, სად შეინახე. ჯერ კარგად გახურდეს უთო, მერე მაგ სქელ გავაზე რომ გადაგატარებ, აუცილებლად გაგახსენდება. დღისით გასაცოდავებულ ხალხს ჰპარავ ფულს, ღამით კი კარის მეზობელს — ცოლს. შენც კაცი გქვია, რაღა!

მალაციძე მიხვდა, ეს ხალხი აქედან უფულოდ არ წავიდოდა, ხელი ჩაიქნია და სამზარეულოს დანის პირით იატაკიდან ორი ცალი პარკეტი ამოიღო, მერე ღრმულიდან დოლარებითა და ოქროულობით სავსე მუთაქასავით ტომსიკა ამოათრია. ჩიჩომ გაოცებისგან პირი დააღო, როცა ამ სიმდიდრესთან ერთად, ტომსიკაში მობილური ტელეფონიც აღმოაჩინა. პატრონისათვის დაბრუნებას აპირებდა, მაგრამ ბუინამ „ააჩქარა“, მასპინძელს ჯიბიდან გარაჟისა და მანქანის გასაღების აცმა ამოაცალა და ტელეფონის სადენი გადაჭრა, — ერთი სიტყვა დაგცდება სადმე და ძაღლივით მიგახრჩობ, ნაბიჭვარო, — ჩაუსისინა და ბინიდან გავიდა. ცოტა ხნის შემდეგ „კრაისლერი“ ცხინვალისაკენ მიქროდა. საჭესთან ჩიჩო იჯდა. გაბითურებული მალაციძე კი გაოგნებული დააბიჯებდა ოთახიდან ოთახში და ღმერთს მადლობას სწირავდა, დაუთოებას რომ გადაურჩა.

**— გაზის ხელოსანი ვარ, ქალბატონო, საავარიოდან. თქვენი სადარბაზოდან დარეკეს, სუნიაო და მგონი, თქვენთანაა უტეჩკა.**

**— ღმერთო ჩემო, რომ ვერაფერი ვიგრძენი, არადა, მართლა სუნია, ახლავე, ბატონო, ახლავე... — და დაფეთებულმა დიასახლისმა კარი გააღო. ამასობაში ჩიჩომ გაზის მეორე სანთებელა დაცალა ბინის გასაღების ღიობში.**

## „დიზაინერები“

— რა არის, მამა, ეს, სახლი შენდება თუ სამების ტაძარი? ამოდენა მშენებლობა კომუნისტების შემდეგ აღარ მინახავს. თანაც კერძოაო, ამბობ. კი მესმოდა ციხეში — ახლანდელი ფულიანები ისეთ სასახლეებს აშენებენ, ციციშვილებისა და ორბელიანების ციხე-დარბაზები მათთან პატარა ქოხმახებად მოგეჩვენებაო, მაგრამ მაინც არ მჯეროდა. რა იშოვეს ამდენი ამ შობელძაღლებმა ამ მათხოვრების ქვეყანაში, იქნება შენ მაინც მითხრა რამე.

— შვილო, პროკურორმა არკვიოს, საიდან და რამდენი მოიპარა პეტრემ თუ პავლემ. ჩემი საქმე კი ისაა, როგორ მოვპარო ან წავართვა ის ნაქურდალი ამ წურბლებს. ხომ გაგიგონია, ქურდის ქურდი ცხონდაო. ახლაც ალალი საქმე მაქვს ჩაფიქრებული.

— ნამდვილად კარგად მოგიფიქრებია, მაგრამ იქ ბარე ასი კაცი მუშაობს და ვინმემ რომ გვკითხოს, თქვენ რა მოხელე ჩიქვანები ბრძანდებითო, რა ვუპასუხოთ?

— ვინ რას შეგეკითხება? უმრავლესობა ელიავადან მოყვანილი გაჭირვებული ხალხია, თავისი დარდი აწუხებთ. მაინც იცოდე, დიზაინერები ვართ.

— დიზაინერი რაღა ოხრობაა, ცოტა იასნად მითხარი.

— კარგად მეც არ ვიცი... მგონი ისაა, აი, სახლის შიგნით თაროებსა და სვეტებს რომ აკეთებენ. ერთი სიტყვით, დიზაინერი დაიმახსოვრე და მე მდიე კუდში, ვითომ ჩემი პამოშნიკი ხარ, გაიგე?

— გავიგე, მაგრამ შენმა კუდში დევნამ უკვე ორი სროკი გამატკაცუნებინა. თუ მესამეჯერაც დავიწვი, იცოდე შენთან გამვლელი აღარა ვარ.

— მიქარვებს თავი გაანებე, აჩი. რაც გითხარი, ის გააკეთე. გუშინწინ რომ საქმე მოვარტყით, ამასთან შედარებით ის მელოჩია. დამიჯერე, ნაღდი საქმეა...

შენობა მართლაც ვეებერთელა იყო, თუმცა გემოვნებით ნაშენი და მაღალი გალავნით შემოზღუდული. სახლის პატრონი ახალგაზრდა ქართველი ოლიგარქი გახლდათ, რომელმაც როცა საქართველო აფხაზეთში სისხლისგან იცლებოდა, როცა თბილისში ადამიანები ღამეებს ათენებდნენ პურის რიგებში, იმდენი ფული იშოვა, ამისთანას კიდევ ხუთ სახლს ააშენებდა. სახლი დასრულებული იყო, მაგრამ სამოცდაათამდე კაცი მაინც ტრიალებდა შენობის შიგნით, ზოგი რაღაც წვრილმან დეფექტს ასწორებდა, ზოგიც ახალთახალ ავეჯს ეზიდებოდა. ზოგიც მწვანემოლიანი ბელტებით დატვირთულ მანქანას ცლიდა, უკანა ეზოში რომ უნდა დაეგოთ. სპეციალურად აშენებული პავილიონიდან გერმანული ნაგაზები იღრინებოდნენ. მექანიკოსები ეზოში სათვალთვალო ვიდეოკამერებს ასწორებდნენ. მამა-შვილმა ორი დღე ისე იბორიალა შენობაში, არავინ დაინტერესებულა მათი ვინაობით. მთელი სახლი ძირისძირამდე შეისწავლეს, მათ შორის, კედლებში ჩაშენებული სეიფები, ოთახიდან ოთახში გასასვლელები, ელექტროსიგნალიზაციისა და ვიდეოსათვალთვალო სისტემა, რომელიც რატომღაც არ უყურებდა გარაჟის მხარეს, სადაც უკვე იდგა ორი ამერიკული „ჯიპი“ და რამდენიმე „მერსედესი“. ალბათ იმიტომ, რომ გარაჟი უშუალოდ გალავანს ეკვროდა, გალავანს კი იქითა მხრიდან ხუთსართულიანი კომუნალური ბინა ემიჯნებოდა, რომლის მხოლოდ ერთადერთი ფანჯარა გადიოდა გარაჟის მხარეს. ამ ფანჯრიდან შეიძლებოდა ეზოს შიგნით მდგარი ნაძვის ხის საშუალებით გარაჟისაკენ გადაბარგება. იქ კი გარაჟის ფანჯრის გისოსების გადახერხვა და გარაჟიდან სახლში შემავალი კარის გაღებაღა რჩებოდა. მეორე დიდ სირთულეს არ წარმოადგენდა, ამას „ატჟიმითა“ და მორგებული გასაღებით გააკეთებდნენ. მაგრამ გისოსების გადახერხვა, როცა ეზოში ექვსი გერმანული ნაგაზი დაბორიალებს და ამდენივე დაცვის თანამშრომელი პირველ სართულზე ფხიზლობს, ცოტა სახიფათო იყო.

— ბოლოს და ბოლოს, განგაშიც რომ ატყდეს, ჩვენ იმავე გზით დავიხევთ უკან, რომლითაც შევალთ. ვერ დაგვიჭერენ, — განაცხადა ბუინამ და გეგმის შედგენას შეუდგა. ახლა მთავარი იყო იმ ბინაში შეღწევა, რომლიდანაც გალავანზე უნდა გადასულიყვნენ. ორკვირიანი თვალთვალის შემდეგ სამოქმედო გეგმა იმდენად დაიხვეწა, რომ მისი შესრულება ეჭვს აღარ იწვევდა. რჩებოდა მხოლოდ ერთი: ოლიგარქი უნდა შესახლებულიყო ახალაშენებულ სახლში. ეს დღეც დადგა.

— მაშ, ასე... ხუთსართულიანი სახლის ჩვენთვის საინტერესო ბინაში ჩიჩო შევა, როგორც გაზის ხელოსანი. მე და აჩი მას შევყვებით. მობინადრეებს „დავაწყნარებთ“. მათთან ტიფო დარჩება, დანარჩენები იქითა ეზოში გადავალთ. აქეთობას ისევ იმ გზით დავბრუნდებით. მობილური ტელეფონები ყველამ იქონიეთ: გაუთვალისწინებელი რამე რომ მოხდეს და ქალაქში გაფანტვა მოგვიწიოს, ერთმანეთს დავუკავშირდებით, გასაგებია?

— გავიგეთ ივანიჩ. ისლა გვითხარი, რომელ საათზე ვიკრიბებით და სად. გული მიგრძნობს, იუველირნი საქმე გამოგვივა.

— ღამის თერთმეტ საათზე შევიკრიბებით ხუთსართულიან სახლთან.

## „ხელოსანი“ გაზის საავარიოდან

— ვინ არის? — კარს იქიდან იკითხა ქალის ხმამ.

— გაზის ხელოსანი ვარ, ქალბატონო, საავარიოდან. თქვენი სადარბაზოდან დარეკეს, სუნიაო და მგონი, თქვენთანაა უტეჩკა.

— ღმერთო ჩემო, რომ ვერაფერი ვიგრძენი, არადა, მართლა სუნია, ახლავე, ბატონო, ახლავე... — და დაფეთებულმა დიასახლისმა კარი გააღო. ამასობაში ჩიჩომ გაზის მეორე სანთებელა დაცალა ბინის გასაღების ღიობში.

— ვაიმე, ვიღუპებით, მგონი. გვიშველეთ, თქვენი ჭირიმე!

— დამშვიდდით, ქალბატონო, მთელი ბრიგადა ვართ — სამი კაცი. უცებ გადავკეტავთ. მთავარია, მივაგნოთ უტეჩკას. ოღონდ ფანჯრები გააღეთ. მეტი არაფერია საჭირო, — ბინაში სამნი იყვნენ: დიასახლისი, მისი უფროსი ვაჟი და სოფლიდან ჩამოსული დისშვილი.

— კიდევ კარგი, ჩემი მეუღლე არაა შინ, თორემ გადაირეოდა, ის ჩემზე უფრო მშიშარაა. არადა, დაწოლას ვაპირებდით...

„საავარიო ბრიგადის“ წევრებმა ოთახები შემოიარეს. რაკი დარწმუნდნენ, სახლში სხვა არავინ იყო, სამივე მობინადრე რამდენიმე წამში პირაკრული და ხელებშეკრული ეყარა იატაკზე.

გარაჟის ფანჯრების გისოსების გადახერხვამ დიდი დრო წაიღო. ძაღლებს უფრთხოდნენ, თორემ უფრო ადრე მორჩებოდნენ საქმეს. ნაშუაღამევს გარაჟიდან სახლში შემავალი კარიც „გაჭიმეს“, დენიც გათიშეს და ახლა სამეული მეორე სართულის კორიდორში იდგა. მათ უკვე იცოდნენ, საიდან უნდა დაეწყოთ და პირველად ბავშვების ოთახს მიაკითხეს — ძიძასა და ბავშვებს პირი აუკრეს, მერე ძიძა რადიატორზე მიაბეს და ბავშვებთან ერთად ცოლ-ქმრის საწოლი ოთახის კარი შეაღეს. როგორც კი ელექტროფარნის შუქი მოხვდა ოლიგარქს, ბალიშის ქვეშ იარაღისკენ წაიღო ხელი, მაგრამ არ აცალეს. ბუინამ საფეთქელთან მიაბჯინა პისტოლეტი და ისე ავისმომასწავებლად გამოსცრა — ფული და ძვირფასეულობაო, თითქოს საყვედურობდა, აქამდე რატომ არ მომიტანეო. ამასობაში დიასახლისსაც გამოეღვიძა და ის იყო, უნდა ეკივლა, რომ ჩიჩომ ჯერ ბალიში ააფარა სახეზე, გულდაღმა გადააბრუნა და ზურგს უკან გაუკრა ხელები.

გაოგნებული ბავშვები ტირილსაც ვეღარ ახერხებდნენ. სახლის პატრონმა ერთი კი სცადა გაბრძოლება, მაგრამ მერე ბედს შეურიგდა და სხვანაირად აჭიკჭიკდა:

— აქ ახალი გადმოსული ვარ. თუ რამე მქონდა, ამ სახლს შევალიე. თანაც ჩემნაირი ხალხი ფულს სახლში არ ინახავს. ჩემი ფული მოძრაობს და რომც მოვინდომო, ნაღდს ვერ მივიღებ, — ხვალის იმედიც გადაუწყვიტა თავდამსხმელებს, — თუ არ გჯერათ, აგერ თქვენ და აგერ — სახლი, გაჩხრიკეთ.

— მაგის დრო არ გვაქვს, ბატონო ნოდარ. თქვენ ახლა გასაღებებს აიღებთ და სამივე სეიფს გაგვიხსნით. თუ სამივე ცარიელი იქნება, აღარ შეგაწუხებთ.

— ვინ გითხრათ, რომ აქ სეიფებია. ვიღაცამ შეგაცდინათ. კი, ბატონო, მაჩვენეთ სეიფები და თანახმა ვარ.

— ეს უკვე კაცური ლაპარაკია. სეიფებს კი გაჩვენებთ, მაგრამ დრო რომ არ დავკარგოთ, ბარემ გასაღებები წამოიღეთ...

ნოდარი მიხვდა, მომხდურებმა ყველაფერი იცოდნენ. როგორც ჩანს, ვიღაცამ გამყიდა, ფიქრობდა გამწარებული მასპინძელი და ახლა იმის იმედიღა ჰქონდა, იქნებ სამივეს ადგილსამყოფელი არ იციანო.

მოტყუვდა. „სტუმრებმა“ უშეცდომოდ დაადეს ხელი საგულდაგულოდ შენიღბულ სეიფების სამალავებს და როცა ნოდარმა ერთხელ კიდევ გადახედა შვილებს, სეიფები გახსნა.

— ა, ბატონო ნოდარ, ასე მშვიდობიანად არ სჯობს საქმის მოგვარება?.. დილით თქვენი ლაქიები მოგაკითხავენ. მანამდე კი უნდა გაიჭირვოთ და პირაკრულები დაელოდოთ მათ მოსვლას, — უთხრა ბუინამ მასპინძელს და ლეიკოპლასტირი ააფარა ბაგეზე. ჩიჩომ ხელები გაუკრა ნოდარს და ისიც სხვებთან ერთად ზურგშექცევით მიაბა რადიატორს.

— დრო რომ არ დავკარგოთ, ვიდრე მე და აჩი გალავანზე ავცოცდებოდეთ, ტიფოს დაურეკე, ჩვენს მისაღებად მოემზადოს, — ჩიჩოს გადაულაპარაკა ბუინამ და არჩილს დაელოდა, ვიდრე ეს უკანასკნელი გარაჟის ფანჯარაში გადაძრომას მოახერხებდა.

— ივანიჩ, ჩემი მობილურის ბატარეა დაჯდა და სიმბარათი იმ ტელეფონში გადავიტანე, მალაციძიდან რომ წამოვიღეთ. მართალია, ზედმეტად დიდი მეჩვენება, მაგრამ ალბათ განსაკუთრებულია. ისე ფულიანი კაცი ამას სახლში არ გააჩერებდა.

— მიდი, მიდი დროზე, თორემ სადაცაა დაგვათენდება...

ჩიჩომ თვალის დახამხამებაში აკრიფა ტიფოს ნომერი და ის იყო, გამოძახების ღილაკს დააჭირა თითი, რომ მობილურმა ტელეფონმა ერთბაშად იგრიალა და კედელს მიანარცხა მისი წაწყვეტილი მარჯვენა.

*P. S. იმავე წამს ჩიჩოს თავს წამოადგა ნოდარის დაცვა. დანარჩენებმა ნადავლიანად გაასწრეს. ეს აფეთქება რომ არა, ნოდარი ამ ამბის გამხმაურებელი არ იყო. ახლა კი იძულებული გახდა, ეღიარებინა, რომ სიდედრის ბინის დაყაჩაღების დროს ბანდიტები საკუთარ ნაღმზე აფეთქდნენ. ექვსი თვის შემდეგ ყველანი დაიჭირეს. მაგრამ როგორც ჩანს, მათ ნაყაჩაღარს არავინ მოსთხოვს, რადგან ოლიგარქის სიდედრი აცხადებს, სახლიდან არაფერი წაუღიათ, ისეთი არაფერი მქონდაო.*

*მალაციძემ კი დიდად გაიხარა, რომ მაინც „აჭამა“ ბანდიტებს — მობილურის ნაცვლად, ასაფეთქებელი ნაღმი შეაჩეჩა. ახლა მან უკვე იცის, რომ მისი დამყაჩაღებლები კარგა ხანს იყურყუტებენ ციხეში.*

**ვაჟა გავაშელი**

# სერბებთან დამეგობრებული ქართველები პარიზში

ქართველებისა და სერბების ბედ-იღბალი, როგორც წვეთი წყალი, ისე ჰგავს ერთმანეთს. ამ ორმა ხალხმა, მთელი თავისი ისტორიის მანძილზე, მრავალი ჭირ-ვარამი გამოიარა და თავისი სისხლითა და ჯვრისმტვირთველობითი ღვაწლით დაადასტურა მართლმადიდებლობისადმი ერთგულება. მეოცე საუკუნის ბოლოს ორივე ხალხი ერთნაირადვე ევნო სარწმუნოების, სახელმწიფოებრივი ერთიანობისა და ეროვნული თვითმყოფადობის დაცვისათვის. დროთა უკუღმართობამ საკუთარ მიწაზე მიჯაჭვული სერბებიცა და ქართველებიც აყარა თავიანთი სამშობლოდან და უმოწყალოდ მიმოფანტა მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში.

გულს გული იცნობს და სარწმუნოების ერთობა სულიერად აახლოებს ერებსა და ადამიანებს: შემთხვევითი არ გახლდათ, რომ ევროპის შუაგულ ცენტრში, საფრანგეთის დედაქალაქ პარიზში, სერბი და ქართველი მართლმადიდებლების გზები გადაიკვეთა და პარიზის სერბულ ეკლესიაში დაიწყო მსახურება ქართველმა სასულიერო პირმა — **გიორგი სხილაძემ**, რომლისთვისაც ამა წლის 27 იანვარი განსაკუთრებული დღესასწაულით დაგვირგვინდა.

როგორც წმინდა ნინოა ქართველთათვის განსაკუთრებული წმინდანი, ასევეა სერბთათვის წმინდა საბა. მათი ხსენების დღე, 27 იანვარი, ერთობლივად იდღესასწაულეს ქართველებმა და სერბებმა. პარიზის წმინდა საბას საკათედრო ტაძარში წმინდა საბას ხატთან ერთად ნანა ფერაძის მიერ შესრულებული ნინოს ხატიც იყო დაბრძანებულიყო.

ამავე დღეს ეპისკოპოსმა ლუკამ ქართველი დიაკონი გიორგი სხილაძე მღვდლად აკურთხა, რასაც მოუთმენლად ელოდა ქართველი მრევლი, რომელიც მის ირგვლივ ჯერ კიდევ გარკვეული ხნის წინ შემოიკრიბა. რადგან საზღვარგარეთ საქართველოს ეკლესიის იურისდიქცია არ მოქმედებს, მრევლმა თხოვნით მიმართა საფრანგეთისა და დასავლეთ ევროპის სერბული ეპარქიის ეპისკოპოსს ლუკას, რომელმაც გადაწყვეტილება სწორედ 27 იანვრისთვის მიიღო.

პარიზის წმინდა საბას სერბული ტაძრის ქართული სამრევლოს სამაუწყებლო პერიოდული გამოცემა: **„საეკლესიო მაცნე“** გვაუწყებს ამ მოვლენის შესახებ:

*„დღეს მოხდა ქართველი დიაკვნის, მამა გიორგის მღვდლად ხელდასხმა. ვილოცოთ და ვუსურვოთ მას, რომ ღირსეულად გასწიოს მღვდლობა. ამჯერად ის დადგენილია წმიდა საბას ტაძარში მესამე მღვდლად“*, — განაცხადა მეუფე ლუკამ.

*„დღეს მსოფლიო მართლმადიდებელ ეკლესიას შეემატა კიდევ ერთი კარგი მოძღვარი. ვუსურვოთ მას, რათა ღირსეულად ეტვირთოს მღვდლობის ჯვარი.*

*სერბებსა და ქართველებს აერთიანებთ ერთი რწმენა, ერთი დედა ეკლესიის სწავლება. დღევანდელი დღეც სიმბოლურია... წმინდა ნინომ და წმინდა საბამ გზა ფართოდ გაუხსნეს სერბებისა და ქართველების სულიერი მეგობრობის განმტკიცებას“*, — განაცხადა ქადაგებისას მღვდელმა იოანე გეორგიევსკიმ.

ღვთისმსახურებას თან ახლდა მგალობელთა გუნდის დიდებული გალობა, რომელსაც ნანა ფერაძე (მამა გიორგის მეუღლე) ხელმძღვანელობს.

წირვის შემდეგ გაიმართა საზეიმო ტრაპეზი, რომელიც, ამ დღის ტრადიციისამებრ, მომზადებული იყო სერბი სულიერი დების მიერ, მაგრამ სიახლეც იგრძნობოდა: სუფრაზე გამოირჩეოდა ეროვნული კერძები, რომლებიც ქართველებმა ჩინებულად მოამზადეს.



დედათა მონასტერში

მეტად სასიხარულოა ის ფაქტი, რომ თანდათან ფართოვდება ქართული მღვდელმსახურების არეალი საფრანგეთში.

9 მარტს, ქალაქ ლიონში პირველად აღესრულა ქართულ ენაზე წირვა-ლოცვა, რომელიც მამა გიორგიმ ჩაატარა. პარიზიდან მას ახლდნენ მგალობლები, რამაც მეტი სულიერი ელფერი შესძინა ლიტურღიას და გული გაუთბო ქართულ ენაზე ლოცვა-გალობას მონატრებულ ლიონში მცხოვრებ ქართველებს.



მღვდლად კურთხევა

ეს დღე იმითაც იყო სასიხარულო, რომ წირვის დასასრულს ქართველმა ახალგაზრდებმა — ზურაბმა და ნინომ ჯვარი დაიწერეს, რომლებიც აღსარებითა და ზიარებით განწმენდილები შეხვდნენ ჯვრისწერის საიდუმლოს...

ის ფაქტი, თუ რამდენად დიდ მნიშვნელობას წარმოადგენს სამშობლოდან გადახვეწილი ქართველებისათვის ერთობლივი სარწმუნოებრივი ცხოვრება და საეკლესიო მსახურება, ნათლად ჩანს იმ მადლიერების გამომხატველი წერილებიდანაც, რომლებსაც ზემოაღნიშნული სასულიერო პრესის ორგანო ბეჭდავს რუბრიკაში „ქართველები უცხოეთში“. ნინო კვერნაძის წერილი ერთგვარი აღსარებაა ადამიანისა, რომელსაც უცხოეთში დედის დაკარგვით სასოწარკვეთილებამდე მისულს, ყოველთა დედამ — ღვთისმშობელმა აპოვნინა სასოება და სიხარული: *„ღმერთის ძალამ სერბულ მართლმადიდებლურ ეკლესიაში მიმიყვანა. წირვა-ლოცვა დაწყებულიყო. თვალები დავხუჭე, მინდოდა მეგრძნო ის სასწაული, რაც იმ დროს ხდებოდა, ისმოდა მგალობელთა ხმები. თითქოს მხოლოდ ერთი მხრიდან კი არა, ყოველი მხრიდან ისმოდა ანგელოზთა გალობა. ვიგრძენი უფლის დიდება: გულში სითბო ჩაიღვარა. თვალი გავახილე და ღვთისმშობლის ხატს შევხედე. თითქოს ჩემი დედიკოს თვალები ჰქონდა და დედობრივად შემომყურებდა. ცრემლები წამომივიდა და მინდოდა ხატს ჩავხუტებოდი, რომელსაც უეცრად „დედა“ დავუძახე. თითებზე ვითვლი დღეებს, საათებს და წამებს კვირიდან კვირამდე ეკლესიაში მისასვლელად, რათა ისევ ვიგრძნო წირვის სასწაული, მესმოდეს გალობა, ვესაუბრო მოძღვარს და მივიღო ნუგეში. ისევ ვტირი, მაგრამ უკვე არა უიმედობის გამო. ვგრძნობ სულიერ ბედნიერებას ეკლესიასთან სიახლოვეში და მსურს უფალს მადლობა შევღაღადო“.*

თამარ დემურიას წერილში კი ის დაუფარავი აღტაცების გრძნობაა გადმოცემული, რასაც ანიჭებს ადამიანს მონასტრული ცხოვრების ღვთივსულიერებისა და ერთმორწმუნე ხალხთან ერთიანობის განცდა:

*„საბედნიეროდ, მამაპაპური, მართლმადიდებლური წირვა-ლოცვის მოსმენის საშუალება გვაქვს უკვე ქართულ ენაზე პარიზის სერბულ საკათედრო ტაძარში — უფლის წყალობითა და მამა გიორგის შუამავლობით. ასევე, სულიერი ძალა შემმატა მონასტერთან ურთიერთობამ. მონასტრული ცხოვრების ნახვა, რაც ძალზე მსურდა და საქართველოში ვერ მოვახერხე, საფრანგეთში მოხერხდა. მამა გიორგის მეუღლემ, სხვა ქართველ გოგონებთან ერთად, მოულოდნელად შემომთავაზა დავარდაკის ფრანგულ მართლმადიდებლურ მონასტერში წასვლა, რომელიც სერბულ ეკლესიას ექვემდებარება. ამგვარად აღმოვჩნდი პირველად მონასტერში რამდენიმე დღით. იღუმენია ელენე თვითონ მობრძანდა ჩვენს დასახვედრად სადგურზე. სულიერ სითბოს არ გვაკლებდნენ მონაზვნები. ენით აუწერელია ის სიხარული, რაც იქ ვიგრძენით... უცხო ენაზე ერთად ლოცვის დროსაც კი, თითქოს უცხო არაფერი იყო. ვხვდებოდი, რომ ჭეშმარიტების ენა ისევე ერთადერთია, როგორც ჭეშმარიტებისკენ მიმავალი ერთადერთი გზა“.*

ამონარიდი **ნანა ფერაძის** პირადი წერილიდან: *„...ვცხოვრობთ ლევილში და როცა აქა ვართ, თავი საფრანგეთში არ გვგონია... მართლაც დალოცვილი ადგილია და ნამდვილად უფლის წყალობაა, რომ აქ ვცხოვრობთ. მამა გიორგი ძალიან ეხმარება აქ მცხოვრებ ემიგრაციის მოხუც წარმომადგენლებს ფიზიკურად და სულიერადაც, რადგან ყველანი ერთმანეთისგან საკმაო დაშორებით მარტო ცხოვრობენ. ერთი სიტყვით, ყოველ საღამოს ჩამოვლაზეა მათთან. შაბათკვირას ლევილში ჩამოსულ სტუმრებს ისე ვხვდებით, როგორც აქაური მასპინძლები...“*

**ზურაბ ქუთათელაძე**



## რას გვეტყვი, მამაო?

**— „მეზობელო კარისაო, სინათლე ხარ თვალისაო“ — ამბობს ხალხური გამონათქვამი. მაგრამ არ მესინათლება ჩემი მეზობელი, ჩამეთვლება თუ არა ეს ცოდვად?**

— თქვენს შეკითხვას პასუხობს ღირსი მამის, თეოფანე დაყუდებულის შეგონება — მეზობლებთან დამოკიდებულებაში მოქმედებს შემდეგი კანონი: „ურთიერთობა იქონიეთ სულიერ თანამოაზრეებთან, ცხონების გზაზე ერთმანეთის დასახმარებლად. ამიტომაც, თუკი მოგიხდებათ განაპირება იმათგან, ვინც მცირედად ფიქრობს ღმერთსა და ცხონებაზე, ამას დიდად ნუ ინაღვლებთ. მათთან ურთიერთობა დაგრჩებათ მხოლოდ ყოფაცხოვრებით საკითხებში...“

**— ჩვენს სამლოცველოში კიდევ ჩამომტვრეული ძველებური ჯვარია აღმართული. შეიძლება თუ არა მასზე ლოცვა?**

— არა. თუკი ჯვრის პირველსახე დარღვეულია (დამტვრეულია ან ჩამოტეხილია), მასზე ლოცვა არ შეიძლება.

**— ჩემი შვილიშვილი ვერაფრით დავარწმუნე, რომ თანამედროვე ესტრადის ზოგიერთი ნიმუში, სადაც ბილწსიტყვაობა და ქუჩური გინებაა ჩართული, უფლის საწინააღმდეგოდ არის მიმართული. ხომ არ არსებობს ამ თემაზე რაიმე საეკლესიო განსაზღვრება?**

— წმინდა იოანე ოქროპირი გვმოძღვრავს: „სადაც ურცხვ სიმღერებს მღერიან, იქ იკრიბებიან დემონები და საპირისპიროდ, სადაც აღევლინება სულიერი გალობა, იქ გადმოდის სულიწმინდის მადლი, რომელიც განწმენდს მგალობლების ბაგეებაც და სულებსაც“.

**— მართლმადიდებლურ ლიტერატურაში ხშირად შემხვედრია განმარტებანი ღირსი და წმინდა მამის შესახებ: „სათნო ბერი“, „ღვთისსათნომყოფელი ამბა“... რა მახასიათებლები განსაზღვრავდნენ მათ სათნოებას?**

— ყველაზე აუცილებელი სათნოებანი, რომელთა გარეშეც ვერავინ ვერ ცხონდება, არის სამი: რწმენა, სასოება და სიყვარული. სწორედ ამ სამი უმთავრესი და საწყისი სათნოებებიდან იშვებიან ყოველი მორწმუნისათვის ცნობილი სათნოებანი: ლოცვა, მარხვა და მოწყალება. ისინი რწმენისაგან აღმოცენდებიან სასოების მეშვეობით, რომელსაც სიყვარული განაცხოველებს და ასე შეიქმნებიან სათნონი ღმერთისათვის.

საქრისტიანო მოამბე

## ჩვენ თვალწინ სხივი ნათლად დაადგა წმინდანის ხატს



რწმენისა და სამშობლოსათვის წამებულ წმინდანთა შორის დიდების შარავანდედით არის მოსილი საქართველოს კათოლიკოსის — ევდემოზის სახელი. იგი მოღვაწეობდა რჯულგანდგომილი როსტომ ხანის მეფობის დროს, რომლის მელისებრი ცბიერი პოლიტიკა ხალხის თვალის ასახვევად, თვით ეკლესიების მშენებლობას და საგანმანათლებლო საქმიანობასაც მოიცავდა, მაგრამ თავისი ჭეშმარიტი არსით ერის გადაჯიშებას ემსახურებოდა.

საქართველოს კათოლიკოსი უშიშრად ამხელდა და ებრძოდა ქვეყნის უმაღლესი ხელისუფლების ანტიეროვნულ ქმედებებს, რასაც საბოლოოდ ემსხვერპლა კიდეც. როსტომ ხანმა საპყრობილეში მოაკვლევინა დაუცხრომელი მამულიშვილი, შემდეგ კი მისი გვამი ნარიყალას ციხიდან გადმოაგდებინა. ცხედარი მორწმუნეებმა ფარულად წამოიღეს და ანჩისხატის ტაძარში დაკრძალეს.

მადლიერი შთამომავლობა ანჩისხატში ყოველ წელიწადს საგანგებოდ აღნიშნავს წამებული კათოლიკოსის ხსენების დღეს, ჩვეულებისამებრ, ჩატარდა პარაკლისი. ტაძრის ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში, საფლავის მიმდებარე კედელზე, პარაკლისის დაწყებისთანავე დაეცა სხივი, რომელიც მალევე გაუჩინარდა, ხოლო ცოტა ხნის შემდეგ სხვა სარკმლიდან გამომავალი სხივი, ტაძრის შუაგულიდან დაძრული, ინაცვლებდა ადგილს, ვიდრე პარაკლისის კულმინაციის ჟამს — ღვთისმშობლის სადიდებლის აღვლენისას — არ მიაღწია ანალოგიას და მაცხოვრის ხატის გვერდით დაბრძანებულ წმინდა ევდემოზის ხატს ზედ არ დაეკონა. ეს იყო საოცრად აამაღელვებელი სურათი. მლოცველთა შორის ერთ-ერთს, რუსთაველ იურისტს ირაკლი წვერავას, აღმოაჩნდა საოჯახო ფოტოაპარატი, რომლითაც ეს ღირსშესანიშნავი მოვლენა დააფიქსირა.

სურათზე, მზით გაბრწყინებულ ანალოგიაზე წმინდა ევდემოზის ხატია გასხივოსნებული.

გულითადი განდობანი

უპასუხო კითხვები

## რატომ გვართმევს რუსული ეკლესია ჩვენს კუთვნილ ადგილს?

თქვენი გაზეთის მეშვეობით შევიტყვე, რომ დიმიტრი როსტოველის წმინდანთა მოსახსენიებლიდან, რუსეთში ახალი რედაქციით გამოცემულ „წმინდა ნინოს ცხოვრებაში“ ამოუღიათ ის ადგილი, სადაც აღნიშნული იყო, რომ „ქართული ეკლესია რუსული ეკლესიის უფროსი დაა“.

საქმეში ჩაუხედავ მკითხველს შეიძლება გაუკვირდეს, თუ რატომ დასჭირდათ რედაქტორებს ასეთი კორექტივების შეტანა და ამიტომ, უნდა განვუმარტოთ მას: იმად, პატივცემულო თანამემულენო, რომ რუსებს დარღვეული აქვს საეკლესიო იერარქიული სუბორდინაცია და კონსტანტინეპოლის, ალექსანდრიის, ანტიოქიის, იერუსალიმის ავტოკეფალიური ეკლესიების შემდეგ თავად აქვთ დასაკუთრებული საქართველოსად რგებული ადგილი, ხოლო საქართველო თვითნებურად ჰყავთ მეექვსე ადგილზე ჩაჩოჩებული. თითქოს ჩვენსა და რუსეთის გაქრისტიანებას შორის მთელი ექვსი საუკუნის შუალედი არ იდოს! იბადება კითხვა: თუკი შუა საუკუნეებში გიორგი მთაწმინდელმა არ დაუთმო ანტიოქიის პატრიარქს ბერძენთა სამოციქულო ეკლესიის უპირატესობა ქართულ ეკლესიაზე, დღეს ჩვენ რაღა დაგვემართა, რომ რუსი მართლმადიდებლებისთვის მათი კუთვნილი ადგილი ვერ მიგვიჩენია ავტოკეფალიურ საეკლესიო იერარქიაში?

**დავით დიდებულიძე**

თვალსაზრისი

## „ვისაც ასხენ თვალი, ხედვიდნენ“...

ამ ბოლო დროს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით გამოცხადებულ იქნა რამდენიმე ჩვენთვის ყველასთვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია საქართველოში მოსალოდნელი სიახლეების შესახებ: 1) მალე შემოვა ახალი ქართული პირადობის მოწმობები და პასპორტები. 2) შეიქმნება ერთიანი საინფორმაციო ბანკი. 3) პენსიების გაცემა მოხდება ბანკებიდან საკრედიტო ბარათების მიხედვით. 4) არჩევნებში ხმის მიცემა მოხდება ელექტრონული ინდივიდუალური ბარათების მიხედვით. ამის ახსნა-განმარტება მოხდა ძალიან უბრალოდ. ახალი პასპორტები და პირადობის მოწმობები საჭიროა იმიტომ, რომ ის უკეთესად არის დაცული გაყალბებისგან. ამის გარანტიაა ის, რომ ახალ მოწმობებს დაჰყვება მაგნიტური ლენტი, რომელშიც შესაძლებელია 200.000 სიტყვის ანუ 1000 ნაბეჭდი გვერდის ტოლფასი ინფორმაციის შეტანა, რომლის წაკითხვა მოხდება კომპიუტერით. წლობით მიუღებელი პენსიების მიღება, რომელიც გამოწვეულია „ცოცხალი“ ფულის მასის დეფიციტით, მოხდება მარტივად — პირდაპირ ჩაირიცხება საკრედიტო ბარათებზე, ასევე გამარტივებული იქნება არჩევნებში ხმის მიცემა. ამაში თავისთავად ცუდი არაფერია, რომ არა ერთი მაგრამ. ყველა ეს ელექტრონული ბარათი თუ პასპორტი კომპიუტერში იკითხება სპეციალური შტრიხკოდით, რომელიც იწყება 666-ით ანუ ანტიქრისტეს ნიშნით. ეს ბარათები არის პირველი ნაბიჯი, მეორე იქნება ის, რომ — გეტყვიან იმისთვის, რომ არ მოგპარონ ან არ დაკარგოთ ეს ბარათები, ყველაფერი ჩაიწერება მინიატურულ მიკროჩიპზე და შეიყვანება კანქვეშ ან მარჯვენა ხელში ანდა შუბლზე, ხოლო თუ რას ნიშნავს ეს, ყველა ჭეშმარიტი მორწმუნისთვის ცნობილია. რაც შეეხება ერთიან საინფორმაციო ბანკს, მას აქვს ერთი მიზანი — მოიცვას ინფორმაცია საქართველოს ყველა მოქალაქეზე, ყველა ადამიანს მიენიჭება ინდივიდუალური საიდენტიფიკაციო ნომერი. შევა ის ამ ბანკში და იქიდან სტრასბურგში არსებულ ცენტრალურ კომპიუტერში, რომელსაც აქვს შესაძლებლობა დაიტიოს ინფორმაცია 6 მილიარდ ადამიანზე. ამას აქვს მხოლოდ ერთი მიზანი — მოაქციოს მსოფლიო მოსახლეობა ერთიან ელექტრონულ საკონცენტრაციო ბანაკში, სადაც გააკონტროლებენ ადამიანის ყველა ნაბიჯს, მის მიერ დახარჯულ თითოეულ კაპიკს, ანუ იქნება ტოტალური მსოფლიო კონტროლი და ყველაფერს მოამზადებენ ანტიქრისტეს მოსვლისთვის. იმედი მაქვს, ის ადამიანები, ვისაც ეკუთვნის და ძალუძს, კიდეც აიმაღლებენ ხმას ამ საკითხთან დაკავშირებით. „ვისაც ასხენ თვალი, ხედვიდნენ, ვისაც ასხენ ყურნი, ისმენდნენ“.

**გიორგი კეჟერაშვილი**

ჩვენი გაზეთის მკითხველს შეუძლია „საოჯახო-მართლმადიდებლური საკითხავი გვერდის“ ნებისმიერი რუბრიკისთვის შემოგვთავაზოს მასალები. ჩვენი საფოსტო ყუთების ადგილმდებარეობა იხ. გვ. 36.



გვერდი მოამზადა ზურაბ ქართველიშვილმა

# კიდევ ერთი, დიდი, ანტისახელმწიფოებრივი აფერა...

ფული გაქვს — კაცი ხარ... დღევანდელი ქართული რეალობის ეს აქსიომა, როგორც ჩანს, ფხიანმა და საზრიანმა ქართველმა ჩინოსნებმა ჯერ კიდევ 10 წლის წინ გაიაზრეს და „კაცობის ამ აუცილებელი ატრიბუტის“ საშოვნელად გვარიანადაც გაისარჯნენ...

„ქართული კუპონი და ქართველ ჩინოსანთა ინტერესები“, — ამ თემაზე ეროვნული ბანკის ყოფილი პრეზიდენტი, პარლამენტარი **ნოდარ ჯავახიშვილი** გვესაუბრება:

— როდესაც დამოუკიდებელ საქართველოს რუსებმა მანეთების მოწოდება შეუწყვიტეს, ხელფასების და პენსიების გაუცემლობამ სერიოზული პრობლემები შექმნა. გამსახურდიას გუნდმა ხელისუფლებაში მოსვლისთანავე დაიწყო ფიქრი ქართული ფულის შემოღებაზე. მაშინდელი ეკონომიკის ზოგიერთ მამას „წიკი“ ჰქონდა, — ფულზე პრეზიდენტი უნდა იყოს გამოსახულიო...

**— ვინ იყო ეს „წიკიანი“?**

— მაშინ ეკონომიკას და ფინანსებს განუსაზღვრელი უფლებებით განკარგავდა ტარიელ გელანტია. ერთხელ, როგორც გამოცდილ ბანკირს, გელანტიამ მკითხა, — არის მსოფლიო ისტორიაში ფაქტი, რომ ფულზე ცოცხალი პრეზიდენტი გამოესახოთო? მაშინვე ვუპასუხე, — ფულზე ცოცხალი მეფის, დედოფლის და იმპერატორის გამოსახვის შემთხვევები ვიცი, ცოცხალ პრეზიდენტზე კი რა მოგახსენოთ-მეთქი. გამსახურდიას ხელისუფლებას არ დასცალდა ქართული ფულის დაბეჭდვა. ახალმა ხელისუფლებამ კი გადაწყვიტა — ჯერჯერობით ფულის სუროგატი — კუპონი შემოეღო.

გადაწყდა, რომ პირველი კუპონი ინგლისში დაბეჭდილიყო. ფინანსთა სამინისტრომ (მინისტრი პოპიაშვილი იყო) და ეროვნულმა ბანკმა (დვალიშვილი) ხელშეკრულება ცნობილ ფირმა „დელარუსთან“ გააფორმა. მაგრამ მალე იძულებულნი გახდნენ, ინგლისელებთან კონტრაქტი გაეუქმებინათ — ინგლისელების დაბეჭდილი კუპონი უხარისხო და ძვირი იყო (კულუარებში ინგლისელებთან კონტრაქტის გაწყვეტის ძირითად მიზეზად ასახელებდნენ ქართველ ჩინოვნიკთა ინტერესებს, ისინი ფრანგული ფულის საბეჭდ ფირმას ლობირებდნენ — ი.რ.). 1993 წლის დასაწყისში გაფორმდა ახალი კონტრაქტი ფრანგულ „შარლ ობერტურთან“. იმავე წლის ოქტომბერში ეროვნული ბანკის პრეზიდენტად დამნიშნეს. ე.ი შეკვეთა ფრანგებთან ჩემამდე გაფორმდა.

**— ეს არც თქვენი საქმეა და არც იმისი, ვინც ეს ინფორმაცია მოგაწოდათ...**



**— ითქვა, რომ ინგლისური და ფრანგული ფირმის მომხრეები დაუპირისპირდნენ ერთმანეთს.**

— ერთ ფაქტს მოგიყვებით... 1993 წლის ნოემბერში, ფულის საშინელი დეფიციტის დროს ფრანგებმა გვაცნობეს, — კუპონებით დატვირთული თვითმფრინავი თბილისში გადმოფრინდაო. აეროპორტში ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტი გავაგზავნე. გვიან ღამით ჩემმა მოადგილემ დავით კომახიძემ დამირეკა, — ფრანგულ თვითმფრინავს კუპონებით დატვირთული ინგლისური თვითმფრინავი მოჰყვაო.

**— ანუ რა ხდებოდა?**

— 2 თვე ვიკვლევდით ამ ამბავს მე და თემურ ბასილია... აღმოჩნდა, რომ მაშინდელმა ვიცე-პრემიერმა ეკონომიკის დარგში ამირან ქადაგიშვილმა არაოფიციალურად, ხელშეკრულების გარეშე შეუკვეთა ფული ინგლისურ ფირმას. ეს ისეთი დანაშაული იყო, ბევრ ქვეყანაში ამის ჩამდენს სიკვდილით დასჯიდნენ. ვიცე-პრემიერს კი არა, ქვეყნის პრეზიდენტს არა აქვს უფლება, ფული შეუკვეთოს.

რაკი „დელარუსმა“ შეკვეთის გარეშე დაბეჭდა ფული და ასეთ გარიგებაზე წავიდა, ცხადია, მას შემკვეთთან ფულადი ინტერესი უნდა ჰქონოდა.

**— რა უქენით „უკანონო“ ფულს?**

— მიმოქცევაში გავუშვი, რადგან ფული ჭირდა, მაგრამ ინგლისელებისთვის 5 წლის მანძილზე კაპიკი არ გადამიხდია (1999 წელს ქართულმა მხარემ მაინც გადაუხადა ინგლისელებს ფული. მავანთა ვარაუდით, ზოგიერთმა ამ ოპერაციით გვარიანად მოითბო ხელი. — ი.რ). ვალი სოლიდური იყო — 1 მლნ 100 ათასი დოლარი... ინგლისელებს ვუთხარი, — მიჩივლეთ სასამართლოში, ამ ფულის გამოყენებისთვის, პროცესს მოიგებთ, მაგრამ აღარც თქვენი ფირმა იარსებებს, ვიტყვი, რომ შეუკვეთავი ფული დაბეჭდეთ-მეთქი. ამის მერე აღარც შემომდავებიან.

**— ფრანგულ ფირმაზე არჩევანის გაკეთებას გარკვეული ჯგუფის ინტერესს მიაწერენ... ითქვა, რომ ქ-ნი ბაგრატიონის მეშვეობით მოხდა „შარლ ობერტურის“ ქართველ თანამშრომელ — შოთა გედევანიშვილთან დაკავშირება.**

— შოთა გედევანიშვილი (საფრანგეთში მიშელ გედედ წოდებული) საფრანგეთის მოქალაქეა. მამამისი ოქტომბრის რევოლუციამდე წავიდა საფრანგეთში და აქეთ აღარც გამოუხედავს. მიშელ გედე პირველად 1993 წელს ჩამოვიდა საქართველოში და აქ თავის ნათესავებს მიაგნო. მიშელ გედე „შარლ ობერტურის“ კომერციული დირექტორია, მას ევალებოდა შეკვეთის მიღება და რა გასაკვირია, რომ ჰქონოდა სურვილი, დახმარებოდა საქართველოს ფულის დაბეჭდვაში. დარწმუნებული ვარ, ინგლისელებთან კავშირის გაწყვეტა იმ ხალხს ეწყინა, ვინც ფულს აკეთებდა. აღშფოთებული ვარ, ამირან ქადაგიშვილი ისე გაუშვეს საქართველოდან, მასზე სისხლის სამართლის საქმეც კი არ აღძრულა.

**— ამბობენ, შოთა გედევანიშვილი ამ საქმეში უანგაროდ არ იყო ჩართულიო.**

— ეს არც თქვენი საქმეა და არც იმისი, ვინც ეს ინფორმაცია მოგაწოდათ. გედევანიშვილს, როგორც ფირმის თანამშრომელს, შეკვეთის განთავსებისთვის შესაძლოა ხელფასიც მიეღო და პრემიაც... ვისი რა საქმეა, შოთა გედევანიშვილის დახმარებით საფრანგეთის ხელისუფლებამ საკუთარ თავზე აიღო ფულის დაბეჭდვის ღირებულების ნახევრის, 2,5 მლნ დოლარის გადახდა (სხვა ვერსიით, ეს იყო კრედიტი და არა საჩუქარი. — ი.რ.). ვიღაცას თუ რაღაცის აგორება უნდა ფულის პირველ პარტიასთან დაკავშირებით, გასაგებია, დვალიშვილის წინააღმდეგ არ იბრძვის. გარდაცვლილებს არ ებრძვიან. გედევანიშვილზე იმიტომ ალაპარაკდნენ, რომ რაღაც მე დამაბრალონ...

P.S. ამ წერილის მიზანი დამნაშავის ძებნა და გამოვლენა ნამდვილად არ არის. უბრალოდ გიამბეთ ქართველთა მიერ განხორციელებულ ერთ დიდ ანტისახელმწიფოებრივ აფერაზე, რომელიც, როგორც სხვა ბევრი, დღეს მიჩუმებულია.

***იზო რიკაძე***




# ოვაცია „ოვაციაში“

ამ ერთი თვის წინ თბილისს განუმეორებელი ბობ მინცერი ესტუმრა. მან კონცერტი გივი გაჩეჩილაძის დიდ-ბენდთან ერთად ჩაატარა და გაოცებული დარჩა ქართველების პროფესიონალიზმით. რადგან ამერიკიდან წინასწარ ნოტების გამოგზავნა ვერ მოასწრო. გივი გაჩეჩილაძემ კი მისი რეპერტუარი ნოტების გარეშე, სმენით ააწყო. სამსაათიანი კონცერტის შემდეგ აღფრთოვანებულმა ბობ მინცერმა ბენდს კონტრაქტი გაუფორმა. ამ კონცერტზე წარმოუდგენელი წარმატება ხვდა წილად უჩა კორძაიას. ის საოცარი გრძნობით უკრავდა. რამდენიმე დღის შემდეგ მას რესტორან „ოვაციაში“ მივაკითხე. ეს რესტორანი ახლა ვირტუოზის სცენადაა ქცეული.

უჩა საქსოფონზე ქართულ სიმღერებს ასრულებდა. შეზარხოშებული მამაკაცები ცდილობდნენ მის მუსიკაზე ემღერათ. უჩასა და მსმენელს შორის ისეთი ჰარმონია სუფევდა, ერთ წუთს დადგმული სპექტაკლი მეგონა... მყუდრო გარემოში, ძალიან პატარა სცენაზე იდგა კაცი, რომელზეც უწინ ხშირად ამბობდნენ, მისგან მსოფლიო დონის ფლეიტისტი დადგებაო. ის მიდიოდა ყოველ მაგიდასთან, ყოველ მსმენელთან, თითქოს ცდილობდა თავისი ჰანგებით ამ ადამიანების გულის სიმებს შეხებოდა. შევისვენებ თორემ დასკდა ფილტვებიო — თქვა როგორც იქნა და მეც მაშინვე დავიმარტოხელე. საუბარზე უჩა უპრობლემოდ დამთანხმდა.

— ეს ექვსი მაგიდა, ეს საოცარი სისუფთავე და მყუდრო გარემო, ჩემთვის ძალიან ბევრს ნიშნავს. საღამოს მოვალ, პირამდე ამივსებს ბარმენი ბოკალს. დავლევ „ძველ თბილისს“, ჩუმად ვიტყვი: გაგვიმარჯოს და ეს ჯადოსნური ღვინო მთელ სხეულში სითბოდ ჩამეღვრება. მერე საქსოფონს დავწვდები და ვუკრავ მანამ, სანამ ჩემს სმენელს არ გავთანგავ ოვაციებისგან. რესტორნის კარს ვინმე რომ შემოაღებს, უკვე ვიცი ვინ არის, რა კაცია, რა უნდა დავუკრა, რომ მას საღამო გავულამაზო. ვიცი მკითხავთ, ზოგჯერ ხომ არის შემთხვევა, როცა უბრალოდ არ გინდა დაკვრაო... ასეთ დროს საქსოფონს სულში ვუძვრები, ისეთი გრძნობით ვუკრავ, ჩემი ტკივილი რომ დავივიწყო. ერთხელ იცით, რა დამემართა? ვერ მივხვდი, რესტორანი როგორ დაიცალა. შუაღამე გადასული იყო, საქსოფონი ძირს რომ დავუშვი და ბართან მჯდარი მომსახურე პერსონალი დავინახე. საოცრად დაღლილები ჩემს მუსიკას ნებდებოდნენ. მიუხედავად იმისა, რომ მათ ყოველ საღამოს ესმით ჩემი საქსოფონის ხმა, მაინც ისე მისმენდნენ, თითქოს პირველად ვუკრავდი. ეს ჩემთვის ყველაზე დიდი აღიარება იყო... მათ ჩემი ჰანგები არ მოსწყინდათ... დილამდე ვუკრავდი მათთვის. მერე ბარმენმა „ძველი თბილისი“ დაგვისხა. ღვინომ მოგონებები ამიშალა, დიდი სცენა გამახსენდა, თაყვანისმცემლების ოვაციები და მივხვდი, რომ ამ პატარა რესტორანმა, მე და ჩემი შემოქმედებაც გადაგვარჩინა... ამის გაცნობიერებამ პასუხისმგებლობა გამიასკეცა იმ ადამიანების მიმართ, რომლებიც ზოგჯერ მხოლოდ იმიტომ მოდიან, რომ ჩემს მუსიკას მოუსმინონ. ერთ ბოთლ ღვინოს აიღებენ და მთელი საღამოს მანძილზე ოვაციებით მავსებენ... ამიტომაც ვცდილობ ხშირად განვაახლო და შევცვალო ჩემი რეპერტუარი. ისე არავინ გავუშვა, კარგი მუსიკის ძალა რომ არ ვაგრძნობინო.

— ჩემთან ერთად ნამდვილი პროფესიონალები უკრავენ — თავი მოიწონა უჩამ — ცნობილი კომპოზიტორის ალექსანდრე შავერზაშვილის შვილი გოგა და გია ხაინდრავა, ცხონებული ჯანო კახიძის უსაყვარლესი მუსიკოსი, სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრის პირველი მევიოლინე. მოგეხსენებათ საქართველოში ისეთი ტენდენციაა, რომ ყველა ამერიკულ მუსიკას უსმენს. ქართველ კაცს



კი ქართული სამზარეულო უყვარს და ქართული მუსიკა. ამიტომ ჩვენ სამმა გავაკეთეთ: ბიძინა კვერნაძის, ლექსო თორაძის და რეზო ლაღიძის სიმღერების პოპური, რაც მსმენელს იმდენად მოსწონს, რომ უცხოურ მუსიკას იშვიათად გვთხოვენ...

კარგი ღვინო და კარგი მუსიკა უცხოელებსაც იზიდავს. სულ ახლახან თბილისში ისრაელიდან იყო ჩამოსული სოსო ბარდანაშვილი, ცნობილი ებრაელი კომპოზიტორი. როკ-ოპერა „რომეო და ჯულიეტას“ ავტორი. მას ჩამოყვანილი ჰყავდა მუსიკოსებიც. ისინი კონტრაქტებს აფორმებდნენ ქართველ მუსიკოსებთან. უჩას რომ მოუსმინეს, აღფრთოვანდნენ, ისრაელშიც მიიწვიეს, თუმცა როგორც უჩამ გამიმხილა: მხოლოდ ერთი კვირით დატოვებს თბილისს, რადგან ეს ქალაქი მისი ოცნების ქალაქია. უჩას მოუსმინეს ფრანგმა გუბერნატორებმა, რომლებიც საქართველოში საქმიანი ვიზიტით იმყოფებოდნენ. მათაც მიიწვიეს საფრანგეთში. უჩას მიწვევა აქვს ავსტრიაშიც; ისეთი შემთხვევაც ყოფილა, როცა მის მოსასმენად ერთი უცხოელი სპეციალურად იტალიიდან ჩამოფრინდა. მაშინ უჩას შემოქმედებითი სიამაყე დაეუფლა. იმ საღამოს ბედნიერი იყო. „ძველი თბილისი“ და დაუვიწყარი ჰანგები აჩუქა თავის იტალიელ ფანს...

ერთ დღეს სევდა მოეძალა ვირტუოზს. მაშინ თბილისში რამდენიმე დღე გადაუღებლად წვიმდა. მთელი საათი იხეტიალა ქუჩებში. გალუმპულმა შეაღო „ოვაციის“ კარი. უჩა მოვიდაო — დაიძახეს აქეთ-იქიდან. პირველი, რაც იგრძნო, იყო საოცარი სითბო, რომელმაც გაყინული სახე მაშინვე აუწითლა. ამღვრეული თვალებით ჩამოჯდა ბართან. ასეთ დროს წამალიაო „ძველი თბილისი“ — ჩასჩურჩულა ბარმენმა — გრძნობებს ამძაფრებს, სულს კი აწყნარებსო... შესვა უჩამ. ვიღაცამ საქსოფონი მიაწოდა. არც კი ახსოვს როგორ შეახო ტუჩები, ჯადოსნურმა ჰანგებმა დაიპყრო ყველა. ასეა ყოველთვის, უჩას საქსოფონი როცა ხმაურობს, სხვები დუმდებიან.. იმ საღამოსაც გული გაუთბო ღვინომ და მუსიკამ. ასეთი საღამოები მრავლადაა შემოქმედის ბიოგრაფიაში.

— ათი წელი „ანსამბლ 75“-თან ერთად გამოვდიოდი. ეს ჩემი ცხოვრების დაუვიწყარი წლებია. მაშინ უამრავმა ადამიანმა გამიცნო. მე ჩემი ფანები მყავდნენ, რომლებიც ახლა აქ მაკითხავენ. მოდიან „ანსამბლ 75“-ის წევრებიც. ჩვენ ერთმანეთი დღემდე გვიყვარს. ხშირად მაკითხავს ბესიკ კალანდაძე. ის ჩემი შვილის ნათლიაა, ასევე რობერტ ბარძიმაშვილი თავის მეუღლესთან ერთად. „ოვაცია“ ელიტარული რესტორანია. აქ უამრავი ცნობილი ადამიანი დადის. მიყვარს, როცა რობიკო სტურუა მოდის. ასეთ დროს საოცარი გრძნობით ვუკრავ, ის კი გარინდებული მისმენს. ვიცი, რომელიმე მის სპექტაკლში განვმეორდები, იქნებ რესტორნის მუსიკოსებზე სპექტაკლიც დადგას.

ამ რესტორანს ერთი დიდი პლუსი აქვს. ძალიან ახლოს ვართ მუსიკოსები ადამიანებთან. ეს გრძნობებს ამძაფრებს. ყველა გეხვეწება, რომ მასთან ერთად დალიო. მაგრამ მე არ ვსვამ. რაც განსაკუთრებით მაშინ მიჭირს, თუ ქუთაისიდან ჩემმა ფანებმა ჩამომაკითხეს. თუ გამოუვალ მდგომარეობაში აღმოვჩნდები, „ძველ თბილისს“ დავლევ ხოლმე, თავს ვუფრთხილდები. მთელი ცხოვრება სპორტს მივსდევ. კრივში ვვარჯიშობ, ველოსიპედით დავდივარ, 49 წლის ვარ. მინდა, რომ სულ ფორმაში ვიყო, არ გავსუქდე. რადგან თუ ჯანმრთელობა არ გიწყობს ხელს, საქსოფონს ვერ დაუკრავ. ეს ჯადოსნური საკრავი კი ჩემთვის ძალიან ბევრს ნიშნავს. უფრო მეტიც, განუყოფელია საქსოფონი და უჩა კორძაია.

უჩა კორძაიამ საქსოფონი პირველად ხელში 1974 წელს აიღო. მაშინ, როცა რობერტ ბარძიმაშვილმა მიიწვია და სთხოვა, საქსოფონზე დაუკარიო. პროფესიონალ ფლეიტისტს, რომელსაც ძალიან დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ, გაუჭირდა გადაწყვეტილების მიღება. მაგრამ მეგობრებმა აიძულეს საქსოფონი აეღო ხელში და მანაც დაკვრა თავისით, დამოუკიდებლად ისწავლა. შეიძლება ჯობდა კიდეც, კლასიკურ მუსიკას რომ გაჰყოლოდა, მაგრამ ასე არ მოხდა. ამის გამო არასდროს უნანია, რადგან ყველაზე დიდი შედეგი, რაც შეიძლება თავდაუზოგავ შრომას მოეტანა მისთვის, ხალხის სიყვარული იქნებოდა, რაც მას ნამდვილად არ აკლია. პირიქით, რესტორანი „ოვაცია“ ვერ იტევს იმ ადამიანების ოვაციებს, რომლებიც უჩა კორძაიას მოსასმენად მოდიან.

15 წელია, რაც რესტორნებში უკრავს. დღემდე ახსოვს და არ განელებია ის განცდა, რაც პირველად დაეუფლა, როცა გადაწყვიტა, რომ რესტორანში უნდა დაეკრა. „ანსამბლი 75“ უკვე დაშლილი იყო. უჩა „ნატვრის ხეში“ რომან რცხილაძესთან უკრავდა, მაგრამ სულ მალე „ნატვრის ხეც“ დაიშალა და ის უმუშევარი დარჩა. მოთხოვნილება, დაეკრა მსმენელისათვის, დაუოკებელი აღმოჩნდა. ამ დროს მიაკითხეს მეგობრებმა, ცნობილმა ჯაზმენმა ოთარ საგანელიძემ და ლავრენტი ჯინჭარაძემ, უნიჭიერესმა ჯაზმენმა, რომელიც ახლა კანადაში ცხოვრობს. მათ შესთავაზეს უჩას — წამოდი, რესტორანში დაუკარიო. უარი მიიღეს, რადგან ვირტუოზისთვის წარმოუდგენელი აღმოჩნდა იმის დაშვება, რომ შეიძლებოდა რესტორნის სცენით დაკმაყოფილებულიყო. მაგრამ უმუშევრობამ თავისი ქნა. უჩა საქსოფონით ხელში რესტორანში წავიდა, ფეხებიც უკანკალებდა და გულსაც ბაგაბუგი გაუდიოდა. მძიმე გამოცდას მაინც გაუძლო და ახლა კმაყოფილია. დამშვიდობებისას მითხრა: ჩემი თავი ფილარმონიაში ვეღარც კი წარმომიდგენია, უკვე ასაკში ვარ, მართებულად აღარ მიმაჩნია კონცერტებზე გამოვდიოდე, ჩემი ფილარმონია ახლა ეს რესტორანიაო.

***ლელა ჭანკოტაძე***

R

CMYK

# რა ხდება ახლა საქართველოში?



ნუთუ ისე დაძაბუნდა პოლიტიკური პატრიარქი შევარდნაძე, რომ კრემლის ახლანდელი უმწიფარი პოლიტიკოსები უკადრებელს აკადრებენ? რა იწვევს მოსკოვის არაადეკვატურობას? რას გადავეკიდეთ საქართველოს? პანკისი მიზეზია თუ შედეგი?

დიდი ჭკუისკოლოფობა არ არის საჭირო, რომ მიხვდე: როცა იმპერია ირღვევა, მოპოვებული სუვერენიტეტით აღფრთოვანებულ ყოფილ კოლონიებს საფიქრალიც უჩნდებათ — ვის ძლიერ მხარს დაეყრდნონ. საქართველოც ამ დღეშია: ომი აფხაზეთში, კორუფცია, რომლის წნეხის ქვეშ მოექცა შევარდნაძე, ოლიგარქთა აღვირახსნილობა, ენერგეტიკული და ეკონომიკური კრიზისი, მწირი სახელმწიფო ბიუჯეტი, შვიდდოლარიანი პენსიები, თხუთმეტდოლარიანი ხელფასები... აღარსად ჩანს საერთაშორისო სავალუტო ფონდის დაპირებული ეკონომიკური საოცრებაც. ოდესღაც ხილით, ჩაითა და ღვინით ცნობილი ქვეყანა ახლა ჩაის თურქეთისგან ყიდულობს, ხილის წვენსა და ღვინოს — რუსეთისა და მოლდავეთისგან.

ვინ შეეხიდება საქართველოს? ერთი მხრივ, თითქოს პასუხი ნათელია — რუსეთი, მეზობელი, რომელიც მართალია, აფხაზეთის ომში გაერია, მაგრამ კულტურით, ისტორიულად და საქმიანი ურთიერთობებით მაინც ახლობელია — თითქმის მილიონ-ნახევარი ქართველი რუსეთში მუშაობს...

რუსეთს უნდოდა საქართველოსთან კარგი ურთიერთობა, მაგრამ საკუთარი პრობლემები წამოგვეწია: ომი ჩეჩნეთში, ანარქია ხელისუფლებაში, სპეცსამსახურების დაბალი ინტელექტუალური დონე, სამხრეთ კავკასიაზე სამხედრო კონტროლის ილუზია, დსთ-ში საერთო დიპლომატიის კრახი, უნიათობა...

ამ დავიდარაბით ისარგებლეს ამერიკელებმა. საქართველოში მათ სტრატეგიული ინტერესები გაუჩნდათ და მიადგნენ კიდეც კარს დიდი ფულითა და გეგმებით. პენტაგონმა საქართველოს 64 მლნ დოლარი გამოუყო. ოფიციალურად ეს სამხედრო დახმარება ქართული არმიის ანტიტერორისტული ბრძოლისთვის მოსამზადებლად იყო გამიზნული, სინამდვილეში კი ამ ინვესტიციებს რეგიონში ამერიკის ბიზნეს-ინტერესები უნდა დაეცვა, კერძოდ კი ნავთობისა. საქართველოს არასტაბილურობა ხელს უშლის აშშ-ისა და დასავლეთის კოალიციას ოპეკთან გლობალურ ბრძოლაში, რადგან აქ მთავარი როლი ახლა კასპიისპირა რეგიონს ეკუთვნის. პირველი ნაბიჯი გადადგმულია — დაიწყო ნავთობსადენის — ბაქო-ჯეიჰანის მშენებლობა, სადაც საქართველომ მიიღო ნავთობსადენის კუთვნილი წილი და მისი დაცვის პასუხისმგებლობაც იკისრა, რათა არ მოხდეს ის, რაც ჩეჩნეთში მოხდა — იქ არაერთმა ავტომატიანმა დაცხრილა ნავთობის მილი საკუთარი მინისაწარმოს გასამართავად. დემორალიზებული რუსული არმია კი, დაცვის ნაცვლად, აქტიურად ჩაება ნავთობის არარეგულარულ ბიზნესში და სწორედ ის ხდება კრიმინალის ერთ-ერთი რგოლი...

რატომ აიტკივა აუტკივარი თავი ვაშინგტონმა? შეუძლებელია ეს წინასწარ არ განესაზღვრა ამერიკას, ამიტომაც შემუშავდა პენტაგონის „ანტიტერორისტული“ დახმარების პროგრამა საქართველოს ჯარისათვის, რომლის უპირველესი მიზანია ნავთობსადენის მაღალკვალიფიციურად დაცვა ანუ ბანდიტებთან, ტერორისტებთან, სეპარატიზმთან, ნარკომაფიასთან და ა.შ. ბრძოლა. კრემლი აღშფოთდა, დაიფრქვა მილიტარისტული რიტორიკა, პანკისი მიზეზად გამოცხადდა... მაგრამ ხელების ქნევა გვიანღა იყო და... რუსეთმა კვლავ მიიღო დამამშვიდებელ-დამამცირებელი ფურთხი — ხუთი ექსტრადირებული „ჩეჩენი ბოევიკი“ (ამერიკელები ანერვიულდნენ, რუსებმა ნავთობსადენს არაფერი დაუშავონო და შევარდნაძეს „ურჩიეს“, ეს ნაბიჯი გადაედგა).

საქართველოში ვინც აქამდე შევარდნაძის წინააღმდეგ ილაშქრებდა, ახლა მის გვერდით დადგა. ის ისევ პატრიარქია და ანტიიმპერიული ბრძოლის წამებული. ოპოზიციონერებმა მგონი, დროებით მას მთავარი უბედურება — კორუფციაც აპატიეს. კორუფციასთან ბრძოლის მამამთავრად აღიარებული ზურაბ ჟვანიაც კი, რომელსაც შევარდნაძის სიყვარულს ვერავინ დააბრალებს, აკრიტიკებს თავის პრეზიდენტს, მაგრამ გულით მასთანაა. შევარდნაძეს ემხრობიან დანარჩენი წამყვანი პოლიტიკოსებიც.

ქართულ პოლიტიკურ ელიტას რუსეთისა არ სჯერა. ეს რუსეთის ბრალია. როდის გაიმარჯვებს რუსეთში გონიერება?

ჟვანიას აზრით, აუცილებელია რაციონალურ და პრაგმატულ პოლიტიკოს მასხადოვთან მოლაპარაკება, მიაჩნია, რომ საქართველოს არა აქვს უფლება, პანკისში მეორე ჩეჩნეთის ომი გააჩაღოს „რუსული რეცეპტით“.

საქართველოში პრორუსულად განწყობილ პოლიტიკოსთა ნაწილი თვლის, რომ შევარდნაძემ პუტინს მეტი უნდა დაუთმოს.

რუსეთმა საქართველოში ერთი პრორუსულად მოაზროვნე სერიოზული პოლიტიკოსიც კი ვერ გამოზარდა.

ასე დავკარგეთ ყველაფერი. ჯერ რუსეთის დაზვერვამ და დიპლომატიამ დაუშვა სერიოზული შეცდომები და საქართველოში რეალური პოზიციები დაკარგა; სამხედროებმა ეპოლეტების გადასარჩენად შეცდომები სხვებს გადააბრალეს; პუტინმა ვიწრო გეოპოლიტიკური აზროვნება გამოიჩინა, შევარდნაძეს წაეჩხუბა და ქვეყნები ომის პირას მიიყვანა. ამასობაში ამერიკულმა დაზვერვამ საბოლოოდ აჯობა რუსეთისას და წაგებულებს ნერვებმა უმტყუნათ, თუმცა ამის უფლება არ ჰქონდათ, იმიტომ, რომ ნავთობზე (ირანთან ომის გაჩაღებასთან დაკავშირებით) მოსალოდნელი ფასების დაცემა და მსოფლიოს გარდაუვალი გეოპოლიტიკური გადანაწილება სულ უფრო ნაკლებ შანსს უტოვებს რუსეთს, რომ ვინმეს მისი თანადგომა მოესურვოს.

***ანა პოლიტკოვსკაია***
***ნოვაია გაზეტა №80***

# ჩვენ საქართველოს კონფედერაციაში შესვლა გვინდა!

## ექსკლუზიური ინტერვიუ ჩეჩნეთის ყოფილ ვიცე-პრეზიდენტთან საიდ-ჰასან აბუმუსლიმოვთან



პუტინის დამპყრობლური პოლიტიკის ხანაში დავაჟკაცდნენ და გახდნენ ისეთები, როგორებიც დღეს არიან. მათ ამ აქციით ნამდვილად ომის დამთავრება და ჩეჩნების წამების დასრულება უნდოდათ. ისინი მძევლებს ნამდვილად არ დახოცავდნენ.

**— პუტინი ამ სისხლიანი დრამის შემდეგ რუსეთის გმირად აღიარეს...**

— პუტინისთვის უცხოა სულგრძელობა, იგი რუსული იმპერიული პოლიტიკის გამტარებელია.

**— ამ აქციის ხელმძღვანელი მართლა ასლან მასხადოვი იყო?**

— მოსკოვში მძევლების აყვანა ჩეჩენი ხალხის სასოწარკვეთილების გამოვლინებაა, რომელსაც ამ აქციით მსოფლიო საზოგადოებრიობის ყურადღების მიპყრობა უნდოდა. ჯერ კიდევ შარშან აფრთხილებდა პრეზიდენტი მასხადოვი რუსეთს, თუ რა სავალალო შედეგები შეიძლებოდა მოჰყოლოდა ომის გაგრძელებას. ბევრჯერ სთხოვა რუსეთის მთავრობას მოლაპარაკების დაწყება, მაგრამ კრემლი უარზე იდგა. ამან მთელი ჩეჩენი ერი სასოწარკვეთილებაში ჩააგდო და ეს ბიჭებიც, როგორც მასხადოვი წინასწარმეტყველებდა, ამ გრძნობამ ჩაიყვანა რუსეთში. ჩეჩენ ხალხს წართმეული აქვს მთავარი უფლება — სიცოცხლის უფლება.

**— რას ნიშნავს მოსკოვში მძევლების აყვანის სისხლიანი ფინალი ჩეჩნეთის დამოუკიდებლობისათვის მებრძოლთათვის?**

— ეს იყო რუსი დამპყრობლების წინააღმდეგ ბრძოლის ერთი ეპიზოდი. ჩეჩნები სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იბრძოლებენ და თავისუფლებას მაინც მიაღწევენ. დღეს ამ საკითხის პოლიტიკური გზით გადაწყვეტის შანსი არ არის. ამ აქციის ტრაგიკულმა ფინალმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რა სიბრიყვესთან გვაქვს საქმე. რუსეთი აგერ უკვე ორ საუკუნეზე მეტია ებრძვის ჩეჩნეთს, ხოცავს და ანადგურებს მარტო მებრძოლებს კი არა, მშვიდობიან მოსახლეობას. ისტორიიდან დასკვნების გამოტანის უნარი დაკარგული აქვს.

**— თქვენთვის ტერორი პოლიტიკური საშუალება არის?**

— პირადად მე მძევლების აყვანას პოლიტიკურ საშუალებად არ ვთვლი. მაგრამ ისინი, ვინც მოსკოვის თეატრში შეიჭრნენ, ახალგაზრდები იყვნენ. ახალგაზრდები, რომლებიც

**— კონფლიქტის მოგვარების გზას თუ ხედავთ?**

— მხოლოდ რუსეთთან მოლაპარაკება გადაწყვეტს ამ საკითხს. დამოუკიდებელი ჩეჩნეთი ძალიან ეცდება, რომ საქართველოს კონფედერაციაში შევიდეს და მერე საქართველოსთან ერთად ნატოსა და ევროგაერთიანებისკენ მიმავალი გზები ეძებოს. ცნობილია, რომ შევარდნაძის მთავრობის მთავარი მიზანიც ნატოში შესვლაა.

***დი ველტი***

# უსიამოვნების მოლოდინში

ორი ყოფილი საბჭოთა კავკასიური რესპუბლიკა, საქართველო და აზერბაიჯანი, დიდი ხანია ორცეცხლშუაა მოქცეული რუსეთის მიერ მეზობელ ჩეჩნეთში გაჩაღებული ომის გამო. ამ სახელმწიფოებს მოუწევთ მკაცრი ზომების მიღება მათ ტერიტორიაზე მცხოვრები ჩეჩნების მიმართ. როგორც ეტყობა, ადგილობრივი ჩინოვნიკები მოსკოვის მოთაფვლას და რუსეთის მოსალოდნელი მოთხოვნების დაკმაყოფილებას აპირებენ. კავკასიის ლიდერებმა აღშფოთება გამოთქვეს ტერაქტის გამო, ხოლო შეტევის შემდეგ მიუსამძიმრეს რუსებს.

მძევლების გათავისუფლების ოპერაციამ ერთი სრულიად მოულოდნელი ამბავი გამოავლინა — დსთ-ის ქვეყნების ოფიციალურ წარმომადგენლებს ნაცნობ-მეგობრები აღმოაჩნდათ... ტერორისტთა შორის. სწორედ ამ გზით მოხდა ზოგიერთი მძევლის გათავისუფლება. სანდო წყაროები იტყობინებიან, ტერორისტებთან მოლაპარაკება პირველმა ქართველმა დიპლომატებმა შეძლეს, რომლებმაც თითქოსდა დანაღმული შენობიდან თავისი სამი მოქალაქე გაიყვანეს. საქართველოს საელჩომ ოფიციალურად უარყო ეს ინფორმაცია და მას „პროვოკაციული“ უწოდა.



აზერბაიჯანელი მძევლები

აზერბაიჯანელი დიპლომატები, რომლებმაც პირველი წუთიდანვე იცოდნენ ტერორისტთა მობილური ტელეფონების ნომრები, არ უარყოფენ იმ ფაქტს, რომ დაითანხმეს ტერორისტები თავიანთი 4 მოქალაქის იერიშამდე გამოშვებაზე. ოთხივე მდიდარი და ცნობილი ოჯახების წევრი აღმოჩნდა, მათ შორისაა სახელმწიფო ავიაკომპანიის მეთაურის ცოლი. დარბაზში მყოფი კიდევ ერთი აზერბაიჯანელი ქალი არავის გახსენებია. ის ამჟამად საავადმყოფოში წევს. აზერბაიჯანში ჩეჩნეთის წარმომადგენელი ალი ასაევი წარამარა უკავშირდებოდა ტელეფონით ბოევიკებს, ინტერვიუს აძლევდა ადგილობრივ ჟურნალისტებს. აზერბაიჯანელი მძევლების განთავისუფლება ეტყობა, ასაევისა და აზერბაიჯანის მთავრობის ზეწოლით მოხდა. ასაევის პრესმდივანი ამბობს, რომ იგი ერთ-ერთი მათგანია, ვინც იერიშამდე ესაუბრა ტერორისტების მეთაურს მოვსარ ბარაევს.

აზერბაიჯანი და საქართველო დიდი ხანია ცდილობენ დაამყარონ ურთიერთობა როგორც რუსეთთან, ასევე მის მოსაზღვრე სეპარატისტულ რესპუბლიკასთან. რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმირ პუტინი აპირებს სეპარატისტების მიმართ გადამწყვეტი ზომების მიღებას და ორივე სახელმწიფო შიშით ელის მოსკოვის შემდგომ ნაბიჯებს.

ჯერჯერობით, სეპარატისტებთან ბრძოლა კავკასიის ქედს იქით არ გადასულა, მაგრამ მოსკოვის მიერ გატარებული ანტიტერორისტული კამპანიის ცენტრი ახლა შეიძლება საქართველოში პანკისის ხეობა გახდეს. კრემლი ამტკიცებს, რომ რუსეთის ტერიტორიაზე ჩასატარებელ ოპერაციებს ტერორისტები სწორედ იქ ამზადებენ.

მოსკოვმა შეიძლება თბილისს მოსთხოვოს თავის ტერიტორიაზე უფრო ეფექტიანად იმოქმედოს ტერორისტების წინააღმდეგ.

***ფაინენშლ ტაიმსი***

# დრო კი მიდის...

მთელი ცივილიზებული სამყარო აღაშფოთა მოსკოვში მომხდარმა ტერორისტულმა აქტმა და თანადგომა გამოუცხადა რუსეთს ტერორიზმთან ბრძოლაში. დსთ-ის ქვეყნების მეთაურებმა ზოგმა სიტყვით, ზოგმა საქმითაც, დაამტკიცა რუსეთისადმი ერთგულება. მაგალითად, აზერბაიჯანმა პოლიტიკური სიბრძნე გამოიჩინა და მაშინვე მიხურა „იჩქერიის წარმომადგენლობა“. გაზეთები ჩეჩნური სკოლის დახურვასაც იტყობინებიან.

ამ ფაქტის კომენტირებისას პოლიტოლოგმა რასიმ მუსაბეკოვმა აღნიშნა, რომ ეს რუსეთის მხარის დაჟინებული მოთხოვნის საპასუხოდ მოხდა. მაგრამ გაავლო რა პარალელი ჩეჩნეთის და ყარაბაღის პრობლემებს შორის, ექსპერტი თვლის და აზერბაიჯანის მთავრობაც იმედოვნებს, რომ რუსეთი დახურავს ყარაბაღის წარმომადგენლობას მოსკოვში.

მაგრამ თბილისში ე.წ. „ჩეჩნეთის რესპუბლიკის იჩქერიის წარმომადგენლობის“ დახურვას არ აპირებენ. მისი უცვლელი ხელმძღვანელი ხიზრი ალდამოვი წარმატებით განაგრძობს მოღვაწეობას. „იჩქერიის წარმომადგენლობას“ საქართველოში ოფიციალური რეგისტრაცია, და აქედან გამომდინარე, იურიდიული სტატუსიც არ გააჩნია და სწორედ ამას იმიზეზებს საქართველოს ხელმძღვანელობა, როდესაც ამბობს, — რა დავხუროთ, რაც არ არსებობსო. ჩვენთან დემოკრატია და სიტყვის თავისუფლებაა, ვისაც რაც უნდა იმას დაირქმევს, ალდამოვის საქმეებზე პასუხს არ ვაგებთო.

მაგრამ, ყველასათვის ნათელია, რომ იჩქერიის წარმომადგენლობა ფაქტობრივად არსებობს და მოქმედებს. ის, რომ მისი მოღვაწეობა ანტირუსული მიმართულებისაა (ყოველმხრივი დახმარება არა მარტო ლტოლვილების, არამედ ბოევიკებისაც, რომლებიც პანკისის ხეობასა და საქართველოს სხვა რაიონებში არიან), აშკარაა. თბილისელ მაღალჩინოსნებს ბატონი ალდამოვი ელაპარაკება არა როგორც კერძო პირი, არამედ ჩეჩნეთის სახელით, თუმცა ჩეჩნეთის რესპუბლიკას და მის ხალხს იგი ასეთი უფლებებით არ აღუჭურავს. მხოლოდ გულუბრყვილო დაიჯერებს, რომ საქართველოს მთავრობას არ ძალუძს „იჩქერიის წარმომადგენლობის“ დახურვა. გამოდის, რომ ედუარდ შევარდნაძეს პოლიტიკური ალღო ღალატობს, ტყუილად ამბობენ, დროის განსაკუთრებული შეგრძნება აქვსო — ეტყობა, — არა, დრო კი გადის.

საქართველოს „ტრადიციონალისტთა“ ფრაქციის ლიდერმა აკაკი ასათიანმა ასეთი შეფასება მისცა მოვლენებს: „რუსეთი უნდა დაფიქრდეს და თავის თავში ეძებოს იმ შემაშფოთებელი ფაქტების მიზეზები, რომელიც მოსკოვში მოხდა“.

თბილისში დიდი აღშფოთება გამოიწვია რუსეთის მედიის მიერ გავრცელებულმა ცნობამ, რომ თითქოს ტერორისტებმა პირველ რიგში, საქართველოს მოქალაქეები გაათავისუფლეს. თავდაცვისა და უშიშროების საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარემ ირაკლი ბათიაშვილმა განაცხადა — ჟურნალისტებმა და პოლიტიკოსებმა ეს საზარელი ტრაგედიაც სპეკულაციური მიზნებისათვის გამოიყენესო. ედუარდ შევარდნაძემ კი პუტინთან სატელეფონო საუბრის შემდეგ აღნიშნა: „დავრწმუნდი იმაში, რომ რუსეთის ხელისუფლებას სხვა გამოსავალი არ ჰქონდა“.

***რუსული პრესის მიხედვით***

# როდის დაიწყება შეტევა „შავებზე“?

მიუზიკლ „ნორდ-ოსტის“ მაყურებლების ტყვედ აყვანის შემდეგ, ცხადი გახდა, რომ ეს ტერაქტი ეროვნებათაშორის კონფლიქტს გამოიწვევდა არა მარტო მოსკოვში, არამედ მთელ რუსეთში. ასეც მოხდა.

შენობის დაკავებისთანავე ბრბოში ნაციონალისტური მოწოდებები გაისმა. პირველი ცნობა კავკასიელის ცემის შესახებ 24 ოქტომბერს გავრცელდა, 25 ოქტომბერს, დღისით „პეტროვსკო-რაზუმოვსკის“ მეტროს სადგურთან ახალგაზრდების ჯგუფმა სასტიკად სცემა „კავკასიური გარეგნობის“ მამაკაცი. საპრუნოვის ქუჩაზე, №12 სახლთან კი მოზარდებმა 15 წლის ქართველი სცემეს და დანით დაჭრეს. სიტუაცია იმდენად გამწვავდა, რომ პუტინმა სასწრაფო თათბირი მოიწვია, შს მინისტრს ბორის გრიზლოვს და გფბ-ს დირექტორს ნიკოლაი პატრუშევს დაავალა ასეთი აღმაშფოთებელი შემთხვევების შესწავლა.

მილიციის ცნობით, მსგავსი შემთხვევები ქალაქში აღარ დაფიქსირებულა, ხოლო ჩხუბი კავკასიელთა მონაწილეობით „არავითარ კავშირში არ არის მძევლების აყვანასთან“. თუმცა მილიციელები მაინც არ გამორიცხავენ ახალგაზრდების ნაციონალისტურ გამოხდომებს.

მოსკოვის რაიონებში დაიწყო ყველა „არარეგისტრირებული პირის“ დეპორტირება, განსაკუთრებით ისინჯება სამშენებლო ფირმები, სადაც დროებით სამუშაოზე რუსეთის რეგიონებიდან და დსთ-ის ქვეყნების წარმომადგენლებს რეგისტრაციის გარეშე იღებენ. 1-ელი ნოემბრიდან რუსეთის ფედერაციაში უცხოელ მოქალაქეთა მოწვევის უფლებამოსილება, ადგილობრივი თვითმმართველობის და იურიდიული პირების შუამდგომლობის შემდეგ, შინაგან საქმეთა სამინისტროს გამგებლობაში გადავიდა. მოსკოვის ცენტრში გაქრა კავკასიელების კუთვნილი ყველა სავაჭრო ჯიხური.

არაოფიციალური ცნობით, ნაციონალიზმის გამოვლენა მოსკოვში მაინც მოსალოდნელია. აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს საელჩოებს იმედი აქვთ, რომ ეს საშინელება არ მოხდება:

**ფარჰათ აგამალიევი, აზერბაიჯანის საელჩოს პრესმდივანი:** „დიდი იმედი გვაქვს, რომ საღი აზრი გაიმარჯვებს და აგრესიულობის ამოფრქვევა არ მოხდება. რუსების საღი აზროვნების იმედი მაქვს“.

**ვახტანგ აგანაშვილი, საქართველოს საელჩოს პრესსამსახურის ხელმძღვანელი:** „ქართველი და რფ-ის მძევლები იზიარებდნენ საერთო ბედს და ყველანი ერთ ღმერთს ევედრებოდნენ, რომ ყველაფერი მშვიდობიანად დამთავრებულიყო.“

**გაგიკ საჰაკიანი, სომხეთის ელჩის თანაშემწე:** „კავკასიური ნაციონალობის პირები“ — ამ ტერმინის შემოღებისთანავე კასტრირებული იქნა რუსეთის პრესის ანალიტიკურობა, სწორედ ამის შემდეგ დაიწყო პრობლემები. თუ ასე გაგრძელდება, რუსეთს ბევრ სხვასთანაც მოუხდება დაპირისპირება...“

***ნეზავისიმაია №231***

CMYK



ძვირფასო მშობლებო და ჩვენო პატარებო!
კვლავ მივიღეთ თქვენი წერილები. გმადლობთ, რომ ასე აქტიურად გვეხმიანებით და მოგწონთ თქვენი გვერდი. თითოეულ ბარათს ვინახავთ და შევეცდებით, მათ შორის საუკეთესოები მომდევნო ნომრებში შემოგთავაზოთ.

## პატარები ბრძნობენ

**4 წლის ავთო ლაბაძე** უსმენს დიდების საუბარს. ნეტავ, მილიონი დოლარი მოგვცა, — ინატრა დედამ...
— დედიკო, მილიონი ბევრია?
— ძალიან ბევრი, — პასუხობს დედა.
— მოდი, ვიყიდოთ! — შესთავაზა ავთომ.

***

**2 წლის მარიამ გუჯაბიძეს** ბებო სთხოვს:
— ჩავიდეთ ეზოში, დილით სუფთა ჰაერზე ვისეირნოთ.
— არა, ბებო, ცივნეულია (ე.ი. სიცივეაო), — პასუხობს გოგონა.

***

ბაბუასთან ორთოპედ-სტომატოლოგი მივიდა და კბილების პროთეზი ჩაუსვა. ეს შეუმჩნეველი არ დარჩენია **5 წლის ელენე ქემოკლიძეს**. მეორე დღეს ექიმი კვლავ მივიდა. სტუმარს კარი ელენემ გაუღო და მამას მიუბრუნდა, — მამა, ის ბიძია მოვიდა, გუშინ ბაბუს კბილები რომ აჭამა.

***

**2 წლის თინათინ დევიძეს** დედამ უთხრა: — საჭმელი ჭამეო, მან კი უარის ნიშნად წაიწუწუნა, — აუუ.
დედა გაუბრაზდა, — ეს როგორ მითხარიო.
— გოგონამ, თავი რომ გამოეყვანა, ზურგი შეიბრუნა და აღიღინდა — იაუაო, უაო, იაუაო...

***

**2,8 წლის ლუკა ბოლქვაძე** თავისზე უფროსმა მეზობლის გოგონამ დაბადების დღეზე დაპატიჟა. შინ დაბრუნებულს ქეთინო ბებომ ჰკითხა:
— ლუკა, სად იყავი?
— სოფოს მაკდონალდზე.


# უკვე გამოვიდა!
# ბავშვებო და მშობლებო!



ერთი წიგნი-ზღაპარი
1 ლარი და 20 თეთრი ღირს
„კვირის პალიტრა“ გთავაზობთ საუკეთესო ქართულ და უცხოურ ზღაპრებს, ფერადი ილუსტრაციებითა და გასაფერადებლებით
ზღაპრების შეძენა შეგიძლიათ წიგნების მაღაზიებსა და პრესის გავრცელების ჯიხურებში


**I**



იპოვე ორი ერთნაირი თაგვი

**II** ანა, გამოიცანი

**1. რომელი მცენარისგან ამზადებენ თოკს?**
ა) ბამბუკისგან; ბ) კვიპაროსისგან; გ) არყის ხისგან; დ) კანაფისგან.

**2. რით არ შეიძლება ხატვა?**
ა) აკვარელით; ბ) თიხით; გ) გუაშით; დ) ფლომასტერით.

**3. რა ჰქვია ქარის მიმართულების მაჩვენებელ ხელსაწყოს?**
ა) კომპასი; ბ) ბარომეტრი; გ) ფლუგერი; დ) იალქანი.

**4. საქართველოს რომელი კუთხის ქალაქია ოზურგეთი?**
ა) სამეგრელოს; ბ) გურიის; გ) კახეთის; დ) აჭარის.

**III** რებუსი





შეიტანე კროსვორდის ბადის ცარიელ უჯრებში ნახატის შემადგენელი გამოსახულებების სახელწოდებები ვერტიკალურად და ყვითელი ფერის ჰორიზონტალურ რიგში მიიღებთ ცნობილი ფრაზიდან გამოტოვებულ სიტყვას: „... შობილი წარსულისაგან, არის მშობელი მომავალისა“

**IV**



მოუძებნე ყველას თავისი მეორე ნახევარი და გააფერადე





რომელი გზით მიხვალ გამოქვაბულამდე?



მოძებნე განსხვავებული თევზი

**V** გამოცანა

სიცივეში კი გაგათბობ,
მაგრამ მჩვევია ზიანიც,
ჩემთან ხუმრობას უფრთხილდი,
არა ვარ თავაზიანი.

| ეპოქა, ხანა | კატა კნავის, ძროხა ბღავის, მამალი ... | მშიშარა, მხდალი | მუსლიმანთა უდიდესი დღესასწაული | კაპასი, ანჩხლი დედაკაცი |
|---|---|---|---|---|

| სადამ ჰუსეინის სამშობლო | მდინარე პოლონეთში | ქართული მხატვრული ფილმი გოგი ქავთარაძის მონაწილეობით | სახელმწიფო ევროპაში | რისამე დაბრალება, ცილისწამება |
|---|---|---|---|---|

ძვირფასო მშობლებო! გთხოვთ „კვირის პალიტრის“ ყუთების საშუალებით გამოგვიგზავნოთ თქვენი პატარების ბრძნული გამონათქვამები და კურიოზული ამბები. ჩვენ კი მათ გამოქვეყნებას გპირდებით. გთხოვთ, მიუთითოთ რუბრიკა „საბალღო-სალაღო“

პასუხები იხილეთ 31-ე გვერდზე

გვერდი მოამზადა მამუკა ხუციშვილმა

CMYK

# ანსამბლ „მთიებზე“, ედიშერ გარაყანიძეზე, გივი ზალდასტანიშვილზე და ინგლისში ძმადგაფიცულ აფხაზსა და სვანზე

როცა „მთიები“ კონცერტს მართავს, სცენაზე ყველაფერი ნამდვილია — ტაბლაც, ღობეც, თივაც, ხილიც, ჩურჩხელაც, პურიც, ღვინოც... სხვადასხვა კუთხის სიმღერის თუ ცეკვის შესრულებისას, თითქოს სხვადასხვა ნიავი შემოუბერავს და შენ თვალწინ მთელი საქართველო ცოცხლდება და გრძნობ, როგორ დაჰყვები ულამაზეს ჰანგებს დასავლეთით თუ აღმოსავლეთით, მთასა თუ ბარში... თქვენ წარმოიდგინეთ, რა გრძნობებს აღუძრავს უცხოეთში გასტროლებისას „მთიების“ ცეკვა-სიმღერა საქართველოდან გადახვეწილ ემიგრანტებს... ემოციებს ვერ მალავენ, ცრემლებად იღვრებიან, თითო სიმღერას ათასჯერ ამეორებინებენ, კონცერტის შემდეგ მათთან ერთად მიირთმევენ ქარვისფერ რქაწითელს, დედას პურს თუ გუდის ყველს და იგონებენ, გაუთავებლად იგონებენ საქართველოში გატარებულ თითოეულ წუთს...



„მთიების“ ერთ-ერთი პირველი და უცვლელი წევრის **კობა ხუციშვილის** მონათხრობი გვინდა შემოგთავაზოთ...

## როგორ დაამკვიდრა აუთენტური სტილი „მთიებმა“

1980 წელს ედიშერ გარაყანიძეს მეგობრები — კობა ხუციშვილი, ზურაბ თევზაძე და მერაბ თოფურია შეუკრებია და რამდენიმე ხალხური სიმღერის შესრულება შეუთავაზებია... ბიჭები ისე გაიტაცა რეპეტიციებმა და ძიების პროცესმა, რომ მალე, ანსამბლად ჩამოყალიბების სურვილი გაუჩნდათ... ქართულ სასიმღერო ფოლკლორში ორი მიმართულება არსებობს — აკადემიური (რომლის თვალსაჩინო წარმომადგენელიც ანსამბლი „რუსთავი“ გახლავთ) და აუთენტური ანუ — თვითმყოფადი... სწორედ აუთენტურ მიმართულებას ჩაუყარა „მთიებმა“ საფუძველი. ანსამბლის წევრებმა საქართველოს ყოველი კუთხე-კუნჭული მოიარეს, მოიძიეს ამა თუ იმ სიმღერის განსხვავებული ვარიანტები, ფოლკლორის ჯერ კიდევ უცნობი ნიმუშები და ეს ხელთუქმნელი განძი ყველა გულშემატკივრისთვის ხელმისაწვდომი გახადეს.

„მთიების“ წევრებმა პირველებმა მოირგეს განსხვავებული ჩოხები, რაც უფრო დამაჯერებელს ხდიდა მათ რეალობასთან მიახლოებულ სამყაროს. მალე მიმდევრებიც გამოუჩნდათ — ქალთა ანსამბლი „მზეთამზე“, ანჩისხატის ეკლესის მგალობელთა გუნდი და „მთიების“ ბაზაზე შექმნილი სტუდია „ამერ-იმერი“...

მათი ყოველი კონცერტი ერთგვარი ფოლკლორული შოუა და ფოლკლორული თეატრის შექმნის სურვილიც დაებადათ... დადგეს კიდეც სპექტაკლი — „ღმერთმან მრავალსა დაგასწროთ აღდგომა-ქრისტეშობასა“ და კიდევ ერთხელ აღაფრთოვანეს მაყურებელი... მაგრამ სწორედ იმ 1998 წელს, როცა „მთიებმა“ ეს სპექტაკლი წარუდგინა მაყურებელს, მისი წევრები საშინელი განსაცდელის წინაშე აღმოჩნდნენ: 41 წლის ასაკში მოულოდნელად ავტოკატასტროფაში დაიღუპა ანსამბლის ხელმძღვანელი და სულისჩამდგმელი, უნიჭიერესი ფოლკლორისტი ედიშერ გარაყანიძე...

## ედიშერი

ამ საოცარ კაცს საკუთარი ბუნება და ხასიათი შუბლზე ეწერა და ერთი შეხედვაც საკმარისი იყო, რომ კეთილშობილება, რაინდობა, თავმდაბლობა და ენით აუწერელი ნიჭი ამოგეკითხათ.

მუსიკათმცოდნე, ფოლკლორისტი, ისტორიკოსი, ეთნოგრაფი, ეთნომუსიკოლოგი, კომპოზიტორი, კონსერვატორიის ფოლკლორის კათედრის დოცენტი, თეოლოგიის დოქტორი, აუთენტური მიმართულების მამამთავარი,



კემბრიჯის, მარსელის, ამსტერდამის, პარიზის უნივერსიტეტების პროფესორი, საოცარი პატრიოტი, რაფინირებული ინტელიგენტი, უჩვეულო მექართულე, რომელსაც მთელი საქართველო ფეხით ჰქონდა მოვლილი, თითოეულ კენჭს, თითოეულ ხეს ცნობდა ნებისმიერ კუთხეში... იყო პოლიგლოტი, სრულყოფილად ფლობდა რამდენიმე უცხო ენას, სიონის გუნდის რეგენტი, პარადოქსულად თავმდაბალი ადამიანი, კეთილშობილი თავადიშვილი, ნამდვილი მეცნიერი — შეეძლო ეშიმშილა, კაპიკი კაპიკზე მიეწებებინა და საკუთარი პურის ფული ეროვნული საქმისთვის გაეღო... პრინციპულობით და მოკრძალებით შუა საუკუნეების რაინდს ამსგავსებდნენ. ბევრი უცხოელი აზიარა ქართული სიმღერის მადლს. საოცარი ხიდი გადო საქართველოსა და ბრიტანეთს შორის. სამწუხაროდ, მას ინგლისში უფრო იცნობენ და აფასებენ, ვიდრე ჩვენში... სულ ქართული ჰანგი უტრიალებდა ტვინში, ამიტომ ხშირად უხერხულ მდგომარეობაში ვარდებოდა ხოლმე...

ედიშერი ძალიან გამხდარი და მაღალი იყო. მისი პედაგოგი ბატონი გიგიშა ჩხიკვაძე (რამაზ ჩხიკვაძის მამა), რომელიც ფოლკლორის კათედრას ხელმძღვანელობდა კონსერვატორიაში და რომელსაც ძალიან უყვარდა ედიშერთან ერთად ხმამაღლა ფიქრი და კამათი, ტანად დაბალი გახლდათ... მოსწავლე-მასწავლებელი ისე ერთობოდნენ საუბარში, ისე წყდებოდნენ რეალობას, რომ ხშირად ლაბადები ეცვლებოდათ — ბატონი გიგიშა ედიშერის გრძელი ლაბადით წმენდდა ქუჩებს, ედიშერს კი მასწავლებლის ლაბადა მოკლე ქურთუკივით ეცვა. მიუხედავად ამისა, უხერხულობას საერთოდ ვერ გრძნობდნენ.

გაუგებრად გამაოგნებელი იყო ედიშერის, მისი მეუღლის — ნინო ბაღათურიას და მათი ქალიშვილის ამ ქვეყნიდან წასვლა... მაშინაც ექსპედიციაში მიიჩქაროდა — ხულოს რაიონში ახალი ფოლკლორული ნიმუშები უნდა შეეკრიბა. ასე შეუერთდა მარადიულობას ადამიანი, რომელიც სიცოცხლეშივე ღრუბლებზე ცხოვრობდა... დღეს „მთიების“ ლოტბარია ედიშერის 22 წლის ვაჟი — გივი გარაყანიძე... კულტურის სამინისტრომ ედიშერ გარაყანიძის სახელობის სტიპენდია დააარსა.

## „მთიების“ მეგობრები

არ გაგიკვირდებათ, თუ ვიტყვი, რომ „მთიებს“ დაარსების დღიდან ბევრი მოწინააღმდეგე და ბევრიც — გულშემატკივარი გამოუჩნდა... მე უბრალოდ ჩამოგითვლით მათ გვარებს, ვინც დღენიადაგ გვერდში ედგა „მთიებს“ და ყოველთვის ცდილობდა რამით დახმარებოდა ანსამბლის წევრებს: ევგენი მაჭავარიანი, თამაზ ქვარიანი, ვახტანგ ბერიძე, მიხეილ თუმანიშვილი, გიგიშა ჩხიკვაძე, ვახუშტი კოტეტიშვილი, კუკური ჭოხონელიძე, ანზორ ერქომაიშვილი და სხვები...

## დიდი მოგზაურობა

ამ ოცდაორი წლის მანძილზე „მთიებმა“ უამრავი ქვეყანა და ფესტივალი მოიარა, უამრავი პრიზი და ჯილდო მიიღო. 1999 წელს მის თითოეულ წევრს ღირსების ორდენი გადაეცა, 1990 წელს ამერიკაში მოგზაურობისას ქართველებიდან პირველი ინტერვიუ მათ მისცეს რადიოსადგურ „ამერიკის ხმას“. ძალიან ბევრი რამ აქვთ მოსაგონარი, მაგრამ ყველაზე ლამაზად უცხოეთში შეძენილი ქართველი მეგობრები ახსენდებათ ხოლმე... ერთხელ ამერიკაში კონცერტზე უცნობი კაცი მივიდა ბიჭებთან, თურმე თვალცრემლიანი უსმენდა ქართულ სიმღერებს. შემდეგ კულისებთან დახვდა მათ და გამოელაპარაკა. ეს კაცი ქართველი ემიგრანტი ბატონი გივი ზალდასტანიშვილი აღმოჩნდა. ბიჭებმა დაამშვიდეს ბატონი გივი და იმედი გამოთქვეს, რომ მალე შეიცვლებოდა დროება და ის საქართველოში დაბრუნებას მოახერხებდა... ახალშეძენილი უფროსი მეგობარი სევდიანად ეთანხმებოდა ახალგაზრდებს... მართლაც ასე მოხდა და ხუთი წლის ასაკში საქართველოდან უცხოეთში გადახვეწილი ადამიანი სამშობლოს დაუბრუნდა... „მთიებთან“ მეგობრობა კი გრძელდებოდა — ხან თბილისში შეხვდებოდნენ ერთმანეთს, ხან რომელიღაც ქვეყნის აეროპორტში... როცა ანსამბლის წევრები ეკითხებოდნენ — საით გაგიწევიათ, ძია გივიო, პასუხობდა — თბილისში, ბიზნესის ინსტიტუტში ვკითხულობ ლექციებს, შემდეგ ცოტა ხნით საჩხერის რაიონში — ჩემს სოფელში უნდა ავირბინო — ყანა მაქვს გასათოხნიო... ახლა „მთიების“ წევრებს მოადგებოდათ ცრემლი თვალებზე. ფესვები და მიწის ძახილი რომ თავისას შვრება, ის უხაროდათ...

## ლონდონში ძმადგაფიცული სვანი და აფხაზი

წელს „მთიებმა“ 20 დღის განმავლობაში ინგლისის რამდენიმე ქალაქში გამართა კონცერტები. ერთ დღეს ვილაც კაცი მივიდა კონცერტის შემდეგ მეუღლესთან ერთად ბიჭებთან და გამოელაპარაკა. პირდაპირ, კაცურად თქვა, აფხაზი ვარო. დედა ქართველი ჰყოლია. ინგლისში მაშინ წასულა ოჩამჩირიდან, როცა ქართველებს და აფხაზებს შორის დაძაბულობამ პიკს მიაღწია... უკითხავს — მეგრული ხომ არავინ იცით, რომ გამომელაპარაკოთო. მეგრულის კარგად მცოდნე აღმოჩნდა ანსამბლის ერთ-ერთი წევრი მიშა იოსელიანი — ყველასათვის კარგად ცნობილი და საყვარელი საშკა იოსელიანის ძმა... საუბარი დიდხანს გაგრძელდა — ვერავინ გაიგო, რას უყვებოდნენ ერთმანეთს აფხაზი და ქართველი... ამ საუბრის შემდეგ სრულიად უცხომ საკუთარ სახლში — ქალაქ ეგზისტერში მიიწვია ანსამბლის მთელი შემადგენლობა. ბიჭები დიდხანს ყოყმანობდნენ, მაგრამ რომ ნახეს, კაცმა ერთი კონცერტიც არ გამოტოვა, კონცერტის შემდეგ კი ყოველთვის მოიკითხავდა ქართველებს, დათანხმდნენ. სტუმრები დიდი სითბოთი და სიყვარულით მიიღეს. სუფრას მხოლოდ ქართული და აფხაზური კერძები ამშვენებდა. ეზოში საქართველოდან წამოღებული ცოლიკოურის ჯიშის რამდენიმე ძირი ვაზი ხარობდა. ღვინოც საქართველოდან ჰქონდა ჩატანილი... კაცი ბიჭებს თვალებში შესციცინებდა... მათაც პირველი, რაც თავში მოუვიდათ, იყო ფრაზა: „რაც მტრობას დაუნგრევია, სიყვარულს უშენებია“... ერთდროულად წამოდგნენ ფეხზე და დააგუგუნეს კიდეც ქართულად... ტიროდა ყველა — სტუმარიც და მასპინძელიც... ფრაზაზე — მე ოჩამჩირეში მანამ არ დავბრუნდები, სანამ ქართველებს და აფხაზებს შორის ნორმალური ურთიერთობა არ აღდგება, და შვილს სამშობლოში დაბრუნებამდე არ ვიყოლიებ, რათა იმ გარემოში გავზარდოო, — მიშა იოსელიანმა თითი გადაიჭრა, აფხაზიც წამსვე მიუხვდა ჩანაფიქრს, მანაც იგივე გაიმეორა, ვერცხლიც ჩაათალეს ღვინოში და შორეულ ინგლისში ფიცვერცხლნაჭამმა აფხაზმა და სვანმა ერთმანეთს ძმობა შეჰფიცეს...

*ეკა მახარაშვილი*

# კიდევ ერთი საქართველოზე შეყვარებული უცხოელი

„ნათქვამია, ზოგიერთი ქვეყანა ტაძარს, ეკლესიას ჰგავს, სადაც მოხვდები თუ არა, გრძნობ რაღაც იდუმალ ძალას, რომელიც გაჩოქებს, რათა თაყვანი სცე იმას, რასაც შენ გარშემო ხედავ. საოცარია, უამრავი ქვეყანა მინახავს, მომივლია, მიცხოვრია, მაგრამ არსად მიგრძნია ისეთი რამ, რაც საქართველოს მართლაც ღვთივკურთხეულ მიწაზე განვიცადე“, — ეს სიტყვები ეკუთვნის იაზონის სამშობლოდან უძველესი კოლხეთის მიწაზე სტუმრად მოსულ ბერძენ მწერალ **დიმიტრის ნოლასს**, რომელმაც ერთხელ უკვე უძღვნა სათაყვანებელ ქვეყანას სიყვარულით აღსავსე წიგნი. ახლახან კი თბილისში, დიმიტრის ნოლასის მიერ ბერძნულ ენაზე გამოცემული ქართული პოეზიის ანთოლოგიის პრეზენტაცია შედგა. მისი მეუღლე, მშვენიერი ქალბატონი ირო — პროფესიით ფილოლოგი, ქართული ენის შესწავლას იწყებს, რათა თავად თარგმნოს ქართული მოთხრობები. ცოლ-ქმარ ნოლასებს სამშობლოში გამგზავრებამდე შევხვდი. დიმიტრისი სტუმართმოყვარე მასპინძელი აღმოჩნდა, ღიმილით მითხრა — ქართული წესის თანახმად, მეუღლე სამზარეულოში ტრიალს მორჩება და მერე შემოგვიერთდებაო. მანამდე ბატონ ნოლასს ქართულ პოლიტიკაზე ვთხოვეთ საუბარი.

## თქვენი დღესასწაულიც უეჭველად დადგება

პოლიტიკა ხომ წარმავალ მეფეთა საქმიანობაა, დროის მიხედვით ცვალებადი... და მაინც, ვფიქრობ, საქართველოში ცდებიან ის ადამიანები, რომელთაც ჰგონიათ, რომ ქვეყანა უფსკრულისაკენ მიექანება, რომ მაფია, კრიმინალური კლანები და ა.შ. აღსასრულს უქადიან. ერთი წამით გადახედეთ თქვენი ქვეყნის წარსულს, რა დაგემართათ, როცა ერეკლე მეორის სამეფო კარიდან უცებ მოხვდით რუსულ, სრულიად განსხვავებულ, ანტიქართული მენტალიტეტის მქონე საზოგადოებაში. რა იყო მერე? პოლიტიკური ცნობიერების ხანგრძლივი ჩავარდნა, კომუნისტური პერიოდის მძიმე წნეხი, სულ სირთულეები და უცებ... დამოუკიდებლობა. ყველაფერი უცებ გინდათ. საბერძნეთშიც იყო დიდი ხნის წინ სიძნელეები, რომელიც დაუძლეველი ჩანდა, მაგრამ... არის და იქნება ძნელი გზა, ნუ იქნებით სულსწრაფნი. ბოლო 5 წელია საქართველოს ვაკვირდები და უკვე ვხედავ ცვლილებას უკეთესობისაკენ. თანდათან იმკვიდრებთ სამყაროში იმ ადგილს, რომელიც კარგა ხანს იყო ცარიელი. მთავარია ქრისტიანული მოთმინება და თქვენი დღესასწაულიც უეჭველად დადგება.

## რა მიზიდავს ასე თქვენკენ?..

საერთოდ ცნობისმოყვარე ადამიანი ვარ, ამიტომაც მთელი ცხოვრება ვმოგზაურობ და ვცდილობ, ჩავწვდე შემოქმედის ქმნილების — სამყაროს არსს, მინდა ვიგრძნო, რამდენად ვარ მისი განუყოფელი ნაწილი. ცნობისმოყვარეობამ მაიძულა, მომენახულებინა შავიზღვისპირეთიც და როცა საქართველოს მიწაზე დავდგი ფეხი, უნებლიეთ აღმოვაჩინე, რომ რაღაც ძალიან მჭიდროდ მაკავშირებდა ამ ქვეყანასთან. ვერ ამიხსნია რატომ, მაგრამ ძალიან გგავართ ქართველებს?.. აქ დავრწმუნდი, რომ ბევრი რამ არ ვიცი, აქ დამებადა უამრავი პასუხგაუცემელი კითხვა, რომელსაც ვერასოდეს მოვუძებნი პასუხს. რა მიზიდავს ასე თქვენკენ? ეს მარადიულ კითხვად დამრჩება, ამიტომაც არასოდეს დასრულდება ჩემი მოგზაურობა საქართველოში. ჩამოვედი თუ არა, პირდაპირ ქართულ სუფრასთან აღმოვჩნდი. ხომ წარმოგიდგენიათ, რა დამემართებოდა... საბერძნეთში დაბრუნებულმა ჰიმნები მივუძღვენი ამ საოცარ ფენომენს. მოგვიანებით, მეუღლესთან ერთად ჩამოსულმა უკვე სხვა თვალით შევხედე ყველაფერს და კიდევ უფრო მეტი საოცრება აღმოვაჩინე. როცა აქედან მიდიხარ, გამოფხიზლებულს ყველაფერი სიზმარი გგონია, ქართული სუფრა მისტერიული, აუხსნელი ფენომენია. ქართველები უნიკალური ხალხი ხართ.




## მე ვნახე ქართული ღვთაებრივი ლხინი

(ოთახში ქალბატონი ირო შემოვიდა და ქართულ სუფრაზე ჩამოგდებული სიტყვა აიტაცა).

— პირველად რომ ჩამოვედით, ჩვენს ქართველ მეგობარს ნათიას უნდა ვწვეოდით თელავში, მაგრამ სხვა ქართველმა მასპინძელმა გაგვიტაცა თავისთან, ჯადოსნური სუფრა იყო გაშლილი. ავწუწუნდი, რატომ შეწუხდით, უხერხულია, უნდა წავიდეთ, თელავში ნათია გველოდება, იქაც ალბათ სუფრაა გაშლილი, ეწყინებათ თუ არ მივალთ-მეთქი. მასპინძელმა გამიღიმა, დამამშვიდა და... მეორე დღეს გაოცებული დავრჩი. ნათია სულაც არ აღმოჩნდა ნაწყენი და სუფრა ისევ გაშლილი დაგვხვდა. მაშინ კი მივხვდი, რომ საქართველოში, დანარჩენი მსოფლიოსაგან განსხვავებით, სხვანაირად აღიქვამენ დროს.

ისევ ბატონი დიმიტრისი ჩაერთო საუბარში, — ნამდვილი ქართული ლხინი მინახავს — მონუსხული დავრჩი. მსოფლიოს საუკეთესო რეჟისორები ისურვებდნენ მსგავსი სანახაობის დადგმას, ზნეკეთილი, სრულყოფილი ქართველები ისხდნენ. მათი თითოეული მოქმედება შორეული, უძველესი წარსულის გამოძახილი იყო, უკვე უკვდავ კულტურად ქცეული. პირველი ორი სადღეგრძელო — უფლის სადიდებელი და სამშობლოს უკვდავებისა, სფინქსისებური სიდინჯითა და სერიოზულობით შესვეს. მესამეს ქართველები მეფის სადღეგრძელოს სვამდნენ, თურმე, წინათ. ჩემმა მასპინძლებმა კი მეფის ნაცვლად ღმერთს ერის ღირსეული წინამძღოლის გამოჩენა სთხოვეს და... ლხინი გრძელდებოდა, სადღეგრძელოებს შორის პაუზები ქართული ფოლკლორის, ლექსის, სიმღერის თუ ცეკვის წარმოჩენით ივსებოდა. სუფრასთან მშვენიერი ქალბატონები ისხდნენ, როცა მათი სადღეგრძელო დალიეს, თითოეულის მიმართ ისეთი მოკრძალება გამიჩნდა, თითქოს დედოფალთა წინაშე ვიდექი...

## საქართველოში ფსიქოლოგი არ სჭირდებათ...

წყალდიდობის დროს პრაღაში მოვხვდი. მიუხედავად დიდი კატასტროფისა, ხალხი საოცარ სიმშვიდეს ინარჩუნებდა. დატბორილ ქუჩებში თითქოს ჩვეულებრივად გრძელდებოდა ცხოვრება. ტელევიზიაც ჩვეულებისამებრ მუშაობდა და ერთი რამ შევნიშნე: საკმაოდ ხანგრძლივი დროით გამოდიოდნენ ეკრანზე ადამიანები და დინჯად საუბრობდნენ. ჩეხური ენა არ ვიცი. ვიკითხე, ესენი ვინ არიან. რა ხდება-მეთქი. ფსიქოლოგები ყოფილან, ხალხს ამშვიდებდნენ, ამხნევებდნენ, მყისვე საქართველო გამახსენდა, რატომღაც ისევ ქართული სუფრა დამიდგა თვალწინ და უცებ მივხვდი, რატომ არის გამუდმებული ხმაური და ყაყანი სახინკლეებში, ლუდის ბარებში და სხვაგან, სადაც სუფრასთან ერთმანეთს ხვდებიან ქართველები.

(გაგრძელება იხ. გვ.23)

საიდან მოვდივართ? — ხშირჯერ დაგვისვამს კითხვა და საუკუნეებს მიღმა თვალგაყოლილნი ქართულ სიტყვასთან, ქართულ ჰანგთან, ქართულ ჯიშთან შევჩერებულვართ...

ქართულმა ჯიშმა ქართული სიტყვით ხალხური პოეზია შექმნა და ზედდართულმა ჰანგმა — ქართული სიმღერა... „ლექსს ამოსთქომდა" და იმღერდა ჩვენი წინაპარი, ანდერძივით კინძავდა სათქმელს.

ეს ლექსები ყველა თქვენგანმა იცის, მაგრამ ერთხელ კიდევ ავიჩქროლოთ სისხლი...



ნიკოლოზ (კოკა) იგნატოვი. „მთების ბალადა"

# ლექსო, ამოგთქომ—

ოხერო,
თორო იქნება ვკვდებოდე,
და შენ კი ჩემად სახსოვრად
საქაოსა რჩებოდე...

• • •

— იდუმლის კოშკო, მაღალო,
სასეიროზე დგახარო,
ქვეშ ქალნი მოგისხდებიან,
შენ, ჩრდილო, სითკენ წახვალო? —
— როგორ ვერ ხედავ, ყმაწვილო,
ულვაშაშლილო, ახალო,
მეც ისე ვბრუნავ, როგორც შენ
ამ წუთისოფელს დახვალო.

• • •

ლომისას ჯაჭვი ჰკიდია,
არავინ იცის, ვისია,
ბებერი ქალი ატირდა:
ეგ ჯაჭვი ჩემი ქმრისია,
სიკვდილის ჟამსა ნათქომი
დაბარებულიც მისია:
„ისეთმა ყმამა შაირტყას,
ვინც ხმარებისა ღირსია".

• • •

ატირდა კაი ყმის ცოლი:
„აღარ მამივა შინაო".
იცინის ცუდაის ცოლი:
„გამაიქცევა წინაო".
გამაქცეულის მასვლასა
არ-მასვლაი სჯობს შინაო.

• • •

კაი ყმა, მგელი, არწივი
არც ერთ არ გაიწურთნება,
მგელი არ მაშლის მგლობასა,
კაი ყმა — მამაცობასა,
არწივი — არწივობასა,
მთის ყურეთ ნადირობასა.
მგელი გაივლის მთაზედა,
ნამ გაბერტყილი დარჩება,
დაიხულება არწივი,
მთით ბარად ჩამოვარდება,
დაიჭერს შუნის თიკანსა,
ხორცი ძვალადვე დარჩება.

• • •

ატირდნენ თუშის ქალები,
          არ მოგვივიდნენ ქმარები,
იქნება დახვდნენ ლეკები,
          დააყრევინეს თავები.
ოხრად დაწუხდა ცხენები,
          დაგლიჯეს ლაგმის ტარები.
ზოგთა თქვეს, ბოსელ შევრეკოთ,
          გამოუჯაროთ კარები.
ზოგთა თქვეს, მინდორს გაუშოთ,
          იგალონ ნალურსმანები,
ზოგთა თქვეს, უკუღმ დავკაზმოთ,
          ზედ შევსხდეთ თუშის ქალები.

• • •

ჭერხოში დედან ატირდეს,
ქალმა შესწყივნა ძმანიო:
— ან უპატრონეთ მამულსა,
ან ქალს შემარტყით ხმალიო!
ჩემსა უთხარით საქმროსა,
ბარემ მაიკლას თავიო,
კახეთში მაინც ჩავიდეს,
იქით მორეკოს ჯარიო,
საშველად ეგებ მოვიდეს
ხევსურეთი და ფშავიო.

## ჯარჯი

ჯიხვების განავალი კლდე
რო ნახო, გაგიკვირდება,
იმათ ნაწოლსა, ნადგომსა
თოლი არ მაეკიდება.
ფეხ რო მაუსხლტეს ტიალსა,
კლდეზე რქით დაეკიდება,
იმათ მიმყოლსა ვაჟკაცსა
რა კარგი წაეკიდება.
ჯარჯი ჩაჰხედავს ჯიხვებსა,
რა მშვენიერნი წვანანო,
რქა რქაზე გადაუხვევა,
ანგელოსებსა ჰგვანანო.
ჯარჯივ, ნუ მისდევ ჯიხვებსა,
მოგინელებენ ტიალნი,
არ დაიჯერა ჯარჯიმა,
სხვაც ბევრ მამცდარა ჭკვიანი.
ჩამაუქადლა ვაჟკაცმა
ხირიმი სპილოს ძვლიანი,
წინ ჯიხვთა, უკან ჯარჯომა
კლდეზე გადიღეს გრიალი.
არხალოს ჭალას ჩაცვივდნენ
არხალოს პერანგიანი.
ჩაბანოს ჭალას გავარდა
მოყმე ფეხწრიაპიანი.
ამაიტანეს მამკვდარი,
ტირის ქალი და ზალია,
შამააწვინეს კარზედა

კლდის დაფლეთილი ტანია,
გადაგლეჯილი თავ-პირი,
ყორნის დათხრილნი თვალნია,
სახსოვრად ჯარჯის საფლავზე
დააკრნეს ჯიხვის რქანია.
ერთ გვერდზე თოფი სიათა,
მეორე გვერდზე ხმალია,
ზედ დააწერეს წერილი:
ჯარჯი ჯიხვთაგან მკვდარია.

• • •

ქართლის ტყვე გამოპარულა,
გამამხდარიყო ზღვასაო,
ნუ ჩაუხდები, მთვარეო,
ნუ ჩაუბნელებ გზასაო.
ნუ გაუყინავ მყინვარო,
გადასავალსა მთასაო.
ხიდნო, ნუ ჩაუცვივდებით,
გააზდინოდით წყალსაო,
ნუ აუტირებთ დედასა,
გასათხოვარსა დასაო.

• • •

ხმალმა სთქვა: პირი დამჟანგდა,
ჯაბანმა ვინმემ ჩამიგო,
ნეტავი ვაჟკაცს შამყარა,
პირიდან სისხლი ამიღო,
მაელვარებდეს მტრის კარსა,
ქარქაშით გარე გამიღო,
მაჯა მაგრობდეს ბეგთარით,
პირი ვადამდე ჩამიღო.

## თამარი

თამარ მეფე და ხონთქარი
მაღალმა ღმერთმა წაჰკიდა,
ზღვაში ჩაუშვა ხომალდი,
ზედ ალმასები დაჰკიდა,
შიგ ჩასვა ქართველთ ლაშქარი,
მრავალს წყალობას დაჰპირდა.

## სიკვდილმა ჩამოიარა

სიკვდილმა ჩამოიარა,
არავინ დახვდა წინაო,
ობოლი გამოეგება,
ხონჩა მიართვა წინაო.

— მე წამიყვანე, სიკვდილო,
ობლობა მომეწყინაო.
— შენ რად მინდიხარ, ობოლო,
არავინა გყავს შინაო,
არა გყავს დამტირებელი,
არც სუდარა გაქვ შინაო.
მე კახეთისკენ მივდივარ,
კაცი მიმიძღვის წინაო,
ცხრა ძმანი გამდიდრებულან,
უნდა ჩავუხდე შინაო,
ისინი უნდა გავყარო,
თავ-თავად მივცე ბინაო.

• • •

როსტომ თქვა: ერთი ქართული ჩინეთს
          ქვაზედა სწერია:
„ვისიც მე ვიყავ ერთგული, ის უფრო
          ჩემი მტერია".

• • •

„რა ვქნისა" ციხე ავაგე,
ჯავრი შევაბი კარადა,
საიქიოდან მოიდენ
ამ ციხის სანახავადა.
ბევრი უარეს ციხესა,
კარ ვერ გატეხეს ძალადა,
მემრე თქვეს: დრო რო მოალის,
კარ გაიღების თავადა.

• • •

ვაიმე, დედის ამაგსა
რო ვერ გადვიხდი, რა ვუყო?
ზურგს ავიკიდო საბლითა?
— რო ვერა ვზიდო, რა ვუყო?
დავეგდო დედამიწასა,
ქვეშკნელ ჭინჭველას ხმა ვუყო!

• • •

დუშმანიმც არი, დედაო,
მონადირისა ცოლია,
ჯერ შუაღამე არ არი,
გათენებული ჰგონია.
გასწირავს თბილსა ლოგინსა,
სალ კლდეებს ტყეში სტოლია,
არ მინდა ნადირის ხორცი,
დაწევ, ნუ დამაღონეა.

## ყორნები

რა ცუდი ზნე გჭირთ, ყორნებო,
ტირილ არ იცით მკვდარზედა,
შაიმოსებით შავადა,
თეთრს არ ჩაიცომთ ტანზედა,
ვაჟკაცს გულს ამაარიდებთ,
ჩამაარიგებთ ჯარზედა.
რაც უნდა კაი ყმა მოკვდეს,
ცრემლ არ მოგივათ თვალზედა...

• • •

შენზე ფიქრებში, ლამაზო,
ცეცხლივით ავინთებიო,
წამაუბერავს ქარი და
ფერფლივით ვიფანტებიო.
დარდსა ვსომ, წყაროდ ქცეულსა,
ო, რა ძალიან ვთვრებიო!
ხან სალ კლდედ გადავიქცევი,
ხან მიწად გავმტვერდებიო.
თვალო, ქცეულო ღრუბლადა,
რა მალმალ მიწვიმდებიო!
გულო, ქცეულო ღამედა,
ელვებით მინათდებიო,
ჩანჩქერით ამომკვნესარევ,
ქუხილით აჰგმინდებიო.
ცხოვრებამ გამიუფსკრულა
შენსკენ სავალი გზებიო.
როგორ მიყვარხარ მაშინა,
ცოტას რომ გამიწყრებიო,
ცასავით მაიღრუბლები,
სატირლად ემზადებიო,
ცრემლების მძივით სახეზე
ლამაზად მაირთვებიო.

• • •

ჩაბალხეთით გადვიხედე,
წარბი წვრილად გადგეხარა,
წარბის გრილო პირზე გადგა,
თმა ნისლებურ გადგეყარა,
ერთი კიდევ შამამხედე,
შენი ჭირი შამეყარა.

• • •

მე შენ მინდი, შენმა მზემა,
          მე შენ მემშვენიერები.
დღისით მეფერები მზესა,
          ღამე მემთვარიანები.

## შირაქის გზაზე

შირაქის გზაზე მივდივარ,
უკან მაბრუნებს ქარიო,
წინ შემეყარა პეპელა,
წითლად უჩანდა მხარიო,
საყვარლის კაბას ვამსგავსე,
ღმერთო, დამწერე ჯვარიო.

## შენ, ჩემო დიდო იმედო

შენ, ჩემო დიდო იმედო,
კოშკო, ნაგებო კირითა,
კახეთს მოჭრილო ისარო,
ქალაქს ნაღებო ინითა!
წითელო მოვის პერანგო,
შვიდგან შეკრულო ღილითა,
ცავ, წმინდავ, ვარსკვლავიანო,
მზევ დაფენილო დილითა,
უკვდავებისა წყაროო,
ნადენო ოქროს მილითა,
შენთანამც ყოფნით გამაძღო,
შენთანამც წოლა-ძილითა.

• • •

არაგვის ხეობაზედა
ერთი ყვავილი ჰყვავისო,
მაგას ხელ არავინ ახლოს,
თავის პატრონი ჰყავისო.

• • •

მარტო ვარ, მარტო ვიმღერი,
არავინა მყავს მობანე,
მაისის წვიმავ, წამოდი,
გული სევდისგან მობანე.
ნიავო, წყნარად დაჰქროლე,
ფოთოლს ტაშ დააკვრევინე,
სწორის არ გამტანს, უფალსა
ცხვირი სადმ წაიკვრევინე.

• • •

მივალ გურიაში, მარა,
სული წინ-წინ გეიპარა,
მივსდიე და არ დაბრუნდა,
არც მიიღო ქრთამად ფარა.
ერთი ჩემი საყვარელი
ამ ქვეყანას მრჩები, მარა,
ადრიანად გეახლები,
არ მოვკვდები, არა, არა!

CMYK

# უზრალოდ, „ქაღალდის ნავი"



„ფილმი ეძღვნება საქართველოში მცხოვრებ ყველა ახალგაზრდას, რომელმაც ქვეყანაში არსებული პირობების გამო, ვერ შეძლო საკუთარი თავის რეალიზება და იქნა დეგრადირებული, ასევე, მათ მშობლებს, რომელთაც ვერ შეძლეს მათი გადარჩენა", — იუწყებოდა აფიშა კინოს სახლში ახალი ქართული ფილმის „ქაღალდის ნავის" პრემიერის წინ. „აი, განცდა, რომელიც ალბათ აღარასოდეს გამინელდება. ეს ფილმი კი არა, აქციაა, რომელსაც „გაახილეთ გულის თვალები" უნდა ერქვას, — მღელვარებას ვერ ფარავდა ფილმის ნახვის შემდეგ 17 წლის თორნიკე შანიძე.

25 წლის არაპროფესიონალმა კინორეჟისორმა და სცენარისტმა გიორგი გერსამიამ, რომელიც თურმე მხოლოდ იმიტომ არ თამაშობს ჯოკერს და ფეხბურთს, რომ წაგება არ უნდა, მაყურებელთა გულები მოიგო. „ქაღალდისნაველებს" კინოს სახლში შევხვდი.

**გიორგი გერსამია:** — პროფესიით ეკონომისტი ვარ, უნივერსიტეტი ოჯახის გულის მოსაგებად დავამთავრე, თორემ მთელ დღეებს თეატრალურ ინსტიტუტში ვატარებდი. სულ ფილმების გადაღებაზე ვოცნებობდი. მერე უცებ, ორი წლის წინ, გენიალური რეჟისორის, კვენტინ ...არაპროფესიონალმა ძლივს გადაიღო ფილმი ...ორი დაუწვა. არ შედრკა, თავიდან დაიწყო ...ბს. ამით შეგულიანებული სცენარს მივუჯექი ...დ და 2000 წლის 15 თებერვალს, დავიწყეთ ...ისს კი ფილმის პრემიერა შედგა.

[illegible]

გია ლომიძე

# — ველოდები ადამიანს, რომელსაც ვეყვარები და მეყვარება...



კახეთში საგასტროლო მოგზაურობისას „ტრავმირებული" მომღერალი **თათია გიორგობიანი** „არტ-იმედის" ოფისში დაგვიანებით მობრძანდა და თავის გასამართლებლად ისეთი რამ მითხრა, რომ ველარ გავუბრაზდი. აქამდე მეგონა, ქართული შოუბიზნესის სამყაროდან მხოლოდ ნეკა სებისკვერაძე შეეჭიდა ჟურნალისტის სპეციალობას, თათია მასთან შედარებით ჯიუტი ყოფილა, — იგი თურმე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის მაგისტრატურის პირველკურსელია და მეცნიერულ მუშაობასაც ეწევა. ამაზე თვითონ გიამბობთ. რაც შეეხება თათიას ტრავმას — სულაც არ ყოფილა საშიში. თათია დაცემულა და საჩვენებელ თითზე ნალოლიავები ფრჩხილი მოსტყდომია, ამიტომ ახლა „დასახიჩრებული" თითის გამოჩენის ერიდება. ისე, ეს „ტრავმა" რა მოსატანია იმ ამბავთან, რაც თათიას გადახდა სარეკლამო პლაკატებისათვის ფოტოების გადაღებისას.

— წამიყვანეს ბოტანიკურ ბაღში. ჯერ ფოტოკამერის წინ პოზირებით ვერთობოდი — სამი ფოტოგრაფი ქალი წამდაუწუმ აჩხაკუნებდა აპარატს და მეც ვანცობდი. მერე ჩემმა მენეჯერმა ბიჭიკო ქადაგიძემ გამომიცხადა — თათია, ახლა წყალში უნდა გადაგიღოთო და ჭაობში ჩასვლა „მიბრძანა" — ბაყაყებთან, წყალმცენარეებსა და დუმფარებთან ერთად მომიხდა ჭყუმპალაობა, თან შიშისგან გული მისკდებოდა, რამემ არ ჩამითრიოს-მეთქი.

— **როგორც ვიცი, სწავლა-განათლებით ძალზე დაკავებული ხარ. როგორღა ახერხებ სიმღერას, როგორ პოულობ დროს?**

— სწავლას სკოლიდანვე დიდ დროს ვუთმობდი. სულაც არ ვაპირებ სცენაზე ტიკინასავით უაზროდ დგომას, წიგნის გარეშე ცხოვრება არ შემიძლია.

[illegible]

გია ლომიძე






## მხოლოდ კარგ კაცებს ჰყავთ კარგი ცოლები...

— ვიცი, პატიების ღირსი არ ვარ, მაგრამ თუ ჩემს გულწრფელ სინანულს ვინმე მაგალითად გაიხდის და მსგავს შეცდომას არ გაიმეორებს, ამისთვის ღირს ალბათ თქმა, — გვითხრა 70 წლის ენვერ თაბაგარმა, — 22 წლისამ შევირთე ცოლი. ლამაზი ბიჭი ვიყავი, ქალაქელი, საკუთარი სახლ-კარის პატრონი და ბევრისთვის სასურველი სასიძო. დედულეთში სააგარაკოდ ჩასულმა, თვალი ერთ პატარა, კოხტა გოგოს დავადგი. 17 წლისაც არ იყო თამრიკო. სანამ მის მშობლებს არ ვეახლე და ქალიშვილის ხელი არ ვთხოვე, თამამად არ შემოუხედავს ჩემთვის, ძალიან მორცხვი იყო. 1954 წელს დავქორწინდით. პირველად ნახა ქალაქი, დაფრთხა კიდეც, შინ ჩაიკეტა. სულ ჯარასავით ტრიალებდა, დედაჩემს საქმეს ხელიდან სტაცებდა. მამა ომში დავკარგე და დედაჩემი იტყოდა, — ყველა დარდი და უბედურება თამროს კარგმა ქალობამ გადამატანინაო. სიკვდილის წინ მითხრა, — თამარის ჯავრი საფლავში მიმყვება, იქიდანაც შეგაჩვენებ, თუ კვლავ ცუდად მოექცევიო.

**— ცუდად ექცეოდით ცოლს?**

— ჩემდა საუბედუროდ, ძალიან ცუდად!.. 1955 წელს გოგონა შეგვეძინა — მანანა. მე ბიჭზე ვოცნებობდი და ცოლს უხეშად ვუთხარი, — თუ შენს ჯიშზე წახვედი, იცოდე გაგაგდებ-მეთქი. ექვსი და ჰყავდა. რა ვიცი, იქნებ ამისთვისაც დამსაჯა განგებამ: 1957 წელს ტყეში გავყევი ბიძაშვილებს შეშის დასამზადებლად. წაქცეული ხის ქვეშ მოვყევი. ნეტავი თავში დამცემოდა და გავეჭყლიტე... ხანგრძლივი მკურნალობის შემდეგ ექიმებმა განაჩენი გამომიტანეს — არაფერი გეშველება, მამაკაცობას ველარასოდეს დაიბრუნებო!. 25 წლის კაცი დავსაჭურისდი. მთელ ქვეყანაზე დავიბოლმე... დედაც გავტანჯე, რომელიც მოწმე იყო, თუ რა დღეში ვაყენებდი ჩემს ახალგაზრდა ცოლს, რას აღარ ვაბრალებდი ეჭვიანობით გაგიჟებული: „პირის დაბანას და კაბის გამოცვლას რომ მოუხშირე, ახალ ქმარს ეძებ ალბათ, აბა დაკოდილ კაცს ხომ არ შეაჩერდები-მეთქი?!“ იტირებდა და: „უკაცობას მისტირი, შე ძუკნა-მეთქი!“, თუ გაიღიმებდა: „იპოვე ხო, გულის გამხარებელი-მეთქი?!“. შეპასუხება არასოდეს უფიქრია, ხმის აწევა საერთოდ არ შეეძლო...

ახლა ვხვდები, შიშმა დამაკარგვინა ადამიანის სახე. თამრიკო მიყვარდა და ეჭვიანობისგან გონარეული რას აღარ ვკადრულობდი!

ისე მიღალატა ნერვებმა, მუშაობაც ველარ შევძელი. ოჯახი ავადმყოფ დედას და გამოუცდელ ცოლს შევატოვე. დედაჩემმა ვერ გაუძლო ამდენ ნერვიულობას, ინსულტი მოუვიდა და გარდაიცვალა. თამრიკოს რაიმე სპეციალობა არ ჰქონდა და ყველაზე დაბალანაზღაურებად სამუშაოს თუ ანდობდნენ. შინ არაქათგამოცლილი ბრუნდებოდა და ახლა აქ არ ისვენებდა, სულ რაღაცას აკეთებდა...

მანანა 15 წლის იყო. დამიმარტოხელა და მითხრა, — ზოგჯერ ეჭვი მეპარება, რომ შენი სისხლი და ხორცი ვარ, რატომ გეზიზღებიო?!.

შვილი მეც სიგიჟემდე მიყვარდა, ის იყო ჩემი ერთადერთი იმედი. რას ჰქვია მეზიზღები, დედაშენს იმიტომ ვეჩხუბები, რომ არ მეიმედება მისი ერთგულება-მეთქი!..

ატირდა, — როგორ არ გრცხვენია, დედას ორგულობა დააბრალო, ქალს ქუჩაში თავაწეულს არ გაუვლია. სიკვდილის წინ ბებიამ მითხრა, — არასოდეს დაიჯერო დედაშენის ცუდქალობა, ოღონდ, მამაც გეცოდებოდეს — მძიმე ავადმყოფია და მისგან არაფერია გასაკვირიო.

შვილმა მაპატია, თამრიკომ კი მაინც „მიმატოვა“. 44 წლისა გარდაიცვალა. ერთბაშად დაცარიელდა ჩემთვის სამყარო...

სიკვდილის წინ მკითხა, — ახლა ხომ მაინც გჯერა, რომ შენ გარდა არავინ მყვარებია. საფლავშიც შენი ჯავრი წამყვება, ჩემსავით ვინ გაგიგებსო, — აქეთ მომიბოდიშა.

ვაი, რომ გვიან მივხვდი, რა განძის პატრონი ვყოფილვარ. 21 წელიწადია, ყოველდღე დავდივარ მის საფლავზე და პატიებას ვთხოვ, მაგრამ ახლა რაღა ფასი აქვს სინანულს.

მანანას თავისი ოჯახი აქვს და ბედნიერი ქალია, შვილიშვილები თავს მევლებიან, შვილთაშვილებიც მომესწრნენ...

ცოლის სიკვდილის შემდეგ შემომიჩნდნენ, — ქალიშვილი გათხოვდება და მარტო დარჩები, პატრონი გჭირდებაო.

თამრიკოს არსად დასცდენია, რომ კაცად არ ვვარგოდი, არც მანანა მაგრძნობინებდა რამეს, ისიც დედას ჰგავს — მშვიდია.

თამროს შემდეგ სხვა ქალს ოჯახში ვერ შემოვიყვან-მეთქი, — ვიშორებდი ყველას.

ასე გავიდა წლები. დრო ვერ ანელებს თურმე ტკივილს. საოცრად მენატრება ჩემი პატარა და... დატანჯული ცოლი!..

თქვენს გაზეთში ვკითხულობ ხოლმე, რომ ბევრი ქალი იტანჯება ქმრის უზნეობით და უსამართლობით. აბა, ისინი რით ვანუგეშო და კაცებს მივმართავ: — გონს მოდით, თავი ხელში აიყვანეთ და დამიჯერეთ: უდიდესი ღვთის წყალობაა ოჯახი, ცოლი და შვილები, სხვასაც ნუ გააბედვინებთ მათ დაჩაგვრას, თორემ თავად ხომ მისი ერთი ცრემლის ღირსებიც არა ვართ ჩვენი უგნურებით!... მოეფერეთ მათ, ვინც თქვენი სიცოცხლე გააგრძელა და შვილები გაჩუქათ, ღვთისმშობელივით ეთაყვანეთ და ეცადეთ, სიკეთით გადაუხადოთ!... ერთსაც მივხვდი — ცუდი ქალები არ არსებობენ და მთლიანად ჩვენზე, მამაკაცებზეა დამოკიდებული, როგორები იქნებიან ისინი! მხოლოდ კარგ კაცებს ჰყავთ კარგი ცოლები და თუ რამე არ გამოგდით, დაფიქრდით — სად დაუშვით შეცდომა, მოასწარით მისი გამოსწორება, სანამ ჯერ კიდევ არ არის გვიან!..

...სამწუხაროდ, არც ისე იშვიათია, როცა ქალები მეუღლეების ძალადობის, უბრალოდ რომ ვთქვათ, უზნეობის მსხვერპლნი ხდებიან!... წაიკითხეთ ბატონი ენვერის აღსარება და იმედი მაქვს, მიხვდებით, რომ კაცობა უხეში ძალა სულაც არაა, სიყვარულს კი მართლაც სასწაულის მოხდენა შეუძლია! იყავით ბედნიერები, სანამ გვერდით გყავთ საყვარელი ადამიანი, რომლის გარეშეც ნამდვილად ვერასოდეს იქნებით უკეთ!..

***ინგა ჯაყელი***

## გვეკითხებიან: როგორ მოვიქცეთ?



**სისტემატურად ვიბან თავს ქერტლის საწინააღმდეგო შამპუნით. ზაფხულში ქერტლი ქრება, როგორც კი ქუდს დავიხურავ, მაშინვე კვლავ მიჩნდება. რა ვიღონო?**

*შალვა ნ.*

ქერტლი სოკოვანი დაავადების შედეგია და ადვილად ცოცხლდება, ამიტომ ქუდი, თუ ახალი არ არის, უნდა გაწმინდოთ. სოკო ზაფხულსა და შემოდგომაზე ჩნდება ამინდის ცვლასთან ერთად. თუ რატომ, ეს ჯერ ვერ დაადგინეს მეცნიერებმა. სპეციალისტები შამპუნის დროდადრო შეცვლას გვთავაზობენ.

მაგალითად, შეარჩიეთ ორი სახის შამპუნი — 2 კვირა ერთი იხმარეთ, 2 კვირა — მეორე.

**აცივდა, ვატაროთ თუ არა ქუდი?**

*ვაჟა გოგშელიძე*

დღეს ქართველი მამაკაცები უქუდობას ამჯობინებენ. მაგრამ თუ გავიხსენებთ, რა მოსდის თმას სიცივეში, ალბათ თავსარქმელზეც იფიქრებთ. ყინვაში თმა უსიცოცხლო და ადვილად მსხვრევადი ხდება, გარდა ამისა, სიცივისგან თავის კანის კაპილარები ვიწროვდება და თმის ბუდე ჟანგბადის უკმარისობისგან იხუთება. თბილ შენობაში შესვლისას აუცილებლად უნდა მოიხადოთ ქუდი, რადგან ოფლი ხელს უწყობს სოკოსა და ბაქტერიების გავრცელებას, რაც ცუდად მოქმედებს კანსა და თმაზე. ქუდი არ უნდა გიჭერდეთ, რადგან ეს თავის კანსა და თმის ფესვებში სისხლის მოძრაობას დაარღვევს. უჟანგბადოდ კი ფესვი კვდება.

**მეზობელი მამაკაცი მყავს, არასოდეს გამხდარა ავად. სურდოც კი არ შეჰყრია. ვხუმრობთ კიდეც, — ისეთი ავი და მყვირალაა, სნეულებებსაც კი აშინებსო. მართლა მისი ხასიათიდან ხომ არ გამომდინარეობს ასეთი ჯანმრთელობა?**

*მათე ზ.*

თქვენ წარმოიდგინეთ, აგრესიული მამაკაცის იმუნური სისტემა უკეთესად უმკლავდება ინფექციებს. თურმე ასეთი კაცების სისხლში მეტია ლეიკოციტები და ისინი ორგანიზმში მოხვედრილ მიკრობებს სპობენ.

მაგრამ მაინც ნუ იქნებით ავები...





## დიეტა პოტენციის ასამაღლებლად

**ბოსტნეული:** სოია, ბარდა, შემწვარი ხახვი, მოშუშული ყვავილოვანი კომბოსტო კვერცხით.

**ხილი:** ბროწეული (ან ბროწეულის წვენი), შავი ყურძენი, ქიშმიში, ნიგოზი.

**თევზეული:** არავითარი კიბორჩხალა ან კრევეტი. მხოლოდ თევზი, ასევე წითელი და შავი ხიზილალა.

**ხორცი:** სექსის წინ ხორცის ჭამა თქვენს პოტენციას დაასამარებს.

**რძის ნაწარმი:** მხოლოდ 2-3 კოვზი შედედებული რძე.

**მურაბა და თაფლი:** ძალიან სასარგებლოა წიწიბურას თაფლი, მოცხარისა და ჟოლოს მურაბა.

**სპირტიანი სასმელები:** ორი ბოკალი წითელი ან თეთრი ღვინო სრულიად საკმარისია საუზმისას.

**უალკოჰოლო სასმელები:** ნატურალური წვენი, მინერალური წყალი და არავითარი ტკბილი შუშხუნა სასმელები.

**დესერტი:** არავითარი ტორტი და კრემიანი ნამცხვარი! გაუმარჯოს მწარე შოკოლადს!



## მამაკაცის მთავარი აქსესუარი



წინდას დიდი ხნის ისტორია აქვს. ის ჯერ კიდევ ძველ ეგვიპტეში გამოიგონეს, ხოლო შუა საუკუნეების ადრეული ხანიდან დღემდე ყველა კოსტიუმის აუცილებელი ატრიბუტია.

ძველ დროში მამაკაცებს და ქალებს ფეხზე მორგებული ხავერდის, აბრეშუმის, მაუდის და ბეწვის წინდები ეცვათ.

წინდა, ისეთი სახით, როგორიც დღეს არის, მხოლოდ XX საუკუნეში გაჩნდა, სწორედ მაშინ შემოვიდა მოდაში მილისებური შარვალი და წინდაც მას მიუსადაგეს. კარგი კოსტიუმი და უზადო ფეხსაცმელი მამაკაცის მატერიალურ კეთილდღეობაზე მიუთითებს, ძვირფასი ჰალსტუხი და საათი — მის გემოვნებასა და მოდურობაზე.

კარგ წინდას სწორად შერჩევა და ტარების წესების ცოდნა უნდა.

**პირველი:** სულერთია, მამაკაცი დგას თუ ზის, წინდა იმ სიგრძისა უნდა იყოს, რომ შიშველი ფეხი არ გამოჩნდეს, ამიტომაც ახლა გოლფებია მოდაში. არავითარ შემთხვევაში არც წინდა და არც გოლფი არ უნდა ჩაიჩაჩოს.

**მეორე:** ნამდვილი ჯენტლმენის წინდა კოსტიუმზე მუქი უნდა იყოს და ესადაგებოდეს ფეხსაცმელსა და ჰალსტუხს. სადა, საქმიანი კოსტიუმი ერთი ფერის წინდას იხდენს, ამ შემთხვევაში დასაშვებია მხოლოდ შეუმჩნეველი წვრილი ზოლები და ფირმის ლოგოტიპები.

**მესამე:** ყოვლად დაუშვებელია წინდის ჩაცმა სანდლებზე.

**მეოთხე:** წინდა მხოლოდ ნატურალური ძაფისა უნდა იყოს. ბუნებრივია, რომ „საწინდე“ მასალა ბამბა და ეკოლოგიურად სუფთა მატყლია. ასეთი წინდები სისხლის მიმოქცევას აუმჯობესებს და კანსაც არ აღიზიანებს. აბრეშუმის წინდები მხოლოდ სმოკინგთან და ლაკის ფეხსაცმელთან იხმარება: კარგი წინდა ძვირი ღირს, ზოგჯერ 20-60 დოლარიც კი.

მაგრამ რაც არ უნდა ღირდეს თქვენი წინდა, რა ფირმისა და ხარისხისაც არ უნდა იყოს ის, ერთი რამ აუცილებლად უნდა გახსოვდეთ — წინდა სუფთა უნდა იყოს! ამიტომ ყოველდღე უნდა გამოიცვალოთ!

## ტელევიზორმა კინაღამ ოჯახი დამინგრია

**მამაკაცთა უმრავლესობა კი იძახის, ეჭვიანობას არ ვიმჩნევ და გულში ვიხვევო, მაგრამ საქმე არც ისე კარგად ჰქონიათ. ზოგიერთი მათგანი ისეთ სასწაულებს სჩადის ამ ცუდი ზნის გამო, რომ მათი მეორე ნახევრები, ზოგჯერ ტრაგიკულ მდგომარეობამდეც კი მიჰყავთ, არადა, სულაც არ უნდათ თურმე მამაკაცებს ამ დროს ბოროტების ჩადენა. უბრალოდ, ხუმრობენ. ჰოდა აი, ნახეთ ასე ეჭვიანობის ნიადაგზე მონდომებულ ხუმრობას რა შედეგი მოჰყვა (ისე კი არ ვიცი რატომ, მაგრამ კაცები სულ სხვების შესახებ ჰყვებიან ამბებს, თითქოს თავად არც კი აწუხებთ ეჭვიანობა).**

**ლევანი:** — ჩემს ერთ მეგობარს არაჩვეულებრივი ოჯახი კინაღამ დაენგრა ეჭვიანობის გამო. თვითონ სიგარეტს არ ეწევა და თუ გაიგო, ქალი სიგარეტს აბოლებსო, სამუდამოდ აითვალწუნებს. მის საბრალო ცოლს ერთხელ ვერ გაუძლია ცდუნებისთვის და ტუალეტში მოუწევია. ქმარი სუნით მიმხვდარა, მაგრამ არ შეუმჩნევია. ასე გაგრძელებულა კარგა ხანს. მერე ამ ჩემს მეგობარს უფიქრია, — ცოლს ჭკუა უნდა ვასწავლოო: თურმე წარმოიდგინა, როგორ დგას ცოლი ტუალეტის კართან, როგორ აბოლებს, მერე როგორ აგდებს ნამწვს უნიტაზში, იქიდან როგორ ამოვარდება ალი, შიშით გულგახეთქილი ქალი კი ჭკუას სწავლობს.



მოკლედ, კაცმა ბენზინი ჩაუსხა ცოლს უნიტაზში, მაგრამ როგორც მას ეგონა, ქალი ისე არ მოქცეულა. კარგად მოკალათებულა უნიტაზზე, სიგარეტისთვის მოუკიდებია და ალმოდებული ასანთის ღერი უნიტაზში ჩაუგდია...

საბრალო ქალი დიდხანს იწვა დამწვრობის ცენტრში. დასანახად ვერ იტანდა ქმარს.

**შოთა:** — ბაბუაჩემი იყო ეჭვიანი. თურმე ახალგაზრდობაში ბებიას შინიდან გასვლას უკრძალავდა. კარში რაღაც ნიშანს ტოვებდა მალულად. თუ ის შეცვლილი დახვდებოდა, ბებიას შავ დღეს აყრიდა. ეს სიგლახე არც სიბერეში მოუშლია. სანამ ბებია ცოცხალი იყო, ხომ აწვალებდა, გარდაიცვალა და შეგვჭამა, — აი, როგორი მოღალატე იყო, მაინც მოახერხა გაქცევა იმ გენერალთანო. ვის გულისხმობდა, არ ვიცით.

**გურამი:** — ერთხელ, ჩემს მეუღლეს შეაგვიანდა დაბადების დღეზე. იქიდან თავისი მეგობრის ქმარს და ამავე დროს ჩემს მეგობარს, უნდა წამოეყვანა.

ის ვერ მისულა და ქალები ვიღაც სტუმარ მამაკაცს წამოუყვანია. გათენების ხანს, ოთხ საათზე, ვხედავ, როგორ უღებს ჩემს ცოლს ვიღაც მუტრუკი მანქანის კარს და სადარბაზომდე აცილებს. ეჭვის ცეცხლი მომედო. მაგრამ თუ კაცი ხარ, ცოლს თვალებში რომ შეხედავ, ეგრევე მიხვდები სიმართლეს. სუფთა იყო ჩემი ცოლი, რას ვერჩოდი. მაინც ვუთხარი, — ასეთი რამ აღარ მოხდეს-მეთქი.

მეორე დღეს მაინც ვერ ვიყავი ჭკუაზე. ხელზე ბეჭედი დავუნახე. არ მეცნო. ეს საიდან-მეთქი. კარგად რომ დავუკვირდი, მერეღა მივხვდი — დედის ნაჩუქარი ბეჭედი ახლად მომეჩვენა ეჭვიანობის საბაბის ძებნაში.

**თამაზი:** — ცუდი რამ არის ეჭვიანობა. მგონია, რომ ქალები უფრო კორექტულები არიან ამ მხრივ. ჩემმა ცოლმა ქალთან ერთად აგარაკზე შემისწრო, მაგრამ წარბი არ შეუხრია. ოღონდ ხმა არ გაუცია სამი კვირა. კინაღამ გავგიჟდი. დავუჩოქე და ვთხოვე, დამკარი რამე, მომკალი, ხმა ამოიღე-მეთქი... ჩემი ცოლის ადგილზე მე ხომ იმწამსვე მივახრჩობდი მოღალატეს. მაგრები ხართ ქალები.

**შალვა:** — ტელევიზორმა კინაღამ ოჯახი დამინგრია. ორი ბინა გვაქვს. ერთში მაშინ ვრჩები ხოლმე, როცა ბევრი სამუშაო მაქვს. იმ დღესაც, დილით, ადგომისთანავე ტელევიზორი ჩავრთე, თან სამსახურში წასასვლელად ვემზადებოდი. უცებ დენი წავიდა. წამოვედი სამსახურში. ვერ მოვისვენე. ცოლი მომენატრა. დავურეკე — მეორე ბინაში მოდი-მეთქი. ბინის კართან მისულს შიგნიდან ქალისა და მამაკაცის საუბარი და ოხვრა-კვნესა მომესმა. თვალთ დამიბნელდა, მუხლებში ჩავიკეცე — ნუთუ მღალატობს, თანაც სად, ჩვენს სახლში-მეთქი. ამ დროს ლიფტი გაიღო და ჩემი ცოლი გამოვიდა. ჩემს დანახვაზე გული წაუვიდა...

იქ, ოთახში კი ალეკ ბოლდუინი და კიმ ბესინჯერი სიყვარულობდნენ თურმე ტელევიზორში, რომლის გამორთვაც დილით დამავიწყდა...

***ეკა ლომიძე***

# ქმარი მეკითხებოდა — ამ ბიჭთან „გაჩალიჩდებიო"?

**ვინ არის დამნაშავე იმაში, რომ ეს 17 წლის გოგონა მეძავია? თუმცა, თავად ამ სიტყვის თქმას გაურბის, თვალზე ცრემლი ადგება და ცდილობს, დამნაშავეებად სხვები წარმოგვიდგინოს. სახელის, გვარისა და სურათის გამოქვეყნებაზე კი მხოლოდ იმიტომ დაგვთანხმდა, რომ სურვილი აქვს, თავისი საქციელი საქვეყნოდ მოინანიოს და ინტერვიუს გამოქვეყნების დღიდან სხვა ადამიანად გარდაიქმნას. თუმცა, მივყვეთ თანამიმდევრულად:**

— მანანა მქვია, გვარად ბერიძე ვარ. დავიბადე და გავიზარდე ოზურგეთში. მყავს გათხოვილი და და დედა.

— **როდის ჩამოხვედი თბილისში?**

— სულ ორი კვირაა, შინიდან გამოვიპარე. ჩემს მეგობარ ბიჭს 10 ლარი ვესესხე და მატარებელს თბილისში ჩამოვყევი. მინდოდა აქ ვინმე გოგონა გამეცნო და მასთან ერთად ვაჭრობისთვის მომეკიდა ხელი. შინ ჩემი გაჩერება უკვე აუტანელი იყო: ამ ზაფხულს სოფელ ნარუჯაში ჩავედი ნათესავთან. იქ გავიცანი სურებიდან ჩამოსული ახალგაზრდა ბიჭი. დედაჩემმა და მისმა ოჯახმა, ჩემს დაუკითხავად მოილაპარაკეს ჩვენს ქორწინებაზე. მე უარზე ვიყავი. ჯერ ერთი იმიტომ, რომ შეყვარებული მყავდა, მეორეც — ავადმყოფი იყო, ტვინის შერყევა ჰქონდა გადატანილი და ვატყობდი, მთლად ნორმალური არ უნდა ყოფილიყო. ასე თუ ისე,



მაინც გამათხოვეს. ქორწილი 29 ივნისს გადავიხადეთ და დაიწყო ჩემი ტანჯვა. პირველივე დღეებიდან მცემდა, შეეძლო დაველურჯებინე იმის გულისთვის, საწოლს რატომ აჭრიალებ, ქვევით დედაჩემს სძინავსო. ოჯახმა რუსთავში გაგვაგზავნა საყიდლებზე. ქუჩაში თუ ვინმე შემოგვხედავდა, ხმამაღლა მეკითხებოდა — ამ ბიჭთან „გაჩალიჩდებიო"? მრცხვენოდა, ვტიროდი. ნაცნობი ბიჭი შეგვხვდა. იმას შესთავაზა — თუ გინდა, ჩემს ცოლს დაგითმობო. ამის გულისთვის ჩხუბიც მოუვიდათ. ჩემი ქმარი ეუბნებოდა — რას მეჩხუბები, შენც გეყოფა და მეცო.

— **რატომ არ სთხოვე დახმარება დედამთილს ან დედას?**

— დედამთილს რომ შევჩივლე, მითხრა — ავადმყოფი შვილი მყავს და ნუ დამიჩაგრავო. დედამ კი მითხრა — შენი ქმარი ეგ არის, ოჯახიდან წამოსვლა არ გაბედოო. მაინც გამოვიქეცი და დედას მივაკითხე. მან ხელი არ მკრა, მაგრამ ცხოვრება უარეს ჯოჯოხეთად მიქცია. — მეჩხუბებოდა, მცემდა, იძულებული გავხდი, თბილისში გამოვქცეულიყავი.

— **დედაშენი არ გეძებს?**

— არა, არასოდეს მომძებნის. ძალიან უცნაური ქალია. მამამ მაშინ მიატოვა, როცა 5 თვის ვიყავი, დედაჩემი კი ჩემს დაზე ფეხმძიმედ იყო. მამა კრასნოდარში წავიდა და მას მერე არავის უნახავს. დედაჩემი ყველაფერს მას აბრალებს, მაგრამ დარწმუნებული ვარ, დამნაშავე თვითონაა. მე და ჩემი და, ფაქტობრივად, ქუჩაში გავიზარდეთ. მე მე-5 კლასში ვიყავი, და — მე-4-ში, დედამ რომ სკოლიდან გამოგვიყვანა. რა მიზეზით, არ ვიცი. მასწავლებელმა უთხრა, ბავშვებს წიგნები უყიდე და სკოლაში ისე გამოუშვიო. მან კი საერთოდ მიგვატოვებინა სწავლა.

— **იქნებ წიგნების საყიდელი ფული არ ჰქონდა?**

— არა, ფული ჰქონდა. ბათუმში დადიოდა, ფულიც ჩამოჰქონდა და პროდუქტიც. დაგვიბარებდა — ბათუმში მივდივარო და კვირაობით იკარგებოდა. მე და ჩემი და მარტო ვიყავით ხოლმე. ერთმანეთს ვუვლიდით. საღამოობით, სიბნელეში ერთმანეთს ვეხუტებოდით და ისე ვიძინებდით. ბევრჯერ გვიტირია. დაუნდობელი ცემა იცოდა. ჩემს დას ახლაც აქვს ნაიარევი ზურგზე. გაბრაზებულმა დედამ დანა ესროლა და ზურგში ჩაერჭო. როდესაც დანა ამოაძრო, სისხლმა იფეთქა და დედას სახეზე შეესხა. არც უნერვიულია. მშვიდად მოიწმინდა სისხლი და ჭრილობა შეუხვია.

— **დედაშენი მეორედ აღარ გათხოვილა? ან იქნებ, საყვარელი ჰყავდა?**

— არა მგონია. მეც მომსვლია ეგ აზრი, მაგრამ ერთმა შემთხვევამ დამარწმუნა, რომ მამაკაცი არ ჰყავდა. დედა ცუდად გახდა. ექიმთან წავიდა. მე და ჩემი დაც გავყევით. ცოტა ხნის შემდეგ ექიმმა დაგვიძახა და გვითხრა — რამდენიმე ხნით მოსცილდით დედათქვენს, თავი დაანებეთ და მარტო დატოვეთ — გადაჭარბებულად აქვს კაცის მოთხოვნილება და ამას სიგიჟემდე მიჰყავს, სწორედ ამიტომ აქვს ნერვები გაფუჭებულიო. აბა, სად წავიდოდით, წასასვლელი არსად გვქონდა.

— **შენი ბავშვობიდან კარგი არაფერი გახსოვს?**

— ერთადერთი, რაც მახსოვს, ის არის, რომ მე თვითონ მივედი სიმღერისა და ცეკვის წრეზე. ნიჭიც აღმომაჩნდა. კონცერტებში ვმონაწილეობდი. კონცერტისთვის ჩამოვირბენდი მეზობლებში, ტანსაცმელს ვითხოვდი, გამოვიპრანჭებოდი და სიხარულით გავრბოდი. ყველაზე ცუდად კი ყოველი ახალი წლის მოსვლა მახსენდება. დედას ვეხვეწებოდი, ნაძვის ხე დაედგა ჩვენთვის. ის კი არ გვთანხმდებოდა — ვერ ვიტან ნაძვის ხესო. სხვაგან რომ მორთულ ნაძვს ვნახავდით, ორივე და ცხარე ცრემლით ვტიროდით. თუ ოდესმე ოჯახს შევქმნი, ჩემს შვილებს უამრავ ნაძვის ხეს დავუდგამ.

— **თბილისში რომ მოდიოდი, რას ფიქრობდი, ვისი, ან რის იმედი გქონდა?**

— წინათ თბილისში არასოდეს ვყოფილვარ. ვიფიქრე, ცხოვრებას იქ მაინც ავიწყობმეთქი. მატარებლიდან რომ ჩამოვედი და გავიარ-გამოვიარე, მივხვდი, ცოტაოდენი ფული მჭირდებოდა, რომ ვაჭრობა დამეწყო. მთელი დღე მშიერმა ვიხეტიალე. საღამოს ვაგზლის მეორე სართულზე, კინოთეატრში შევეხეტე. იქ დამხვდა ჭაღარა კაცი. შევჩივლე, მშია და თუ რაიმე გაქვს, მაჭამემეთქი. ერთი ლარი მომცა და შემომთავაზა — ამ ორ ოთახს თუ დაალაგებ, დღეში ორ ლარს მოგცემ და პურის ფული გექნებაო. დავთანხმდი, მაგრამ ორი ლარით თავის რჩენა ძნელია.

— **შენც ადექი და მეძაობა დაიწყე?**

— არა, მე მხოლოდ ერთი კაცი მყავს. მუშად მუშაობს. ის მაძლევს ხოლმე ხან ორ, ხან სამ ლარს.

— **ვხვდები, რომ მატყუებ...**

— იცი, რა, მე ჩემი ცხოვრება არ მომწონს. ცემა-ტყეპით მიწევს ამ საქმის კეთება. ხშირად მატყუებენ და ფულსაც არ მაძლევენ...

— **სად ცხოვრობ?**

— ვაგონში. აქ გაცნობილ გოგოსა და მის შეყვარებულთან ერთად. დღეში ერთ ლარს ვიხდი.

— **ვის უხდი იმ ერთ ლარს?**

— აქ, საყარაულოში ერთი ბიჭი მუშაობს. თავშესაფარი იმან მოგვცა და ფულსაც მას ვუხდით.

— **შენი ახალი მეგობარი რას საქმიანობს?**

— ტანსაცმლით ვაჭრობს.

— **თუ ისიც შენნაირი „ვაჭარია"?**

— აბა, რა ვქნათ, ცოტა ფულს მოვაგროვებთ და მართლა ვაჭრობას დავიწყებთ...

— **თავად თუ გჯერა შენი ნათქვამის?**

— არა, არ მჯერა. თუ აქედან არ გავიქეცი და შინ არ დავბრუნდი, საბოლოოდ დავიღუპები. დროა, გუდა-ნაბადი ავიკრა და ოზურგეთში წავიდე. თანაც, ძალიან მეშინია, რაიმე დაავადება არ ავიკიდო. პოლიციისაც მეშინია, მათ გოგოები „სტროგზე" ჰყავთ აყვანილი. დაიჭერენ და ცემა-ტყეპით მიჰყავთ განყოფილებაში.

— **ესე იგი, გადაწყვიტე, შინ დაბრუნდე?**

— დიახ. ახლა, ჩემი ერთადერთი მიზანია მამა მოვძებნო. პატარაობიდანვე თითქმის ყოველღამე მესიზმრებოდა მამაჩემი. მიუხედავად იმისა, რომ ოჯახში მისი არც ერთი ფოტო არ გვქონდა, მაინც ვცნობდი სიზმარში. აუცილებლად ვიპოვი მამას, იქნებ ის მაინც დამიდგეს გვერდით.

— **როგორ ფიქრობ, სად დაუშვი შეცდომა?**

— თბილისში არ უნდა წამოვსულიყავი. სჯობდა, დედას ცემით მოვეკალი, ვიდრე ამ ჭაობში აღმოვჩენილიყავი. იცი, რას ვნატრობ?

— **?!**

— ამ წუთში, უბედნიერეს ადამიანად ვგრძნობ თავს, რომ ეს გადაწყვეტილება მივიღე. მინდა, ძალიან ბედნიერი ვიყო და სულ მალე მოგძებნო და გითხრა — მარი, მინდა ჩემი ბედნიერების შესახებ გიამბო და შენ კი ქვეყანას ამცნო. მაპატიებს მამა ჩემს საქციელს? ღმერთო! ნუთუ შეიძლება, მეც ბედნიერი ვიყო?

P.S. მე და მანანამ ორი საათი ვისაუბრეთ. თვალზე ცრემლი არ შეშრობია და მომეჩვენა, რომ გულწრფელი იყო, როდესაც ახალი ცხოვრების დაწყებას მპირდებოდა. თუმცა, ვფიქრობ, მაინც ბევრი რამ უთქმელი დატოვა. ღმერთი იყოს მისი მფარველი...

***მარი ჯაფარიძე***



# კარგია თუ ცუდი?

ძვირფასო ქალებო, სიყვარულმა იმედი რომ არ გაგიცრუოთ, ძლიერი სქესის რამდენიმე საიდუმლოს გაგიმხელთ. ეს კი მათ შეცნობაში დაგეხმარებათ.

ამისათვის შერლოკ ჰოლმსობა უნდა ითამაშოთ. დააკვირდით თქვენს რჩეულს, როცა რიგში, გაჩერებაზე დგას ან თქვენ გელოდებათ. სწორედ ლოდინში ავლენს მამაკაცი თავის ნამდვილ სახეს.

• • • თუ ვაჟბატონი მოუსვენრად წრიალებს, თქვენ წინაშე ფიცხი, იმპულსური, თავდაჯერებული და ინფანტილური კაცია. ასეთს რომ ცხოვრება დაუკავშიროთ, დიდი სიმარჯვე გჭირდებათ მის მოსათოკად. მან თქვენ სიჯიუტითა და ხიბლით დაგიპყროთ — ასეთები ხომ აღმერთებენ თავიანთი ვნებების ობიექტს. მაგრამ მუდამ ფხიზლად უნდა იყოთ — უეცარი აფეთქება და უეცრადვე დამშვიდება იცის. სამაგიეროდ, შესანიშნავი საყვარლები არიან. ოჯახურ ცხოვრებაში დაუდევართ გული გარეთ მიუწევთ.

• • • თუ დგას (ან ზის) და კითხულობს. ნამდვილად ტარტაროზი უნდა იყო, რომ მოთმინება დააკარგვინო. მომთმენი და ჟინიანია და კარად იცის, რაც უნდა. მიჩვეულია გამარჯვებებს. ცხოვრებისეულ გზას გულდინჯად მიჰყვება და ქალის გულსაც იოლად იპყრობს. დიდად დაოსტატებული არ არის სიყვარულის საქმეში, სამაგიეროდ, შესანიშნავი ქმარი და მამაა. ასე რომ, თუ ქვის კედელი გჭირდებათ, გილოცავთ — იგი თქვენ წინაშეა.

• • • ფიქრობთ, რომ თქვენი რჩეული გულღია და მეგობრულია? სულაც არ არის აუცილებელი, რომ პირველივე შეხვედრაზე ილაქლაქოს, თანაც ნებისმიერ თემაზე, შესაძლოა ამ კომუნიკაბელურობის მიღმა ეჭვიანი და შფოთიანი კაცი იმალება. ასეთის მოპოვება კი, იოლია და ხშირად მათ „რკინის ქალები" ისაკუთრებენ. ასეთნი დამჯერე და მორჩილი ქმრები ხდებიან და სიყვარულში მორცხვები არიან.

• • • თუ თქვენი რჩეული სულ მუდამ ყველაფრის მოწესრიგებას და თავის ადგილზე დაყენებას ცდილობს — ფრთხილად. თქვენს წინაშეა მოხალისე „მომწესრიგებელი". მბრძანებლობის სურვილი არ უნელდება. ყველაფერს აკონტროლებს, ყოველთვის იცის, ვინ არის დამნაშავე და საჭიროების შემთხვევაში, გაგრძნობინებთ, რომ უფროსი თვითონაა. მოკლედ, „რკინის ხელზე" თუ ოცნებობთ, მბრძანებელი თქვენ წინაშეა.

• • • ყურადღება, თქვენ წინაშეა — მეამბოხე! ვინ თქვა, შაქარი ტკბილიაო, თქვენმა უფროსმა? ე.ი. ბრიყვი უფროსი გყავთ. ასეთი კონფლიქტური პიროვნებისთვის მთავარია, ყველას კრიჭაში ედგეს. ამიტომ, თუ მასთან ბედის დაკავშირებას გადაწყვეტთ, მისი ჩრდილის ქვეშ მოგიწევთ ცხოვრება. ერთხელ შეკამათებაც კი სკანდალებსა და გარჩევებს გიქადით.

ახლა კი, ქალბატონებო, განსაკუთრებით ყურადღებით უნდა იყოთ:

თუ თქვენი რჩეული ხელში რაღაცას ატრიალებს, თქვენ წინაშეა ერთბაშად ორი ტიპი. შესაძლოა, რომანტიკოსი — დახვეწილი და ემოციური კაცი, ანდა.. ნევრასთენიკი. ორივე შემთხვევაში გებრალებოდეთ — ასეთებს სიყვარულში გამოტყდომა უჭირთ. მხოლოდ ჭკვიანი ქალი თუ შეძლებს ამ „პოეტების" გამოცოცხლებას.

# სიძე-სიდედრიანი

**აბა, თუ გამოიცნობთ, ვინ იყო კაცი, რომელსაც სიდედრი არ ჰყოლია? — ყოჩაღ, რა უნდოდა მაგის მიხვედრას! კაცთა მოდგმის ძლიერ ნახევართა უმრავლესობას ხომ ყველაზე მეტად სწორედ ეგ შურს თავისი უძველესი წინაპრისა — ადამი დედამიწის ზურგზე ერთადერთი კაცი იყო, ვისაც სიდედრი არ ჰყოლია. ჩვენი ტრადიციული რუბრიკის თემადაც არა მოძველებული რძალ-დედამთილიანი, არამედ მარად ახალი და აქტუალური სიძე-სიდედრიანი ავირჩიე. მერედა, როგორ ივაჟკაცეს ჩემთან საუბრისას სიძეებმა! ყველამ პირში წყალი ჩაიგუბა და არაფერი მითხრა საყვარელი სიდედრის შესახებ. მეც დახმარებისათვის ისევ ცოლებსა და სიდედრებს მივმართე...**

**ლიკა (ცოლი):** — ისე, ეგ თემა მაგარი ანეკდოტია. ერთი ამბავი მახსენდება, არც კი ვიცი, ნამდვილად მოხდა თუ არა, მაგრამ კარგად კი ვიხალისე. ფეხბურთის მატჩის დამთავრების შემდეგ, თბილისის „დინამოს" სტადიონზე მანქანა თამაშდებოდა თურმე. მოგებული ის იქნებოდა, ვისაც ჯიბეში სიდედრის ფოტო აღმოაჩნდებოდა. როგორც ჩანს, ლატარიის ორგანიზატორებიდან ვერავინ იფიქრებდა, რომ სიდედრის მოყვარული კაცი იარსებებდა და თანაც იმ დღეს სტადიონზე იქნებოდა. მოკლედ, ავტომანქანა გათამაშებულა, მოუგია კაცს, რომელსაც თურმე სიდედრის საფლავის ქვისთვის გასადიდებლად წამოღებული პასპორტის სურათი ედო ჯიბეში. ალბათ ამ ამბის შემდეგ ის კაცი სიდედრს ძეგლს დაუდგამდა საფლავზე.

**ნანუკა (ცოლი):** — ჩემს ქმარს და დედაჩემს ტელეპათიური ურთიერთობები აქვთ. არ გჯერათ? სასწაულები ხდება ჩვენს თავს. რეკავს ტელეფონი, ზაზა იქვე ზის სავარძელში და ხელსაც კი არ აქანებს ყურმილისკენ. უპასუხე! — ვყვირი სამზარეულოდან. მე რატომ ვუპასუხო, დედაშენი რეკავსო. მართლაც ყურმილი ავიღე თუ არა დედა შემრჩა ხელთ. ეს ამბავი პირველად რომ მოხდა, მეგონა, ზაზამ იხუმრა-მეთქი, მაგრამ დღემდე გრძელდება ამგვარი წინასწარმეტყველება. უფრო მეტიც, ზაზა და ჩვენი ძაღლი „ბომჟი" უცდომლად ხვდებიან დედაჩემის ზარს კარზე. ოღონდ „ბომჟი" კარის გასაღებად გარბის და ზაზა საძინებლისკენ მიდის უქეიფობის მომიზეზებით.

**ხათუნა (სიდედრი):** — უცხოელ სიძეს არ სჯობს არაფერი. გაბრაზდები? — ლანძღე-თათხე, აგინე, თანაც ღიმილით, სიცილით, მე შენ გეტყვი, გაიგებს! გერმანელი სიძე მყავს. ქალიშვილთან ვსტუმრობდი რამდენიმე თვით გერმანიაში. რომელი ქართველი სიძე იგუებს ამდენხანს სიდედრს! მოკლედ, სიძემ მთხოვა ხაჭაპურის გამოცხობა. წავედი ქურთების რესტორანში, გამოვართვი ცომი, ჩავდე ცელოფანში და ჩავჯექი ტრანსპორტში... გზაში ცომი გაფუვდა, გაიზარდა, ცელოფანი გასკდა და ძირს ჩამოვარდა. საგულდაგულოდ გავწმინდე ასფალტი და გაფუჭებული ცომი ურნაში ჩავუძახე. მივედი შინ, ჭირის ოფლი მასხამდა. სიძე მეკითხება, მოიტანე ცომიო? მოვუყევი, რაც შემემთხვა. დაკვირვებით შემომხედა და მკითხა — მერე რა უყავი, ხომ ჩააგდე ურნაშიო. კარგად მივაწყვლე, ქართულად ლანძღვით გული მოვიოხე.

**თამარი (სიდედრი):** — ჩემი ახლობელი ქალი და მისი სიძე ერთმანეთთან შეხუმრებულები იყვნენ. ხანდახან სიძე ისეთ რამეებს უწყობდა, სიცილით ვიხოცებოდით. ერთხელ ქალი ავად გახდა და სიძემ საავადმყოფოში „ვენოკი" მოუტანა. ბიჭო, ეს რა ჯანდაბად მინდა, ჯერ არ ვკვდებიო, — უსაყვედურა სიდედრმა. რომ მოკვდები, მერე ვეღარაფერს გაიგებ და თადარიგს წინასწარ ვიჭერო, — უპასუხა სიძემ.

**თაკო (რძალი):** — ერთ წუპაკი ნათესავი ქალი მყავს, რომელსაც თვალის დასანახავად სძულს სიძე, კეთილი, ბუნჩულა კაცი. ერთხელ, ქალიშვილთან სტუმრობის შემდეგ, სიდედრი სიძეს სადარბაზოში დაემშვიდობა და ჩემთან ერთად გამოვიდა ქუჩაში. გაჩერებაზე დავდექით. იქიდან პირდაპირ ვხედავდით, სიძე გულით უქნევდა ხელს სიდედრს. ამანაც ღიმილით აუწია ხელი და ჩაილაპარაკა, — შენ არ დამხვდი ცოცხალიო.

მას მერე იმ ქალს ვერ ვიტან.

***ეკა ლომიძე***

# მამაკაცის გულის მოგება გსურთ?

- ინტელექტუალური საუბრების ან მაღალკვალიფიციური ღონისძიების შემდეგ შინ მიიპატიჟეთ ფინჯან ჩაიზე (ყავაზე), ეს არაფერ „ისეთზე" არ მიანიშნებს...
- აღტაცება გამოთქვი მის მოქმედებებსა და გამონათქვამებზე;
- ხანდახან ვითომ „შემთხვევით" შეეხე მხარზე, ხელზე, მაგრამ დისტანცია დაიცავი.
- თუ რაიმეს გიყვება, ყურადღებით უსმინე, თვალებში უყურე და გაუღიმე ხშირ-ხშირად. თუ იხუმრა — აუცილებლად სათანადო რეაგირება მოახდინე;
- ენთუზიაზმით აღიქვი ყველა მისი ინიციატივა;
- აქტიურად აუბი მხარი საუბარს, ხანდახან გაეკეკლუცე კიდეც, ოღონდ, ზომიერების გრძნობა არ დაკარგო.





მსოფლიოს ყველაზე წყალუხვი მდინარე

საკერავი მანქანა

ქიმიური ელემენტი სუფრის მარილში

ცხენის აღკაზმულობა

ჩრდილოატლანტიკ. სამხ. ალიანსი

გაფრინდაშვილი

ოტელოს მოსისხლე მტერი

მოხეტიალე პოეტი ძვ. საფრანგეთში

სამონასტრო კომპლექსი კასპის რ-ნ-ში

ლამების ოჯახის ძვირფასბეწვ. ცხოვ.

ლიცენზიის არმქონე მონადირე

მდინარე დასავლეთ ევროპაში

ნაწარმოები სამი შემსრულებლისათვის

იტალიელების „ნუგბარი“

ანჟელიკას როლის შემსრულებელი

ელინური ანბანის ასო

ბერძნული ცეკვა

რადიოაქტივობის ერთეული

ორთქლის აბანო

მონათა უდიდესი აჯანყების მეთაური

ყველაზე ძლიერი ფიგურა ჭადრაკში

„ვალენსიის“ ფანების ლიდერი

ავტონომიური ოლქი სამხ. ესპანეთში

„ნაუტილუსის“ კაპიტანი

პერიოდ. შრობადი მდინარე ავსტრალ.

ჯარის დროებითი სადგომი



თამბაქოში ნიკოტინის აღმომჩენი

შესახედაობა

მხედველობის არეში მოქცეული ადგილი

მაცოცხლებელი სუბსტანცია ინდურ ფილოსოფიაში

რუსული თვითმფრინავი

შტეფან ცვაიგის ნაწარმოები

ლედის მეუღლე

მახების ხატვის მოყვარული

ეგვიპტური ღვთაება

მოძღვრება, რომლის მიზანია ნირვანა

თამაში ბანქოთი

ციხე პარიზში

თმის საღებავი

ვერდის ოპერა

პერსონაჟი მულტფ. „მეფე ლომი“

ეგვიპტელი მზეთუნახავი

ნადირობის ქალღმ. ქართულ მითოლოგიაში

მდინარე ჩინეთში, ინდოეთსა და პაკისტანში

იზოლდას სატრფო

კურორტი შავი ზღვის სანაპიროზე

სოფელი რაჭაში

სტალინის საყვარელი სამოსი

მაგარნაჭუჭიანი ნაყოფი

საჭმელად ვარგისი ხის ნაყოფი

... ელიავა

ღვინის სასმისი

უმაღლესი სამემკვიდრ. ტიტული ინგლისში

კომისარი სერიალში „რვაფეხა“

სამშენებლო მასალა

მოხეტიალე დავრიში

ქართველი ფალავანი ... გლდანელი

„სევილიელი დალაქი“ (პერსონაჟი)

ნარკოტიკი

„რომას“ მწვრთნელი

საარჩევნო ყუთი

შვეიცარიის ფედერალური ერთეული

სომხური სამარკო კონიაკი

„ქეთო და ...“

... ლოლობრიჯიდა



3მმ-იანი სასტამბო შრიფტი

იძულებითი ყაიმი ჭადრაკში

ღვთაებრივი ხარი

**შეადგინა რამაზ ალანიამ**



Новая газета

## ამ ყველაფერზე ოფიციალური მოსკოვი არ საუბრობს...

# ჩვენ ყველანი ომის მძევლები ვართ

— მეოცე საუკუნის მსოფლიო ომისა, რომელიც დროის რომელიღაც მონაკვეთში დაიწყო და არა და არ მთავრდება. იგი დიდხანს მოგვდევდა და დაგვეწია კიდეც — იმიტომ, რომ არ გვაქვს სხვისი მოსმენის უნარი, გვინდა ცვალებადი სამყარო ძველი მეთოდებით ვმართოთ და არა ისე, როგორც ამას ითხოვს ადამიანის სიცოცხლე.

პარტიულებმა — როგორც სამხედროებმა, ასევე მოქალაქეებმა იცოდნენ და იციან ახლაც, რომ მათი საკუთარი სიცოცხლე აუცილებელი, უნიკალურია და საჭიროებს გაფრთხილებას, სხვებისას კი დაცვა არ სჭირდება...

ალბათ, ამიტომაც არის, რომ ჩვენს ხელმძღვანელებს სიმართლეს ვერ ათქმევინებ. შეიძლება გაჩუმდნენ, მაგრამ მერე, მაინც იცრუებენ.

ჩერნობილი, ვილნიუსი, თბილისი, ბაქო, 1991 წლის აგვისტო, 1993 წელი, ჩეჩნეთი პირველი, „კურსკი", ჩეჩნეთი — მეორე... დასასრული არ აქვს და მაინც გვპირდებიან, ისევ და ისევ გვაბრიყვებენ... ჩვენ მალე ვივიწყებთ ცუდს: დაასრულებენ, დაასრულებენ, აკი დაგვპირდნენ?!..

ჯერჯერობით კი მთელ რუსეთში უდროოდ ახალგათხრილი საფლავებია, მათი საფლავები, რომლებმაც თავიანთი სიცოცხლით უხმოდ მისცეს ხმა თავიანთი ქვეყნის ტერიტორიაზე ომის შეწყვეტას.

ჯერჯერობით, კიდევ არიან ცოცხლები, რომლებიც დამწუხრებულნი, ქუდმოხდილები დგანან და კვლავ მათ უჭერენ მხარს.

***იური როსტი***

## რა უნდა ვქნათ, რომ ტრაგედია არ განმეორდეს?



შეიცვლება დადებითისკენ და მიხვდება მშვიდობის დამყარების აუცილებლობას.

**იური რიჟოვი, აკადემიკოსი**

— დაიწყოს მოლაპარაკება მასხადოვთან. ჩეჩნეთს სრულ დამოუკიდებლობას ვერ მიანიჭებენ, მაგრამ ხომ გვაქვს კომპრომისების გამოცდილება, რომელსაც თავის დროზე მივაღწიეთ თათრეთსა და ბაშკირეთთან. ახლა ჯავრის ამოყრა მოსკოველ ჩეჩნებზე, უბრალოდ, ბოროტმოქმედება იქნება. და თუ დარბევებისგან თავს შევიკავებთ, მაშასადამე, რუსეთში ყოფილა საზოგადოება. თუ არა და — ჩვენ, ჯერჯერობით, მოსახლეობა არ გვყოლია.

**ლილია შევცოვა, პოლიტოლოგი, მოსკოვის კარნეგის ცენტრი:**

— გამარჯვებულის სინდრომი არ უნდა გაგვიჩნდეს — ეს არის მომავალში ტერაქტების თავიდან აცილების ერთადერთი საშუალება.

რუსეთისთვის ყველაზე ძნელი ჩეჩნეთის დაკარგვა კი არ იქნება, არამედ ის, თუ როგორ აუხსნას საზოგადოებას, რისთვის დაიღუპა ჩეჩნეთის ომში ათასობით რუსი ჯარისკაცი.

მე წინააღმდეგი ვარ სცენარის, რომლის თანახმადაც, ჩეჩნეთს ეკლიან მავთულხლართს შემოავლებენ და იგი იზოლაციაში აღმოჩნდება.

**გეორგი სატაროვი:**

— რაღა თქმა უნდა, 23 ოქტომბრის შემდეგ საზოგადოებრივი ცნობიერება შეიცვლება,

**Новая газета-ს კორესპონდენტის, ანა პოლიტკოვსკაიას ინტერვიუდან NORD-OST-ის დარბაზიდან:**

**ბოევიკი — ბაქარ აბუბაქარი:**

**— რამდენი წლის ხართ?**

— ოცდაცხრის.

**— ორივე ომში იბრძოდით?**

— დიახ.

**— საქართველოში „ისვენებდით"?**

— არა. ჩეჩნეთიდან არ გავსულვარ.

**ისევ ინტერვიუდან:**

**მძევალი — ანა ანდრიანოვა:**

„მოსკოვსკიე ნოვოსტის" კორესპონდენტი ვარ. თქვენ, მანდ, გაიგეთ: ჩვენ აქ უკვე სიკვდილისთვის მზად ვართ. ჩვენ უკვე შევიგნეთ: ქვეყანამ გაგვწირა, ისევე, როგორც თავის დროზე „კურსკი" გაწირა. თუ ჩვენი გადარჩენა გინდათ, გადით ქუჩაში, სთხოვეთ პუტინს შენობაზე იერიში არ მოიტანოს. თუ ამას მოითხოვს ნახევარი მოსკოვი, ჩვენ გადავრჩებით, არ დავიხოცებით. ხვალ ჩეჩნეთში სასაკლაო გაიმართება — ისევ იგივე განმეორდება, იქნება ახალი მსხვერპლი...

# როდის მისცემენ მწვანე შუქს საიდუმლო ვიდეოკასეტას?..



არსებობს ვიდეოფირი, რომლითაც ტერორისტები იღებდნენ თეატრალური ცენტრის შიგნით მიმდინარე მოვლენებს.

ტერორისტები მძევალთა აყვანის პირველ დღეს მოყვარულთა ვიდეოკამერით აფიქსირებდნენ იმას, რაც დარბაზში ხდებოდა. ისინი ფართო პლანით იღებდნენ მძევლებს, თავის თავს და ყველაფერს... „ისინი (ტერორისტები) დადიოდნენ რიგებს შორის, იღებდნენ დარბაზს სხვადასხვა მხრიდან, იღებდნენ საკუთარ თავს", — უამბო „ინტერფაქსს" ერთ-ერთმა ყოფილმა მძევალმა, რომლის გვარიც ცნობილია სააგენტოსათვის.

„შემდეგ, — თქვა თვითმხილველმა, — მოულოდნელად დარბაზიდან ტერორისტებთან მივიდა ქალი და მათ უთხრა: „მე პროფესიონალი ჟურნალისტი ვარ და უკეთ გადავიღებ, ვიდრე თქვენ. შემიძლია ყოველივე ისე გადავცე გარეთ, რომ ხალხმა გაიგოს, რა ხდება დარბაზში". ტერორისტები დათანხმდნენ და კამერა გადასცეს".

ყოფილი მძევლის თქმით, ქალმა ოპერატორად დარბაზიდან აიყვანა ვიღაც. „ეს იყო ჭაღარა მამაკაცი. მას კამერა ეჭირა, დადიოდა დარბაზში და იღებდა. თვითონ ქალი სცენაზე იჯდა და ცდილობდა გადაღების დროს აელაპარაკებინა პირველ რიგებში მსხდომი მძევლები. ეკითხებოდა, რა აკლდათ, რისი შეგზავნა სჭირდებოდათ, რა სურდათ ენახათ მაყურებლებს", — ჰყვება იგი.

ამის შემდეგ, ყოფილი მძევლის ინფორმაციით, ტერორისტებმა გადაწყვიტეს გაეშვათ ქალი. მას სათვალე ეკეთა, თმა მოკლედ ჰქონდა შეკრეჭილი. როცა ქალი დარბაზიდან გადიოდა, „ინტერფაქსის" თანამოსაუბრეს გაუგონია, — ტერორისტებს უკითხავთ, ფირი შენთან არისო?

ყოფილი მძევლის აზრით, ეს შეიძლებოდა ყოფილიყო ფირი, რომელსაც იღებდნენ ტერორისტები, ან ის ფირი, რომელსაც იღებდა ქალი. „შესაძლოა არსებობდა ორი ფირიც", — ივარაუდა მან.

მისდა გასაოცრად, ყოფილ მძევალს, მას შემდეგ, რაც საავადმყოფოში მოხვდა, სხვადასხვა ტელეარხის პროგრამებში არ უნახავს ის ვიდეოჩანაწერები, რომლებიც დარბაზში გადაიღეს ჯერ ტერორისტებმა, შემდეგ კი უცნობმა ქალმა. მაშასადამე, ფირი, რომლის შესახებაც მან გვიამბო, ან არ მისულა სამართალდამცავ ორგანოებამდე და მათ არაფერი იციან მის შესახებ, ან მიზეზთა გამო აღარ გაუშვეს ეთერში.

რუსეთის ФСБ იტყობინება, რომ ჯერ არ გააჩნია ცნობები ამ ფირის შესახებ. „ჩვენ შევამოწმებთ ამ ინფორმაციას", — გვითხრა წყარომ სპეცსამსახურიდან.

წყარომ ტერაქტის საგამოძიებო-ოპერატიული ჯგუფიდან აცნობა „ინტერფაქსს", რომ „გამომძიებელთა განკარგულებაშია დარბაზში მიმდინარე მოვლენების შესახებ რამდენიმე ვიდეოჩანაწერი. ყველა მათგანის შესწავლა ხდება სისხლის სამართლის საქმის ჩარჩოებში".



# „ტერორისტები" მეორე დილას ყველა მძევალს გაუშვებდნენ

ზაკაევმა კრემლის შეფი, ვლადიმირ პუტინი კოპენჰაგენში, „ჩეჩნების მსოფლიო კონგრესზე", სამშაბათ დღეს მოსკოვის მუსიკალურ თეატრზე იერიშის მიტანაში დაადანაშაულა. როგორც აჰმედ ზაკაევმა ბრძანა, იერიშის ღამეს ჩეჩენმა „ტერორისტებმა" მობილური ტელეფონით გადასცეს ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ დილით ყველა მძევლის გათავისუფლებას აპირებდნენ. მიუხედავად ამისა, პუტინის ბრძანებით სამხედროებმა გამათავისუფლებელი ოპერაცია მაინც ჩაატარეს მხოლოდ იმიტომ, რომ „ჩეჩნები გმირებად არ ქცეულიყვნენ".

„მსოფლიო კონგრესის" ჩეჩენმა დელეგატებმა ხალხის მძევლებად აყვანა დაგმეს. მათ უფრო შემზარავი უწოდეს ჩეჩნეთის წინააღმდეგ რუსეთის მიერ მოწყობილ „სახელმწიფო ტერორიზმს", რომელსაც დღემდე 250.000 ადამიანი ემსხვერპლა.

✔ ჩეჩნეთის შალის რაიონის სამართალდამცავი ორგანოების ინფორმაციით, მოსკოვში მოკლული მოვსარ ბარაევის ადგილს დაიკავებს მისი თანაშემწე — ვინმე **თემირ სულთანოვი.**

✔ მოსკოვში, სპორტულ კომპლექს „ოლიმპიურთან" ხალხმრავლობაა. ცხადია, ტრაგიკულ მოვლენებზე საუბრობენ. „ისინი მორწმუნე მუსლიმანები კი არა, ბანდიტები არიან, — ამბობს ერთ-ერთი მოქალაქე, — ჩვენ რატომ უნდა ვაგოთ მათზე პასუხი, ისიც კი არ ვიცით, ტერორისტები მუსლიმანები იყვნენ თუ არა." „ცოცხალი მხოლოდ ერთი ტერორისტი ქალი დარჩა, მაგრამ იგი ქართველია, საქართველო კი როგორც ცნობილია, მართლმადიდებლური ქვეყანაა. მე ვიცი, ტერორისტებს შორის მარტო ქართველები კი არა, აზერბაიჯანელები და ტაჯიკებიც იყვნენ.." — ირწმუნება მეჩეთის მსახური ქალი.

**კომენტარის სურვილიც არ ჩნდება... ბრალდების დიდოსტატებმა „ჩააწვეთეს" უკვე მკითხველს ის, რისკენაც სურთ გეზის მიცემა.**

## კვირის ფრაზა

**Вместо русских силовиков, дайте нам мозговиков**

**მიხაილ ჟვანეცკი**

# ვნანობ, რომ მე არ მოვკალი მოვსარ ბარაევი

ამონარიდი ჩეჩნეთის ომონის მეთაურის მოადგილის **ბუვადი დასაევის** ინტერვიუდან:

**— როგორ ფიქრობთ, ტერორისტების ჯგუფი მოვსარ ბარაევმა შეკრიბა?**

— არა, სამაგისოდ ძალიან სუსტი იყო. ამას უცხოელი სპეციალისტი ხელმძღვანელობდა. ვფიქრობ, ბანდიტები მხოლოდ ტერაქტის წინ შეხვდნენ. შესაძლოა, მანამდე არც კი იცნობდნენ ერთმანეთს. ამ ბანდაში 60% სხვა ეროვნებისა იყო.

**— რა გაძლევთ ამ ვარაუდის საფუძველს?**

— ტელერეპორტაჟში, უნიღბო კაცი რომ ამბობდა, ყველანი აქ მოვკვდებითო, გამოთქმაზე ეტყობოდა, ჩეჩენი რომ არ იყო. ბოლო ოთხი თვის მანძილზე არბი ბარაევის ქვრივი ჩეჩნეთში არ იყო. მას, ისევე როგორც სხვა ქალებს, სხვაგან ამზადებდნენ, ტერაქტის წინ კი ერთად შეჰყარეს.

**— სად შეეძლოთ კამიკაძეების მომზადება?**

— სადაც გინდათ... მალე გამოაქვეყნებენ მათ სიებს და შევიტყობთ, რომ მათი ნაწილი პანკისის ხეობაში ცხოვრობდა, ნაწილი — ბაქოში და მხოლოდ 5-6 ქალი იყო ჩეჩნეთის მთებში.



**— საიდან უნდა ჰქონოდათ იარაღი?**

— მოსკოვში ვერ იყიდიდნენ... ვნახე ავტომატები, რომლებიც ხელში ეჭირათ. ასეთი ავტომატები მხოლოდ „ცხელი წერტილებიდან" შეიძლებოდა ყოფილიყო ჩამოტანილი. იგივე შემიძლია ვთქვა ჩაცმულობაზე, მზით გახუნებულ ფორმებზე, რომლებიც ჩანს, ზაფხულში მთებში ეცვათ.

**— რა გზით შეიძლებოდა მოსკოვში ჩამოსულიყვნენ?**

— ალბათ, ცალ-ცალკე. მათ მოსკოველები ეხმარებოდნენ, მათი დახმარების გარეშე ასეთ ოპერაციას ვერ ჩაატარებდნენ. შენობაშიც ნამყოფები იყვნენ. ოპერაცია ძალიან პროფესიულად იყო მომზადებული, მაგრამ შესრულება არ ყოფილა პროფესიული.

**— რატომ?**

— პროფესიონალი ამაზე არ წავიდოდა, უკან დასახევი არც ერთი გზა არ დაიტოვეს.

**— გინდოდათ შტურმში მონაწილეობა?**

— დიახ, ოპერაციის ხელმძღვანელს დახმარება შევთავაზე, მაგრამ სამწუხაროდ, უარი მითხრეს.

**— ნანობთ, რომ თქვენი „მოსისხლე" ბარაევი სხვამ მოკლა?**

— დიახ, ვნანობ, რომ მე არ მოვკალი.

***გვერდი მომზადდა უცხოური პრესის მიხედვით***

# კიდევ ერთი საქართველოზე შეყვარებული უცხოელი

*(დასაწყისი იხ. გვ.16)*

ისინი ერთმანეთს უზიარებენ განცდებს, გრძნობებს, გულისნადებს, ნდობას უცხადებენ ერთმანეთს და ახალი სასიცოცხლო ძალებით ივსებიან. პრობლემები, რისთვისაც უცხოეთში ხალხი ფსიქოლოგებთან დადის, საქართველოში სუფრასთან გვარდება. უცხოეთში კი ფულს იხდის იმაში, რომ დაიცალოს და მერე ისევ აივსოს, მაგრამ თითქმის არ ხდება ეს დაცლა და შევსება, რადგან ფსიქოლოგსა და კლიენტს შორის მიმდინარეობს ის, რაც ადამიანების ურთიერთობით უნდა რეგულირდებოდეს. საქართველოში საზოგადოების ურთიერთობის საოცარი, ძალიან კარგი ფორმა არსებობს. საბერძნეთშიც ასე იყო დიდი ხნის წინ, მაგრამ ურთიერთობები თანდათან ცივდება. შეკრული, ერთიანი საზოგადოება ინდივიდუალისტთა საზოგადოებად გარდაიქმნება. ამიტომ ისიც კი ვიფიქრე, ქართული სუფრის სრულიად განსხვავებული და ორიგინალური წეს-ჩვეულებები იქნებ ოდესღაც ქართველის გენეტიკაში ჩადებული დამცავი მექანიზმია, რომელიც გაუცნობიერებლად პროტესტს უცხადებს მსოფლიოს გათანამედროვეობის, გლობალიზაციის პროცესებს. ამიტომაც, საქართველოში ფსიქოლოგები არ სჭირდებათ.

### ქალაქის ღმერთს ადამიანების შველა არ შეუძლია

ინდივიდუალისტთა საზოგადოებაში ადამიანი ადამიანს შორდება და შორდება ღმერთსაც. შემოქმედს მოწყვეტილი კაცობრიობა იწყებს სხვა ღმერთის თაყვანისცემას. ნახეთ, რა აწერია ამერიკულ დოლარს — „ღმერთს ვეთაყვანებით, ღმერთისა გვჯერა". ე.ი. ეს ღმერთი არის ფული. თუ ამის ყველაფრის განხილვას გავაგრძელებ, ღრმა, ფილოსოფიური კვლევის მორევში აღმოვჩნდებით და ბოლოს აუცილებლად მივალთ ჭეშმარიტებამდე, რომ ქვეყნად ღვთის წყალობით კაცი მხოლოდ კაცით შეიძლება იყოს ძლიერი. ქალაქის ღმერთს კი ერთმანეთთან დაშორებული, სულიერად დამშეული ადამიანების შველა არ შეუძლია.

**ქალბატონი ირო:** — გასაგებია ჩემთვის დიმიტრისის ნათქვამი, მაგრამ ვერ გამიგია, რა სჯობს — ინდივიდუალისტების საზოგადოება, რომლის დროსაც ვერ იხილავ სამათხოვროდ დამდგარ მოხუცებს, თუ ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული ადამიანების საზოგადოება, რომელთაც არ უყვართ საცოდავი უპატრონო მოხუცები და მათზე არ ზრუნავენ. ვუყურებ ასეთ უმწეო მოხუცებს თბილისის ქუჩებში, გული მტკივა, მათ ადგილას დედაჩემს, მამაჩემს ვხედავ. ეს მკაცრი სინამდვილე ამახინჯებს თქვენი ლამაზი ქალაქის იერს, როგორც ჭრილობა, ისე მოჩანს თბილისში.

**ბატონი დიმიტრისი** კვლავ ოპოზიციაშია მეუღლესთან:

— მე კი მირჩევნია მოხუცები ასე უპატრონოდ იდგნენ ჩემთვის მისაღები საზოგადოებრივი ურთიერთობების მქონე ქვეყანაში, ვიდრე მათ მანქანებივით აბარებდნენ მოხუცთა თავშესაფარში. თბილისში მართლაც უპატრონო მოხუცი თუ დგას ქუჩაში, თორემ, არა მგონია ქართული ოჯახის შვილებმა დედა ან მამა ქუჩისათვის გაიმეტონ. უნდა ჩანდეს ასეთი იარებიც, რათა გვახსოვდეს ისინი, ვიზრუნოთ მათზე, გავბრაზდეთ არსებულ სიტუაციაზე და მისი აღმოფხვრა ვცადოთ. იქნებ უცნაურია, ამგვარი ახსნა. მაგრამ ვინ იცის, იქნებ ქუჩაში მდგომი მოხუცების სახით ღმერთი გვახსენებს დავიწყებულ სათნოებას და გვაბრუნებს საკუთარი დახურული გულის კუნჭულებისაკენ გულმოწყალების გასაცემად. ვიმეორებ, მე საზოგადოების ცხოვრების ისეთი წესები მირჩევნია, როგორიც საქართველოშია, რომელიც ნაკლებად ქმნის საშიშროებას, რომ ცხოვრება გახდება ბიუროკრატიული წესებით გაჯერებული, დამთრგუნველი. მჯერა, რომ ყველა პრობლემის, ყველა წინააღმდეგობის დაძლევის შემდეგ საქართველოში კვლავ უკვდავი დარჩება ერის ის თვისებები და ღირსებები, რითიც უნიკალურია ეს ქვეყანა. მე კი, კიდევ ერთხელ აღვნიშნავ, რომ ძალიან მინდა კავკასიელად, ქართველად წარმოვაჩინო თავი. მართლა ძალიან ვგავარ ქართველებს, თუმცა მაინც საინტერესოა რატომ, საიდან? გული მწყდება, რომ უკვე ასაკში მყოფმა დავდგი პირველად ფეხი ამ მიწაზე. მაგრამ იმედი მაქვს, რომ წინ საქართველოსთან ურთიერთობის დიდი გზა მიძევს, რომელიც ამქვეყნიურ ცხოვრებაში ნამდვილად არ დამთავრდება.

***ეკა ლომიძე***

CMYK

# რატომ დაადეს რჩეულიშვილს თურქებმა იარაღი?!

## უცნობი ტერაქტების უცნობ დეტალებზე პრეზიდენტის დაცვის წევრი გვესაუბრება...

**(დასაწყისი იხ. გვ.5)**

მახსოვს, 1993 წელს სამეგრელოს არეულობის დროს სენაკში ვიყავით, სროლა აგვიტეხეს და წარბიც არ შეუხრია. პრეზიდენტის დაცვა განსაკუთრებით აფხაზეთის ომის დროს გვიჭირდა — ფრონტის წინა ხაზზე გადიოდა ხშირად.

**— ხშირად ვხედავთ, რომ სხვადასხვა ღონისძიებაზე პრეზიდენტი საჭმელსაც მიირთმევს, პრეზიდენტის ულ-**



ზაზა მაზმიშვილთან (მარცხნივ) და კახა შევარდნიძესთან ერთად

**უფის გაკონტროლებაც დაცვის სამსახურის კომპეტენციაა?**

— დაცვის სამსახურის მოვალეობა პრეზიდენტის ფიზიკური და მორალური დაცვაა. ბანკეტების და ალ-ა-ფურშეტებზე პრეზიდენტის საკვებს სპეციალური სამსახური აკონტროლებს... ამ სამსახურში ექიმ-დიეტოლოგები არიან ჩართულნი. ექიმ-დიეტოლოგს ყოველთვის თან აქვს მინილაბორატორია და ამოწმებს საკვებს. თუ სადმე პრეზიდენტის ვიზიტი იგეგმება, წინადღეს იქ მიდის ეს სამსახური, მათი ზედამხედველობით ხდება პროდუქტების შესყიდვა, დამზადება და მისი კონტროლი ბოლო წუთამდე...

**— საზღვარგარეთ ვიზიტის დროს?..**

— მასპინძელი ქვეყანაა პასუხისმგებელი ყველაფერზე...

**— არ ყოფილა შემთხვევა, პრეზიდენტს დაუგეგმავად გაესინჯოს რამე?.. გაგახსენებთ, „მაკდონალდსის“ გახსნის დღეს პრეზიდენტმა „ბიგ-მაგი“ დააგემოვნა...**

— დაუშვებელია მოულოდნელობა. დაცვის სამსახურმა წინასწარ იცის, თუ ვინ რას შესთავაზებს პრეზიდენტს. „მაკდონალდსის“ შემთხვევაც აბსოლუტურად გათვლილი იყო...

**— თქვენი სამსახურის წყალობით ალბათ არაერთხელ აღმოჩენილხართ არაორდინარულ სიტუაციაში...**

— ბევრჯერ...

ახალციხის საბაჟოს გახსნას თურქეთის პრეზიდენტიც ესწრებოდა. ქვეყნის მეთაურებისთვის სახელდახელოდ, გადახურული სეფა დაედგათ. უამრავი ხალხი ირეოდა. პრეზიდენტები დასხდნენ. წესით, შევარდნაძის უკან, მისი დაცვის რომელიმე წევრი უნდა დამჯდარიყო. თურქებმა დაგვასწრეს, დემირელის უკანაც თურქი იჯდა. წავკამათდით მე და თურქები. პრეზიდენტის უკან აუცილებლად მე უნდა ვმჯდარიყავი, რადგან ხელში ავტომატი-დიპლომატი მეჭირა (ამ დიპლომატის ღილაკზე შეხების შემდეგ ხელში ავტომატი გრჩებათ). ერთი თურქი, რომელიც დემირელის უკან იჯდა, სკამიდან გადმოვაგდე და მე დავჯექი. ამ დროს პატარა ინციდენტიც მოხდა... მცხუნვარე მზე იყო. ვახტანგ რჩეულიშვილმა სიგარეტს მოუკიდა და სანთებელა თავის წინ, მაგიდაზე დადო. ეტყობა, გაზის სანთებელა გადახურდა და... უცებ აფეთქების ხმა გაისმა. რჩეულიშვილს 3 იარაღი მაინც მიუშვირეს (შუბლზე მიაბჯინეს), ატყდა პანიკა... ძლივს დავაწყნარეთ თურქები, როცა გაიგეს სანთებელას გამო მოხდა აფეთქება, ბევრი იცინეს.

იგორ გიორგაძე ახალდანიშნული იყო მინისტრად. მაშინ შემოიღეს დაცვის სამსახურში რაციები. არ ვიცოდით და ერთი რაცია უშიშროების მინისტრსაც აუღია. რაციით ინფორმაციის გადაცემისას წესია, ჯერ ნომერი უნდა თქვა, მერე ვინ ხარ და ბოლოს, აწვდი ინფორმაციას. ერთ-ერთ ღონისძიებაზე უნდა გავსულიყავით. ამ დროს რაციით ვიღაც ნომერს ასახელებს და ამბობს, — „კომანდორი“ ვარო... გვეგონა, ვიღაც რადიოხულიგანი ჩაგვერთო. ერთ-ერთმა თანამშრომელმა უპასუხა — კომანდორ, რემბო გისმენთო... რემბო კი არა, თუ მოვედი მანდ, დედას გიტირებთ, გიორგაძე ვარ, უშიშროების მინისტრიო... რა ჩვენი ბრალი იყო, არ ვიცოდით, მინისტრმა კომანდორი თუ დაირქვა...

1996 წლის ზაფხულში პრეზიდენტი ლიკანში ისვენებდა. როგორც წესი, სეირნობის დროს თან ვახლდით. ერთხელ გვისაყვედურა — უხერხულია, ხალხი თქვენი თანხლებით რომ მხედავსო. გადავწყვიტეთ, ხალხს მოვრიდებოდით. „სპეცნაზის“ თანამშრომლებმა ტანზე ფოთლები მიიმაგრეს და ბუჩქებად გარდასახულები მწკრივად ჩასხდნენ გზის პირას. პრეზიდენტი საღამო ხანს სასეირნოდ გავიდა. შორიახლოს ორი მინისტრი მოდიოდა, საუბრობდნენ. ცოტა ხანს საუბარში გართულები შეჩერდნენ. ერთ-ერთი „ბუჩქს“ დასწვდა, ფოთოლი მოწყვიტა და ისევ მოსაუბრეს მიუბრუნდა. ეტყობა, „ბუჩქი“-დაცვის თანამშრომელს ფეხები დაელალა, მუხლის გამართვა გადაწყვიტა და ფეხზე ადგა. მისი ფეხზე ადგომა და მინისტრების ენის ჩავარდნა ერთი იყო. გაოგნებულები გაფართოებული თვალებით უმზერდნენ კაცადქცეულ მცენარეს. სანამ ბუჩქის გაადამიანების ამბავი არ ვუამბეთ, მინისტრები გონზე ვერ მოვიდნენ.

დიღომში გულის კლინიკას იაპონელებმა ახალი აპარატურა აჩუქეს. პრეზიდენტი გულიკო ჩაფიძესთან ერთად შევიდა პალატაში, სადაც იაპონელების საჩუქარზე კომაში მყოფი ავადმყოფი იყო მიერთებული. ქალბატონი გულიკო პრეზიდენტს აპარატურის მნიშვნელობაზე ესაუბრებოდა, ბატონი ედუარდი ამ დროს ავადმყოფისკენ დაიხარა და... მოულოდნელად კომაში მყოფი გონს მოეგო, თვალი გაახილა და პრეზიდენტის დანახვაზე ისეთი ელდა ეცა, კინაღამ მეორედ ჩავარდა კომაში. პალატიდან პრეზიდენტის გასვლის შემდეგ დიდხანს ასულიერებდნენ ავადმყოფს, რომელსაც მეტად არაორდინარული კომიდან გამოსვლა ჰქონდა.

1993 წელი იყო. პრეზიდენტი უცხოეთში მიფრინავდა. კრწანისში შავი „ვოლგით“ მივდიოდით, როგორც წესი, ძალიან ვჩქარობდით. თითქოს მიწიდან ამოძვრაო, გზაზე მოხუცმა ქალბატონმა გადაირბინა, მანქანამ გვერდი გაჰკრა. დაცვის უფროსი ზაზა მაზმიშვილი შეწუხებული მივარდა დაშავებულს — ეგონა, ქალი შემოგვაკვდაო. როგორც კი ზაზამ ხელი შეახო, მოხუცი ქურთის ქალი გონს მოეგო, უცებ წამოხტა და მაზმიშვილს ეუბნება, — ხელი არ მომკიდო, თორემ ჩემი ქმარი იეჭვიანებსო და გაიქცა. ჩვენ კი გაოგნებულები დაგვტოვა...

1999 წელს იალტაში პირად დაცვებს შორის ჩატარდა ტურნირი „ბრძოლა წესების გარეშე“. მასში 27 ქვეყნის გუნდი მონაწილეობდა. საქართველოს სახელის დაცვა მე დამავალეს. ტურნირის მონაწილეები დილის 6 საათიდან გვიან ღამემდე ვარჯიშობდნენ, მე კი შეჯიბრის დღეს დილის 4 საათამდე რესტორანში ვიჯექი. ორთაბრძოლაში ნაბახუსევზე გავედი. მაგრამ ნახევარფინალამდე მაინც მივაღწიე. ნახევარფინალში კარატეში მე-7 დანის მფლობელ ახმახ უკრაინელს უნდა შევბრძოლებოდი. ჩემმა გულშემატკივრებმა შიშისაგან თვალი დახუჭეს, — ამის საცოდაობას ვერ ვუყურებთო. უკრაინელმა ისე გამარტყა, საით იდგა, ველარ გავიგე. მირტყამდა, მაგრამ ვერ წამაქცია. ვერაფერს რომ ვერ გახდა, თვალში მატაკა თითი. ბრძოლის გაგრძელების ნება აღარ დამრთეს. საცემად გავეკიდე მეტოქეს, — უნდა მოვკლამეთქი. ძლივს გამაჩერეს. შეჯიბრის ბოლოს უკრაინელმა ბოდიში მომიხადა. მე კი მესამე ადგილს დავჯერდი...

**— ვასიკო, პრეზიდენტის რეზიდენციაში მორიგეობა ალბათ დღესასწაულის დღეებშიც გიწევდა.**

— ახალ წელს პრეზიდენტთან მისალოცად შევდიოდით. ტკბილეულის სუფრასთან ვსხდებოდით და აუცილებლად შამპანურს ვხსნიდით. პრეზიდენტი და მისი მეუღლე გვლოცავდ-



ნენ, ჩვენც ბედნიერებას ვუსურვებდით... პრეზიდენტი ჩვენ მიმართ ყოველთვის მამობრივ სითბოს ამჟღავნებდა. ძალიან მოსიყვარულე ადამიანია... და იუმორის საოცარი გრძნობა აქვს. ერთხელ მუხროვანის სამხედრო ნაწილის დასათვალიერებლად წავედით. გზაში წამოთოვა. ისეთი ლანჩიანი ფეხსაცმელი მეცვა, მანქანიდან გადმოსვლისთანავე გამიცურდა ფეხი და დავეცი. რამდენიმე ნაბიჯის გადადგმის შემდეგ, ისევ მიწაზე აღმოვჩნდი. როცა მესამედ მოვიცელე, პრეზიდენტმა დაცვის თანამშრომლებს უთხრა, — ამ ბავშვს მიხედეთ, თავს არაფერი აუტეხოს, ეტყობა, მარცხენა ფეხზეა ამდგარიო.

***მარი ზანდუკელი***

www.tavisupleba.org

რადიო თავისუფლება
RADIO LIBERTY

ვხედავთ, გვესმის, ვამბობთ

- პოლიტიკა
- ეკონომიკა
- კულტურა
- სამხედრო სფერო
- სპორტი
- ახალგაზრდობა

RADIO FREE EUROPE · RADIO LIBERTY

გვისმინეთ ყოველდღე

20:00 - 21:00 ▸ FM 100.9, AM 1044 ● 00:00 - 01:00 ▸ FM 102.6, AM 1044 ● 09:00 - 10:00 ▸ FM 107.4

# მედიცინა

**ხშირად გვესმენია ქლამიდიოზის შესახებ. რა დაავადებაა ეს? როგორ ვითარდება, არის თუ არა შესაძლებელი მისგან განკურნება?**

***თეონა გიორგაძე, თბილისი***

## ქლამიდია



უროგენიტალური (შარდსასქესო სისტემის) ქლამიდიოზი სქესობრივი გზით გადამდებ 4 ყველაზე გავრცელებულ ინფექციათა შორისაა — ესენია ტრიქომონიაზი, ქლამიდიოზი, ჰონორეა და სიფილისი. ქლამიდიოზი ავადობის მხრივ მეორე ადგილზეა გრიპის შემდეგ.

ცოტა ხნის წინ ითვლებოდა, რომ ქლამიდია მხოლოდ სქესობრივი გზით გადადის, მაგრამ ამჟამად დადასტურებულია, რომ ინფექცია ჰაერწვეთოვანი გზითაც გადადის. დღესდღეობით ცნობილია ქლამიდიის 4 სახე. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანია Chlamidia frachomatis-ი, რომელიც მხოლოდ ადამიანს ასნებოვნებს. ის გადაეცემა სქესობრივი, ნაკლებად — საყოფაცხოვრებო გზით (საერთო პირსახოცი, თეთრეული და ა.შ.).

ქლამიდიები უჯრედშიდა ძალიან მცირე ზომის პარაზიტებია. ისინი არაგამძლენი არიან გარემოში, მგრძნობიარენი არიან მაღალი ტემპერატურის, კალიუმის პერმანგანატის, წყლის ზეჟანგის მიმართ.

ინფიცირებული მამაკაცის ჩივილები უმნიშვნელოა, ამ დროს ზიანდება შარდის გამომყოფი მილი, აღინიშნება თეთრი ან ლორწოვანი სახის გამონადენი, ქავილი, ტკივილი, შარდის გამოყოფის გახშირება.

ქლამიდიურ ურეთრიტს (შარდგამომყოფი მილის ანთება) ხშირად თან ახლავს პროსტატიტი — წინამდებარე ჯირკვლის ანთება, ეს დაავადება ქრონიკულია. თუკი ანთებითი პროცესი გადაინაცვლებს სათესლე პარკის გარსებზე, ვითარდება ორქეოპიდიდიმიტი. ამ დროს სათესლე შუპდება, შეხებისას მტკივნეული ხდება.

ქალებში პირველად საშოს ყელი ზიანდება, ეს სტადია უსიმპტომოდ მიმდინარეობს, თუმცალა შეიძლება აღინიშნოს ლორწოვან-ჩირქოვანი, მოყვითალო გამონადენი, ქავილი, დიზურიული მოვლენები (ხშირი შარდვა, სისხლდენა მენსტრუაციათა შორის პერიოდში).

დამტკიცებულია, რომ ქლამიდიის ერთ-ერთი ტიპი იწვევს ადამიანის რესპირატორულ (სასუნთქი გზების) დაავადებებს: ბრონქიტს, ფარინგიტს, პნევმონიას.

ხშირად ქლამიდიით ინფიცირდებიან საშუალო ასაკის ადამიანები, თუმცა არ არიან დაზღვეულნი ბავშვები, მოხუცები. ქლამიდიით ნაყოფის ინფიცირება ხდება დედისგან.

ქლამიდიოზი იწვევს შრომისუნარიანობის დაქვეითებას, ძილის დარღვევას, იცვლება გუნება-განწყობა, ქვეითდება იმუნიტეტი. ამავე დროს, ორგანიზმი არ არის შეუვალი სხვა ინფექციების მიმართ.

ქლამიდიების საყვარელი ადგილი შარდსასქესო სისტემის ლორწოვანი და ლორწქვეშა ქსოვილია. ინფექციამ შესაძლოა შარდსაწვეთებით თირკმლებისკენაც გადაინაცვლოს. პრაქტიკულად არ არის გამორიცხული, ქლამიდიამ დააზიანოს ყველა ორგანო, სახსრები, ხერხემალი, ენდოკრინული სისტემა, ღრძილები, ნაღველგამომყოფი გზები, პერიფერიული ნერვული სისტემა, ელენთა და და თავის ტკივილიც გამოიწვიოს მეცნიერულად დამტკიცებულია ქლამიდიის კავშირი გულის პათოლოგიებთან: მიოკარდიტი, ენდოკარდიტი, ათეროსკლეროზი, გულის გვირგვინოვანი სისხლძარღვების პათოლოგია, რომელიც შეიძლება ინფარქტით დასრულდეს. ქალებში საკვერცხეებისა და საშვილოსნოს დაზიანებამ შეიძლება უნაყოფობა განაპირობოს.

**დიაგნოსტიკა:** ინფექციის გამოსავლენად კეთდება სისხლის (ვენიდან) ანალიზი. გამოსაკვლევი მასალის დათესვა. მაგრამ მისი ძვირად ღირებულობის გამო ამ მეთოდმა ფართო გამოყენება ვერ პოვა.

**ციტოლოგიური მეთოდი**: ეს ბაქტერიოსკოპიული გამოკვლევაა. მისი სიზუსტე 40-60%-ია. არსებობს ჯაჭვური რეაქციის პოლიმერიზაციის მეთოდიც, რომელიც ძალზე ეფექტურია.

**სეროლოგიური გამოკვლევა:** სისხლში ქლამიდიის საწინააღმდეგო ანტისხეულების გამოკვლევა. თუმცალა ზოგჯერ არ ფიქსირდება თუკი ქლამიდია ორგანიზმში ახალი შეჭრილია. მნიშვნელოვანია, რომ გამოკვლევამდე ადამიანი არ იღებდეს ტეტრაციკლინის ჯგუფის სხვა პრეპარატებს 3-4 კვირის მანძილზე.

მკურნალობა ძალზე რთულია. არსებობს მთელი რიგი ანტიბიოტიკები, როგორიცაა მაქსაკვინი, მაკროლითები და სხვა.

უროგენიტალური ქლამიდიოზის მკურნალობის დროს გასათვალისწინებელია სხვა თანმხვედრი ინფექციების არსებობა, პრეპარატების მიმართ გამძლე ქლამიდიების არსებობა, პაციენტის იმუნური სისტემის თავისებურებანი.

კომპლექსური თერაპიის მერე საკონტროლო გამოკვლევა ტარდება მკურნალობიდან 4 კვირასა და 3 თვეში. გაითვალისწინეთ! ქლამიდიოზის თვითმკურნალობა დაუშვებელია.

ჩივილების ჩამონათვალი, რომელთა არსებობისას ექიმთან კონსულტაციას გირჩევთ: 1) თვალების წვა, ქავილი, მოთეთრო-მოყვითალო ფერის გამონადენი თვალებიდან. ქუთუთოების შეშუპება, თვალის გარსის გაღიზიანება, ცრემლდენა; 2) ხშირად განმეორებადი ფილტვების ანთება, ბრონქიტი, სინუსიტები; 3) გამონადენი შარდსასქესო სისტემიდან, წვა, ქავილი, ხშირი შარდვა, განმეორებადი ცისტიტი; 4) უნაყოფობა; 5) სახსრების ტკივილი (უნდა გამოირიცხოს რევმატიული წარმოშობა — ამ დროს სახსრების ტკივილი ძირითადად წვიმიან ამინდთან არის დაკავშირებული). ეს განსაკუთრებით მსხვილ სახსრებს ეხება — მუხლი, ბარძაყი, მხარი და ა.შ.; 6) პერიოდულად ლიმფური ჯირკვლების გადიდება და ტკივილი — კისრის, იღლიის, საზარდულის არეში.

***მაია მუხიგული***


**ვმკურნალობთ**

**ქრონიკულ პროსტატიტს**

— ექსპრეს-დიაგნოსტიკა 15-20 წუთში;
— ექოსკოპია იაპონური აპარატურით;
— კომპლექსური მკურნალობა დღეისათვის არსებული ყველაზე თანამედროვე მეთოდებით, მათ შორის, პროფ. გუსკოვის აპარატით „ინტრატონი“, რომელსაც ეფექტურობით ანალოგი არ აქვს.

**მეცნიერებათა აკადემიის სპეც. პოლიკლინიკა, კაბ. №7 (სპორტის სასახლის უკან, მარჯვნივ). 10-14 სთ.**


## შეკითხვა ექიმს

***ძვირფასო მკითხველო! რედაქციაში უამრავი წერილი მოდის, რისთვისაც უღრმეს მადლობას მოგახსენებთ — ჩვენი რუბრიკის და მთლიანად გაზეთის მასულდგმულებელი ხომ თქვენი გამოხმაურება და თანადგომაა. რაც შეეხება თქვენს შეკითხვებს, გვერწმუნეთ, თითოეულ მათგანს დიდი გულისყურით ვეცნობით და მასზე პასუხს უსათუოდ მიიღებთ, მაგრამ რადგან შეკითხვების რიცხვი საკმაოდ დიდია, ნუ დაგვემდურებით, თუ პასუხის ლოდინი გიწევთ.***

**ერთი წელია, დავკარგე ყნოსვა. რისი ბრალია და რა მეშველება?**

***კ. მელაძე, თბილისი***

თუ მანამდე ნორმალური ყნოსვა გქონდათ, მისი უეცარი დაკარგვა დაკავშირებული უნდა იყოს ცხვირის ლორწოვანი გარსის რეცეპტორული აპარატის განლევასთან, რაც ლორწოვანი გარსის ანთებით-დისტროფიული ცვლილებების შედეგია. თქვენ ალბათ გქონდათ ზემო სასუნთქი გზების ვირუსულ-ბაქტერიული ინფექცია, რომელიც გაგიხანგრძლივდათ, გაგირთულდათ და მან დააზიანა ყნოსვის აღმქმელი ნერვული დაბოლოებები. თუ ამჟამად გაქვთ გამონადენი ცხვირიდან (ლორწოვანი ან ჩირქოვანი), თავის ტკივილი, შესაძლოა ჰაიმორის ან შუბლის წიაღების ამომფენი ლორწოვანი გარსის ანთებაც გქონდეთ. ყველა შემთხვევაში უნდა მიაკითხოთ ყელ-ყურ-ცხვირის ექიმს, რომელიც დაგიდგენთ ზუსტ დიაგნოზს და დაგინიშნავთ სათანადო მკურნალობას.

ხალხურ მედიცინაში ყნოსვის აღდგენისათვის ფართოდ გამოიყენება სუნებით მკურნალობა: ყოველდღიურად, დღეში რამდენიმეჯერ, 5-10 წუთის განმავლობაში უნდა ყნოსოთ მკვეთრი სუნის მქონე მცენარეები: მიხაკი, დარიჩინი, პიტნა და სხვ. თანდათანობით იგრძნობთ ყნოსვის აღდგენას.

**ჩემი ვაჟი 29 წლისაა, მისი გოგონა კი — 6 წლის. მათ წელიწადში მხოლოდ ზაფხულის 2 თვის განმავლობაში შეუძლიათ ცხვირიდან თავისუფლად სუნთქვა. არსებობს თუ არა რაიმე წამალი, რომელიც მოუხსნის ამ სატანჯველს?**

***პატივისცემით მ. ირემაძე***

აქ საუბარია დღეისთვის საკმაოდ გახშირებულ დაავადებაზე — ქრონიკულ რინიტზე (სურდოზე), რომელიც, მიუხედავად თავისი სახელწოდებისა, ემორჩილება მკურნალობას. ყოვლად დაუშვებელია ამ დაავადების უყურადღებოდ დატოვება, რადგან ცხვირის ლორწოვანი გარსის ქრონიკულმა შეშუპებამ შეიძლება ჰაიმორიტის, ფრონტიტის (ცხვირის დანამატი ღრუების ანთება), ბრონქების, ფილტვებისა და გულის დაავადების განვითარება გამოიწვიოს.

ქრონიკული სურდო სხვადასხვა სახის შეიძლება იყოს. მკურნალობის ეფექტურობა ბევრადაა დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად ზუსტად განისაზღვრება რინიტის სახე. გირჩევთ, მიმართოთ გამოცდილ სპეციალისტს (ყელ-ყურ-ცხვირის ექიმს) და ჩაიტაროთ კვალიფიციური მკურნალობა მისი მეთვალყურეობით.

**ვარ 19 წლის. მიკანკალებს ხელები, მუხლები, ხან მთელი ორგანიზმი. გთხოვთ გამარკვიოთ, რის გამო ხდება ეს და როგორ ვიმკურნალო?**

***ერთგული მკითხველი***

თქვენს ასაკში ასეთი ჩივილის მიზეზი, უპირველეს ყოვლისა, ნერვული სისტემის ლაბილურობაში უნდა ვეძებოთ. თუმცა, შესაძლოა ამ ლაბილურობასაც რაიმე საფუძველი (მაგალითად ჰორმონული ცვლის დარღვევა) ჰქონდეს. ასეთი კანკალი საკმაოდ დამახასიათებელია თირეოტოქსიკოზისათვის (ფარისებრი ჯირკვლის ჰორმონების მატებისთვის). თუმცა ამ დაავადებას სხვა სიმპტომებიც ახასიათებს. თუ მას გამოვრიცხავთ, შესაძლოა ყველაფერი ნევროზთან იყოს დაკავშირებული. გირჩევთ, მიმართოთ გამოცდილ თერაპევტს, რომელიც სხვა ჩივილების გათვალისწინებით განსაზღვრავს, კერძოდ რომელ სპეციალისტთან გესაჭიროებათ მკურნალობა.

**მაქვს ხერხემლის გამრუდების მსგავსი სურათი: მარჯვენა თეძოს ძვალი უფრო გამოწეულია, მარცხენა ჩავარდნილი; ასევე მარცხნივ წელი უფრო სქელი მაქვს, ვიდრე მარჯვნივ (თითქოს გადახრილი ვარ რომელიმე მხარეს), მაგრამ გადახრილი არ ვარ და ხერხემალიც სწორი მაქვს. ძალიან გთხოვთ მიპასუხოთ, რა შეიძლება იყოს ამის მიზეზი?**

***ი.ა.***

ერთი რამ ცხადია, სახეზეა საყრდენ-მამოძრავებელი სისტემის პათოლოგია. სკოლიოზის (ხერხემლის ფრონტალური გამრუდების) დიაგნოზი მართლაც სავარაუდოა. ნუ უარყოფთ მას მხოლოდ საკუთარი დაკვირვების შედეგად, რადგან ხერხემლის დეფორმაციის დადგენა ზოგჯერ მხოლოდ რენტგენოგრაფიულ გამოკვლევაზე დაყრდნობითაა შესაძლებელი. გირჩევთ, მიმართოთ ნევროპათოლოგს, რომელიც დაადასტურებს ან უარყოფს ამ დიაგნოზს. თუ სქოლიოზი არ დადასტურდება, მაშინ უნდა მიმართოთ ორთოპედს.

***მოამზადა თამარ მამაცაშვილმა***


**დნმ დიაგნოსტიკის ლაბორატორია გთავაზობთ:**

სადავო მამობის დადგენას, მემკვიდრული დაავადებების, ფილტვების დაავადებების, ჰეპატიტების B და C, ინფექციური მონონუკლეოზის, პაპილომა ვირუსის, სქესობრივი გზით გადამდები ინფექციების (ქლამიდია, ჰერპესი, ციტომეგალოვირუსი, ტოქსოპლაზმა, გონორეა და ა.შ.) დიაგნოსტიკას გენური ინჟინერიის საფუძველზე შექმნილი დნმ (ДНК) დიაგნოსტიკის ულტრათანამედროვე – პოლიმერაზული ჯაჭვური რეაქციის (PCR) მეთოდით.

**ზუსტი დიაგნოზის 100%-იანი გარანტია**

მის: ჩიქოვანის ქ. 14 (ყოფ. ხილიანის) ბავშვთა ინფექციური საავადმყოფოს ტერიტორიაზე. ტ: 36-37-95; 899-55-61-97



SGS – **მსოფლიო სექსოლოგთა ასოციაციის და ევროპის სექსოლოგთა ფედერაციის წევრი**
SGS – **თანამედროვე ტექნიკური ბაზა**
SGS – **მაღალკვალიფიციური ექიმი-სექსოლოგები და ფსიქოლოგები**
SGS – **განკურნების მაქსიმალური გარანტია**
SGS – **აბსოლუტური ანონიმურობა**

**ჩვენი პროფესიონალიზმი თქვენი თვითდაჯერების გარანტიაა!!!**

**ექიმი-სექსოლოგები, ფსიქოლოგები და ფსიქოთერაპევტები მზად არიან დაგეხმარონ ყველა სახის სექსუალური დარღვევის, ნევროზული სიმპტომების დიაგნოსტიკასა და მკურნალობაში.**

1. სქესობრივი აქტის ჩატარების გაძნელება ან შეუძლებლობა, მათ შორის:
„პირველი საქორწინო ღამის“ პრობლემები.
2. სქესობრივი აქტის გახანგრძლივება ან ნაადრევი დამთავრება.
3. იმპოტენციის ქირურგიული მკურნალობა, ასოს ზომების მომატება.
4. კონფლიქტები ოჯახში და მის გარეთ.
5. დეპრესია, ძილის დარღვევა, აკვიატება და ენერგეტიკული დაქვეითება.
6. კონტაქტის შიში და ურთიერთობის პრობლემები.

**ფსიქოლოგიური და სექსოლოგიური სამსახური SGS**

თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. №5 (ყოფილი „ლეჩკომბინატი“), მე-2 სართ. კაბ. 21-22-23-24. ტელ: 29-34-39. მიღება 10-19 სთ-მდე


## „ჩემთვის დიდებული სხივი გამობრწყინდა!“



თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში მუშაობის ორმოც წელზე მეტი ხნის განმავლობაში არცთუ ისე ხშირი იყო ისეთი ბედნიერი დღეები, როგორიც წლევანდელი 27 ოქტომბერი აღმოჩნდა. სიხარულის მიზეზი კი ის იყო, რომ დამთავრდა უნივერსიტეტის ტერიტორიაზე ტაძრის მშენებლობა, რესტავრაცია გაუკეთდა სასწავლო კორპუსებს, რაც მთავარია, მიმდინარეობს სასწავლო პროცესის ღრმად გააზრებული ინტენსიფიკაცია, რომლის საბოლოო შედეგი იქნება ჩვენი უმაღლესი სკოლის ინტეგრაცია ევროპის უმაღლესი განათლების სისტემაში. მახარებს ისიც, რომ ეს ჩვენს ქვეყანაში დაწყებული დადებითი ტენდენციების გამოვლინებაა.

ყველაფერ ამას ღირსეულად უძღვება და ართმევს თავს ჩვენი რექტორი ბატონი რამაზ ხეცურიანი. მისმა ცხოვრებამ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში მოსვლიდან დღემდე ჩემ თვალწინ ჩაიარა. მთელი ამ ხნის განმავლობაში იგი გამოირჩეოდა მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობით და წესიერებით. დღეს კი იგი, მთელი კოლექტივის მიერ არჩეული რექტორი, ძალისხმევას არ აკლებს უნივერსიტეტის წინსვლას.

ახალგახსნილი ეკლესია და რესტავრირებული სასწავლო კორპუსი 27 ოქტომბერს დაათვალიერა მისმა აღმატებულებამ, საქართველოს პრეზიდენტმა ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ. დაღლილი ჩანდა პრეზიდენტი... რატომღაც მადლობის მოხდა მომინდა მისთვის, იმისათვის, რაც ჩვენს უნივერსიტეტში გაკეთდა. ეს სრულიად ბუნებრივად და ლოგიკურად მეჩვენა, ვინაიდან თუ მისი ბრალია, რაც ცუდი ხდება ქვეყანაში, მაშინ რაც კეთდება, ისიც მისი ბრალი უნდა იყოს.

ახალი ბრწყინვალე არქიტექტურის ტაძრის კეთილისმყოფელი გავლენა იყო ალბათ ისიც, რომ აღმეძრა სურვილი ბოდიში მომეხადა საპატიო სტუმრებისათვის წარსულში ჩემი კრიტიკული გამოსვლების გამო. თუკი ისინი ოდნავ მაინც არღვევენ ეთიკურ ნორმებს, მათ მიმართ მინდოდა ბოდიში მომეხადა მომავალი კრიტიკული გამოსვლების გამოც, იმიტომ, რომ ჩემი მხრიდან ასეთი გამოსვლები აუცილებლად იქნება, სანამ ჩვენი ჯანდაცვა არ გამოვა მძიმე მდგომარეობიდან, რომელშიც ახლა იმყოფება. თუმცა ვეცდები, რომ მომავალ გამოსვლებში არ დავარღვიო ეთიკური ნორმები...

ისეთი შეგრძნება მქონდა, რომ ჩვენს სიხარულს და წარმატებას იზიარებდა მსოფლიოში რადიობიოლოგიის ფუძემდებელი, დიდი ქართველი ფიზიოლოგი ივანე თარხნიშვილი, რომლის ძეგლი ამშვენებს ინსტიტუტის ეზოს.

ჩვენთან ტრიალებდა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის პირველი რექტორის, გამოჩენილი ქართველი ფიზიოლოგის — გიორგი ვაწაძის სული, რომელმაც პირველი ბარი დაჰკრა ამ ტერიტორიაზე მედქალაქის მშენებლობის დაწყებისას.

ჩვენთან ტრიალებდა კოტე ვირსალაძის — ჩვენი უკანასკნელი, გარდაცვლილი რექტორის სული.

უფრო გამიმტკიცდა რწმენა, რომ თბილისის სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტები არასოდეს არ უღალატებენ ჩვენს დიდ საქმეს — ადამიანის ჯანმრთელობის დაცვას და საქართველოს.

***სულხან ქემოკლიძე***
***აკადემიკოსი***

**ბრაზილია**

# ბრაზილიას ახალი პრეზიდენტი ჰყავს

ბრაზილიის საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურში გაიმარჯვა მემარცხენე კანდიდატმა ლუის ინასიუ დე სილვამ (ლულა). 41 წლის განმავლობაში მემარცხენეებმა პირველად გაიმარჯვეს ბრაზილიაში. ლათინური ამერიკის ამ უდიდესი ქვეყნის მოქალაქეებს იმედი აქვთ, რომ ახალი პრეზიდენტი ყველაფერს ილონებს მათი ცხოვრების პირობების გასაუმჯობესე-



ბლად. წინასაარჩევნო კამპანიის დროს ის ამომრჩევლებს დაჰპირდა, რომ იბრძოლებს უმუშევრობის, სიღარიბის, საერთო ეკონომიკური კრიზისის წინააღმდეგ.

ბრაზილიის საგარეო ვალი 230 მლრდ დოლარია. სკეპტიკოსებს აწუხებთ ის, რომ პრეზიდენტი კრიტიკულადაა განწყობილი თავისუფალი ვაჭრობის პანამერიკული ზონის შექმნის მიმართ, რომელიც ბრაზილიის ერთ-ერთმა მთავარმა ეკონომიკურმა პარტნიორმა — აშშ-მა 2005 წლისათვის უნდა განახორციელოს. ლულამ ამ ინციატივას ლათინური ამერიკის ანექსირების გეგმა უწოდა.

***ნოვიე იზვესტია №201***

**მექსიკა**

# ნახვამდის, მექსიკა!

ისედაც ცუდად ორგანიზებულმა სამიტმა მექსიკაში პუტინის არყოფნითაც ბევრი რამ დაკარგა. ამერიკელები ბოლო წუთამდე არ აცხადებდნენ, ჩავიდოდა თუ არა მექსიკაში ბუში. კაცმა რომ თქვას, იქ მას მაინცდამაინც არაფერი ესაქმებოდა — ჩინეთის ლიდერ ძიან ძემინს ტეხასში, თავის რანჩოში ახლახან შეხვდა, მეორე მნიშვნელოვანი პირი კი ამ სამიტზე პუტინი იყო. ბოლო მომენტში „ეგორ ეგოროვიჩი" — ასე მოიხსენიებენ ბუშს რუსეთის დელეგაციის წევრები, მექსიკაში მაინც ჩავიდა. ჩანს, იფიქრა, რომ 21 ქვეყნის თავკაცებთან შეხვედრა მთლად უსარგებლო არ იქნებოდა.

მეხიკოს სამიტზე უნდა გადაწყვეტილიყო, თუ როდის შეხვდებოდნენ ერთმანეთს ბუში და პუტინი უახლოეს მომავალში, მაგრამ ეს საკითხი ვერ გადაწყდა. შესაძლოა ამერიკის პრეზიდენტი პრალაში ნატოს სამიტზე ჩავიდეს და მერე პუტინსაც შეხვდეს. მეხიკოს სამიტმა მოსკოვისთვის უაზროდ ჩაიარა, მაგრამ მთავარი მაინც მეხიკოში კი არა, მოსკოვში მოხდა. შტურმის შემდეგ რუსეთმა მსოფლიოს უმნიშვნელოვანეს ქვეყნებს შორის შეინარჩუნა ადგილი, თუმცა ეს ძალიან ძვირი დაუჯდა.

***მოსკოვსკი კომსომოლეცი №244***

**ესპანეთი**

# პროტოკოლში ვერ შეთანხმდნენ

ირანის პრეზიდენტის მოჰამედ ხათემის ვიზიტი ესპანეთში, დაწყებამდე იქცა სკანდალად. ვიზიტის პროგრამიდან ამოღებულია სავალდებულო საპროტოკოლო ღონისძიება — სახელმწიფო ბანკეტი, რომელიც მეფე ხუან კარლოსს უნდა გაემართა სტუმრის პატივსაცემად. ირანისა და ესპანეთის საპროტოკოლო სამსახურები ვერ შეთანხმდნენ. ესპანელებმა უარი თქვეს ულვინო ბანკეტზე, ირანის პრეზიდენტმა კი განაცხადა, მუსლიმანი ვარ და ვერ მივუჯდები იმ სუფრას, სადაც ალკოჰოლიანი სასმელი იქნებაო.



მეფეს არაფერი ჰქონია ამის საწინააღმდეგო, მით უმეტეს, რომ ხათემის ამ მოთხოვნას მსოფლიოს სხვა ქვეყნებმაც გაუწიეს ანგარიში. მაგრამ პრემიერ-მინისტრმა ხოსე მარია ასნარმა არაფრით არ დათმო. ამის ჭეშმარიტი მიზეზი არავინ იცის. თუმცა ესპანელები ეჭვობენ — ჩანს, ასნარს არ დავიწყებია, როგორ დაამცირეს მაროკოელმა მუსლიმანებმა, როცა ჰიბრალტარის სრუტეში სადავო კუნძული დაიპყრესო.

***იტოგი №43***

# დასასრული თუ დასაწყისი?!

## კოპენჰაგენში ზაკაევი დააპატიმრეს

კოპენჰაგენში ჩეჩნების მსოფლიო კონგრესზე ჩასული იჩქერიის მთავრობის წარმომადგენელი აჰმად ზაკაევი სასტუმროში დააკავეს.

ზაკაევი ეჭვმიტანილია მოსკოვის თეატრალური ცენტრის აქციის დაგეგმვაში.

დანიამ ერთ-ერთი ცნობილი ჩეჩენი პოლიტიკოსი იმიტომ დატოვა საპატიმროში, რომ კრემლის ხელმძღვანელობა მას ტერორისტად თვლის. მთავარი იყო მისი ციხეში ჩასმა. ზაკაევი საერთაშორისო ორდერის საფუძველზე დააპატიმრეს. დანიის პრემიერ-მინისტრი რამუსენი ირწმუნება, ეს ნორმალური აქციააო, მაგრამ ამას, ცხადია, ნორმალურად ვერ მივიჩნევთ. რატომ დართეს ზაკაევს ჩეჩნების მსოფლიო კონგრესში მონაწილეობის ნება, თუ მის დასაპატიმრებლად გაცემული იყო საერთაშორისო ორდერი? რატომ დააპატიმრეს კონგრესის დამთავრების შემდეგ? რატომ არაფერი იცოდა ამის თაობაზე არც დანიის პრემიერმა, არც საგარეო საქმეთა მინისტრმა, თუმცა მოსკოვიდან საბუთები კარგა ხნის მოსული იყო იუსტიციის სამინისტროში. ისე ჩანს, რომ კოპენჰაგენს საკუთარი გაბედულებისა შეეშინდა (ჩეჩენთა მსოფლიო კონგრესი ჩაატარა) და ზაკაევი განრისხებული რუსეთის დასაშოშმინებლად დააპატიმრა.

დანიასა და რუსეთს ხელი არ აქვთ მოწერილი ხელშეკრულებაზე ექსტრადიციის თაობაზე და




დანია ეჭვმიტანილებს არ გადასცემს იმ სახელმწიფოებს, სადაც სიკვდილით დასჯა გაუქმებული არ არის. რუსეთმა 1996 წელს მიიღო მორატორიუმი სიკვდილით დასჯაზე, მაგრამ კანონი ჯერჯერობით ძალაში არ შესულა.

***ფრანკფურტერ რუნდშაუ***

**მძევალი ლ. რასტორგუევა**

პირველივე დღეს მივხვდი, რომ შტურმი იქნებოდა. იმასაც ვგრძნობდი, რომ გაზს გაუშვებდნენ. მაისური მზად მქონდა. რესპირატორი მხოლოდ ერთ ტერორისტს ჰქონდა თან, დანარჩენებისა — სხვაგან ეწყო. როგორც კი ვიგრძენი, რომ გაზი გაუშვეს, სახეზე მაისური ავიფარე. კამიკაძე-ქალებს დარბაზში სახეზე არაფერი ეფარათ, მხოლოდ ტელეკამერის წინ იხურავდნენ ჩადრს, ჩვენც კი მოგვაზომეს. გათენებისას, როგორც ჩანს, იგრძნეს, რომ რაღაც უნდა მომხდარიყო, მაგნიტოფონები ჩართეს, დინამიკებიდან მათი ლოცვა გვესმოდა. ჩვენ სამოთხისთვის ვემზადებით, თქვენც ილოცეთ, დასასრული ახლოსააო, — გვითხრეს...

რამდენიმე ხანს ჩვენი ორკესტრის მუსიკოსებთან, ცოლ-ქმარ ჟენიასა და საშასთან ერთად ვიჯექი. ჟენია — უკრაინის მოქალაქეა, საშა — რუსეთისა. ქალი ეხვეწებოდა ქმარს, — უჩვენე პასპორტი და როგორც უკრაინელს, გაგიშვებენო. ის არ დათანხმდა. სამწუხაროდ, ჟენია კოჩეტი დაიღუპა, საშა საავადმყოფოშია.

**„ნორდ-ოსტის" პროდიუსერი გ. ვასილიევი, მძევალი**

...დიდხანს ვესაუბრე ქალს, რომელიც მთავარ დეტონატორთან იჯდა. ვილაპარაკეთ ცხოვრებაზე, მის დაღუპულ ქმარზე, ყურანზე, სამართლიანობაზე. ქაღალდის ნაგლეჯზე ის სიტყვებიც კი დამიწერა, რომელიც სიკვდილის წინ უნდა მეთქვა.

...არც ჩვენ და არც ტერორისტებს არ გვქონდა პირდაპირი კავშირი შტაბთან. ის ნომერი, რომელიც ჩვენ ვიცოდით, სულ დაკავებული იყო. საათ-ნახევარი ორი ადამიანი სისხლისგან იცლე-



ბოდა და სასწრაფო ვერ გამოვიძახეთ. მათ იმ კაცის გამო ესროლეს, რომელმაც ტერორისტებისაკენ გაიწია. მერე ითქვა, შეტევა იმიტომ დაიწყო, რომ ტერორისტებმა მძევლების დახვრეტას მიჰყვეს ხელიო. ეს ხელისუფლების ოფიციალური აზრია. უნდა გითხრათ, რომ არავინ დაუხვრეტიათ, მხოლოდ იმუქრებოდნენ.

**14 წლის მძევლის, საშა როზოვსკაიას მამა რეჟისორი მარკ როზოვსკი**

...საშა ამბობს, ბავშვებს კამიკაძე-ქალებისკენ გახედვისაც გვეშინოდა, ძალიან აგრესიულად იქცეოდნენ. ამბობდნენ, ქმარ-შვილი დაგვიხოცეს, ახლა დასაკარგი არაფერი დაგვრჩაო...

ჩეჩნები კარგი ბიჭები არიან, შოკოლადს გვირიგებდნენ, გვეხუმრებოდნენო.

ტიპური „სტოკჰოლმის სინდრომია". დავიფიცე, თუ შვილი ცოცხალი დამიბრუნდება, მოვინათლები-მეთქი. ახლაც პატარა ხატი გულის ჯიბეში მიდევს.

## ტერორიზმი გაჩნდება იქ, სადაც ახლა ბომბები ცვივა

მოსკოვში მძევლების აყვანა, ისევე როგორც ტერორიზმის ნებისმიერი აქტი, დიდი ხნის მოუგვარებელი რეგიონული კონფლიქტიდან იღებს სათავეს.

გლობალურ ტერორსა და რეგიონულ კონფლიქტებს შორის კავშირის აღიარება ტერორიზმს ვერ ამართლებს. სანამ მსოფლიოს ძალები ვერ გაიგებენ, რომ ახლო აღმოსავლეთში და კიდევ ბევრ სხვა ადგილზე ადამიანების მიმართ უსამართლობის აღმოფხვრა მსოფლიო სტაბილურობის გარანტია, მანამდე ტერორიზმი საფრთხედ დარჩება.

ტერორისტებმა ამერიკის შუაგულს დაარტყეს, ახლა — რუსეთისას. ყველა საფრთხეშია. უდანაშაულო პალესტინელები, ისრაელელები და ჩეჩნები მარტონი აღარ არიან სიკვდილის შიშის განცდაში. ახლა ავსტრალიელმა ან კიდევ ბრიტანელმაც იცის, რომ მისი სიცოცხლეც საფრთხეშია, ნებისმიერ დროს შესაძლოა ის გახდეს ტერორის მორიგი მსხვერპლი.

***„ჯორდან ტაიმსი", იორდანია***

„**შამილ ბასაევმა** თავის თავზე აიღო პასუხისმგებლობა დუბროვკის თეატრალურ ცენტრში მძევალთა აყვანაზე", — იტყობინება „გრანი რუს საიტი". ბასაევის განცხადებით, მზადდება ახალი ტერაქტები. ამასთან, მისი შემსრულებლები აღარც მძევლებს აიყვანენ და აღარც მოთხოვნებს წამოაყენებენ — მათი მთავარი მიზანი, რაც შეიძლება მეტი ადამიანის დახოცვა იქნება.



**გთხოვთ მიპასუხოთ, რას ნიშნავს „სტოკჰოლმის სინდრომი"?**

***თამაზ ქლიბაძე***

ეს გამოთქმა ნიშნავს სტრესულ სიტუაციაში მძევლის ფსიქიკის შეცვლას, როცა მსხვერპლი ტერორისტის მიმართ სოლიდარობას განიცდის. გამოთქმა მას შემდეგ გაჩნდა, რაც 1973 წლის 23 აგვისტოს სტოკჰოლმის საკრედიტო ბანკში შევარდა ციხიდან გაქცეული ნიღბიანი მძარცველი და იარაღის მუქარით მძევლად აიყვანა ბანკის ოთხი თანამშრომელი. მერე დაიწყო ექვსდღიანი დრამა. შვედეთი შოკში იყო, არც პოლიტიკოსებს, არც სპეცსამსხურებს და არც ფსიქოლოგებს არ ჰქონდათ იმის გამოცდილება, თუ როგორ უნდა მოქცეულიყვნენ ამგვარ სიტუაციაში. მძარცველი, რომელსაც თავისი მოთხოვნით ციხეში მყოფი მეგობარი მიუყვანეს, მძევლებს აწამებდა. ქვეყნის პრემიერ-მინისტრმა ულოფ პალმემ გადაწყვიტა მძარცველისთვის ეცნობებინა, რომ მათ ყველა მოთხოვნას დააკმაყოფილებდა. ამავე დროს სპეცრაზმმა იერიშისთვის დაიწყო მზადება. მეექვსე დღეს მძარცველებს ნერვებმა უმტყუნეს, — გნებდებითო, — დაიყვირეს შენობიდან. სწორედ მაშინ მოხდა ის, რამაც მთელი შვედეთი გააოგნა — მძევლებმა უარი თქვეს, პირველნი გამოსულიყვნენ ბანკიდან — ვაითუ დამნაშავეები სიცოცხლეს გამოასალმონო. 6 დღე ერთად ყოფნისას მძევლები ისე შეეჩვივნენ ტერორისტებს, რომ ამ ამბიდან 10 წლის შემდეგაც კი მათდამი თბილი გრძნობა ჰქონდათ, განსაკუთრებით ქალებს. მძარცველებს წერილებს სწერდნენ ციხეში, თანაგრძნობას უცხადებდნენ.

**საფრანგეთი**

# სტრასბურგი რუსეთს აჩქარებისთვის ბოდიშს უხდის

1-ელ ნოემბერს, ადამიანის უფლებების დაცვის ევროპის სასამართლომ სტრასბურგში, ბოდიში მოუხადა რფ-ის ხელისუფლებას, არაკორექტული და დამახინჯებული ინფორმაციის გავრცელებისთვის საქართველოდან 11 ჩეჩენი ტერორისტის რუსეთისთვის გადაცემის შეჩერების შესახებ.

ამ ბოდიშით მაინც უკმაყოფილო დარჩა რუსეთის მხარე, რადგან ეს არ არის ოფიციალური უარყოფა მიღებული დადგენილებისა.

**დაღესტანი**

# საით მიდიან ბოევიკები?

დაღესტნის სასაზღვრო შტაბის ცნობით, რუსეთ-საქართველოს საზღვრის ახლოს გამოჩნდა დაღესტნისკენ მიმავალი ჩეჩენ ბოევიკთა 20-კაციანი რაზმი. რაზმის მეთაურია ვინმე მაჰომედ ყურამაჰომედოვი. ბოევიკები აღჭურვილნი არიან ცეცხლსასროლი და ასაფეთქებელი იარაღით.

მესაზღვრეთა მონაცემებით, ბოევიკები აპირებენ ტერორისტული აქტების მოწყობას სამხრეთ კავკასიის რეგიონებში.

სხვა წყაროს ცნობით, ბოევიკები, ვითო-



მდა ლტოლვილები იყვნენ, საზღვრის გადალახვას აპირებდნენ ზემო ლარსისა და ზემო ზარამაგის რაიონებში. ამავე რაიონების გამშვები პუნქტებიდან უნდათ გაიტანონ საზენიტო-სარაკეტო დანადგარები და მოძრავი რადიოსადგურები. ამის გამო საზღვრის ყველა მონაკვეთს გაძლიერებულად იცავენ მესაზღვრეები საჯარისო ფორმირებებთან ერთად. ნავარაუდევია ბოევიკთა გამოჩენა კარმადონის გვირაბთან.

***გაზეტა რუ***

# მოკლედ

**„ნორდ-ოსტში"** დატრიალებული ტრაგედიის შემდეგ ტერორისტებსა და მათ ხელის შემწყობებს მთელ რუსეთში ეძებენ, მაგრამ ჯერჯერობით მილიციას ხელში წვრილფეხა დამნაშავეები და ის ხალხი უვარდება, ვისაც საბუთები წესრიგში არა აქვს. ეჭვმიტანილთა შორის აღმოჩნდა ალა პუგაჩოვას სიძე — რუსლან ბაისაროვი. მან განაცხადა, თეატრალური ცენტრის მეზობლად მდებარე გეიკლუბთან და ტერორისტებთან არანაირი კავშირი არა მაქვსო.

**ყირგიზეთის** დედაქალაქ ბიშკეკში გაეროს ეგიდით მუშაობა დაიწყო მთის პრობლემებისადმი მიძღვნილმა გლობალურმა სამიტმა.

კუნძულ **სიცილიაზე** ვულკანმა ეტნამ გაიღვიძა. მთლიანად განადგურებულია პატარა დასახლებული პუნქტი პიანო-პროვინციანო. მცხოვრებლებმა ევაკუაცია მოასწრეს. იტალიის მთავრობამ სიცილია უბედურების ზონად გამოაცხადა.

**ავსტრიის** ხელისუფლებამ (სხვათა შორის, ავსტრიელებიც იყვნენ მძევალთა შორის) განაცხადა, — ლტოლვილის სტატუსის მქონე ჩეჩნებს ალპური რესპუბლიკა თავშესაფარს მისცემს და დახმარებას გაუწევსო.

**პეკინის** საინფორმაციო საშუალებები იტყობინებიან, რომ ძალიან აინტერესებთ რუსეთის სპეცსამსახურების მიერ გამოყენებული გაზის შემადგენლობა, რათა საჭიროების შემთხვევაში თავადაც გამოიყენონ. ქვეყნის ხელისუფალთა აზრით, რუსეთის ძალოვნების მოქმედება კრიზისულ სიტუაციაში, სანიმუშო მოდელია და ჩინეთმაც უნდა გაიზიაროს ეს გამოცდილება.

**ლონდონის** „ტაიმსის" ცნობით, გერმანელმა მედიკოსებმა ორი გერმანელი მძევლის სისხლში ფენტანილის კვალი აღმოაჩინეს. ფენტანილს მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში იყენებენ. ის ეფექტიანობით 100-ჯერ აჭარბებს მორფინს და მძიმე გართულებები მოსდევს.

გარდაიცვალა 113 წლის **ამერიკელი** ქალი, მერი პარი რომელიც ქვეყნის უხუცეს მცხოვრებად ითვლებოდა. ოფიციალური მონაცემებით, მსოფლიოში მასზე ხანდაზმული მხოლოდ ერთი ადამიანია — 115 წლის იაპონელი ქალბატონი კამატრო ჰონგო.

**იტალიაში**, სან ჯულიანო დი პულაში მიწისძვრის შედეგად დაიღუპა 2 ქალი და 11 ბავშვი, 18 ადამიანი ისევ ნანგრევებქვეშაა. 30 ბავშვი გადარჩა. ბავშვები დაიღუპნენ მაშინ, როცა სკოლაში სახურავი ჩაინგრა. სწორედ აქ აღინიშნა ყველაზე ძლიერი ბიძგი — რიხტერის სკალის მიხედვით 5,4 ბალი. მიწისძვრამ სხვა დასახლებული პუნქტებიც დააზარალა.

# „ყველა ფინანსური მაქინაცია სულ მცირე, ორი ფიქტიური „შვილობილი“ კომპანიის შექმნით იწყება“

„ყულევის ნავთობტერმინალთან, გულწრფელად გეუბნებით, მე კავშირი არ მაქვს. მხოლოდ ის ვიცი, რომ მას ცნობილი საერთაშორისო ფირმა „აგრომარი“ აშენებს. ვერ გამიგია, რატომ უკავშირებს იგი ამ ფირმას ჩემს სახელს? ეტყობა, იმიტომ, რომ ჩემს ქალიშვილს მარი ჰქვია? (იცინის). საერთოდ, მისი ყველა ბრალდება ფულის გათეთრებასთან დაკავშირებით, უბრალოდ, სასაცილოა“ — ეს სიტყვები რკინიგზის დეპარტამენტის შეფს, აკაკი ჩხაიძეს ეკუთვნის. ნაცვალსახელებით (იგი, მისი...) ის თავის ძველ ბიზნესპარტნიორს, დღეს ამერიკაში გადახვეწილ ალეკო მაღლაკელიძეს მოიხსენიებს, რომელიც ჩხაიძეს სხვადასხვა ბრალდებასთან ერთად, ოფშორულ ზონებში რეგისტრირებული ფირმებით (მათ შორის სახელდება „აგრომარიც“) მილიონობით დოლარის



გათეთრებასაც სდებს ბრალად.

აქვე მინდა რამდენიმე თვის წინანდელი სკანდალიც შეგახსენოთ, რომელიც ასევე უმსხვილეს და სტრატეგიულ ობიექტს „ფოთის გემსაშენს“ უკავშირდება. მაშინ ანტიკორუფციულმა ბიურომ დაადანაშაულა კანცელარიის მაღალი რანგის ჩინოსნები გემსაშენის უკანონოდ ხელში ჩაგდებასა და მათ მიერ ოფშორულ ზონაში რეგისტრირებული ფირმის საშუალებით ფულის გათეთრებაში. გავიხსენოთ „ჭიათურმანგანუმისა“ და იქ რამდენიმე წელს მოკალათებული ვითომ ჩეხური კომპანია „საგა პრინტის“ სკანდალური დასასრულიც. ამ შემთხვევაშიც საწარმო ქართველი ჩინოსნებისთვის შავი ფულის გათეთრების ერთგვარ საშუალებად იყო ქცეული. ამ ფაქტების (ასეთი მაგალითების მოყვანა, სამწუხაროდ, დაუსრულებლად შეიძლება) განზოგადებით, მივიღებთ სხვადასხვა, მაგრამ ტიპურ მაგალითს იმისა, თუ როგორ შეიძლება საქართველოში შავი ფულის გათეთრება და ამასთან ისე, ბოლოს საქმიდან მშრალი რომ გამოხვიდე. ძნელია იწინასწარმეტყველო, აკაკი ჩხაიძე როგორ დააღწევს ამ სკანდალებს თავს, მაგრამ, სამწუხაროდ, სკანდალების არასკანდალური დასრულება ჩვენი რეალობისათვის ბოლო დროს ძალზე დამახასიათებელი ნიშანი გახდა.

## ფულის გათეთრება — ეს რა ხილია?

შავი ფულის გათეთრება, უხეში განმარტებით, სხვა არაფერია, თუ არა „მოპარული“ ფულის წარმოშობის დამალვა. უკანონო შემოსავლების წყაროდ კი მიჩნეულია ისეთი ქვეყნები, მათ შორის, ოფშორული ზონებიც, სადაც ფულის წარმოშობის წყაროსა და მის გათეთრებაზე კონტროლი არასრულყოფილია. საქართველომ ამ აკრძალულ ხილს კარგა ხნის წინ გაუსინჯა გემო და, როგორც ჩანს, ძალიანაც მოეწონა. მის მასშტაბებზე კი დღეს სტატისტიკა საგანგაშო ციფრებს გვთავაზობს. ირკვევა, რომ შავი ფული საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტის 60-70%-ს შეადგენს. ამ თანხის მხოლოდ ნაწილის (30-40%) ლეგალიზება, ანუ გათეთრება ხდება, დანარჩენი კი ისევ უკანონო შემოსავლების მიღებას ხმარდება. ამ თემაზე გულახდილ საუბარს თავს არიდებენ, როგორც „ჩინიანნი“, ასევე „უჩინონიც“. თუმცა, ერთმა ჩვენთან საუბარი მაინც „გარისკა“. მოგახსენებთ მხოლოდ იმას, რომ იგი პროფესიით იურისტია და მსხვილი ფინანსური მაქინაციები ხშირად მისი რეკომენდაციებით „იდგმება“: „ყველა ფინანსური აფერა იწყება იმით, რომ მაქინაციის ორგანიზატორი კომპანია სულ მცირე ორ ფიქტიურ „შვილობილ“ ფირმას ქმნის. მათი ოფიციალური რეგისტრაცია, როგორც წესი, ოფშორულ ზონებში ხდება, თუნდაც კვიპროსში ან მარშალის კუნძულებზე. ხშირად ასეთი ფირმები სხვადასხვა მასშტაბური ობიექტის მშენებლობით იქცევენ თავს, რომელიც ბოლოს შეიძლება არც არავის დასჭირდეს. სამაგიეროდ, ასეთი საქმე დიდი ფულის კეთების, ანუ გათეთრების საშუალებას იძლევა. ან კიდევ, ოფშორული ფირმა მსოფლიოში ცნობილი კომპანიების ტიტულებით შეიარაღებულ ქვეყანას უცხოელ ინვესტორად მოევლინება და ყიდულობს საწარმოებს. შემდეგ მთავარი კომპანიიდან ფულის გადაქაჩვას იწყებს.

**— მსხვილი კომპანიებიდან მილიონების, როგორც თქვენ ამბობთ, გადაქაჩვა, ბუნებრივია, ერთი ხელის მოსმით არ ხდება. როგორ ხდება ეს? ფული რეალურად ვიღაცამ ხომ უნდა გასცეს?**

— გეთანხმებით. ერთ-ერთი გავრცელებული და ამასთანავე, საკმაოდ რთული სქემაა, როცა შავი ფული რომელიმე ცნობილი ბანკის სესხად გადაიქცევა ხოლმე.

**— უფრო კონკრეტულად...**

— პირველ ეტაპზე, შავი ფული წვრილ-წვრილი ანაბრების სახით იშლება და სხვადასხვა შუალედურ ბანკში ხვდება. მას ჩვენ ჭიანჭველებს ვეძახით... ასე ჭიანჭველებივით დაშლილ-დაქუცმაცებული ფული საგადასახადო ოაზისებში, ანუ ოფშორულ ზონებში იგზავნება. შემდეგ სხვადასხვა ბანკს შორის ფიქტიური ოპერაციები ხდება.

**— ეს რას ნიშნავს?**

— ფული ისე გადადის ერთი ბანკიდან მეორეში, მეორიდან — მესამეში, რომ ბოლოს შეუძლებელი ხდება ფულის წარმომავლობის დადგენა. ამ ოპერაციის დასრულებისთანავე, თანხა რომელიმე რესპექტაბელურ ბანკში ხელოვნურად შექმნილი ფირმის ანგარიშზე გადაიგზავნება. მინდა გითხრათ, რომ ამ საქმეში ყველაზე ხშირად სწორედ შვეიცარიის ბანკები გამოიყენება. მათ მსოფლიო საბანკო სისტემაში ყველაზე მეტად ენდობიან. ნდობა კი ამ აფერაში მთავარია. ამის შემდეგ ყველაფერი კეთდება საიმისოდ, რომ რომელიმე უცხოური ბანკი დავარწმუნოთ, რათა სესხი მოგვცეს. გარანტად კი სწორედ შვეიცარიის ბანკში არსებული ფული გამოიყენება. ყველაფერი იმით მთავრდება, რომ უკვე ლეგალურ საბანკო სესხს ასევე ლეგალური ფირმა ან კიდევ მისი ფიქტიური „შვილობილი“ იღებს და მის ლეგალიზაციას ახდენს. ბუნებრივია, სესხი აღარ ბრუნდება და ანგარიშიც წინასწარ შვეიცარიის ბანკში ჩადებული იმ ჭუჭყიანი ფულით სწორდება. არსებობს ფულის გათეთრების სხვა, შედარებით მარტივი და რთული სქემებიც.

**— საინტერესოა, როგორ „ჩნდება“ თავად შავი ფული?**

— კომპანიების უზარმაზარი, ხშირად მილიონიანი საგადასახადო ბაზის ხელოვნური შემცირება, როგორც წესი, შავ ბიზნესს უკავშირდება და ქმნის იმ შავ ფულს, რომლის ლეგალიზებაც, ანუ გათეთრება, შემდგომ მის პატრონზეა დამოკიდებული. სხვათა შორის, ამ დროსაც ბიუჯეტის წინაშე არსებული ვალდებულებების ძირითადი სიმძიმეც არარსებულ, ფიქტიურ ფირმებზე გადადის.

**— საგადასახადო დანაშაულზე პასუხისმგებელიც ის ვიღაც, მესამე ხდება?**

— სწორედ ასეა. ფიქტიური ფირმების ნამდვილი ხელმძღვანელების დადგენის შეუძლებლობა არის ის ძირითადი მიზეზი, რომლის საფუძველზეც სისხლის სამართლის საქმეები აღიძვრება არა კონკრეტული პირის მიმართ, არამედ საგადასახადო დანაშაულის ფაქტზე. ამ დროს კი ასეთი საქმის გამოძიება და პროკურატურის მიერ მათი სასამართლოში გადაგზავნის ალბათობა ისევე მცირეა, როგორც მიყენებული ზარალის ამოღება.

# მსოფლიოში საუკეთესოდ იტალიური წითელი ღვინო აღიარეს

## ქართული ღვინო საუკეთესო ასეულში ვერ მოხვდა



ფრანგული „Chateau“-ს რამდენიმე სახეობა მოხვდა „საუკეთესო ღვინის ასეულში“

მსოფლიო ბაზარზე ერთი ბოთლი საუკეთესო ღვინო 10 დოლარზე ნაკლები არ ღირს. გერმანული თეთრი ღვინო Mosel ყველაზე იაფია იმ ღვინოთა შორის, რომლებიც საყოველთაოდ აღიარებული ჟურნალის Vine Spectator-ის ყოველწლიურ „საუკეთესო ღვინის ასეულში“ მოხვდა. აღნიშნული რეიტინგი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს არა მარტო ევროპისა და ამერიკის უდიდეს ღვინის ბაზრებზე, არამედ გურმანების გემოვნებაზეც. ასეულისთვის მნიშვნელოვანია მხოლოდ ღვინის სახეობა, ასევე თუ რომელი ქვეყნის, კონკრეტულად რომელ ზონაშია დამზადებული ღვინო და ყურძნის რომელი წლის მოსავლით. რაც შეეხება ღვინის მწარმოებელ კომპანიებს, საერთაშორისო ექსპერტებისათვის, როგორც ჩანს, ეს ყველაზე უმნიშვნელო და არაფრისმეტყველი დეტალია. აქვე, ჩვენთვის ასევე საინტერესო, თითოეული ღვინის ფასიცაა მინიშნებული. ამაზე ცოტა ქვემოთ მოგახსენებთ. მანამდე კი მინდა აღვნიშნო, რომ ასეულში ლიდერობს წითელი ღვინო, თეთრი ღვინოებიდან კი მხოლოდ 26 სახეობაა წარმოდგენილი. საყოველთაოდ აღიარებული ფრანგული შამპანური, რა თქმა უნდა, შამპანში დამზადებული, ათეულშიც კი ვერ მოხვდა. იგი მეოცე ადგილზე განთავსდა. თუმცა იგი ლიდერობს თავისი მაღალი ფასით. ევროპის ბაზარზე ერთი ბოთლი შამპანური, რომლის ზუსტი სახელწოდებაცაა King Brut Blanc de Blanc ყველაზე ძვირი, 370 დოლარი ღირს.

აქვე ერთი სამწუხარო ფაქტიც მინდა მოგახსენოთ. ღვინის ასეულში ამაოდ ვეძებე ქართული ღვინო. საუკეთესოთა შორის, ძირითადად, იტალიური, ფრანგული, ამერიკული, გერმანული, ავსტრალიური, ესპანური და პორტუგალიური ღვინოებია წარმოდგენილი. პირველ ათეულში კი შევიდა მხოლოდ იტალიური, ფრანგული და ამერიკული წითელი ღვინის სხვადასხვა სახეობა, ძირითადად 1998 წლის მოსავალი. ექსპერტები აქვე ღვინის მომხმარებლებს ურჩევენ, რომ უმჯობესია ღვინო ჯერჯერობით შეინახონ და იგი რამდენიმე წლის შემდეგ მიირთვან. იტალიური, ტოსკანაში დამზადებული წითელი ღვინო Tenuta del Ornallaia (1998 წლის მოსავალი) საუკეთესოთა შორის საუკეთესო აღმოჩნდა და მან პირველი ადგილი დაისაკუთრა. თუმცა, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ იგი ასევე ყველაზე ძვირია. მისი ფასი (ერთი ბოთლის) მხოლოდ 110 დოლარია, როცა მეორე ადგილზე მოხვედრილი ფრანგული, ბორდოში დამზადებული წითელი ღვინო Chateau Cheval 190 დოლარი ღირს. საუკეთესო ღვინის ტიტული სულაც არ ნიშნავს, რომ მომხმარებლისათვის იგი მიუწვდომელია. ბევრი სახეობა იყიდება პოსტსაბჭოთა ქვეყნების ღვინის ბაზრებზე. შესაძლებელია თუ არა, რომ „საუკეთესო ღვინის ასეულიდან“ ერთ-ერთი მაინც შევიძინოთ თბილისში? ამის გასარკვევად ქალაქის თითქმის ყველა ცენტრალურ სუპერმარკეტსა და სპეციალიზებულ ღვინის მაღაზიებს ვესტუმრე. სხვათა შორის, ჩემმა ვიზიტებმა სუპერმარკეტებში საკმაოდ დიდი ინტერესი გამოიწვია. თითქმის ყველგან საგულდაგულოდ ჩაიკითხეს „ღვინის ასეული“ და იქვე მათთვის საჭირო მონაცემებიც ჩაინიშნეს. როგორც გაირკვა, აქ უარს არ ამბობენ „ძვირფასი“ სასმელების შემოტანაზე, მაგრამ ისინი ნაკლებ ყურადღებას აქცევენ იმ ძირითად მახასიათებლებს, თუნდაც ყურძნის მოსავლის თარიღს, რომელიც უშუალოდ ღვინის ღირსებაზეა პასუხისმგებელი. სწორედ ამიტომ, ჩემს სიას არ დაემთხვა სუპერმარკეტებში გასაყიდად გამოტანილი ისედაც მწირი ასორტიმენტი. ერთ-ერთი ცნობილი და პრესტიჟული სუპერმარკეტის მენეჯერმა **გიორგი ასლანიკაშვილმა** ჩემთან საუბარში აღნიშნა, რომ ძვირფასი სასმელებიდან ძირითადად შამპანური შემოაქვთ; „თუ ვინმეს უნდა თავი მოიწონოს და ამისათვის სასმლის ყიდვას ფიქრობს, როგორც წესი, შამპანურს მოიკითხავს ხოლმე“.

**— და მერე რა უჯდება მას ეს სიამოვნება?**

— სწორედ რამდენიმე დღის წინ გავყიდეთ ნამდვილი ვარდისფერი შამპანური Charles-ი, რომელიც 40 დოლარი ღირს. სხვათა შორის, ხანდახან საკოლექციო ღვინოც შემოგვაქვს. ის კი, მოგეხსენებათ, ძალიან ძვირი ღირს.

**— ამით მყიდველთან იწონებთ თავს თუ ის მართლა იყიდება?**

— იშვიათად შემოგვაქვს და იშვიათადაც იყიდება. ერთ ამბავს მოგიყვებით. ერთხელ ნაღდი ფრანგული, ბორდოში ჩამოსხმული წითელი ღვინო Chateau Brane ჩამოვიტანე და აგერ აქ, თვალში საცემ ადგილას დავდგი გასაყიდად.

**— ფასი?**

— 200 დოლარი — ერთი თეთრიც არ მომიმატებია. ზუსტად ამდენი მივეცი მოსკოვში. ძალიან მაინტერესებდა, თუ გაიყიდებოდა. ხალხი მოდიოდა, ერთს შეათვალიერებდნენ და როცა ფასს გაიგებდნენ, ცივად უკან დებდნენ. დიდხანს ვუყურე ამ ამბავს, ბოლოს ავდექი და მე თვითონ ვიყიდე.

აქვე მინდა შემთხვევით ვისარგებლო და ჩვენს ქართულ სამარკო ღვინოებზეც გითხრათ ერთი-ორი სიტყვა. სუპერმარკეტებსა და ღვინის სპეციალიზებულ მაღაზიებში ქართული ღვინის ისეთი დიდი არჩევანია, ზუსტად თუ არ იცით, რომელი მარკის ღვინის შეძენა გინდათ, ამორჩევა შეიძლება მართლაც ძალიან გაგიჭირდეთ. ერთი ბოთლი საუკეთესო „ხვანჭკარა“ 25-30 ლარად შეგიძლიათ შეიძინოთ. როგორც გაირკვა, ქართველები ფულს ნამდვილად არ ზოგავენ, როცა ასეთ ღვინოს ყიდულობენ. ამასთანავე, თურმე საქართველოში „მსოფლიო მოდას“ ნაკლებად მისდევენ და ჩვენში ერთნაირი წარმატებით იყიდება როგორც წითელი, ასევე თეთრი ღვინო. რაც შეეხება ეტიკეტზე ყურძნის მოკრეფის ადგილის აღმნიშვნელ წარწერას და ღვინის დაწურვის თარიღს, მას ქართველი მომხმარებელი საერთოდ არ აქცევს ყურადღებას. არადა, ქართული სამარკო ღვინოების არაერთი მარკა თავის განუმეორებლობის დამტკიცებას სწორედ ასეთი მინიშნებებით ცდილობს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ქართული ღვინისათვის მსოფლიო სტანდარტები უცხო ნამდვილად არ არის. ამიტომ ჩვენც დიდი იმედი გვაქვს, რომ ქართული სამარკო ღვინოები ამერიკასა და ევროპაში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი გამოცემის Vine Spectator-ის ყურადღების გარეშე არ დარჩება და მომავალ წელს „საუკეთესი ღვინის ასეულში“ თუნდაც ჩვენს სანაქებო „ხვანჭკარას“ ვიხილავთ.

*გვერდი მოამზადა ლელა წითლანაძემ*


შპს „გეოკორი“
აწარმოებს
ბურღვით სამუშაოებს სასმელი და ტექნიკური წყლის მისაღებად
მის: აჭარის ქ. №8 (სპორტის სასახლის უკან), ოთ. 118
ტ: 33-26-75; 38-24-02


საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 2 ნოემბრიდან დაადგინა ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსი:

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2,1650 |
| ევრო | 2,1449 |
| ინგლ. გირვანქა სტერლინგი | 3,3852 |
| რუსული რუბლი | 0,0681 |
| თურქული ლირა (1.000.000) | 1,2910 |


„ტოპსერვისი“ ფირმის
მეტალოპლასტმასის კარ-ფანჯრები
ძალიან იაფად
ფერები: თეთრი, ნაბლის ტექსტურით, მუქი მუხა...
ჩვენი პროფილი — 3 კამერიანია
მის: წერეთლის 141 მ. „დიდუბის“ გვერდით
☎ 966-779; 61-32-37; 34-49-40; 899-51-51-09; 899-902-091



საქართველოში პირველი სპეციალიზებული სალონი-მაღაზია
ბილიარდის სახლი
რუსული პირამიდა, პული, სნუკერი
აქსესუარები

ტ: 95-57-75; ტ/ფაქსი: 95-88-46 თბილისი



საქართველოს პოლიგრაფისტთა ასოციაცია 2002 წლის 15 ნოემბერს 15.00 საათზე ბეჭდვითი სიტყვის კომბინატის სააქტო დარბაზში (მარჯანიშვილის ქ. №5) მართავს პირველ ყრილობას.

# ცხოვრებისეული კურიოზები

## ცინცხალი კურიოზი...
## გაერთიანებული დემოკრატების კონვენტიდან



კონვენტი ლათინური სიტყვაა და ქართულად კრებას, თავყრილობას ნიშნავს. ეროვნული კონვენტი საფრანგეთში მე-18 საუკუნეში მეფის ჩამოგდების შემდეგ აურჩევიათ. რატომ აირჩიეს ქართველმა გაერთიანებულმა დემოკრატებმა თავყრილობის ნაცვლად კონვენტი, ეს მათი პრობლემაა. ჩვენ კი, ჩვეულებრივ მოქალაქეებს, ამდენი მიტინგებისა და თავყრილობებისგან გაბეზრებულთ, ისღა დაგვრჩენია, ყოველ ასეთ კრება-ყრილობა-შეკრება-კონფერენცია-კონვენტებზე რაღაც მცირედი თავშესაქცევი მაინც ვიპოვოთ.

ჰოდა, სპორტის სასახლეში ამ დღეებში გამართულ ერთ ასეთ კონვენტზე ერთი ასეთი მხიარული ნოტაც გაისმა (სხვათა შორის, ნოტაც ლათინური სიტყვაა და კონვენტს ძალიან უხდება!).

თავყრილობა-კონვენტზე ქართული ფოლკლორის უზადო მცოდნე და მოჭირნახულე, ბატონი ვახუშტი კოტეტიშვილი გამობრძანდა და ქართველი პოლიტიკოსის, ბატონი ზურაბ ჟვანიას მისამართით სახოტბო სიტყვები არ დაუშურებია. ბოლოს მის საქებრად ეს სტრიქონებიც მოიშველია ხალხური ლექსიდან:

*ერთი შვილ მაინც გაგზარდე,*
*ვეფხვებთან მეომარია...*

ვერ გეტყვით, ვეფხვებში ვინ იგულისხმა ბატონმა ვახუშტიმ, მაგრამ დარბაზს მხიარულმა (და ხმამაღალმა) ტალღამ გადაუარა: — ჟვანიას მამა გამოუჩნდაო!..

***თვითმხილველი***

## „ერთგული“ ჯეკა



ჩემს მეგობარს, ჯემალ თ.-ს ნაცნობმა ინგლისური სეტერი აჩუქა. სიხარულით აღარ იცოდა რა ექნა ჯემალს, თოფიც ახალნაყიდი ჰქონდა და იფიქრა,

— კაი თოფი, კაი ძაღლი და კაი სანადირო ადგილები... — მეტი რა უნდა ნადირობის მოყვარულ კაცსო.

სანამ სანადიროდ გაიყვანდა, ჯემალმა შეამოწმა, სეტერმა ნივთის (სამომავლოდ, ნანადირევის) მოტანა თუ იცისო და მუშტისხელა ქვა გადაუგდო. ძაღლი გაიქცა და რამდენიმე წამში ის ქვა ახალ პატრონს ფეხებთან დაუგდო. გახარებულმა ჯემალმა ძეხვის მოზრდილი ნაჭრით დააჯილდოვა ოთხფეხა მეგობარი და კიდევ გადაუგდო უფრო მოზრდილი ქვა. ძაღლს ქვის მოტანა ძალიან მოეწონა, ჯილდომაც წააქეზა. ჯემალმაც არაქათის გამოცლამდე „ამუშავა“ ჯეკა (ასე ერქვა სეტერს). საწვრთნელი ვარჯიშები შემდეგ დღეებშიც გრძელდებოდა. ნადირობის სეზონის გახსნამდე ჯერ ადრე იყო და ჯეკას თავისი „საქმიანობა“ რომ არ დავიწყებოდა, პატრონი ყოველდღე ავარჯიშებდა.

ერთ მშვენიერ დღეს ჯემალი სოფელში წავიდა და თავისი „შეგირდიც“ თან წაიყვანა. ჯემალი დილაუთენია ადგა, ბარი აიღო და ვენახში წავიდა, ჯეკაც თან გაჰყვა.

ჯემალი ბარავდა, ერთგული მეგობარი იჯდა და ელოდა, როდის დაასაქმებდნენ.

ჯემალმა ბელტი გადააბრუნა, ბელტს ამოყოლილი ქვა აიღო და ვენახის გადაღმა რიყეზე მოისროლა. ჯერ მეორე ქვა არ ჰქონდა გადაგდებული, რომ ჯეკამ პირველი ქვა ფეხებთან დაუგდო. ერთი სიტყვით, რამდენჯერაც გადააგდო ქვა, ჯეკამ იმდენჯერ მოუტანა. გაბეზრდა ჯემალი. გადაწყვიტა, შევაგროვებ ამ ქვებს და ურიკით გავიტანო. ასეც მოიქცა. ქვა-ღორღით სავსე ურიკა მდინარე ტანას რიყეზე გაიტანა და... შვებით ამოისუნთქა.

... მეორე დღეს, ვენახში მისული ჯემალი გაოგნებული დარჩა. ყველა ქვა უკლებლივ შემოეზიდა ჯეკას. როგორც ჩანს, მთელი ღამე „იმუშავა“ საბრალომ.

***ნიკოლოზ იოსებიძე, თბილისი***

## ნეტავ, ვინაა ის ქერა გოგო?



თამრიკო შავგვრემანი, ლამაზი გოგოა, მაგრამ ერთხელ მოუნდა ქერად „გარდაქმნა“ და...

წავიდა ქერად შეღებილი თამარ-ქალი სამსახურში და თმის ამბავი სულ დაავიწყდა.

განყოფილების გამგემ რაღაც წერილი მოსთხოვა, რომელიც ზემდგომიდან უნდა მოსულიყო, მაგრამ არ ჩანდა. ამიტომ დარეკა თამარმა ზემდგომ ორგანიზაციაში და შემდეგ უფროსს მოახსენა.

— ბატონო ვახტანგ, დავრეკე და მითხრეს, თქვენთან ქერა, ლამაზ გოგონას დავუტოვეთო. ჩვენ კიდევ ვინ გვყავს ქერა გოგო?

— ნეტავ ვინ გვყავს ქერა ჩვენს სამსახურში?! — ირონია გაერია ხმაში განყოფილების გამგეს და თვალი სარკისკენ გააპარა.

ამ დროს თამარმაც შეამჩნია სარკეში ქიმიის საოცრება — „საკუთარი“ ქერა თმა.

***გ. საბაძე, გორი***

***ბატონო მკითხველო, რედაქცია კურიოზებსა და ანეკდოტებთან ერთად ელის მხიარულ კარიკატურებს, მეგობრულ შარჟებს, ახალ სასაცილო ამბებს, რომელთაგან საუკეთესოებს სიამოვნებით გამოვაქვეყნებთ.***

***მასალები გამოგვიგზავნეთ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. ყუთების მისამართი იხილეთ ბოლო გვერდზე.***

# კვირის ასტროლოგიური პროგნოზი პაროდიის კუთხე

## 4 — 10 ნოემბერი



**ვერძი** — ვერძი ამ კვირაში უახლოეს ნათესავებს მოინახულებს, ერთი-ორი ან სამი-ოთხი ღამით დარჩება კიდეც მათთან (დღეები თქვენ გამოიანგარიშეთ). ისე, კაცმა რომ თქვას, რა ჩვენი საქმეა, ვერძი რას გააკეთებს, ყველამ ჩვენ-ჩვენ საქმეებს მივხედოთ.



**კურო** — მამაკაც კუროს უახლოეს დღეებში ქალს გაურიგებენ, ხოლო ქალ კუროს — ვაჟს. ვარსკვლავების განლაგება ორივე სქესის კუროებს ბედნიერებას, ანუ ქორწილს უწინასწარმეტყველებს. დაქორწინებულ კუროებს სხვის ქორწილში ქეიფი მოუწევთ...



**ტყუპები** — ტყუპების გარჩევა ერთმანეთისგან ამ კვირაში ბევრს გაუჭირდება. ამიტომ შეეცადეთ რაიმე განსხვავებული ჩაიცვათ, ან სულაც ვარცხნილობა შეიცვალოთ.



**კირჩხიბი** — დროა, წარსულს ჩააბაროთ ძველი პრობლემები და ახალი პრობლემები გაიჩინოთ. რა პრობლემაა!..



**ლომი** — ოთხშაბათს ძალიან კარგ ხასიათზე დადგებით, ოღონდ მაინცდამაინც ოთხშაბათს ნუ დაელოდებით, გაიღიმეთ, გამხიარულდით, მოიკითხეთ მეგობრები, ახლობლები, ნათესავები, მეზობლები და ა.შ.



**ქალწული** — ქალწული მთელ კვირას წიგნების კითხვაში გაატარებს, ხოლო კვირის ბოლოს,



**სასწორი** — სასურველია, შაბათ საღამოს პატარა პიკნიკი მაინც მოაწყოთ სადმე. არაა სავალდებულო ნაირ-ნაირების გაკეთება... გამოაცხვეთ მხოლოდ ფუნთუშები, ხაჭაპურები, ლობიანები, ქადები, ღვეზელები, „ტრუბოჩკები“, „სიგარეტები“, შუები, ეკლერები... ჰო, ღვინის, შამპანურის და კონიაკის წალებაც არ დაგავიწყდეთ, ლიქიორიც გაიყოლეთ და მორჩა!..



**მორიელი** — მორიელი მთელ კვირას სპორტულად გაატარებს. მიუხედავად მეგობრების გაუთავებელი რჩევებისა, მაინც არ უღალატებს სპორტს. ეს კი არა და, საცურაოდ უწყლო აუზშიც ჩახტება, პარასკევს კი უკვე თხილამურების შეძენაზეც დაიწყებს ზრუნვას.



**მშვილდოსანი** — გირჩევთ, ამ კვირაში თავი შეიკავოთ თეატრებში სიარულისგან, განსაკუთრებით, მოსკოვის თეატრებში. ნურც კონცერტებზე წახვალთ და საერთოდ, ნურც შინიდან გამოხვალთ. რას იზამთ, სიფრთხილეს თავი არ სტკივა!



**თხის რქა** — თქვენ ძალიან აქტიური იქნებით უახლოესი სამი დღის განმავლობაში, რაც არავინ იცის, თუ რითი იქნება გამოწვეული. თუმცა, მთავარია ამ აქტიურობას რაიმე კარგი შედეგი მოჰყვეს, თუ არ მოჰყვება, არც ამაზე იდარდოთ...



**მერწყული** — მერწყული ხუთშაბათს მეზობელთან ბავშვს გააგზავნის 18-იანი „კლუჩის“ სათხოვნელად. ათხოვებს თუ არა მეზობელი მერწყულის ბავშვს „კლუჩს“ და იქნება თუ არა ის „კლუჩი“ 18-იანი, ეს უკვე იმ მეზობლის ზოდიაქოს ნიშანზეა ...ლი. ისე, კაცმა რომ თქვას, ...მერწყულს 18-იანი „კლუჩი“?!



**თევზები** — თევზებს ვურჩევთ მაინცდამაინც ნუ დაუჯერებს ჰოროსკოპს. ჭორები დადის, ზოგ ჰოროსკოპში ზოგ-ზოგი რამეები სიმართლეს არ შეე...ულაც მოგონილიაო. თქვენც ად...ს დაუჯერეთ და ზოგს — არა.




## სიცილი ჯან...




### სტადიონებს ციცინათელებით ამარაგებენ

...ჟურნალმა „ფილთაქვამ“ შეიტყო, რომ UEFA-მ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას დახმარების სახით გამოუგზავნა ფოსფორის ბურთები (ყოველი შემთხვევისთვის) და 35.000 ფრთა ციცინათელა, რომელიც საჭიროების შემთხვევაში, ჩვენს სტადიონს გაანათებს...



რაჭველის 3 წლის შვილიშვილმა 50-თეთრიანი გადაყლაპა.

— სასწრაფო უნდა გამოვიძახო! — შეშფოთდა დედა.

— რა სასწრაფო, რის სასწრაფო! 15 ლარი გადავიხადო 50-თეთრიანში? — აღშფოთდა ბაბუა.

***გია პატარიძე, თბილისი***



დიდ მიხოსთან პატარა მიხო მიდის და ეუბნება:

— პაპა, შენა თუ იცი, ახლა რა არის მოდაში?

— აბა მითხარი!

— რა და, შვილიშვილს თუ პაპის სახელი ჰქვია, პაპამ ფირმა მანქანა უნდა უყიდოსო!

— მერე შე მამაძაღლო, რომელი ივ სენ ლორანი მე მნახე, მოდაი რო მივდიო?! — გაიკვირვა მიხომ.

***„სიხარა“, თბილისი***

## კახა კალაძე მოედანზე არ იგინება...

— გთხოვთ არ დამცინოთ და გამოაქვეყნოთ პასუხი. მაინტერესებს იცოდა თუ არა კახა კალაძემ იტალიაში გამგზავრებამდე იტალიური ენა, გაუჭირდა თუ არა მას ადაპტაცია უცხო ქვეყანაში და რამდენ უცხო ენას ფლობს ამჟამად. თუ იყენებს თამაშისას ქართული ტემპერამენტისთვის დამახასიათებელ სალანძღავ სიტყვებს.

*ნია ჯანდიერი*



კითხვაზე უპასუხებს **რუსუდან კალაძე**, კახა კალაძის მამიდა

— იტალიაში გამგზავრებამდე კახამ არ იცოდა იტალიური ენა. ჩასვლისთანავე მან მასწავლებლის დახმარებით მოახერხა ორ თვეში შეესწავლა ურთიერთობისთვის აუცილებელი ტერმინები, სიტყვები და ფრაზები. კახამ ენის შესწავლას სწრაფად აუღო ალღო და მალევე მიაღწია სასურველ შედეგს. კარგად ფლობს რუსულ ენას, იცის ინგლისური. დღეისთვის იგი ბრწყინვალედ საუბრობს იტალიურად. ეს არის და ეს. სხვა რა გითხრათ? ქართული არ დავიწყებია, არც ადაპტაცია გასჭირვებია. როგორც თავად ამბობს, ჰქონდა ოჯახის წევრების და მეგობრების მონატრების გრძნობა, თუმცა ხანგრძლივი ვარჯიში, რთული და გადატვირთული დღის რეჟიმი არ აძლევდა ბევრი ფიქრის საშუალებას და ამიტომ მალევე გაუმკლავდა ყველა პრობლემას. რაც შეეხება ბოლო კითხვას, ვერც კი წარმომიდგენია კახა ამ „ამპლუაში“. იგი უაღრესად გაწონასწორებული და თავშეკავებული პიროვნებაა. კახა ჩემს ხელში გაიზარდა და მე ვერ გავიხსენებ ვერც ერთ შემთხვევას, რომ მისგან სალანძღავი სიტყვა (მით უმეტეს, გინება) მსმენოდეს. ეს ჩვევა მას საქართველოში ყოფნის დროსაც არ ჰქონია და მით უფრო ვერ წარმოვიდგენ იტალიაში ან ევროპის ნებისმიერ ქვეყანაში, ნებისმიერ სტადიონზე მისგან შეუფერებელ საქციელს.

## როდის დაარსდა ედპ?

— რომელ წელს დაარსდა თავდაპირველად ედპ და რამდენი წევრია მასში დღეისათვის გაერთიანებული?

*დავით ნიკურაძე*

კითხვაზე უპასუხებს **ეკა შინდაგორიძე**, ედპ-ის პრესსამსახურის უფროსი



სპირიდონ კედია მეუღლესთან ერთად

— ჯერ კიდევ XX საუკუნის დასაწყისში, ილია ჭავჭავაძის ინიციატივით დაიწყო საფუძვლიანი მზადება ეროვნულ-დემოკრატიული მიმართულების პოლიტიკური პარტიის შესაქმნელად. ილიამ პირველმა შეიმუშავა ამ ტიპის პარტიისათვის წესდება და საპროგრამო პრინციპები. წიწამურის ტრაგედიამ პარტიის დაარსება შეაფერხა. ედპ დაფუძნდა 1917 წლის ივნისში: სპირიდონ კედიას, ალექსანდრე ასათიანის, ექვთიმე თაყაიშვილის, რეზო გაბაშვილის და სხვათა ინიციატივით. საპატიო თავმჯდომარედ აირჩიეს ნიკო ნიკოლაძე, ხოლო პარტიის პირველ თავმჯდომარედ — პარიზში განათლებამიღებული, იმ დროის თვალსაჩინო მოღვაწე სპირიდონ კედია. საქართველოს ანექსიის შემდეგ, ეროვნულ-დემოკრატებს არ შეუწყვეტიათ თავიანთი მოღვაწეობა. მათი ინიციატივით 1924 წელს მოეწყო აჯანყება, რომლის მიზანიც დაკარგული სახელმწიფო დამოუკიდებლობის აღდგენა იყო. აჯანყების დამარცხების შემდეგ პარტიის ნაწილი ბოლშევიკებისა და საბჭოთა წყობის მსხვერპლი გახდა, ზოგმა კი თავი უცხოეთს შეაფარა. პარტიამ არსებობა ემიგრაციაში განაგრძო, კერძოდ, გამოდიოდა უამრავი ემიგრანტული ჟურნალი თუ გაზეთი. მათ შორის, „ივერია“, „ახალი ივერია“ და სხვ.

პარტიის არსებობა განახლდა 1981 წლიდან გიორგი ჭანტურიას თაოსნობით. დღეისათვის პარტიის წევრების ზუსტი რაოდენობა დაუზუსტებელია. მიმდინარეობს ხელახალი რეგისტრაცია, რომელიც ამ დროისთვის 4000-ზე კაცმა გაიარა.

## «თეთრი სახლი» 210 წლისაა

— მაინტერესებს, რომელ წელს აიგო აშშ-ის პრეზიდენტების რეზიდენცია — „თეთრი სახლი“ და ვინ იყო პირველი პრეზიდენტი, რომელიც იქ დასახლდა?

*მერი ყურაშვილი*



— „თეთრი სახლის“ მშენებლობა დაიწყო 1792 წლის 13 ოქტომბერს, ხოლო მისი პირველი ბინადარი გახლდათ აშშ-ის მეექვსე პრეზიდენტი ჯონ ადამსი (1797-1801) მეუღლითურთ. ეს შენობა გახლავთ ქალაქ ვაშინგტონის უძველესი სახელმწიფო ნაგებობა. იგი რამდენჯერმე დაზიანდა ძლიერი ხანძრებისგან, მაგრამ თითქმის პირვანდელი სახითაა შემორჩენილი. რეზიდენციას „თეთრი სახლი“ ეწოდა იმ მარტივი მიზეზით, რომ იგი ძალიან კონტრასტული იყო გარშემო მდგომ სახლებთან შედარებით. ოფიციალურად ეს სახელწოდება გაფორმდა 1901 წელს, თეოდორ რუზველტის პრეზიდენტობის დროს.

## მიწისძვრით დაზარალებული ჯეოსელის აბონენტები

— თბილისის 25 აპრილის მიწისძვრის შემდეგ ჯეოსელმა ტელევიზიით გამოაცხადა, რომ დაეხმარებოდა მიწისძვრით დაზარალებულ თავის აბონენტებს. ტელევიზიით გამუდმებით გადის ეს რეკლამა. მეც ვარ ჯეოსელის აბონენტი და მიწისძვრით დაზარალებული, ვის მივაკითხო დახმარების მისაღებად?

*მედეა ცინცაძე*

კითხვაზე უპასუხებს **მანანა დურალიძე**, ჯეოსელის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი

— პროგრამა ჯერ არ დასრულებულა, პროექტი დღესაც მიმდინარეობს და წლის ბოლომდე გასტანს. მოქალაქეებს უნდა შემოეტანათ წერილობითი განცხადება ჯეოსელის დირექტორის სახელზე. ამის მერე პროექტის დასრულებისას ჯეოსელის ადმინისტრაცია თავად გადაწყვეტს, ვის უფრო მეტად ესაჭიროება დახმარება. ამასთან დაკავშირებით ადმინისტრაციას ჯერ არ გადაუწყვეტია თუ რა პრინციპით შეირჩევა დასახმარებელი ოჯახი თუ პიროვნება. რა თქმა უნდა, მხოლოდ განცხადების საფუძველზე შერჩევა არ მოხდება. ამისთვის გამოიყოფა სპეციალური ჯგუფი, რომელიც ადგილზე შეისწავლის არსებულ მდგომარეობას. დღეისათვის დახმარების ანგარიშზე დარიცხულია მხოლოდ 600 ლარი. იმედია, წლის ბოლომდე ეს თანხა საგრძნობლად გაიზრდება. ჯეოსელს გადაწყვეტილი აქვს შემოწირულობას თავადაც დაამატოს სოლიდური თანხა.

**ძვირფასო მკითხველო, „ანიდან ჰოემდე“ ეცდება თქვენი შეკითხვები უპასუხოდ არ დატოვოს, და რაც მთავარია, ყველა მათგანზე კომპეტენტური პასუხი გასცეს...**

## 10 წელიც რომ გავიდეს, მაინც გადავიღებთ კლიპს....

— ვარ კახა კუხიანიძის „ფანი“. მაინტერესებს, რატომ დაიწუნა თავის პირველ სიმღერაზე „ალერსი მინდა“ გადაღებული კლიპი. ვინ იყო კლიპის ავტორი და გადაღებულია თუ არა ხელმეორედ ანი მაღლაკელიძის რეჟისორობით. ველოდები კლიპის გამოსვლას და ვთვლი, რომ სწორედ ამ სიმღერის წყალობით გახდა იგი პოპულარული.

*ნუციკო მათიაშვილი*

კითხვაზე უპასუხებს **გიგა კუხიანიძე** — კახა კუხიანიძის მენეჯერი (ძმა).



— ეს კახას პირველი სიმღერა არ ყოფილა. იგი 8 წლიდან მღერის. რაც შეეხება დაწუნებული კლიპის ავტორს, უფლებას ვიტოვებ არ გავამჟღავნო მისი სახელი, რადგანაც ვთვლი, რომ ამ პიროვნებამ საკმარისი იწვნია. „ალერსი მინდამ“ მართლაც დიდი პოპულარობა მოუტანა კახას და მისთვის იგი ყველაზე საყვარელი სიმღერა გახლავთ. კითხვის ავტორს მინდა ვაუწყო, რომ სიმღერაზე კლიპის გადაღება არც კი დაწყებულა. ამ რამდენიმე ხნის წინ გამოვიდა კახას ახალი სიმღერა „თავიდან ამამღერე“. დღეისათვის ვერ გადაგვიწყვეტია, თუ რომელ სიმღერაზე გადავიღოთ კლიპი, ახალზე თუ ძველზე. თუმც ვთვლით, რომ „თავიდან ამამღერეზე“ კლიპის გადაღება დღეს მეტად აქტუალური იქნებოდა. როგორც უკვე აღვნიშნე, კახას იმდენად უყვარს სიმღერა „ალერსი მინდა“, რომ თუ დღეისათვის კლიპის გადაღება არ მოხერხდება, ამას 10 წელიც რომ დასჭირდეს, მაინც განვახორციელებთ ჩანაფიქრს. მართლაც, სიმღერამ დიდი პოპულარობა მოიხვეჭა და ამიტომაც კლიპის სცენარი შესაბამისად ლამაზი და ჩვენთვის მისაღები უნდა იყოს, რომ არ განმეორდეს ის, რაც პირველი სცენარით გადაღებულ კლიპზე შეგვემთხვა. რაც შეეხება სამომავლო გეგმას, თუ ვისი რეჟისორობით გადავიღებთ კლიპს, ამას წინასწარ ვერ განვსაზღვრავთ. თუმც არ არის გამორიცხული, რომ სწორედ ანი მაღლაკელიძის სცენარზე შევჩერდეთ.

## რომელი სახელმწიფოა «ბანანის რესპუბლიკა»...

— გთხოვთ ამიხსნათ, როდის წარმოიშვა და რას ნიშნავს გამოთქმა „ბანანის რესპუბლიკა“? ასევე მაინტერესებს, რა იგულისხმება გამოთქმაში „დომინოს პრინციპი“?

*ლია ხრიკული*

კითხვაზე უპასუხებს **ალეკო წურწუმია**, ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტოლოგიის კათედრის ლაბორანტი

— ტერმინ „ბანანის რესპუბლიკის“ წარმოშობა დაკავშირებულია აფრიკის განვითარებული ქვეყნების დეკოლონიზაციის დაწყებასთან, რომელიც მე-20 საუკუნის 60-70-იანი წლების დასარულს მიმდინარეობდა. ეს ტერმინი პირველად გაისმა ზამბიის რესპუბლიკისა და ანგოლის მიმართ და შინაარსობრივად მოიაზრებს ჩამორჩენილ, განუვითარებელ ქვეყანას. „ბანანის რესპუბლიკა“ გახლავთ ისეთი სახელმწიფო, რომელსაც ეკონომიკურ ჩამორჩენილობასთან ერთად, არ გააჩნია არავითარი პოლიტიკური კულტურა თუ ტრადიცია. ქვეყანა, რომელშიც გამიჯნულია ერთმანეთისგან კონსტიტუცია და ხელისუფლება, სადაც კანონი მხოლოდ ფარატინა ფურცელია და არა სავალდებულო ქცევის წესი. სახელმწიფო, სადაც გამუდმებით ირღვევა ადამიანთა უფლებები და ქვეყნის უზენაესი კანონი, თვით კონსტიტუციაც კი ვერ ხდება ამ უფლებების დაცვის გარანტი.

რაც შეეხება ტერმინს „დომინოს პრინციპი“, იგი რაიმე კონკრეტულ მაგალითთან თუ მოვლენასთან არ არის დაკავშირებული. წარმოიდგინეთ მწკრივში დალაგებული დომინოს ქვები. ერთი ქვის წაქცევაც საკმარისია, რომ მან ჯაჭვურად ჩაითრიოს სხვები და დანარჩენი ქვებიც წააქციოს. სწორედ ამ თვისების გამო იყენებენ ამ ტერმინს იმ შემთხვევაში, როდესაც ერთი მოვლენა აუცილებლად გამოიწვევს მეორეს და ა.შ.

## «გველი გამიზრდია უბეში», ანუ უფრთხილდით პიტ-ბულტერიერს

— მომიყვანეს პიტ-ბულტერიერის ლეკვი. სახლში მყავს ორი პატარა ბავშვი. თითქმის ყველა მაფრთხილებს, რომ ჩემი პატარა ლეკვის გაზრდა არ ღირს, რომ იგი საშიში ჯიშისაა და შეიძლება ბავშვებიც არ დაინდოს... რას მირჩევთ, როგორ მოვიქცე, გავზარდო თუ არა პიტ-ბულტერიერის ლეკვი?

*ზაზა კაკაბაძე*

კითხვაზე უპასუხებს **მერაბ ჭკუასელი**, კინოლოგი, წოდორეთის ძაღლსაშენის ხელმძღვანელი.



— პიტ-ბულტერიერი გახლავთ საბრძოლო მიზნებისთვის სპეციალურად გამოყვანილი (რამდენიმე მოჩხუბარი ჯიშის ძაღლის — პიტის, ტერიერის და ბულდოგის შეჯვარებით მიღებული) ძაღლი. იგი საკმაოდ საშიშ ჯიშად ითვლება. დღეისათვის აშშ-სა და ინგლისში მისი გამრავლება საერთოდაც აკრძალულია. პიტ-ბულტერიერს მეტსახელად „შავ ჭირს“ ეძახიან. ეს ჯიში, თავდაპირველად, ძაღლების საბრძოლო „იატაკქვეშა“ ტოტალიზატორებში გამოჩნდა. მათი გამოყვანის მთავარი მიზანი გახლდათ ძაღლის ხასიათში გენეტიკურად ჩაედოთ აგრესიულობა, გამძლეობა, სიძლიერე და უკანდაუხევლობა. საბოლოო შედეგად მიიღეს ყოველგვარი ჩარჩოებიდან ამოვარდნილი ცხოველი, რომლის მოქმედების წინასწარ განჭვრეტა ან გამოცნობა შეუძლებელია. პიტ-ბულტერიერი გამოირჩევა აგრესიულობით, დაუნდობლობით, გაუწონასწორებელი და გაუთვალისწინებელი მოქმედებით და ამიტომაც საკმაოდ საშიშია. მასში უფრო მტაცებელი ცხოველის ინსტინქტები სჭარბობს, ვიდრე ძაღლისა. ბუნებრივია, ამ ჯიშის ძაღლის სახლში, პატარა ბავშვებთან გაჩერება ძალიან დიდი რისკი იქნება თქვენი მხრიდან. მისი ხასიათი, გენეტიკა, ფსიქიკა დღემდე შეუსწავლელია, რადგანაც საკმაოდ ახალი ჯიში გახლავთ. არ მოტყუვდეთ, თუ ვინმე მის გაწვრთნას და მოთვინიერებას დაგპირდებათ. აუარებელი მაგალითი შემიძლია მოვიყვანო ისეთი, რომელიც სამწუხაროდ, უბედური შემთხვევით დასრულებულა გაწვრთნილი პიტ-ბულტერიერის პატრონისთვის. მისი მოულოდნელი აგრესიის მსხვერპლი შესაძლოა უცხო ადამიანთან ერთად, მისივე აღმზრდელი თუ მომვლელიც გახდეს. ერთი სიტყვით, ნუ აჰყვებით მოდას. მე ვერ გირჩევთ, როგორ გადაჭრათ ეს პრობლემა, რომელიც არც თქვენი ლეკვის შინიდან გაგდებით გადაწყდება, რადგანაც შემდგომში თავდასხმის ობიექტი შესაძლოა ნებისმიერი ჩვენგანი გახდეს.

*რუბრიკა მოამზადა რუსუდან ჟორჟოლიანმა*

CMYK

## ბინები

თბილისიდან 35 კმ-ის დაშორებით (საგურამოდან 10 კმ) ბურიანში 800 კვმ მიწის ნაკვეთი, სახლის დაწყებული მშენებლობით (I სართული – ამოყვანილი კედლებით, II სართულის იატაკი – დასხმული). ფასი $800. ტელ: 23-07-65

## გთავაზობთ სამუშაოს

18-25 წლამდე გოგონებს და ვაჟებს ვთავაზობთ გამგზავრებას საფრანგეთსა და გერმანიაში ოფიციალური ხელშეკრულებით, AU-PAIR პროგრამით, დასაქმებისა და სწავლის შეთავსებით. უზრუნველყოფა ჯიბის ფულით (ხელფასით), საცხოვრებლით, კვებით, სამედიცინო დაზღვევით და საქალაქო ტრანსპორტით მგზავრობის ხარჯებით. ტ: 95-64-18; 7-74-79 (ქუთაისი)

ფირმის ოფისში, მენეჯერის თანამდებობაზე გვჭირდება რუსულის მცოდნე თანამშრომლები. სამუშაო კონტრაქტითაა, ანაზღაურება – გამომუშავებით, 300-600 ლარი, ასაკი – 18 წელს ზემოთ. საუკეთესო თანამშრომლები 6 თვეში ერთხელ, სტაჟირებაზე იგზავნებიან საზღვარგარეთ, კომპანიის ხარჯებით. მის. მ. „დიდუბე", „სამთო ქიმიის ინსტიტუტი", I სართ. ოთახი №6. ტელ: 34-02-38 (19 სთ-მდე); 78-14-94 (20 სთ-ის შემდეგ); 899 90-54-78. მენეჯერი: ბ-ნი მიხეილი

ამერიკა-იტალია-საფრანგეთის ერთობლივი საერთაშორისო კომპანია გთავაზობთ კონსულტანტ-მენეჯერის ვაკანსიას, კომპანიის ოფისში. ხელფასი გამომუშავებით – $300-500. საუკეთესო თანამშრომლები სტაჟირებას გაივლიან საზღვარგარეთ. მიმდინარეობს შერჩევა, იჩქარეთ! რუსთაველი, ბელინსკის №2, მე-4 სართ. ოთ. 415. ტ: 93-38-46. ნუცა

თუ გაქვთ გარკვეული ურთიერთობა ქუთაისთან, მცხეთის და კასპის რაიონებთან, დაგვირეკეთ: 77-38-53; 893 31-65-07

ყურადღება, სიახლე! ახალ, მრავალპროფილიან კორპორაციას ესაჭიროება ადმინისტრაციული თანამშრომლები. შესაძლებელია იმ ადამიანების გადამზადება და დასაქმებაც, ვისაც ერთ წელზე მეტია დამთავრებული აქვს ინსტიტუტი და არ მუშაობს პროფესიით. ანაზღაურება – მაღალი. გვაინტერესებს რეგიონების წარმომადგენელთა დასაქმებაც. ტელ: 52-44-10; 34-67-71; 893 33-18-86

## ვეძებ სამუშაოს

გამოცდილი მთავარი ბუღალტერი, 20 წლის სტაჟით, საერთაშორისო ბუღალტერიის, კომპიუტერის და კომპიუტერული საბუღალტრო პროგრამების მცოდნე (მაქვს ჩემი კომპიუტერი) ვიმუშავებ მთავარი ბუღალტრის, ფინანსური მენეჯერის თანამდებობაზე. შეიძლება შეთავსებითაც. ტელ: 33-30-88 (დღისით); 61-36-42 (საღამოს); 899 22-44-72

## მომსახურება

„ფესვები", ყურადღება! კარგად გაკეთებული ეპილაცია ნამდვილად მოარჩენს ნაპარს და გაუხეშებულ თმას. მის უკვალოდ მორჩენას კი სჭირდება კარგი სპეციალისტი. 1 სთ – 12 ლარი. განსაზღვრულია ინდივიდუალური ნემსი. ეპილაციის შესწავლა – $200. მის: იოსებიძის 53, I სად, I სართ, ბინა 3. ტელ: 37-71-66; 899 168-168. ნინო ჭელიძე

ვაკეთებ ეპილაციას ვოლფრამის ნემსით და ანესთეზიით, მორჩენის გარანტიით. მიღება ყოველდღე, ჩაწერით. სეანსების რაოდენობა ინდივიდუალურია – 1სთ – 10 ლარი. მომსახურებით კმაყოფილი დარჩებით. მაქვს საკუთარი დენის წყარო. მის: ვარკეთილი-3, II მ/რ. მე-9 კორპ, VI სად, III სართ, ბინა 3. ტელ: 79-50-12. ლიკა გიორგობიანი

ეპილაცია ვოლფრამის ერთჯერადი ნემსით, ანესთეზიით (ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე), 1 სთ – 6 ლარი; თმის მოცილება სხეულზე მცენარეული ნაყენით (გარანტიით), სახის გაწმენდა (კოსმეტიკური მასაჟის თანხლებით). წარბების კორექცია. საერთაშორისო სერტიფიკატის მქონე კოსმეტოლოგი ნატო ყიფშიძე. მის: მ. „300 არაგველი", არამიანცის საავადმყოფოს ზედა კართან, აზმეტის ქ. №15. მიღება წინასწარი ჩაწერით. ტელ: 77-86-27

გთავაზობთ გახდომას სწრაფად და ეფექტურად, შიმშილის გარეშე (თვეში 10-15 კგ-ის დაკლებით); სიმაღლეში ზრდა 2-დან 20 წლამდე, 2-4 სმ-ის მომატებით; ნაოჭების გასწორება, ლაქების მოცილება. შედეგები გარანტირებულია, კონსულტაციები უფასოა. მის: ტელ: 93-38-46; 68-59-10; 93-57-50. ნანა

ეპილაცია ვოლფრამის ან პლატინის ერთჯერადი ნემსით და ანესთეზიით. უკიდურესად გაუხეშებული თმიანობის შემთხვევაშიც კი განიკურნებით უმოკლეს ვადაში, შეშუპებისა და გაღიზიანების გარეშე. არ დაგეტყობათ არც ერთი ნანემსარი. შედეგი პირველივე სეანსზე. ისარგებლეთ, დარწმუნდებით. მის: იოსებიძის №66. მე-2 სად. VIII სართ. ბინა 46. ტ: 37-74-22. მანანა

სილამაზის სალონი „სტილი"! ეპილაცია ანესთეზიით; თმის მოცილება ტანზე მცენარეული დეპილატორით; სახის გაწმენდა; თმის მოდელური შეჭრა – 5 ლარი; დავარცხნა-გასწორება – 4-5 ლარი; კოსმეტიკისა და საპარიკმახერო კურსები. მის: ალმაშენებლის გამზ. №115, კაბ. №20 (ეზოში). საერთაშორისო სერტიფიკატის მქონე კოსმეტოლოგი – ირინა ჯანაშია, მეთოდისტ-სტილისტი – ზინა. ტელ: 94-01-82; 95-83-18 (სამს); 96-22-89 ბინა)

ფირმების რეგისტრაცია (შპს 7დღე $180; 3დღე $200), აუდიტი, საბუღალტრო მომსახურება. ტელ: 33-30-88 (დღისით); 61-36-42 (საღამოს); 899 22-44-72

ვაწარმოებ ნებისმიერი ავეჯის რესტავრაციას (აღდგენა-განახლება); კარადებსა და მაგიდებზე, სკამებზე, ნებისმიერ საწოლზე, ლეიბებსა და სამეულებზე შალითების გადაკვრა-დარბილებას სრული გარანტიით. ტელ: 69-45-18. გიორგი

დაგიმზადებთ: ალუმინის და მეტალოპლასტიკის კარფანჯარას; რკინის კარს; გისოსებს 30 ლარი; „გარმოშკას" – 60 ლარი; ხვეულ კიბეს – საფეხური 25 ლარი, მოაჯირით და სხვა. ტელ: 38-34-92; 899 28-15-07

## მკურნალობა

ისრაელში შექმნილი ელექტრონული აპარატურის საშუალებით იკურნება გარანტიით სქოლიოზი, ნეკნთა კუზი, ოსტეოქონდროზი, ქრონიკული უძილობა, შაკიკი, წინამდებარე ჯირკვლის ადენომა, კიფოზი, ენურეზი, კარდიალგიები, ტკივილები ბეჭებს შორის, ბრონქიტი, დაავადების შემდეგ გამოწვეული უშვილობა. მკურნალი ანატოლი შავიძე. მის. ძმები გარიშვილების ქ. 18 (მ. „გურამიშვილთან"). ტელ: 61-65-03 (მიღება ყოველდღე, გარდა კვირისა)

პატივცემულო მამაკაცებო! ქრონიკული პროსტატიტის, ადენომის, ხშირი შარდვის, დაქვეითებული პოტენციის, ანთებების, უშვილობის პრობლემების მოგვარება, პროსტატის ჯირკვლის გაწმენდა ოპერაციული ჩარევის, უხერხული მასაჟებისა და ნემსების გარეშე – ძალზე ეფექტური, უნიკალური ბალახებით, ანონიმურობის სრული გარანტიით. ტ: 96-62-58; 899 14-64-95

თბილისში – მოსკოვის ფსიქიატრიის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში, მეტყველების ცენტრში, 23-ე საავადმყოფოში კვალიფიცირებული ექიმ-ლოგოპედი, ფსიქოლოგი – თსუ-ს ფსიქოლოგიის კათედრის ასპირანტი, უახლესი მეთოდით, მოკლე დროში, ყველა ასაკში, ჩინური ნემსებით, აღმდგენი აპარატებით და სხვა აღმდგენი მეთოდებით აღგიდგენთ ხმისა და მეტყველების დარღვევებს – ლოგონევროზს, ნევროზს – ჩინური ნემსებით და აპარატებით, სახისა და ხელ-ფეხის პარეზს, ენაჩლუნგობას. მიღება წინასწარი სატელეფონო ჩაწერით: 899 55-05-75

რადიკულიტი, ოსტეოქონდროზი, სქოლიოზი, კიფოზი, მიოზიტი, თავბრუსხვევა, ქათმისებური და მეწაღისებური გულმკერდი, სიმაღლეში ზრდა, მკურნალობის უახლესი, კომბინირებული მეთოდებით. ამ დაავადებებს მაღალი შედეგებით მკურნალობს მაღალკვალიფიციური ექიმი, მანუალური თერაპევტი სოსო ფირცხალაიშვილი. მის: აღმაშენებლის №60. მიხაილის საავადმყოფო. ტელ: 899 26-51-08; 75-06-14

ლომთათიძე მკურნალობს: ფრჩხილების სოკოს, ფსორიაზს, წითელ ქარს, თმის ცვენას, სებორეას, ბუასილს, ფრჩხილების ჩაზრუნებას, ტროფიკულ წყლულს, თირკმლებს, პროსტატიტს, ღვიძლსა და ნაღვლის ბუშტს, მუცლის ღრუში დაგროვილ სითხეს, მეჭეჭების, პაპილომების მოშორებას. მკურნალობის კურსი 10-დღიანია. მის: ალმაშენებლის 113. კაბ. №17. ლომთათიძე. ტელ: 95-74-29

სიახლე მე-9 საავადმყოფოში: გაიხსნა სამკურნალო დიაგნოსტიკური ცენტრი „სიკეთე" (გენ. სპონსორია ს/ს „ყაზბეგი"). გთავაზობთ ულტრაბგერით, ლაბორატორიულ, კარდიოგრაფიულ დიაგნოსტიკას. ფუნქციონირებს დერმატო-ვენეროლოგიური, ფიზიოთერაპიული, მანუალური და ფიტოთერაპიული კაბინეტები. მოგემსახურებიან მაღალკვალიფიციური სპეციალისტები. მის: ჭავჭავაძის №33. ფიტოთერაპიული კლინიკა. ტელ: 25-31-83; 899 23-61-91

პროსტატიტის, ადენომის, ქლამიდიოზის, ტრიქომონიაზის, უშვილობის, სქესობრივი პოტენციის დაქვეითების დიაგნოსტიკა და მკურნალობა უახლესი მეთოდებით და აპარატურით. *პროფესორი რეზო ხალაყაია.* მის: მარჯანიშვილის 23 (მეტროსთან), VI სად. (ეზოდან), ბინა №1. მიღება შაბათს, 12-16 სთ; სხვა დღეებში წინასწარი ჩაწერით. ტ: 35-20-06; 92-36-67

ტრადიციული მეთოდებით მედიცინის მუშაკი მაყვალა ცინცაძე, სამკურნალო მცენარეებისა და თეთრი მუმიოსგან ამზადებს მალამოებს, საფენებს და ხსნარებს. მკურნალობს: სახსრებს, ოსტეოქონდროზს (მარილებს), პოლიართრიტს, ართროზს, ბრონქიალურ ასთმას, დისკს, რადიკულიტს, სამწვერა ნერვის ანთებას, ფრონტიტს, ჰაიმორიტს (ფრონტიტი და ჰაიმორიტი იკურნება 6-8 დღეში სრული გარანტიით). მის: ფიფიას (ყოფ. ვორონინის) ქ. №25, II სართ. („დინამოს" პირდაპირ). ტ: 34-04-06; 34-62-51 (მიღება ყოველდღე, შაბათის გარდა, 13-16 სთ)

სამკურნალო-დიაგნოსტიკურ კაბინეტ „კოლხ მედეაში" გთავაზობთ მთლიანი ორგანიზმის უზუსტეს კომპიუტერულ დიაგნოსტიკას. შესაბამისად ინიშნება მკურნალობის კურსი უვნებელი მცენარეული პრეპარატებით. აქვე გთავაზობთ: ჩიყვის, საკვერცხის კისტის, ფიბრომის, მიომის, მასტოპათიის, ბუასილის და წყლულის მკურნალობას უოპერაციოდ, მცენარეებით! მის: დავით აღმაშენებლის გამზ. №112 (ჩოდრიშვილის ქ. №10), ეზოში. ტასო ელიზბარაშვილი. მიღება ყოველდღე, გარდა კვირისა, წინასწარი ჩაწერით. ტ: 95-50-12 (სამს); 61-75-27 (ბინა); 897 58-29-18

მუშაობას შეუდგა არატრადიციული მეთოდებით მკურნალობის სპეციალისტი, დიპლომირებული, ექსტრასენსორიკული და სენსორული დიაგნოსტიკის პირველი კატეგორიის ექსტრასენსი *ეველინა ლოლაძე.* მუშაობისას იგი მიმართავს დისტანციურ მკურნალობას თვალით (სუგესტია), ფსიქოთერაპიას, სამკურნალო ჰიპნოზს, ინდურ ჩაკრებს. ექსტრასენსი მკურნალობს შორ მანძილზეც. ვისაც გაწუხებთ თავის ტკივილები, შაკიკი, დეპრესია, ნევროზები, სამწვერა ნერვის ანთება, მხედველობისა და სმენის დაქვეითება, რადიკულიტი, იშიაზი, სიმსუქნე, უნებლიე შარდვა – მიმართეთ ეველინა ლოლაძეს. მიღება ყოველდღე, 11-17 სთ, შაბათ-კვირის გარდა. მის: ივ. ჯავახიშვილის (ყოფ. კალინინის) ქ. №45, შესასვლელი ეზოდან, II სართ. ტელ: 95-00-83

საგვარეულო ხალხური მედიცინა: მწვანე მცენარეებით ვმკურნალობთ ბუასილის შემდეგ სახეობებს: პოლიპები, ნაპრალები, სისხლის დენა, ქავილი, სწორი ნაწლავის მოდუნება. შედეგი 5-10 დღეში. მის: რუსთავის მე-16 მ/რ. მე-5 კორპ. II სად. ბინა №33. ლალი გოგოლაძე (ვაგზლიდან სამარშრუტო ტაქსის ბოლო გაჩერება). ტელ: 17-47-17

**სამკურნალო განცხადებები ლიცენზიის გარეშე არ გამოქვეყნდება**

## ვასწავლი

გამოცდილი სპეციალისტი, მეცნიერებათა კანდიდატი მოამზადებს აბიტურიენტებს ისტორიასა და გეოგრაფიაში ხელსაყრელ ფასად. ტელ. 22-78-56

ფირმა „ქართი" აცხადებს მიღებას პროფესიული მომზადების კურსებზე. სპეციალობა: 1. მასაჟისტი (სამკურნალო, ჰიგიენური, ჩვილ ბავშვთა მასაჟი); 2. პარიკმახერი (ქალთა და მამაკაცთა ხელოსანი); 3. კოსმეტიკა (ეპილაცია, მასაჟი, მაკიაჟი, მალამოები); 4. ვიზაჟისტი; 5. პედიკიური, მანიკიური. კურსების დამთავრების შემდეგ გაიცემა ლიცენზირებული სერტიფიკატი. მის. აღმაშენებლის გამზ. №115ა. კაბ. №20 (ეზოში). ტელ: 94-01-82; 95-83-18 (სამს); 96-22-89 (ბინა); 899 90-67-52. ირინა ჯანაშია

ნაძალადევის კულტურის სასახლე აგრძელებს მიღებას კოსმეტიკის კურსებზე, შეღავათიან ფასად, დაჩქარებული მეთოდით. შეისწავლება: კანის დეფექტები, მკურნალობა, კანის გაწმენდა, ეპილაცია, მასაჟი, ნელსაცხებლები (მკვებავი, დეკორატიული, სამკურნალო), ლოსიონები, რძეები, ნიღბები, საპნები და სხვა. გაიცემა სერტიფიკატი. მის: „ნაძალადევი", მ. „ვაგზლის მოედანი", დადიანის (ყოფ. ოქტომბრის) ქ. №26. ტელ: 66-53-56; 893 33-09-66

ევროპული სტანდარტები და ტექნოლოგია! პროფესიული სკოლა „ინტერსერვისი". ბარმენების, მიმტანების, მზარეულების, რესტორნის ადმინისტრატორების კურსები. მის: მარჯანიშვილის №21. ტელ: 95-41-59; 899 15-11-18

სასწავლო ცენტრი გთავაზობთ: ბუღალტრული აღრიცხვა საერთაშორისო სტანდარტებით. ფასი $70; კომპიუტერული საოფისე პროგრამები (ვინდოუსი, ვორდი, ექსელი, ელფოსტა). თითოეული პროგრამა – 15 ლარი. ტელ: 33-30-88 (დღისით); 61-36-42 (საღამოს); 899 22-44-72

## იყიდება

სმენის აპარატები, შეღავათიან ფასებში, სპეციალური ინდივიდუალური ყურის ჩასართით. აგრეთვე, ელექტრონული და მექანიკური წნევის აპარატები, გარანტიით. ტელ: 95-95-22 (15-19 სთ); 93-46-74 (20 სთ-ის შემდეგ)

Продается компьютер Motherboard - A7V, Procesor - DURON 950Mhz, RAM - 256Mb, HDD - 40 Gb/ATA100 - 7200, Video - ASUS 7100 GF-2Mx/32Mb, Sound - Sb Live 5.1, CD-RWriter NEC 24/10/40, Modem USRobotics 56Kb, Casee-midi Tower, Monitor U.Sonic 17. ტელ: 78-36-38

## შევიძენ

შევისყიდი თმას. მის: ცენტრალური რკინიგზის სადგური, მე-2 სართ. მაღაზია „ესთეტი". 12-17 სთ. დასვენება შაბათ-კვირას.

## სხვადასხვა

ინტერნეტ-გზავნილების 4 ახალი თემა:

ინტერნეტ-გზავნილები რეკლამა: ყველაზე ეფექტური და იაფიანი რეკლამა მსოფლიოში; სსს (საკუთარი საქმის სკოლა). კონცერნ „გამა-გრუპ"-თან ერთად. www.gamma.ge პერიოდულობა: კვირაში ერთხელ; რუსეთი და საქართველო! მშვიდობა თუ ომი? კონცერნ „გამა-გრუპ"-თან ერთად. www.gamma.ge პერიოდულობა: კვირაში ერთხელ; აფხაზეთი – ჩემი გულის ტკივილი. კონცერნ „გამა-გრუპ"-თან ერთად. www.gamma.ge პერიოდულობა: კვირაში ერთხელ.

gamma@gol.ge; www.gama.ge. ხელმოწერა „გამა-გრუპ"-ის საიტზე.

## ხსოვნა

### ოთარ წოწორიას ხსოვნას!



წოწორიების ოჯახის უილბლო – სამი ძმიდან შუათანა – ოთარი ჩვენი კლასელი იყო...

სამივენი, უკვე იყვნენ და აღარ არიან...

ეს ტკივილიანი ფრაზა ძნელია სიყრმის მეგობარზე თქვა, რადგან მასთან ერთად შენი ცხოვრების ნაწილიც მიდის და იმარხება.

სამივე უსახსრო ოჯახში ღირსეულ შვილებად დაიზარდნენ... ვაჟკაცები და საიმედონი, როგორც შინაურთათვის, ისე გარეულთათვის. უდროოდ და ტრაგიკულად წავიდნენ ამ წუთისოფლიდან, მაგრამ ოთარი იმით იყო გამორჩეული, რომ უფროსი და უმცროსი ძმების სიკვდილის დიდ ტკივილს დაატარებდა გულით...

ალბათ, ყველა მისი ახლობლის სათქმელს ვამბობთ – ძალიან დაგვაკლდები, ოთარ...

*პირველი საშუალო სკოლის ყოფილი IX[1] კლასელები დიდ სამძიმარს ვუცხადებთ შენს მშვენიერ, სიყვარულით სავსე ოჯახს*

**დაკრძალვა:** სამშაბათს, 2 საათზე.

**მისამართი:** აბაშიძის (ყოფილი ბარნოვის) ქ. №6

### თამთა ნადირაძის მონატრება



თათი, ჩემო პატარა ანგელოზო, ჩემო უსაყვარლესო, განუმეორებელო სიცოცხლევ, უშენობამ სამუდამოდ გამიქვავა გული. აღარაფერი ეკარება ჩემს გულს. დავკარგე სიყვარულის, მონატრების, სიხარულის, სილამაზის შეგრძნება. გაუფერულდა ყველაფერი. თათი, ყველაფრით გამორჩეულო – სილამაზით, სიკეთით, სიწმინდით, როგორ ძალიან მენატრები, მენატრება შენი ტკბილი ხმა, შენი ლამაზი სიცილი. ყველგან დაგეძებ, მაგრამ ამაოდ.

ყველაზე ბედნიერი დღე ჩემს ცხოვრებაში 1992 წლის 31 ოქტომბერია – როცა შენ გაჩნდი, უბედნიერესი 9 წელი – როცა შენ ჩემ გვერდით იყავი და უცებ, შემზარავი, გამაოგნებელი, დაუჯერებელი ამბავი. შენ გამიფრინდი და დამიტოვე უსაზღვრო სევდა, დარდი, გაუსაძლისი ტკივილი და ავადმოსაგონარი, ყველაზე უბედური დღე – 2002 წლის 14 იანვარი.

თათი, ჩემო საამაყო გოგოვ, დაბადების დღე მოგილოცეთ პირველად უშენოდ, დღე, რომელიც დიდი სიხარული და ზეიმი იყო ჩვენთვის. ახლა უშენოდ დაგლეჯილი გულით, გამწარებული სულით, ცრემლიანი თვალებით, ველარ ჩაგიკარი გულში, ველარ გაკოცე. გაუსაძლისია უშენობა, აზრი დაკარგა ჩემმა ცხოვრებამ. საოცარია, უშენოდ როგორ ვცოცხლობ, ირგვლივ ყველაფერი შენს თავს მახსენებს. ყველაზე ძვირფასი, რაც გამაჩნია, შენი ნივთებია, შენი სურათები და შენი პატარა საფლავი. შენი საფლავი ჩემი გულია. დაბადების დღეზე უამრავი ყვავილი მოგიტანეთ, რაც შენ ძალიან გიხაროდა, დაგინთეთ უამრავი სანთელი და ვილოცეთ შენთვის, რაც შენ ძალიან გიყვარდა, ჩემო პატარა ანგელოზო.

*შენი გულდაგლეჯილი ბებია მერი მახარაძე*

### თამთა ნადირაძეს!



თამთა! დაბადების დღეს გილოცავთ შენი საყვარელი მასწავლებელი და პატარა კლასელები. შენ მარადიული ცრემლი გაგვიჩინე თვალში, გული გვატკინე. ზეცაში ყველაზე კაშკაშა ვარსკვლავს დავეძებთ – ვიცით, რომ ის შენ ხარ. ცრემლმორეულნი გეძებთ და გნატრობთ. ძნელია, შენს ლამაზ, ღიმილიან ხატებას რომ ველარ ვხედავთ ჩვენ გვერდით. შენ მუდამ ჩვენთან იქნები, მარად დაუვიწყარო, ჩვენო კეთილო თამთა.

*ლამაზო თამთა, პატარა თამუნია*
*შეჰვებებია თავისსა ბედს.*
*ანგელოზივით აფრინდა ზეცაში,*
*რჩეულები უყვარსო ღმერთს.*
*ოჰ, თამთა, თამთა, პატარა თამუნია*
*სიბერე არ გეწერა შენ.*
*სულ უმანკო რომ დარჩენილიყავ*
*ასეთი ენება ღმერთს.*

*შენი პირველი და უკანასკნელი მასწავლებელი და თანაკლასელები*

### ვაჟა გულოს ძე მალიკაშვილის ხსოვნას!



უკვე მესამედ ვხვდებით შენს დაბადების დღეს – 4 ნოემბერს, ჩემო ვაჟა. 47 წლის გახდებოდი. როგორ სჭირდები შენს შვილებს – გიორგის და ნიკას, შენს დედას, რომლის თვალებზეც ცრემლი არ შრება. როგორი სიხარულით ვზეიმობდით ამ დღეს... ახლა ცრემლით და სევდით უნდა შევხვდეთ ყოველ შენს დაბადების დღეს. ძალიან გვენატრები. ნუგეშად ისღა გვრჩება, რომ შენი წმინდა სული ნათელში იქნება.

*შენი ია*

### კახა ჩოქურის ხსოვნას!



კახა, 1 ნოემბერს 25 წელი უნდა შესრულებოდა, მაგრამ დაუნდობელმა ბედისწერამ უდროოდ დაგვაშორა შენთან. შენს სამყაროში გილოცავთ დაბადების დღეს, მარად სანატრელო.

*„შენს ცივ სურათს ვეფერები ძველებურად*
*ქარი ქრის და შენც შეგცივდა ალბათ.*
*ქარს ვუყვები, თუ რა ძლიერ მენატრები...*
*ვიცი, იგი მოგიტანდა ამბავს".*

*ინგა მურჯიკნელი*

### ალიკ (ალექსანდრე) გვინდაძის მონატრება



ძნელი აღმოჩნდა უშენობა, გული ჩაგვწყვიტე... პირადად მე მეორედ დავობლდი. ვინღა მოგვიყვება ჩვენი ქალაქის, ქუჩების, ქვეყნის ისტორიას, ვინღა გვაზიარებს ყოველივე ღირებულს. სიყვარული დიდი ნიჭიაო, გვეუბნებოდი, უფროს-უმცროსობის დიდი გაკვეთილი ჩაგვიტარე. ყველაფერს ასწრებდი, ჩქარობდი, სულ ძიებაში იყავი.

გაგვიჭირდა უშენოდ. გაუსაძლისმა ტკივილმა და მონატრებამ დაგვრია ხელი. შენი ირინა და ივიკო, ლეილა დეიდა და ბიძია ოთარი, ბუბა და მარი, მე და დედა ნანა აჩრდილებს დავემსგავსეთ, აღარ გამოდის ჩვენი სახლიდან ჟრიამული და მხიარულება. სულ ჩვენთან ხარ, საითაც გავიხედავ, ყველგან შენი სურათებია, არ გტოვებ, ხშირად დავდივართ შენთან. უშენოდ შევალთ ეკლესიაში, სანთლებს დაგინთებთ შენი ივიკო და მე, შემოგფიცავთ – ისეთი კარგები დავიზრდებით, როგორიც შენ გინდოდა გენახეთ.

მიყვარხარ და მენატრები. ხშირად ავყურებთ ცას, ივიკო და მე, განსაკუთრებით საღამოს. ასე გვგონია, ზემოდან გვიცქერი. ვიცი, ღმერთთან ახლოს ხარ, შენ ხომ ძალზე კეთილი, მორწმუნე იყავი...

*შენი დიდი ოჯახის სახელით ნინიკო კაპანაძე*

### არნოლდ გაბელაიას და მერი ქვილითაიას ხსოვნას!





ჩვენო საყვარელო მამა! 1 ნოემბერს შენი დაბადების დღეა, 68 წლის გახდებოდი. პირველად ვხვდებით უშენოდ. ძალიან გვიმძიმს. მოვალთ ყველანი შენს საფლავთან, დაბადების დღეს მოგილოცავთ.

საყვარელო დედა, შენ მეხუთე წელია, ჩვენგან წახვედი და დაგვიტოვე დიდი მწუხარება. მამამაც შენთან არჩია და გულდაწყვეტილები დაგვტოვეთ. ძალიან ენატრებით შვილიშვილებს და ყველა ახლობელს.

ღმერთს ვთხოვთ, ნათელში ამყოფოს თქვენი სული.

*დოდო, გულისა, ლალი, ლია, ალეკო*

### ტარიელ შოშიაშვილის ხსოვნას!



ჯერ ხომ გლოვის ზარის ხმა არ მინელებულა ჩვენს გულებში, თვალზე ცრემლი არ შეგვშრობია და შენი დაბადების დღე – 7 ნოემბერი მოვიდა.

ჩვენ ხომ მთელი ზეიმით აღვნიშნავდით ამ დღეს, მაგრამ ვაი, რომ პირველად ვხვდებით წელს უშენოდ.

გულმა გიმტყუნა, ერთი სიტყვის თქმაც ვერ მოასწარი, ისე წახვედი ჩვენგან.

არ გვიმხელდი შენს ტკივილს, არ გვაწუხებდი. ან როგორ იტევდა შენი მტკივნეული გული ამდენ სითბოს და სიყვარულს, რომელსაც გულუხვად უნაწილებდი ყველას.

შენივე ხელით დაწურული ღვინით, შენთვის საყვარელი კურკურა დოქიდან, შენს საფლავთან შევავსებ სასმისებს და შენი სულის უკვდავსაყოფად დაგილოცავთ მარადიული სამყაროს წმინდა სავანეს.

შენმა საყვარელმა ტატომ, შენს საფლავთან ფიცი დადო – საყვარელი პაპის უკვდავსაყოფად, მსოფლიოს სტადიონებზეააფრიალოს მაისური, ქართული ფეხბურთის სადიდებლად.

მსუბუქი იყოს მარტყოფის გმირთა სისხლით დანამული მადლიანი მიწა შენთვის.

*შენი ოჯახი*

სააქციო საზოგადოება „მაცნეს" თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ჯემალ ზანგურაშვილი**

და სამძიმარს უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახს

შვილი ნანა, შვილიშვილები გიგა, თამაზი, სანდრო, სოფიკო, რუსუდან კირეულიშვილები, ვახტანგ, სოფიკო მაჭავარიანები; რძლები მანანა სახლთხუციშვილი, სოფიო ქემხაძე; სიძეები სიმონ მაჭავარიანი, ნიკა ჯოჯუა იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**სოფიო სიმონის ასული მარიდაშვილი-კირეულიშვილისა**

**პანაშვიდი:** 4 ნოემბერს, 17 საათზე.

**მისამართი:** ალ. ყაზბეგის გამზ. №14.

**დაკრძალვა:** 5 ნოემბერს, 14 საათზე.

**მისამართი:** სოფ. მარტყოფი.

***ქალბატონ ჟუჟუას, დათოს, ავლიდს, ირინას, მარიკას, დათუშკას:***

თანაგიგრძნობთ ღრმა მწუხარებით საყვარელი მეუღლის, მამის, მამამთილის, ბაბუის – დამსახურებული პედაგოგის, მრავალი ათეული წლის განმავლობაში საშუალო სკოლის დირექტორის

**ბატონ აპალონ ქარჩავას**

გარდაცვალების გამო.

*ფოთო ცაგურია, თამილა დარსალია*

# თორმეტი ჯვარი ერთმანეთის მიყოლებით გამოისახა გულისპირზე



ვფიქრობდი, ეს ამბავი რომ ვინმეს ვუამბო, ვაითუ პოპულისტობა დამწამონ და ამით ჩემს რწმენას ჩრდილი მიადგეს-მეთქი, — შემკრთალი ხმით ამბობს 37 წლის ქალბატონი მაია მოსულიშვილი და თან მოწიწებით პირჯვარს იწერს. — თავდაპირველად მინდა დიდი ილიას სიტყვები შეგახსენოთ: „ზოგი საგანია, თუ არ დაინახე, ვერ ირწმუნებ და ზოგი — კი იმისთანა, თუ არ ირწმუნე, ვერ დაინახავ“. ჩემი დაბადება დედაჩემს დედაღვთისმშობლის გამოცხადებამ გადააწყვეტინა. წმინდა მარიამს მიუნიშნებია, გოგო გეყოლება და მარიამს დაარქმევო. 1964 წლის 7 იანვარს დავიბადე. ნათლობისას მარიამი დამარქვეს, მაგრამ მაიას მეძახდნენ. მოგეხსენებათ, რა პერიოდში გავიზარდეთ, არც დედაჩემია დიდი მორწმუნე (თუმცა ის სიზმარს გამოცხადებას ეძახდა ყოველთვის), ამიტომ გზა, რომელსაც ამჟამად ვადგავარ, ჩემი შეგნებით ავირჩიე მას შემდეგ, რაც უფლის არსებობა შევიცანი. ამას დაემატა ისიც, რომ ჩემი მწარე ცხოვრების გზაზე ყოველთვის ვიღაც მამხნევებდა. დედოფლისწყაროს რ-ნის სოფ. ოზაანის სკოლის დამთავრების შემდეგ პუშკინის (ახლანდელი სულხან-საბა ორბელიანის სახ. პედაგოგიური უნივერსიტეტი) ინსტიტუტში ჩავირიცხე, პარალელურად თსუ ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე ვსწავლობდი.

პირველი განსაცდელი ღმერთმა გათხოვების შემდეგ მომივლინა. საშინელი სიზმრები მტანჯავდა, ავი წინათგრძნობა არ მასვენებდა. ჩემი ქმარი ისედაც უზნეო იყო, თან სასმელსაც ეტანებოდა, ხშირად მცემდა. ეკლესია და წიგნები იყო ჩემი თავშესაფარი. პირველ ბავშვზე 9 თვის ორსული დედამ თავისთან წამიყვანა — მალე იმშობიარებ და სიმშვიდე გჭირდებაო. ერთ საღამოს მეუღლე ნასვამი მოვიდა, გვეჩხუბა, გვაგინა, ძალით ჩამსვა მანქანაში და შინ წამიყვანა. სწრაფად მიმავალი ხეს შეეჯახა. თვითონ არაფერი დაშავებია, მე კლინიკური სიკვდილი გადავიტანე, ბავშვი კი დაიღუპა. ერთმანეთს დავშორდით. მეორე ოჯახი 9 წლის შემდეგ შევქმენი. ორი შვილი მყავს — ქალ-ვაჟი. მეუღლე არ მუშაობს, ძალიან გვიჭირს, მაგრამ ღვთის ნებით, ბავშვები ჯანმრთელები არიან და ჩემთვის ესეც საკმარისია. სიზმარში ღვთისმშობელი ხშირად მეცხადება და მამხნევებს. მეც დიდი იმედი მაქვს და მხურვალედ ვლოცულობ.

ეს თეთრი მაისური (ქალის ატლასის გრძელმკლავიან მაისურს მიჩვენებს) ჩეხოსლოვაკიაში ვიყიდე, ძალიან მიყვარს და განსაკუთრებულ შემთხვევაში ვიცვამ. 18 სექტემბერს საღამოს გამოვიღე კარადიდან. მეორე დღეს ეკლესიაში სააღსარებოდ ვაპირებდი წასვლას. მაისური სკამზე გადავფინე იმ კუთხეში, სადაც პატარა სამლოცველო მაქვს. ღამით სიზმარი ვნახე, ციდან მოყვითალო-მოცისფრო ნათელი ჩამოდიოდა, თეთრი მარმარილოს მაგიდასთან თორმეტი მოციქული იჯდა, მათგან ერთი განცალკევებით. მაგიდა შემაღლებულ ადგილზე იდგა და ჯაჭვით იყო შემოღობილი. მეც იქვე ვიდექი და ვლოცულობდი. იმდენად დიდი იყო სიზმარში მიღებული სულიერი ნეტარება, რომ ამაღლებული გრძნობა დილიდანვე დამეუფლა, თითქოს რაღაც მნიშვნელოვანს ველოდებოდი. ქვედაკაბა ჩავიცვი და მაისურს მოვკიდე ხელი. გულისპირზე ორფერად დახატული ჯვრები შევნიშნე. დავიბენი, ვერაფრით მივხვდი, ვის შეიძლებოდა დაეხატა. დავთვალე — თორმეტი იყო, მათგან ერთი — განცალკევებით. როცა კარგად დავაკვირდი, დავრწმუნდი, ასეთი ორფერი ჯვრის ხელით გამოსახვა შეუძლებელი იყო. მაისური ეკლესიაში წავიღე და ჩემს მოძღვარს, მამა ნიკოლოზს ვაჩვენე. მოძღვარმა პირჯვარი გადამსახა და დამამშვიდა, ღვთისა და ჯვრის მადლი შენს ოჯახზე გადმოსულაო. ალბათ მართლაც ეს მადლი გვაძლებინებს მეცა და ჩემს შვილებსაც. დღეს საქართველოში ბევრი საოცრება ხდება. ვევედრები ყველა ქართველს — ილოცეთ ჩვენი ერის გადასარჩენად. გაჭირვება არ არის დაუძლეველი განსაცდელი, განსაცდელი მომავალში მოგველის და ჩვენ მას სულიერად შემზადებულნი უნდა შევხვდეთ.

***მაია ყალაბეგაშვილი***

# სტიგმატი — ამოუცნობი საოცრება



სტიგმატი (დამღა) ამოუხსნელი მიზეზით სხეულის ამა თუ იმ ნაწილზე გაჩენილი ნაიარევია, რომელიც წააგავს იესო ქრისტეს ჭრილობებს.

პირველად სტიგმატი მოიხსენიება „წმ. ფრანცისკ ასიზელის ცხოვრებაში“. მას 1224 წელს, გარდაცვალებამდე ერთი წლით ადრე, ხელებსა და ფეხებზე გაუჩნდა იესოსებრი იარები. ტომასო დე ჩელანო თავის „ტრაქტატში საოცრებათა შესახებ“, ასე აღწერდა მათ, — ეს იყო მკვრივი, სამსჭვალისებრი წანაზარდებიო.

მსოფლიოში სტიგმატების გაჩენის 300-მდე შემთხვევაა აღნუსხული და აღწერილი. ყოველი მათგანი თავისებური და განსხვავებულია: ზოგი წანაზარდია, ზოგი — გამჭოლი ჭრილობა, ზოგი — ჩალურჯება.

მაგალითად, იტალიელმა მოძღვარმა პიუსმა, 1918 წელს, ლოცვისას, გრძნობა დაკარგა. დასახმარებლად მისული წმინდა მამები შეშფოთდნენ — მოძღვარი დასისხლიანებული იყო. აღმოჩნდა, რომ პიუსს ხელებზე, ფეხებსა და ფერდზე გაუჩნდა ისეთივე ჭრილობები, როგორიც ქრისტეს ჯვარცმისას. პადრე პიუსი 1968 წელს აღესრულა. მას ჭრილობებიდან 50 წლის განმავლობაში სდიოდა სისხლი, მაგრამ ინფექცია არ ეკარებოდა.

იტალიის ქალაქ ლაურონიანოში საოცრება სულ ახლახან, სექტემბრის დასაწყისში მოხდა: მრავალი წლის განმავლობაში ხეიბრის სავარძელს მიჯაჭვული 26 წლის ლუიჯი ვენერი მოულოდნელად ფეხზე წამოდგა და სიარული დაიწყო. თურმე მას სიზმარში პადრე პიუსმა უთხრა, სიარულს შეძლებო. დილით ლუიჯის მაჯები გაუგებარი მიზეზების გამო ჩაულურჯდა, რომელიც რამდენიმე დღეში უკვალოდ გაქრა.

გასული საუკუნის დასაწყისში პატარა დომინიკე ლაზარის საშინლად ტანჯავდა ხელფეხზე გაჩენილი სტიგმატები. იარები გამჭოლი იყო — შიგ თითის შეყოფა შეიძლებოდა. ხანდახან ბიჭს შუბლზეც უჩნდებოდა ჭრილობა, რომელიც ეკლიანი გვირგვინის ნაკვალევს წააგავდა. ყველაზე საოცარი კი ის იყო, რომ როგორ მდგომარეობაშიც უნდა ჰქონოდა ფეხები, ჭრილობებიდან სისხლი ყოველთვის ცერა თითის მიმართულებით იღვრებოდა.

მედიცინა დღესდღეობით უძლურია, ახსნას ეს უჩვეულო მოვლენა.

P.S. მკითხველს უთუოდ ახსოვს, რომ ამგვარი სტიგმატები გაუჩნდა ქუთაისელ ბიჭუნას ***(რედ)***.

***სობესედნიკი №40***

# ჩვენ გვწერენ!



## უფლის წყალობა იყო ჩვენზე...

რამდენიმე წლის წინანდელ ამბავს გიყვებით...

მაშინ გაუსაძლისი მდგომარეობა იყო ჩვენში — გვშიოდა, გვციოდა...

ის-ის იყო, თბილისის ახალ უბანში გადავედი საცხოვრებლად. გაზაფხულის ერთ საღამოს მე და ჩემი მეგობარი ჩვენი სახლის უკან, გორაკზე ავედით. ირგვლივ სევდიანი სილამაზე გაყუჩებულიყო... უნებლიეთ ბალახებში კორფჩხილას მოვკარი თვალი. გახარებულებმა კრეფა დავიწყეთ და მალე ჯიბეები ავივსეთ ამ გემრიელი მინდვრის მხლით.

შეუძლებელია აქ სხვა საჭმელი ბალახებიც არ იყოს-მეთქი და — მეორე დღეს დანდურსაც მივაგენით, ნაცარქათამასაც, თიკნისყურასაც, ბოლოკასაც. ბალბაც, ტუხტიც, ხარისკბილაც, ყვავისფრჩხილაც ვიპოვეთ და საიდანღაც ქარის მოტანილი ქინძიც!

მას შემდეგ ყოველ ცისმარე ვკრეფდით მხალს ფრთხილად, ყვავილს არ ვუზიანებდით — ვინ იცის, გაისად რა გველოდა! ამ ჩვენს მონაპოვარს მეგობარ-ახლობლებსაც ვუწილადებდით.

ასე გავიტანეთ მინდვრის მხლით ორი გრძელი წელიწადი. მერე ცოტა გამოკეთდა ცხოვრება. უკვე შეგვეძლო ჭინჭრის და მოლოქას ბაზარში ყიდვა...

ერთხელ, მე და ჩემმა მეგობარმა გავიხსენეთ სიმწრის წლები და იმ ჩვენი მხსნელი მინდვრების მოვლა მოგვინდა. სიყვარულით, ფრთხილად დავაბიჯებდით ბალახზე... არანაირი მხალი იქ აღარ დაგვხვდა, სიზმრად ნანახივით გამქრალიყო! გაოგნებული დავჩერებოდით ფშანის შემოგარენს. აქ ხომ შარშანწინ ნაცარქათამა ბიბინებდაო!

ნამდვილად, უფალმა ციურ მანანასავით გამოგვიგზავნა მინდვრის მხალი მაშინ და დაგვაპურა...

***თინა ქარაია, თბილისი***

# ნიანგის შეყვარებული გოგონა ხეზე მიაბეს და, დაელოდნენ...

ზიმბაბვეს სოფელ ჩირუნდუში ცხოვრობს ჯადოქარი კლეო როსინი, რომელსაც ჯადოქრობა მემკვიდრეობით ერგო დედისგან — ცნობილი მკურნალისა და შემლოცველისაგან. 1998 წელს კლეოს დედა ასი წლის გახდა, დასვენება გადაწყვიტა და სოფელზე ზრუნვა ქალიშვილს მიანდო. იქაურები განაბულნი ელოდნენ, ისახელებდა თუ არა თავს ახალი ჯადოქარი.



ჩირუნდუს კვეთს მდინარე კაფუ, რომელიც სოფელს სუფთა წყლით ამარაგებს. მალე სოფელში ხალხის გაქრობა დაიწყო. ჯერ ეგონათ, კაციჭამია-ნიანგები სანსლავენო, მაგრამ მონადირეებმა ნიანგებს ვერ მიაგნეს. კლეო საქმის გასარკვევად ღამე მდინარესთან მივიდა, თან მაგიური ამულეტი და 20 სმ-იანი ნიანგის გამოსახულება წაიღო. მონადირეები გააფრთხილა — გამთენიისას მტაცებელი ნიანგი მოვა ჩემთან და იმ წუთში უნდა მოკლათო. მთელი ღამე ნიანგის გამოსახულების გარშემო მღეროდა შელოცვებს და რიტუალურ ცეკვებს ასრულებდა. მზის ამოსვლისას ნიანგი წყლიდან ამოძვრა, მოჯადოებულივით გაშეშდა ჯადოქრის წინ. კლეო მტაცებელს მიუახლოვდა, ხელი ზურგზე დაადო და პატიება სთხოვა — იძულებული ვართ, მოგკლათო. ჩასაფრებული მონადირეები გაოგნდნენ. ჯადოქრის მჭექარე შეძახილზე გამოფხიზლდნენ, მიცვივდნენ ნიანგს და სიცოცხლეს გამოასალმეს. მუცელი გაუფატრეს და შიგ მსხვერპლთა მძივები და სამაჯურები აღმოაჩინეს.

ჩირუნდუში გვალვები დაიჭირა. ხალხი შეშფოთებული იყო — ერთი თვეა წვიმა არ მოსულა, მოსავალი არ მოგვივა და შიმშილით დავიხოცებითო. თანასოფლელებმა ჯადოქარს მიაკითხეს — გვიშველე რამეო. კლეომ მაშინვე განაჩენი გამოიტანა — სულები განგვირისხდნენ და ამის მიზეზი სოფელში უნდა ვეძიოთო. რამდენიმე ადამიანის თანხლებით ყველა სახლი შემოიარა. ერთ-ერთი მაღაზიის კარზე დაკიდებული ნიანგის ფიტული შენიშნა. კლეომ ფიტული დაათვალიერა და მკაცრად მოითხოვა — ჩამოიღეთო და ფიტული მიწაში ჩაფლა. ცას მაშინვე ღრუბელი გადაეკრა. რამდენიმე საათი კოკისპირულად წვიმდა. სტიქიამ დააზიანა სწორედ ის მაღაზია, რომელშიც ფიტული ეკიდა.

ჯადოქარ კლეო როსინის თანამედროვე შეხედულებები აქვს, ევროპულ ტანსაცმელს იცვამს, რეგულარულად უსმენს რადიოს და გარკვეულია თავისი ქვეყნისა და მსოფლიოს პოლიტიკაში. ღრმად სწამს სტიქიის სულების, აჩრდილების და ზებუნებრივი ძალების არსებობა. თავის უჩვეულო შესაძლებლობებს ხსნის იმით, რომ მას გააჩნია მისტიკური კავშირი ნიანგების მოდგმასთან...

უხსოვარ დროში თურმე ჩირუნდუს ნიანგები ესხმოდნენ თავს და მცხოვრებთ იტაცებდნენ. ტომის უმაღლესმა მაგმა უბედურების მიზეზი აღმოაჩინა — ნიანგების ბელადს კლეოს ბებიის ბებიის ბებია შეჰყვარებოდა. გოგონა საქორწილო ტანსაცმელში გამოაწყვეს და მდინარესთან მიაცილეს, ხეზე მიაბეს და დატოვეს. მეორე დღეს გოგონა ადგილზე ველარ ნახეს, ხოლო ნიანგების შემოსევა შეწყდა. ერთი წლის შემდეგ მდინარის ნაპირას წყლის შროშანის ფოთლებში გახვეული ჩვილი იპოვეს. როგორც უხუცესებმა დაადგინეს, ბიჭუნა კლეოს წინაპრისა და ნიანგის შვილი იყო და უზარმაზარი მაგიური ძალა ჰქონდა. ბავშვი გაიზარდა, ტომის უმაღლესი მაგი გახდა და უამრავი შთამომავალი დატოვა, რომლებიც ისევე, როგორც კლეო როსინი ნიანგებთან მისტიკურ სიახლოვეს გრძნობდნენ.

ერთ დღეს ჯადოქართან ათი წლის გოგონას მშობლები მივიდნენ და აუწყეს, ორი დღეა ბავშვი დაგვეკარგაო. თუ მდინარის ახლომახლოა, ვიპოვიო, — თქვა კლეომ,— დახუჭა თვალები და ნახევარი საათი გაუნძრევლად იჯდა. უცებ თვალი გაახილა და დაბეჯითებით განაცხადა, — გოგონა ცოცხალია და ორივე ფეხი მოტეხილი აქვსო. მიუთითა, სად იმყოფებოდა ბავშვი. მართლაც, ცოტა ხანში დაკარგული გოგონა შინ მიიყვანეს. „ჩემი ცნობიერება ნიანგის სხეულში გადავიდა და ამ მტაცებლის თვალებით დავინახე მდინარის ნაპირას მწოლიარე გოგონა“, — თქვა საოცარმა ჯადოქარმა.

***ნლო №43***

## „საზალოო-სალაღო“ გვერდის პასუხები

**I.** მე-2 და მე-4 თაგვები;

**II. აბა გამოიცანი**
1) — დ); 2) — ბ);
3) — გ); 4) — ბ);

**III. რებუსი**
ნაქებარმა კატამ თაგვი ვერ დაიჭირაო;

**IV.** აწმყო;

**V. გამოცანა**
ცეცხლი.

# ქლამიდიური ინფექცია — ფარული საშიშროება

უკანასკნელი ათწლეულის მანძილზე, ქლამიდიური ინფექცია, როგორც სხვადასხვა დაავადების გამომწვევი მიზეზობრივი ფაქტორი, მრავალმხრივი გამოკვლევის ობიექტი ხდება.

მსოფლიოს ჯანდაცვის ორგანიზაციის მონაცემების მიხედვით, სქესობრივი გზით გადამდებ დაავადებებს შორის, გენიტალური ქლამიდიოზი მეორე ადგილზეა და პირველ „რვიანში“ შედის. (ტრიქომონიაზი, ქლამიდიოზი, გონორეა, გენიტალური ჰერპესი, სიფილისი – რბილი შანკრი და ა.შ.).

გენიტალური ქლამიდიოზის მკურნალობაზე, ამერიკის შეერთებულ შტატებში ყოველწლიურად 2,4 მილიარდი დოლარი იხარჯება, რაც შესაძლებელს ხდის მისი გავრცელების შეზღუდვას.

საქართველოში ქლამიდიური ინფექცია, გინეკოლოგიურ ანთებით დაავადებათა 60%-ის მიზეზია. უნდა აღინიშნოს, რომ გარდა უროგენიტალური ტრაქტის დაზიანებისა, ქლამიდიოზი იწვევს რეიტერის დაავადებას, ფარინგიტს, პროქტიტს, კონიუქტივიტს, ოტიტს, პნევმონიას, გასტროენტერიტს და სხვა. ინფექციის შესასვლელ კარიბჭეს უმეტესად ადამიანის შარდსასქესო ორგანოები წარმოადგენს.

ქლამიდიოზი ქალებში ლორწოვან-ჩირქოვანი ინფექციების წარმოშობის მიზეზია. მისი დამახასიათებელი სიმპტომებია: ლორწოვან-ჩირქოვანი გამონადენი, შემდგომში ვითარდება შეშუპება და საშვილოსნოს ყელის ერითემა. არსებობს მოსაზრება იმის შესახებ, რომ არანამკურნალები ქლამიდიური ინფექცია სიმსივნის ჩამოყალიბების ერთ-ერთი მიზეზია. განსაკუთრებით საშიშია მისი გავრცელება მცირე მენჯის ორგანოებზე. ამ პათოლოგიის აქტიური გავრცელების მიზეზი მისი ფარული მიმდინარეობაა. საწყის ეტაპზე ავადმყოფის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. დაავადება პრაქტიკულად უსიმპტომოდ ვითარდება, რაც შემდგომში უნაყოფობას ან საშვილოსნოს გარე ორსულობას იწვევს. ქლამიდიოზით გამოწვეული უნაყოფობა საერთო რიცხვის 72,7%-ს შეადგენს! ინფიცირებული ქალის დაფეხმძიმების შემთხვევაში, ძალზე ხშირია ნაადრევი მშობიარობა, თვითნებური აბორტი და ნაყოფის თანდაყოლილი სიმახინჯეები. აქედან გამომდინარე, მეტად მნიშვნელოვანია დაავადების დროული დიაგნოსტიკა.

სამედიცინო ცენტრში „ექიმი გილი“ ქლამიდიური ინფექციის მკურნალობა მიმდინარეობს ისრაელის წამყვან კლინიკებში შემუშავებული და დანერგილი მეთოდიკის მიხედვით. მკურნალობის ძირითადი პრინციპები შემდგომში მდგომარეობს:

1) სპეციფიკური ანტიბაქტერიული თერაპია.

2) ორგანიზმის რეზისტენტობის ამაღლება და ზემოქმედება ბიოიმუნურ პროცესებზე.

3) ანტიბიოტიკებით გამოწვეული გვერდითი ეფექტების მოხსნა.

სამედიცინო ცენტრში გათვალისწინებულია მკურნალობის ყველა ძირითადი ასპექტი. თანამედროვე მაღალეფექტურ პრეპარატებთან ერთად გამოიყენება მკვდარი ზღვის უნიკალური ბიოორგანომინერალური კომპლექსი და ფიზიოთერაპიული პროცედურები. საკმაოდ დიდი ეფექტურობით გამოირჩევა ე.წ. „პულს-თერაპია“. როგორც პრაქტიკამ აჩვენა, პრობლემისადმი ამგვარმა კომპლექსურმა მიდგომამ მკურნალობის დადებითი შედეგი 92%-მდე გაზარდა.

ქლამიდიური ინფექცია საშიში დაავადებაა, რომელიც ქალის ორგანიზმს გამოუსწორებელ ფიზიოლოგიურ, შემდგომში კი მორალურ ზიანს აყენებს. ნუ დაკარგავთ შესაძლებლობას დაიბრუნოთ ჯანმრთელობა და სულიერი სიმშვიდე.

**სამედიცინო ცენტრი "ექიმი გილი"**

**ფალიაშვილის 44/5**

☎: 29-05-25 25-27-09

# ომლეტის დიდოსტატი

ბასკი ხუან მარია არსაკი განთქმულია ომლეტის დამზადების ხელოვნებით — მის ნახელავს, როგორც წესი, ღვთაებრივი გემო და სურნელი აქვს ხოლმე.

ბასკ კულინარს ამ საქმეში დიდი მიღწევებისთვის ესპანეთის ქათმის კვერცხის თვისებების შემსწავლელმა ინსტიტუტმა საგანგებო ოქროს სამკერდე ნიშანი უბოძა.

ესპანელების სიყვარულს ერბოკვერცხის მიმართ საზღვარი არ აქვს — წელიწადში დაახლოებით 220 კვერცხს მიირთმევენ. ესპანეთში დიასახლისს ვერ ნახავთ, შინაურებს რომ არ გაუმასპინძლდეს ტორტილათი — ომლეტი შემწვარი ხახვითა და კარტოფილით. ეს კლასიკური გლეხური კერძები სწრაფად მზადდება ნებისმიერი პროდუქტით, თანაც მცირეოდენი წარმოსახვა სჭირდება. ყოველივე ეს კი უხვად მიჰმადლა განგებამ არსაკს. მისი ოსტატობის თაყვანისმცემლები საგანგებოდ



ჩადიან სან-სებასტიანში, რათა მის რესტორანში, სახელგანთქმული ერბოკვერცხი იგემონ. თვითონ არსაკიც სხვა ყველა კერძს ომლეტს ამჯობინებს.

*ელ მუნდო*

# ოთხმოცდაცხრამეტი და არც ერთი კაცით მეტი

იტალიის ქალაქ ვეტრიანოში, ოთხწლიანი რესტავრაციის შემდეგ კვლავ გაიხსნა მსოფლიოში ყველაზე პატარა თეატრი.

მინიატურული სახიობის ტაძარი, სახელად „პინოქიოს საბურნუთე" ფართობით სულ 71 კვმ-ია და 1890 წელს შეიქმნა ყოფილი ბეღლის შენობაში. 100 წელზე მეტი ხანია მის სცენაზე გამოსულან როგორც პროფესიონალი, ასევე მოხეტიალე მუსიკოსები. თავდაპირველად, პარტერში დასაჯდომი ადგილებიც არ იყო. ერთადერთი „სამეფო ლოჟა" სკამებითურთ ადგილობრივი დიდებულებისთვის იყო განკუთვნილი. ამჟამად პაწაწინა პარტერში სულ 60 კაცი ეტევა. ამასთან, თითოეულ ადგილს თავისი „მფარველი" ჰყავს — მეცენატი, მსოფლიო ხელოვნებისა და პოლიტიკის ცნობილი მოღვაწენი. სპექტაკლის ნახვა კი ერთდროულად 99 მაყურებელს შეუძლია. შემოწმებულია — მეტი არ ეტევა.

*კალეიდოსკოპი*

# პრეზიდენტს საჩუქრები არ სურს



ჰონდურასის პრეზიდენტმა რიკარდო მადურომ საკუთარ ქორწილზე მიწვეულებს ასეთი უჩვეულო თხოვნით მიმართა — საჩუქრების ნაცვლად, შეწირულობები გააკეთეთ ღარიბ-ღატაკთა სასარგებლოდო.

რიკარდო მადურომ, როგორც იქნა, 6-წლიან მარტოხელობას წერტილი დაუსვა. საცოლეს — 39 წლის ესპანელ აგუას ოკანიას ნავაროს საპრეზიდენტო არჩევნებისას შეხვდა. ეკონომიკის სფეროს სპეციალისტი ჰონდურასში ესპანეთის საელჩოში მუშაობდა, მერე კი ნეაპოლში გადაიყვანეს. შეყვარებული საქმრო უკან გაედევნა სატრფოს და ამისთვის თანამემამულეთა რისხვაც დაიმსახურა, რომლებიც თავს იმტვრევდნენ სახელმწიფოს მეთაურის ხუთდღიანი გაუჩინარებით. პრეზიდენტმა მოინანია და ხალხმაც შეუნდო.

მომავალმა პირველმა ლედიმ განაცხადა, მზად ვარ ვითანამშრომლო 56 წლის პრეზიდენტის სამივე ქალიშვილთან, რომლებიც მთავრობაში კულტურის საკითხებს კურირებენო.

მადუროს ერთადერთი ვაჟი ბანდდაჯგუფებამ გაიტაცა და მოკლა. ქორწილზე ნეფე-პატარძალმა მხოლოდ ნათესავები დაპატიჟა.

*ტრუდ-7*

# ჰალსტუხი ჭირით, ტრუსები – ხპიროქეტით

დიზაინერ როჯერ ფრიმენის ჰალსტუხების სერია, მოდის თავგადაკლულ მიმდევართა აზრით, ზედმიწევნით სრულად ასახავს დროის სულსა და ამერიკის ყველაზე საჭირბოროტო საკითხებს.



აბრეშუმის ჰალსტუხებზე დატანილი ნახატები, ერთი შეხედვით, უბრალო აბსტრაქციად მოგეჩვენებათ, მაგრამ თუ მყიდველს მოთმინება ეყოფა და ეტიკეტზე წარწერას წაიკითხავს, მის გაოცებას საზღვარი არ ექნება. ჰალსტუხებზე გადიდებული, თუმცა საკმაოდ სიმპათიური „პორტრეტებია" საშინელი ინფექციური დაავადებების გამომწვევებისა. აქ ნახავთ ჭირს, ყვავილს, ებოლას ციებ-ცხელებას და ტუბერკულოზის ჩხირებს. ასევე მალარიისა და ქოლერის გამომწვევებს და შედარებით მშვიდობიან რინოვირუსებს.

სხვათა შორის, ტუალეტის ეს სუპერმოდური საგანი საგანმანათლებლო ფუნქციასაც ითავსებს. თითოეულს მიკრული აქვს სამახსოვრო ბარათი. მაგალითად, „მალარიული" ჰალსტუხი შეგვახსენებს, რომ ამ დაავადებას ყოველწლიურად 2 მლნ კაცის სიცოცხლე მიაქვს. ჰალსტუხების სერიის გაყიდვიდან შემოსავლის 5%-ს ფრიმენი ინფექციურ დაავადებებთან მებრძოლ სამეცნიერო ცენტრებს გადასცემს.

დიზაინერი ჰალსტუხებზე არ შეჩერდება. გამოსაშვებად მზად აქვს ანალოგიურსიუჟეტიანი ტრუსები. ამ სერიაში, ძირითადად, ვენერიული დაავადებების გამომწვევებით დამშვენებული საცვლები იქნება.

*ეხო პლანეტი №42*

# დრუბლისიქითა რეკორდი



იოკოჰამელმა 71 წლის იაპონელმა ქალბატონმა ტოსიკო უტიდამ პლანეტის ერთ-ერთი უმაღლესი მწვერვალი დაიპყრო — ჩო-ოიუ ჰიმალაის მთებში.

რვა მამაც მთამსვლელთან ერთად ხანდაზმული ქალბატონი ზღვის დონიდან 820 მეტრზე აბრძანდა და თანამემამულის, 69 წლის იუიტირო მიურის რეკორდი მოხსნა.

ორივე ხანდაზმული ალპინისტი თავისი მაგალითით ცხადყოფს, რომ ყველაზე კარგი ხანდაზმული სპორტსმენები პლანეტაზე იაპონიაში არიან. სხვათა შორის, დედამიწის ყველაზე უხუცესი ქალები — 115 წლის კამატო ხონგო და 113 წლის იუკიტი ტიუგანდი — ასევე ამომავალი მზის ქვეყნის მოქალაქეები არიან. იაპონია ლიდერია უხუცესების რაოდენობით. აქ მამაკაცი საშუალოდ 78,7-ს, ხოლო ქალი 84,9 წელს ცოცხლობს. ამჟამად ქვეყანაში დაახლოებით 18 000 კაცია, რომელიც 100 წელზე მეტი ხნისაა.

*ნიუ ზუიქი*

# ჯეიმს ბონდი მკაცრი მამა ყოფილა



ცნობილმა პირს ბროსნანმა (ჯეიმს ბონდის ერთ-ერთი შემსრულებელთაგანი) თავის უფროს ვაჟიშვილს შონს ღამის კლუბებში მომხიბვლელ ტელეწამყვან კატალინა ჟირადოსთან შეხვედრები აუკრძალა.

არა, 28 წლის ქერათმიანი ლამაზმანი ძალიან მოსწონს ლურჯთვალება ირლანდიელს, სუპერაგენტ 007-ის შემსრულებელს. უბრალოდ, მიაჩნია, რომ ქალბატონი გადამეტებული ენერგიით დაასეირნებს 18 წლის ბიჭს ისეთ ადგილებში, სადაც სასმელი და ნარკოტიკი თავზე საყრელია. ამ ადგილების „სიკეთე" უკვე იწვნია ბროსნანმა — მისი შვილობილი კრისი ძლივს გამოიყვანეს ნარკოტიკების გადამეტებული მოხმარების გამო კომიდან. თავის მხრივ, შონიც ავლენს იმ ადგილებში „მიღებულ გამოცდილებას" — ჯერ იყო და, გალეშილ ამხანაგებთან ერთად საავადმყოფოში მოხვდა ხერხემლის ტრავმით. მერე კერძო კოლეჯიდანაც მიაბრძანეს თანაკლასელის ცემისათვის. ერთი სიტყვით, დაუმარცხებელი ჯეიმს ბონდისა ნამდვილად არავის შურს.

*ინტერპოლ-ექსპრესი*

# პრეზიდენტი ტურიზმის აღორძინებას აპირებს



ფილიპინების პრეზიდენტმა გლორია აროიომ გადაწყვიტა სასარგებლოსთვის სასიამოვნოს შეთავსება და ტურისტების საყვარელი ადგილების მონახულება განიზრახა.

გამოცდილი ინსტრუქტორების დახმარებით ტალღებზე ნებივრობაც სცადა სერფინგის დაფით. სპორტის ამ ლამაზი სახეობით გართობა აქ ჩამომსვლელი ტურისტების საყვარელი საქმიანობაა. თუმცა ბოლო დროს ქვეყანაში ჩამომსვლელთა რაოდენობამ იკლო: ხალხს აშინებს აქ გამეფებული კრიმინალური ვითარება — განსაკუთრებით, ადამიანთა მოტაცება, რაც პირდაპირ ყვავის ქვეყანაში.

ამიტომაცაა, რომ სახელმწიფოს მეთაური პირადად მონაწილეობს ტურიზმის განვითარების კამპანიაში.

*ტაიმსი*

# რონალდოს წარმატების საიდუმლო



„სექსის ორი საათი მატჩის წინ. წარმატების საწინდარია!" — განაცხადა რონალდომ.

იმისათვის, რომ ნებისმიერი მატჩის დროს საუკეთესო ფორმაში იყოს, რონალდო წინა ღამეს მეუღლესთან ატარებს, აგერ უკვე 6 წელია. თუმცა მადრიდის „რეალის" თავდამსხმელი არც იმას უარყოფს, რომ „ზედმეტი აქტივობა სექსის დროს, ბევრ ენერგიასაც აკარგვინებს მოთამაშეს, შემდეგ კი ეს ენერგია აკლდება თამაშის დროს".

*სობესედნიკი №39*

# კატები შიდსით ავადდებიან...



რუსეთის მრავალ დიდ ქალაქში შეიმჩნევა არცთუ იშვიათი შემთხვევები: კატები, განსაკუთრებით კი უპატრონოები, ავადდებიან ქრონიკული იმუნოდეფიციტით. შინაურ კატებს ჩხუბის დროს მათგან გადაედებათ შიდსი. ვირუსი იჭრება ნაკაწრებიდან. საინკუბაციო პერიოდი 5-6 კვირას გრძელდება, უწევთ სიცხე, უდიდდებათ ლიმფური კვანძები, თავს იჩენს ანემია. ამას მოსდევს მეორე, ე.წ. ლატენტური პერიოდი. იგი რამდენიმე თვიდან შეიძლება 3 წლამდე გაგრძელდეს და შემდეგ დაავადება ქრონიკულ სტადიაში გადადის. ცხოველებს ეწყებათ სმენითი არხების ანთება, ხდებიან, აქვთ ქრონიკული დიარეა, ციება, ხშირად სასუნთქი გზებისა და ღრძილების ანთება.

ასეთ შემთხვევაში, ავადმყოფობის თავიდან აცილების მიზნით, სჯობს დაავადებული ცხოველის იზოლირება.

*მირ ნოვოსტეი №40*

# ჟურნალ „კარუსელის" საფირმო კროსვორდი „კვირის პალიტრისთვის"



**შევსების წესი:** უპასუხეთ კროსვორდში დასმულ შეკითხვებს და პასუხები შესაბამის გრაფაში ჩაწერეთ. კროსვორდის სწორად ამოხსნის შემთხვევაში გამუქებულ უჯრებში **პითაგორას** სიტყვებს ამოიკითხავთ.

| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| დ | ა | ი | ს | ვ | ე | ნ | ე | თ | ჩ | ვ | ე | ნ | ი | გ | ა | ზ | ე | თ | ი | ს | ფ | ე | რ | ე | ბ | შ | ი |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| ო | ი | ნ | ე | ნ | | უ | ე | ზ | ი | ი | | ო | დ | ა | ი | ი | ქ | ა | ძ | ი | ი | ც | ნ | ზ | კ | ვ | ტ |

**დ.** ავსტრალიაში გავრცელებული ველური ძაღლი; **ა.** სიყვარულის ღმერთი რომაულ მითოლოგიაში; **ი.** მგალობელი ფრინველი; **ს.** საქართველოს ერთ-ერთი კუთხე; **ვ.** რელსებზე მოძრავი სატვირთო ან სამგზავრო საზიდარი; **ე.** ატმოსფერული მოვლენა; **ნ.** ზღვის რომაული ღმერთი; **ე.** იარლიყი; **თ.** ხელსაწყო, რომლითაც რაიმე ზედაპირის ჰორიზონტალურობას ამოწმებენ; **ჩ.** მუსლიმანი ქალების გრძელი, მსუბუქი მოსასხამი, რომელიც სახესაც ფარავს; **ვ.** იტალიელი ფეხბურთელი; **ე.** კუნძული, სადაც პირველად გადაასახლეს ნაპოლეონ ბონაპარტი; **ნ.** ხელოვნური ბოჭკო; **ი.** ქართული შეჯიბრი ცხენოსნობაში; **გ.** საიდუმლო პოლიციის სახელწოდება ფაშისტურ გერმანიაში; **ა.** კარტოფილის სამშობლო; **ზ.** ქალაქი დასავლეთ საქართველოში; **ე.** საეკლესიო-ადმინისტრაციული ერთეული, რომელსაც ეპისკოპოსი განაგებს; **თ.** მუცლის ღრუდან წვრილი ნაწლავის კანქვეშ გამოვარდნა; **ი.** იაპონური მაფიის სახელწოდება; **ს.** არხი, რომელიც აერთიანებს წითელ და ხმელთაშუა ზღვებს; **ფ.** პარაზიტული მცენარე, რომელიც მსხალზე იზრდება; **ე.** რაიმე აქროლადი ნივთიერების კონცენტრირებული ხსნარი; **რ.** ფრანგი მოქანდაკე; **ე.** ოთარ მეღვინეთუხუცესის პერსონაჟი მხატვრულ ფილმში „ნატვრის ხე"; **ბ.** ქაღალდის ფურცელი, რომლის თავშიც დაბეჭდილია დაწესებულების ან წარმოების სახელწოდება; **შ.** ხელოვნების სანიმუშო ნაწარმოები; **ი.** თეოდორ დოსტოევსკის რომანი.

***წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:***

**დ.** დუდაევი; **ა.** ალიანსი; **ი.** იადონი; **ს.** სეინერი; **ვ.** ვასილი; **ე.** ელარჯი; **ნ.** ნიქოზია; **ე.** ეშმაკი; **თ.** თხემი; **ჩ.** ჩხეიძე; **ვ.** ვარიანი; **ე.** ერთაოზი; **ნ.** ნობელი; **ს.** სლალომი; **გ.** გიშერი; **ა.** ამანათი; **ზ.** ზედაშე; **ე.** ეკალი; **თ.** თორა; **თ.** თაგვი; **ა.** აკვანი; **ნ.** ნიაგარა; **ე.** ეგრისი; **რ.** რადა; **თ.** თხევადი; **ა.** ალბიონი; **დ.** დრაკონი.

**გამუქებულ უჯრებში იკითხება: დიდი საქმე ერთბაშად არ გვარდება.**

# ავტოსალონი

## ბრიტანელები საიდუმლო სუპერავტომობილს ამზადებენ



ერთ დროს ლეგენდარული ავტომწარმოებელი ქვეყანა, დიდი ბრიტანეთი ფაქტობრივად, ამ დარგის გარეშე დარჩა. „კვირის პალიტრის“ მკითხველს ეხსომება, რომ „როლს-როისი“ „ფოლკსვაგენის“ საკუთრებად იქცა. „როვერი“ „ბეემვემ“ შეისყიდა, მაგრამ წარმოებაში ძალიან დიდი ზარალის გამო იძულებული გახდა, ფირმა თავისი ვალებით სახელდახელოდ შექმნილი ბრიტანული კონსორციუმისთვის სიმბოლურ ფასად, ერთ გირვანქა სტერლინგად მიეყიდა (ლეგენდარული მარკა გასაქრობად ისევ ბრიტანელებმა ვერ გაიმეტეს). ახლახან უცხოურ პრესაში გამოჩნდა ცნობები, რომლის მიხედვითაც ბრიტანელი ავტოკონსტრუქტორები საავტომობილო ბაზარზე თავისი სეგმენტის ასე იოლად დათმობას არ აპირებენ. წელს, ბირმინგემის ცნობილ ავტოსალონზე მათი ორი წლის შრომის შედეგი, Invicta S1-ი წარდგება. ახალი ავტომობილი პრესტიჟულ, სპორტულ კლასს განეკუთვნება და მისი კონსტრუქტორების მტკიცებით, ჭეშმარიტად ბრიტანული სტილის განსახიერებას წარმოადგენს. დღეს არსებულ ვითარებაში, როდესაც „როლს-როისი“ და ლამის „პორშეც“ კი სერიულ წარმოებაზე გადავიდნენ, ბაზარზე ექსკლუზიური, ძვირად ღირებული მოდელით შემოსვლა ძალიან დიდ რისკთან არის დაკავშირებული. მიუხედავად ამისა, ბრიტანელთა გამბედავ ნაბიჯში გარკვეული კომერციული გათვლაც არსებობს. შესაძლებელია, ელიტური მყიდველი ასეთ მოდელებს უკვე დანატრებულიც იყოს. ახალი მოდელი 100 კმ/სთ-ის განვითარებას 5 წამზე ნაკლებ დროს ანდომებს, მისი მაქსიმალური სიჩქარის ზღვარი კი 270 კმ/სთ-ს სცდება. ავტომობილის ტრანსმისია ფოლადის ჩონჩხზე დამაგრებულ კომპოზიტური ნაერთების კორპუსს წარმოადგენს, რომელიც საკმაოდ მსუბუქი და ამავე დროს, მტკიცეც არის. რაც შეეხება გადაცემათა კოლოფს, როგორც სპორტულ მოდელებს შეშვენით, იგი მექანიკური, 5-სიჩქარიანი იქნება.

## «ასტონ მარტინის» ზემძლავრი მოდელი



როგორც ჩანს, ბირმინგემის ავტოსალონზე მსოფლიოს ავტოკონცერნები ძირითადად სპორტული კლასის ავტომობილებით წარდგებიან. კორპორაცია „ფორდის“ „ასტონ მარტინის“ განყოფილებამ ავტოსალონზე თავისი გახმაურებული მოდელის, DB7-ის ახალი მოდიფიკაცია წარადგინა. „ასტონ მარტინის“ მენეჯერთა განცხადებით, მათ შეგნებულად არ შეცვალეს ავტომობილის დიზაინი და კლიენტურის უმრავლესობის სურვილით, მხოლოდ მისი სავალი ნაწილის გაუმჯობესება-გაძლიერებაზე იზრუნეს. DB7 GT „ასტონ მარტინის“ საავტომობილო გამაში ყველაზე მძლავრი მოდელი იქნება. ახალი სპორტული „ავტოსაოცრება“ 104.500 გირვანქა სტერლინგი ეღირება.

## თანამედროვე ავტოლეგენდები

***მრავალრიცხოვანი მკითხველის თხოვნით, გადავწყვიტეთ მივიწყებული რუბრიკა, „ავტოლეგენდები“ თანამედროვე სახით აღგვედგინა და მისი საშუალებით უკვე ჩვენს დროში ლეგენდად აღიარებულ ავტომობილებზე მოგვეთხრო. სხვათა შორის, საინტერესოა, რომ როგორც ავტომობილიზმის გარიჟრაჟზე, ასევე ჩვენს თანამედროვეობაშიც, ლეგენდად ქცეული ავტომობილები უმეტეს შემთხვევაში აბსოლუტური სრულყოფილებისგან ძალიან შორს არიან. პოპულარობის საიდუმლოში გარკვევას ისიც ართულებს, რომ ძველი „ავტოლეგენდებისგან“ (ფორდის „ლიზი“, ფოლკსვაგენის „ხოჭო“, სიტროენის „ბაყაყი“...) განსხვავებით, თანამედროვე ლეგენდებს ფასიც საკმაოდ მაღალი აქვთ. მიუხედავად ამისა, ყველა ამ მოდელების შეძენაზე ოცნებობს. გამოშვებას „ლამბორჯინი დიაბლოთი“ გავხსნით.***

დასაწყისშივე ვიტყვით, რომ აღნიშნული მოდელის დახასიათება-გარჩევისას დაახლოებით იგივე შეფასება მოგივათ თავში, რასაც ძალიან ნიჭიერი, მაგრამ ოროსანი ბავშვის შესახებ ამბობენ ხოლმე. 1990 წლიდან, ანუ მოდელის პრეზენტაციიდანვე ფირმა „ლამბორჯინი“ დიდ ეკონომიკურ სიძნელეებს განიცდიდა. მისი ხელმძღვანელობა ლამის ყოველ თვეს იცვლებოდა და თანაც ისე, რომ ეს უკანასკნელნი სანტ-აგატა-ბოლონეზეში ჩასვლას და უშუალოდ წარმოების გაცნობას ვერც ასწრებდნენ. ხოლო 1993 წლიდან, როდესაც „ლამბორჯინის“ დამაარსებელი, ფერუჩო ლამბორჯინი გარდაიცვალა, არათუ ეკონომიკაზე, ფირმის იმიჯზეც კი არავინ ზრუნავდა. მიუხედავად ამისა, „დიაბლომ“ გამოჩენისთანავე მიიპყრო პრესტიჟული, სპორტული ავტომობილების თაყვანისმცემელთა ყურადღება და ფულიანი ერთეულების თუ უფულო მასების საოცნებო კუმირად იქცა. როგორც ჩანს, ამაში ლომის წვლილი მოდელის დიზაინერს, ლეგენდარული ნუჩო ბერტონეს საყვარელ მოსწავლეს, მარჩელო განდინისაც მიუძღვის — მის შექმნილ ყველა მოდელს თან გაუცნობიერებელი მაგია დაჰყვება. ტექნიკურად „დიაბლო“ არც ყველაზე სწრაფია და არც ყველაზე კომფორტული, თან ფასიც საკმაოდ სოლიდური, 350 ათასი დოლარი აქვს. მიუხედავად ამისა, იგი დღემდე ყველასთვის სასურველ ავტომობილად რჩება, რომელსაც აქტიურად იყენებენ სარეკლამო რგოლებში, კლიპებსა თუ ბლოკბასტერებში. 1998 წელს იტალიურ ფირმას ბედმა გაუღიმა და ახალი, გერმანელი მფლობელის ხელში აღმოჩნდა. თან, ამასაც ბედი უნდოდა — სკრუპულოზური და პრაქტიკული გერმანელი მეწარმის ნაცვლად (რომელიც ფირმას პირველ რიგში რეორგანიზაციას გაუკეთებდა და კონვეირულ წარმოებაზე გადაიყვანდა), ახალი მეპატრონე კონცერნ „ფოლკსვაგენის“ დირექტორი — ავტომობილების ტრფიალი და ფანატიკოსი, ფერდინანდ პიხი აღმოჩნდა. როდესაც მან შეიტყო, რომ ცნობილი ინდონეზიელი დიქტატორის, სუხარტოს ვაჟიშვილი „ლამბორჯინის“ ბანკროტად გამოცხადებას აპირებდა, დაუფიქრებლად შეისყიდა მისგან კომპანია და ყველა ვალიც იკისრა. რაც ყველაზე მოულოდნელი იყო, ფერდინანდ პიხმა „ლამბორჯინი“ პრესტიჟის გამო ზოგადად „ფოლკსვაგენის“ ერთ-ერთ განყოფილებად კი არ გააფორმა, არამედ სოლიდურ „აუდის“ დაუქვემდებარა. ამასთან, პიხმა ახალი საკუთრების პირველივე პრეზენტაციაზე განაცხადა, რომ იტალიელებისთვის ავტოწარმოების სწავლებას ნამდვილად არ აპირებდა. „ლამბორჯინი“ გერმანული ფირმა არასოდეს გახდება. იტალიელ პერსონალს არ შევამცირებთ და არც იტალიაში ჩავალთ მათთვის ჭკუის სასწავლებლად. იტალიელები თვითონ ჩამოვლენ ჩვენთან და გვეტყვიან, თუ რამე დასჭირდებათო... მიუხედავად ასეთი ტოლერანტობისა, გერმანელებმა მაინც ჩვეული მონდომებით დაიწყეს მოდელის განახლებაზე მუშაობა — ფაქტობრივად, თავიდან ააწყვეს ძრავა და მისი სიმძლავრე 550 ცხ.ძ-მდე გაზარდეს. ავტომობილის სალონი, რომლის პირველსახეც ძალიან სადა და „სპარტანული“ იყო, კომფორტულად მოაწყვეს და მხოლოდ ძვირფასი ხით და ტყავით მოაპირკეთეს. ავტომობილის ტრანსმისია გერმანელების შემუშავებული უახლესი ტექნოლოგიებით აღიჭურვა. მოდელი უპრობლემოდ ავითარებს 350კმ/სთ სისწრაფეს. ახალი ავტომობილის შედარებით „გაიაფებაც“ მოხერხდა — იგი 250 ათასი დოლარი ეღირება. გერმანულ-იტალიურ სიმბიოზს სპორტული, ძვირად ღირებული ავტომობილების სამყაროში გარანტირებული ფურორი ელის.



## Volkswagen Golf Variant — გერმანელები გაზზე გადადიან?



„ავტოსალონის“ მკითხველები ხშირად გვეკითხებიან, მზადდება თუ არა გერმანიაში გაზზე მოძრავი ავტომობილები, ან სათანადო კომპლექტაცია მანქანის გაზზე გადასაყვანად. ასეთი დაინტერესება იოლი გასაგებია, რადგან საქართველოში გაზის საწვავზე მომუშავე ავტომობილები საკმაოდ პოპულარულია, მიუხედავად იმისა, რომ უსაფრთხოების ზომებს ამ მხრივ, ჩვენთან მინიმალურადაც არ იცავენ. „ფოლკსვაგენ-გოლფის“ მენეჯერებმა, როგორც ჩანს, თავისი მოდელის საბოლოოდ „გახალხურება“ მოინდომეს, რადგან მომავალი წლიდან „ფოლკსვაგენი“ გაზზე მომუშავე სერიულ „გოლფს“ გამოუშვებს. ავტომობილი ბენზინის 4-ცილინდრიანი 2ლ მოცულობის ძრავათი იქნება აღჭურვილი, რომელიც 115 ცხ.ძ სიმძლავრეს გამოიმუშავებს. გაზზე გადართვის შემდეგ კი ეს მაჩვენებელი 102-მდე დაიწევს. ავტომობილი ბენზინზე მუშაობის დროს 100 კილომეტრზე 8 ლ საწვავს მოიხმარს, გაზზე მუშაობისას კი 6 ლიტრს. აღსანიშნავია, რომ გერმანელმა კონსტრუქტორებმა საბარგულის ტევადობაზეც იზრუნეს და გაზისთვის ფისის კომპოზიტისგან სპეციალური ავზი დაამზადეს, რომელიც სათადარიგო საბურავის ადგილზეა მოთავსებული. მთლიანობაში ავტომობილს გაზის და ბენზინის სრული მარაგით 900 კმ. მანძილის გავლა შეუძლია. გერმანიაში VW Golf Varant Bi-Fuel ჩვეულებრივზე 3.925 ევროთი ძვირი ეღირება

## VW Phaeton-ი რადარით აღიჭურვა




კორპორაცია „ფოლკსვაგენის“ განცხადებით, მისი ერთ-ერთი ბოლო და ყველაზე პოპულარული მოდელი Phaeton-ის საბაზო მოდელი სპეციალური რადარული სისტემით იქნება აღჭურვილი. ADR-ის სისტემა (Automatic Distance Regulation — ქართულად „დისტანციის ავტომატური რეგულირება“) დეტალური სიზუსტით განსაზღვრავს წინ მიმავალ ავტომობილთან დაშორებას და გზასთან მიმართებაში სისწრაფის ოპტიმალურ ვარიანტს განსაზღვრავს. აღნიშნული სისტემა მოდელის საბაზო ფასს 2.300 ევროთი გააძვირებს, სამაგიეროდ, სპეციალისტები ირწმუნებიან, რომ ამ გზით მნიშვნელოვნად შემცირდება ავტოკატასტროფების რიცხვი. ADR-ს სისტემა რადიოლოკატორის მეშვეობით ავტომობილის წინა სივრცეს 180 მეტრის რადიუსით ასკანერებს და ამ დისტანციაზე ყველა მოძრავ ობიექტს საბორტო კომპიუტერში არეგისტრირებს. სისტემის აქტივიზაცია მაშინ ხდება, როდესაც ავტომობილი 30-180კმ/სთ სისწრაფის ფარგლებში მოძრაობს.

## მკითხველის სვეტი

**ხშირად საუბრობენ საშიში ბაქტერიების შესახებ, რომლებიც მანქანის კონდიციონერში ჩნდება და ადამიანს აავადებს. რამდენად მართალია და თუ შეიძლება, ეს საქართველოშიც მოხდეს?**

***ვანო თავაძე, თბილისი***



როდესაც კონდიციონერის ბაქტერიებზეა საუბარი, ალბათ პირველ რიგში, „ლეგიონელა“ უნდა ვახსენოთ. მისი სამედიცინო სახელწოდებაა Legionella Pneumophila. ბაქტერია 25 წლის წინ აღმოაჩინეს, როდესაც „ამერიკული ლეგიონის“ კონფერენციის მონაწილეთა უეცარი სიკვდილის მიზეზს იკვლევდნენ. მისი სახელწოდებაც სწორედ აქედან იღებს სათავეს. აღნიშნული ბაქტერია ადამიანის ჯანმრთელობისთვის მართლაც ძალიან საშიშია, მაგრამ ის არცთუ ხშირად გვხვდება, რადგან „ლეგიონელას“ არსებობას ძალიან მაღალი სინესტე და ამავე დროს განსაზღვრული ტემპერატურა, დაახლოებით, +35C სჭირდება. ზემოთ ნახსენები ფატალური კონფერენციის შემდეგ ბაქტერიოლოგებმა დეტალურად შეისწავლეს დიდი შენობების კონდიციონერული სისტემები. აღმოჩნდა, რომ ცენტრალიზებულ კლიმატსისტემებში ხლადაგენტად (გამაცივებელ საშუალებად) დიდი რაოდენობით წყალია საჭირო, რაც შესაბამისი ტემპერატურის შემთხვევაში „ლეგიონელასთვის“ სასათბურე პირობებს ქმნის. რაც შეეხება ავტომობილის და სახლის კონდიციონერებს, მათ ხლადაგენტად ფრეონი გამოიყენება, რომელიც ცირკულაციას დახურული კონტურით ახდენს და გამაგრილებელ ჰაერთან, რომელიც ოთახში ან სალონში გამოედინება, არანაირი შეხება არ აქვს. აქედან გამომდინარე, სიცოცხლისთვის საშიში „ლეგიონელას“ ბაქტერია ვერც მანქანაში და ვერც ბინაში ვერ მოხვდება. ესეც არ იყოს, თანამედროვე მოდელების კონდიციონერული სისტემები დამატებითი ფილტრებით არის აღჭურვილი, რომლებიც სალონს საიმედოდ იცავენ მტვრისა და ბაქტერიებისგან — მთავარია, ფილტრები თავის დროზე გამოიცვალოს. სხვათა შორის, უკანასკნელ პერიოდში ანტიბაქტერიულ ფილტრებს ცენტრალიზებულ კლიმატსისტემებზეც აყენებენ და ამდენად, ბაქტერიით დაავადების საშიშროება დიდ შენობებშიც გამორიცხულია.

***გვერდი მოამზადა დაჩი გრძელიშვილმა***

# უფულობა „მერანს“ დაშლით ემუქრება

ამ ცოტა ხნის წინ ინგლისის ყველაზე პოპულარულმა ყვითელმა გაზეთმა „სანმა“ გამოაქვეყნა პრემიერლიგის ყველაზე მაღალი ანაზღაურების მქონე მოთამაშეთა ყოველკვირეულ გასამრჯელოთა სია. როგორც გაირკვა, ლიგის ყველაზე მდიდარი მოთამაშე, „მანჩესტერ იუნაიტედის“ კაპიტანი, როი კინი კვირაში 72.000 გირვანქა სტერლინგს იღებს, რაც დაახლოებით 112.000 დოლარის ეკვივალენტია. ეს თანხა არ ითვალისწინებს გამარჯვებისთვის დაწესებულ პრემიებს, რაც გასამრჯელოს უტოლდება.

წარმომიდგენია, თუკი ამ ინფორმაციას გაეცნო, რა მწარედ გაეცინებოდა „მერანის“ პრეზიდენტ ანზორ მამალაძეს, რომელსაც ცოტა ხნის წინ გუნდი კინაღამ დაეშალა. თანაც არ იკითხავთ, ავჭალელთა პრეზიდენტს რა თანხა ჰქონდა ვალად? „სულ რაღაც“ 50 ათასი ლარი!

„მერანის“ მაგალითი თვალსაჩინოდ წარმოგვიდგენს ქართულ ფეხბურთში შექმნილ უმძიმეს მდგომარეობას. ჩვენი მონაცემებით, უმაღლესი ჯგუფის გუნდების 80%-ის წლიური ბიუჯეტი როი კინის ყოველკვირეულ შემოსავალსაც ვერ უტოლდება. „კოლხეთი“, „ბათუმი“, „სიონი“, „მილანი“, „მეტალურგი“ და ა.შ. (სამიოდე ლიდერის გარდა) ამ თანხის წლიურ ბიუჯეტს სიხარულით დათანხმდებოდნენ. რაღა შორს წავიდეთ, ზოგიერთი დინამოელის წლიური შემოსავალიც კი სანატრელია დასახელებული გუნდების პრეზიდენტებისთვის.

ამდენად, უინტერესო არ უნდა იყოს, გაგაცნოთ ერთი რიგითი კლუბის პრობლემები, რამაც „მერანი“ კინაღამ დაშალა. ისევ ფეხბურთის ფედერაციამ გამოიჩინა სულგრძელობა და რუსთავის „გორდასთან“ მეთორმეტე ტურის ჩაუტარებლობის გამო გუნდი ლიგიდან არ გარიცხა.

ერთი შეხედვით, „მერანს“ არაფერი არ უნდა დამუქრებოდა, რადგან ორი წლის წინ მოსკოვის მერის, იური ლუჟკოვის უახლოესმა გარემოცვამ კლუბის აქციების 75% იყიდა და მაშინ, როცა გუნდში ამოისუნთქეს, თურმე თავში ხელი უნდა წაეშინათ. „მერანი“ სავალალო მდგომარეობაში სწორედ დიდი ამბიციებით მოსულმა მეპატრონემ ჩააგდო — მათ სურდათ დაეხარჯათ მცირე თანხა და ფეხბურთელები ათმაგ ფასში გაეყიდათ. თუმცა, მალე მიხვდნენ, რომ ეს იმედები უსაფუძვლო იყო და „მერანის“ ფეხბურთელებს ასე უცებ არ დაიტაცებდნენ ევროპული კლუბები. დღეისათვის კლუბი დაშლის პირასაა მისული.

რა თქმა უნდა, ქვეყნის მძიმე მდგომარეობა საფეხბურთო მეურნეობასაც არარენტაბელურს ხდის, მაგრამ არის მიზეზები, რომელიც ფეხბურთზე გაგიჟებულ მილიარდერსაც კი დააკარგვინებს საქართველოში სპონსორობის სურვილს. ვინ მიაქცია ყურადღება, რატომ თქვა „ბათუმის“ ყოფილმა იტალიელმა თავკაცმა, მარკო კანისტრალიმ შემდეგი სიტყვები: „საქართველოს ჩემპიონატში ჯანსაღი ვითარება არ არის. თამაშების ყიდვა-გაყიდვა, ჩაწყობა მას ბაზრობას ამსგავსებს“.

ასლან აბაშიძის სიძის ეს სკანდალური განცხადება ისევე უმტკივნეულოდ ჩაბარდება წარსულს, როგორც ბევრი სხვა პიროვნების გალაშქრება სიბინძურის წინააღმდეგ. „მერანის“ ძველი პრეზიდენტი ნავაძეც იმიტომ გადადგა პოსტიდან, რომ გუნდის ფეხბურთელთა გაყიდვით მის ნაცვლად ძველი ფედერაციის ჩინოვნიკებმა იხეირეს, ჩემპიონატში მას ჩაგრავდნენ და წინსვლის შანსს უსპობდნენ.

ერთი სიტყვით, ჩემპიონატი მართლაც ემსგავსება ბაზარს, სადაც სასურველ პროდუქტს (ანუ პრიზიორობას) ხშირ შემთხვევაში ფულიანი გუნდები ყიდულობენ, მიუხედავად იმისა, რომ ფული მათი მაღალი კლასის გარანტია არ არის.

ამიტომაც გაუჭირდა დღეს „მერანს“ და ხვალ მის მდგომარეობაში „სიონი“, „მილანი“ და კიდევ სხვები ჩაცვივდებიან, რადგან ქართულ ფეხბურთს ცნობილი კომპანიები არ ეკარებიან. არც გაეკარებიან, სანამ მას აკლია ფეხბურთისთვის მთავარი რამ — ინტრიგა, ნამდვილი სპორტული სულისკვეთება და მოწესრიგებული იურიდიული ბაზისი.

თორემ, სადაც „აიაქსი“ აფრიკაში, „მანჩესტერი“ კი ბრაზილიაში ფარმ-კლუბებს აარსებს, საქართველოში რატომ არ უნდა შემოდიოდნენ თუნდაც ნაკლები სახელის მქონე კლუბები და ინვესტორები?

მერაბ ჟორდანიამ პრეზიდენტობის პირველი ოთხი წელი ძალაუფლების განმტკიცებას მოანდომა და სურვილის მიუხედავად, ჯერაც ვერ მოერია შინაურ პირველობაში არსებულ კორუფციას. მას კიდევ ოთხი წლით მიანდეს ქართული ფეხბურთის მესაჭეობა და იმედია, ახლა მაინც მოძებნის ძალას, რათა დამყაყებული საბჭოური სისტემა ფეხბურთიდანაც ამოძირკვოს. ასეთ შემთხვევაში, უეჭველია, რომ მას ყოფილი მოწინააღმდეგეებიც და ტრიბუნიდან სახლში შეყუჟული გულშემატკივრებიც გვერდში დაუდგებიან. სუფთა სპორტული ბრძოლა ჩემპიონატსაც ხიბლს შესძენს, მოთამაშეებს — კლასს და ასე ნანატრი სპონსორებიც გამოჩნდებიან, „მერანს“ და მისნაირებს კი ერთი პრობლემა შეაწუხებთ — რომელ მათგანთან გააფორმონ კონტრაქტი. თქვენ გგონიათ, სუფთა ხელებით ასეთი პერსპექტივა არარეალურია? მაშინ გაიხსენეთ მოლდოვა, სადაც „სპონსორების ცვენაა“ და ნელ-ნელა, დონით საქართველოს პირველობაც ჩამოიტოვეს.

# „კიოლნის“ მეკარე საქართველოს ნაკრებში ითამაშებს?!

*ქართული ფეხბურთი უპრეცედენტო ფაქტის წინაშე აღმოჩნდა: მეკარეთა თამაშით წლების მანძილზე იმედგაცრუებულმა ეროვნული ნაკრების ხელმძღვანელებმა გადაწყვიტეს, მიებაძათ სომხეთისა და უზბეკეთის ეროვნული ნაკრების მწვრთნელებისათვის და მეკარე უცხოეთიდან მოეწვიათ.*

*დიდი ფიქრის შემდეგ არჩევანი გერმანული „კიოლნის“ მეკარე ალექსანდერ ბადეზე შეჩერდა. ზურაბ სანაიამ, იური ოყროშიძემ და რიჰარდ გოლცმა სხვადასხვა მიზეზის გამო ვერ შეძლეს საქართველოს ნაკრებში თამაში. ნაკრების აქილევსის ქუსლად კი კვლავ მეკარე რჩებოდა. უკრაინისა და თურქეთის გუნდებთან ჩატარებულ მატჩებში იმდენად აბსურდული ბურთები გავუშვით, რომ სხვა არჩევანის უფლება მწვრთნელს არც ჰქონდა.*

*ამჯერად ინიციატივა „კიოლნის“ ქართველმა თავდამსხმელმა, არჩილ არველაძემ გამოიჩინა. ქართველთა გასაჭირი თანაგუნდელ ბადეს შეაპარა და თავისდა მოულოდნელად გერმანელისგან საოცარი, პასუხი მოისმინა — საშუალება რომ მომცეთ, მეც დიდი სიამოვნებით ვითამაშებ თქვენს ნაკრებშიო.*




***არჩილ არველაძე** გვიამბობს:*

— როდესაც მეკარეების ჩამოყვანაზე მიდგა საქმე, პირველი, რაც გავიფიქრე, ბადეს ჩამოყვანა იყო. ეს კაცი მეკარისთვის მშვენიერ ასაკშია — 32 წლის შესრულდა, ბუნდესლიგაში ცხრა წელია გამოდის და 300-მდე შეხვედრაც ჩაატარა. რა თქმა უნდა, ის არც კანია და არც ლემანი, მაგრამ ჩვენ რომ ძალიან გამოგვადგება, ფაქტია. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, გაიხსენეთ, ყოფილი საბჭოეთიდან ბუნდესლიგაში რამდენმა მეკარემ მოიკიდა ფეხი? გერმანელებს კი მსოფლიოში საუკეთესო მეკარეთა სკოლა აქვთ. სომხებს მეორეხარისხოვანი რუსი მეკარე გამოადგათ და ჩვენ ბუნდესლიგაში უდიდესი გამოცდილებამიღებული კაცი არ გამოგვადგება? ნაკრების პირველ მეკარეს, დათო გვარამაძესაც ვესაუბრე. ბადეს გვერდით ვარჯიში უპირველესად მას წაადგება. მართალია, დათო უკვე 27 წლისაა, მაგრამ მეკარისთვის ეს ასაკი სულაც არ არის კრიტიკული, პირიქით, 28-35 წლის ასაკში ფორმის პიკს აღწევენ. ბადესგან კი დათოც და სხვა ქართველი მეკარეებიც ბევრს შეისწავლიან. თანაც ეს კაცი ძალიან კარგი პიროვნებაა. ენის პრობლემაც არ გვექნება, რადგან ბადეს მსგავსად, ნაკრების წევრთა უმრავლესობამ იცის ინგლისური.

*... ალექსანდერ ბადე დაიბადა 1970 წლის 25 აგვისტოს, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დედაქალაქ ბერლინში. კარიერა დაიწყო ბერლინის „ტენის-ბორუსიაში“ და მას შემდეგ მოირგო „უერდიგენის“, „ჰამბურგისა“ და ბოლოს „კიოლნის“ ფორმა. ტონი შუმახერის ფანი და მილიონერობაზე მეოცნებე ბადე ტანმაღალი (196 სმ) და ტანსრულია (90 კგ). ჰყავს მეუღლე და ერთი გოგონა.*

*არჩილ არველაძის დახმარებით „კვირის პალიტრამ“* ***ალექსანდერ ბადეს*** *ინტერვიუ ჩამოართვა:*

**— ჰერ ბადე, თითოეული ქართველისთვის მოულოდნელია, რომ გერმანელი ჩვენს ნაკრებში თამაშს თანხმდება.**

— ჩემთვისაც მოულოდნელი აღმოჩნდა არველაძის წინადადება, თუმცა სასიამოვნოც.

**— რატომ?**

— რატომ და ფეხბურთელი სრულფასოვან კარიერას ნაკრებში თამაშის გარეშე ვერ აიწყობს. პირადად მე გერმანიის ეროვნულ გუნდში მოხვედრის არავითარი შანსი არ გამაჩნია. კანი კიდევ დიდხანს დაიცავს გერმანიის კარს. ღმერთმა არ ქნას, მას რაიმე შეემთხვეს, ასეთ შემთხვევაში ლემანი და ბუტი უპრობლემოდ შეცვლიან. ყოველ შემთხვევაში, არც ფიოლერს და არც მის წინამორბედებს მე არ დავჭირვებივარ. დღეს მე გერმანიის საუკეთესო მეკარეებს კონკურენციას ვერ გავუწევ. საქართველოს გუნდს, აჩიკოს თქმით, მეკარე სჭირდება და იმედი მაქვს, რომ თქვენს მწვრთნელებსა და გულშემატკივრებს იმედს გავუმართლებ.

**— საქართველოს კონსტიტუცია ორმაგ მოქალაქეობას კრძალავს, საეჭვოა თქვენ გერმანიის მოქალაქეობა ქართულზე გაცვალოთ. სხვაგვარად როგორ მიიღებთ ჩვენს ნაკრებში თამაშის უფლებას?**

— საამისოდ ჯერ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისგან ოფიციალური მიწვევა უნდა მივიღო, ჩემი კლუბი „კიოლნი“ უნდა დავითანხმო და ამის შემდეგ, როგორც არჩილმა მითხრა, საკითხი საქართველოს პარლამენტში უნდა გაირჩეს. ვფიქრობ, იურიდიული მხარე მალე მოგვარდება და ყველა საკითხი სწრაფად და დადებითად გადაწყდება.

**— თქვენზე საუბარი რუსეთთან მატჩამდე დაიწყო. რატომ ვერ მოასწარით იურიდიული საკითხების მოგვარება?**

— ჯერ კიდევ მაქვს რუსების წინააღმდეგ თამაშის იმედი. იურიდიული საკითხები კი იმიტომ ვერ მოგვარდა, რომ თამაშამდე მცირე ხნით ადრე გამოჩნდა ასეთი შესაძლებლობა და ელემენტარულად, საბუთების მოგვარებისათვის დროც აღარ დაგვრჩა.

**— არ გაშინებთ იმ ქვეყანაში ჩასვლა, რომელსაც რუსები ტერორისტების ბუდედ ნათლავენ?**

— რუსების ბავშვობიდან არ მჯეროდა. აჩიკო კი ჩემი მეგობარია და მისგან ბევრჯერ მომისმენია, თუ რა ქვეყნის მოქალაქეა. მან საქართველოსადმი კარგად განმაწყო. იმედი მაქვს, თქვენს ნაკრებში თამაშის საშუალება მალე მომეცემა და იქნებ ევროპის ჩემპიონატზეც გავიდე. ეს ზღაპრის ახდენის ტოლფასია.

**— ქართული ფედერაციის ხელმძღვანელებს თუ შეხვდით და ესაუბრეთ?**

— იურიდიული პრობლემის მოგვარებამდე ასეთი შეხვედრა მიზანშეუწონლად მიმაჩნია. ჩემს კლასსა და შესაძლებლობაზე კი ინფორმაციები აჩიკოსგან მიიღეს. ამ ეტაპზე ესეც საკმარისია.

***გვერდი მოამზადა ზვიად კალანდაძემ***

# ჩემპიონთა ლიგა. I ჯგუფური ეტაპი. IV ტური



ბრიუგე — ბარსელონა 0:1

## A ჯგუფი

პსვ ეინდჰოვენი – ოსერი 3:0
დორტმუნდი – არსენალი 2:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დორტმუნდი | 5 | 3 | 1 | 1 | 8:6 | 10 |
| არსენალი | 5 | 3 | 0 | 2 | 9:4 | 9 |
| პსვ ეინდჰოვენი | 5 | 1 | 2 | 2 | 5:8 | 5 |
| ოსერი | 5 | 1 | 1 | 3 | 3:7 | 4 |

## B ჯგუფი

ლივერპული – ვალენსია 0:1
სპარტაკი – ბაზელი *გადაიდო*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვალენსია | 5 | 4 | 1 | 0 | 14:4 | 13 |
| ლივერპული | 5 | 2 | 1 | 2 | 9:5 | 7 |
| ბაზელი | 4 | 1 | 2 | 1 | 7:9 | 5 |
| სპარტაკი | 4 | 0 | 0 | 4 | 1:13 | 0 |

## C ჯგუფი

აეკ – გენკი 1:1
რეალი – რომა 0:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეალი | 5 | 2 | 2 | 1 | 14:6 | 8 |
| რომა | 5 | 2 | 2 | 1 | 2:3 | 8 |
| აეკ | 5 | 0 | 5 | 0 | 6:6 | 5 |
| გენკი | 5 | 0 | 3 | 2 | 1:8 | 3 |

## D ჯგუფი

ლიონი – აიაქსი 0:2
ინტერი – რუსენბორგი 3:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ინტერი | 5 | 2 | 2 | 1 | 10:7 | 8 |
| აიაქსი | 5 | 2 | 2 | 1 | 5:3 | 8 |
| ლიონი | 5 | 2 | 1 | 2 | 11:8 | 7 |
| რუსენბორგი | 5 | 0 | 3 | 2 | 3:11 | 3 |

## E ჯგუფი

იუვენტუსი – ფეინოორდი 2:0
ნიუკასლი – დინამო 2:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იუვენტუსი | 5 | 3 | 1 | 1 | 10:2 | 10 |
| დინამო | 5 | 2 | 1 | 2 | 5:7 | 7 |
| ნიუკასლი | 5 | 2 | 0 | 3 | 3:6 | 6 |
| ფეინოორდი | 5 | 1 | 2 | 2 | 2:5 | 5 |

## F ჯგუფი

ლევერკუზენი – ოლიმპიაკოსი 2:0
მაკაბი – მანჩესტერი 3:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანჩესტერი | 5 | 4 | 0 | 1 | 14:8 | 12 |
| ლევერკუზენი | 5 | 3 | 0 | 2 | 9:9 | 9 |
| მაკაბი | 5 | 2 | 0 | 3 | 9:9 | 6 |
| ოლიმპიაკოსი | 5 | 1 | 0 | 4 | 8:14 | 3 |



მაკაბი — მანჩესტერი 3:0



რეალი — რომა 0:1

## G ჯგუფი

დეპორტივო – ბაიერნი 2:1
ლანსი – მილანი 2:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მილანი | 5 | 4 | 0 | 1 | 11:5 | 12 |
| დეპორტივო | 5 | 3 | 0 | 2 | 9:11 | 9 |
| ლანსი | 5 | 2 | 1 | 2 | 8:8 | 7 |
| ბაიერნი | 5 | 0 | 1 | 4 | 6:10 | 1 |

## H ჯგუფი

გალათასარაი – ლოკომოტივი 1:2
ბრიუგე – ბარსელონა 0:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბარსელონა | 5 | 5 | 0 | 0 | 10:3 | 15 |
| ბრიუგე | 5 | 1 | 2 | 2 | 5:5 | 5 |
| გალათასარაი | 5 | 1 | 1 | 3 | 4:7 | 4 |
| ლოკომოტივი | 5 | 1 | 1 | 3 | 3:7 | 4 |

# უეფას თასი 2002-2003

## მეორე ეტაპი. პირველი მატჩები

შტურმი (ავსტრია) 1:0 ლევსკი (ბულგარეთი)
ბოავიშტა (პორტუგალია) 2:1 ანორთოსისი (კვიპროსი)
მალაგა (ესპანეთი) 2:1 ამიცა (პოლონეთი)
აპოელი (კვიპროსი) 0:1 ჰერტა (გერმანია)
დინამო (ხორვატია) 0:3 ფულემი (ინგლისი)
სპარტა (ჩეხეთი) 1:0 დენიზლისფორი (თურქეთი)
ფერენცვაროში (უნგრეთი) 0:0 შტუტგარტი (გერმანია)
ნაციონალი (რუმინეთი) 0:2 პსჟ (საფრანგეთი)
ფენერბაჰჩე (თურქეთი) 1:1 პანათინაიკოსი (საბერძნეთი)
პარტიზანი (იუგოსლავია) 3:1 სლავია (ჩეხეთი)
პაოკ (საბერძნეთი) 2:1 გრასჰოპერი (შვეიცარია)
აუსტრია (ავსტრია) 0:1 პორტუ (პორტუგალია)
ვიტესი (ჰოლანდია) 2:1 ვერდერი (გერმანია)
ლაციო (იტალია) 1:0 ცრვენა ზვეზდა (იუგოსლავია)
ანდერლეხტი (ბელგია) 3:1 მიდტიულანდი (დანია)
იფსვიჩ თაუნი (ინგლისი) 1:0 ლიბერეცი (ჩეხეთი)
ალავესი (ესპანეთი) 1:1 ბეშიქთაში (თურქეთი)
ლიდსი (ინგლისი) 1:0 ჰაპოელი (თელ-ავივი, ისრაელი)
პარმა (იტალია) 2:1 ვისლა (პოლონეთი)
სელტიკი (შოტლანდია) 1:0 ბლექბერნი (ინგლისი)
სელტა (ესპანეთი) 3:0 ვიკინგი (ნორვეგია)

# მკითხველის პრემია * მკითხველის პრემია * მკითხველის პრემია

**ეს თქვენი გაზეთია** და რადგან ასეა, „კვირის პალიტრის“ ჟურნალისტებს უკვე თქვენ ანიჭებთ ყოველკვირეულ პრემიას. შეაფასეთ ამ ნომრის მასალები, აღნიშნეთ რეიტინგის ქვითარში თქვენი აზრით, ნომრის საუკეთესო (თქვენთვის ყველაზე საინტერესო) სტატია. იმ მასალის ავტორს, რომელიც ყველაზე მეტ ხმას მიიღებს თქვენგან, მკითხველის სახელით, რედაქცია პრემიას — 50 ლარს გადასცემს. გამარჯვებული ჟურნალისტის ვინაობას მომდევნო ნომერში შეიტყობთ.

## №43 (317) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შედეგები

რეიტინგს 593 მკითხველი გამოეხმაურა. 6 ბარათი არასწორად იყო შევსებული. 216-მა ქალმა და 371-მა მამაკაცმა უპასუხა კითხვას: **„რის ქალაქს უწოდებდით დღევანდელ თბილისს პირველ რიგში“?**

მკითხველთა 62-მა დედაქალაქს „ბაზრობების ქალაქი“ უწოდა, მხოლოდ შვიდმა რესპონდენტმა (1,2) შეაფასა იგი მინიმალური — 1 ქულით. **7,99** საშუალო ქულით „ბაზრობების ქალაქი“ პირველ ადგილზეა.

შემდეგ ადგილზე „მათხოვრების ქალაქია“, რესპონდენტთა 11-ის აზრით, ყველაზე მეტად ეს განსაზღვრება შეეფერება თბილისს. აღსანიშნავია, რომ ყველაზე ცოტა რაოდენობის მინიმალური ქულა (0,9) სწორედ ამ შეფასებამ დაიმსახურა. საშუალო ქულაა 6,51.

„რესტორნების ქალაქი“ მესამე ადგილზეა საშუალო ქულით 6,49. მაქსიმალური ქულების რაოდენობის მიხედვით (12,2) იგი წინ უსწრებს „მათხოვრების ქალაქს“.

ბაზრობები, მათხოვრები და რესტორნები — დღევანდელი თბილისის ის ნაცნობი, ახლობელი და განუყოფელი ნაწილებია, რომელთა გარეშეც წარმოუდგენელია დღეს დედაქალაქის ცხოვრება, სწორედ ამიტომ მოექცა სამივე მათგანი რეიტინგის სათავეში.

მკითხველმა შედარებით ნაკლები შეფასებები მისცა ჩაბნელებული ქუჩების, სარეკლამო დაფებისა და მიტინგების ქალაქს.

რამდენიმე რესპონდენტმა კი გულისტკივილით და სავსებით სამართლიანად აღნიშნა, რომ თბილისს ამ ჩამონათვალთან ერთად „სამარშრუტო ტაქსების“ ქალაქსაც უწოდებდა.




საპრიზოს ზუსტად არც ერთი ბარათი-რეიტინგი არ დაემთხვა. ყველაზე მიახლოებული ვარიანტის ავტორი ზუგდიდელი 18 წლის **გივი ქარჩავაა**. მან, საპრიზო ვარიანტისაგან განსხვავებით, „ტოტალიზატორების ქალაქს“ ოთხის ნაცვლად — სამი ქულა (მეშვიდე ადგილი) მიაკუთვნა, ხოლო „ჩაბნელებული ქუჩების ქალაქს“ კი პირიქით — სამის ნაცვლად — ოთხი (მეექვსე ადგილი).

გამარჯვებულს ვულოცავთ და პრიზის — 100 ლარის მისაღებად ველით რედაქციაში ოთხშაბათს, 6 ნოემბერს, 17 საათზე.

## № 44 (318) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი

**„კვირის პალიტრა“** თავისი მკითხველებისთვის აწყობს გამოკითხვებს სხვადასხვა საინტერესო საკითხზე, რაც საშუალებას მოგვცემს (ჩვენ და თქვენ), გავიგოთ საზოგადოების აზრი ამა თუ იმ მოვლენაზე, ფაქტზე და ა. შ.

გარდა ამისა, გამოკითხვა-რეიტინგები საპრიზოა, საპრიზო ფონდით —

**100 ლარი**

თქვენ მიერ შედგენილი რეიტინგებით დგება ერთი საერთო რეიტინგი, რომელიც გამოქვეყნდება **„კვირის პალიტრის“** მომდევნო ნომერში გამარჯვებულის ვინაობასთან ერთად.

პრიზს მიიღებს გამოკითხვის ის მონაწილე, რომლის მიერ შედგენილი (და, რა თქმა უნდა, რედაქციაში გამოგზავნილი) რეიტინგიც დაემთხვევა საშუალოს.

საპრიზო გამოკითხვაში შემოთავაზებული თემების თითოეული გრაფისათვის მკითხველთა მიერ დაწერილი ქულები ჯამდება და შემდეგ იყოფა რეიტინგის მონაწილეთა რაოდენობაზე, რაც გვაძლევს ამ გრაფის საშუალო ქულას.

რამდენიმე გამარჯვებულის შემთხვევაში, საპრიზო ფონდი მათ შორის განაწილდება, ხოლო თუ არც ერთი მკითხველის რეიტინგი არ დაემთხვა საშუალოს, პრიზს მიიღებს მასთან ყველაზე მიახლოებული ვარიანტის ავტორი.

იმ შემთხვევაში, თუკი მიახლოებული ვარიანტიც არ იქნება, თანხა ემატება შემდეგი რეიტინგის საპრიზო ფონდს.

* საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შევსებისას ნუ დაგავიწყდებათ, მონაწილეობა მიიღოთ *მკითხველის ლიგაშიც.*

**№44 (318) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის ბარათი რაიონებში განთავსებულ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთებში ჩააგდეთ ოთხშაბათს, 6 ნოემბრის 10 საათამდე, თბილისში — ხუთშაბათს, 7 ნოემბრის 13 საათამდე.**

© თბილისი

**თემა №44 (318) — პრეზიდენტი**

**თქვენი აზრით, ვინ უშლის ნერვებს პრეზიდენტ შევარდნაძეს ყველაზე მეტად** (ჩამოთვლილთაგან)**?** დაუწერეთ მას **9** ქულა, მომდევნოს — 8 და ა.შ. 1-მდე.

**№44(318) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი**

| № | | ქულა |
|---|---|---|
| 1 | ზურაბ ჟვანია | |
| 2 | ასლან აბაშიძე | |
| 3 | შალვა ნათელაშვილი | |
| 4 | გივი თარგამაძე | |
| 5 | მიხეილ სააკაშვილი | |
| 6 | იგორ გიორგაძე | |
| 7 | ჯუმბერ პატიაშვილი | |
| 8 | ვახტანგ რჩეულიშვილი | |
| 9 | ჯემალ გოგიტიძე | |

*მკითხველის ლიგინები*

ცნობილი ქართველებიდან ვის ახასიათებს იუმორის გრძნობა ყველაზე მეტად?

✓ ______________________

**მკითხველის პრემია**

დაასახელეთ ნომრის საუკეთესო სტატიის სათაური

✓ ______________________

თქვენი სახელი, გვარი

ქალაქი (რაიონი)

ასაკი ტელეფონი

*მკითხველის ლიგინების ჩემპიონატი*

**ოქტომბრის თვის ადამიანი მსოფლიოში**

| | | |
|---|---|---|
| 1. | ვლადიმირ პუტინი | 47 % |
| 2. | მოვსარ ბარაევი | 22 % |
| 3. | ჯორჯ ბუში | 13 % |
| 4. | სადამ ჰუსეინი | 2 % |
| 5-10. | ჯიმ კარტერი | 1 % |
| 5-10. | ასლან მასხადოვი | 1 % |
| 5-10. | ბორჯღალოსნები | 1 % |
| 5-10. | კლოდ სორელი | 1 % |
| 5-10. | ბადრი პატარკაციშვილი | 1% |
| 5-10. | ჯონ ალენ მუჰამედი | 1 % |

მკითხველთა 2-ს გაუჭირდა თვის ადამიანის დასახელება; 1-ის აზრით კი, ამ ტიტულს არავინ იმსახურებს.

***მკითხველის რეიტინგში 451-მა რესპონდენტმა მიიღო მონაწილეობა.***

## მკითხველის პრემიის შედეგები ასეთია:

1. ვაჟა გავაშელი — „ოღონდ მამიდაჩემს შეეშვით“ — 138 ხმა
2. ირაკლი ალადაშვილი — „Нужна победа... за ценой не постоим!“ ანუ „გაზის კამერა“ საკონცერტო დარბაზში“ — 63
3. ნოდარ შოშიტაშვილი — „ახალი ერის ქართველი მეფეები და ამბავი უიღბლო სიყვარულისა“ — 39
4. თამარ კაპანაძე — „როცა სრულ უმწეობას იგრძნობ, არ შეიძლება არ მოგენატროს დედა, რომელიც ყველასა და ყველაფრისგან დაგიცავს „ფრთებით“ — 35
5. მარინა მამისაშვილი — „ქუჩაში გამარჯვებული კვირაიას გავლენის სფეროში მოექცეოდა...“ — 28

კვლავ **ვაჟა გავაშელმა** მოიპოვა თქვენი პრემია.

*„მკითხველის პრემიის“ მფლობელი 449 რესპონდენტმა გამოავლინა.*

# ფოტოსაწინავაჩი © • ფოტოპალიტრა •



აბა, ვინ ვარ ახლა მე?

— აჭარულსაც ვცეკვავ განა...

**მ.ს.** — კობა, როგორ მოახერხე გახდომა?

**კ.დ.** — ე.წ. „ედუარდის“ დიეტით — მუდმივად უნდა იფიქრო მასზე და ჭამის ხალისი დაგეკარგება.

***ალიკო ნადირაშვილი, თბილისი***

**მ.ს.** — აუუ, რა „ვიბაზრე“!

**კ.დ.** — ჰოდა, ჩამოდი დაბლა და მე მიმიშვი, თორემ გადაიწვები „ლოკომოტივის“ სტადიონის ტრანსფორმატორივით.

**მ.ს.** — მე არ გადავიწვები, ამერიკული მიყენია.

***მევლუდ თევდორაშვილი, რუსთავი***

დავცხოთ სპიკერს და
პრეზიდენტს,
დავაყრევინოთ თავები,
ბათუმს ჩავუხტეთ ასლანას,
გავუნადგუროთ კლანები.

***გუგუა კალმახელიძე, თბილისი***

**კ.დ.** — „მე ქვემოთა ვარ, შენ ზემოთ, როგორ აგიმღვრევ წყალსაო?!“

***ლ.რ. „სამტრედიელი“, თბილისი***

**კ.დ.** — მოიწი, გიკარნახო!

**მ.ს.** — შენ რა უნდა მიკარნახო მე, ყველაზე ამბიციურ პოლიტიკოსს, შე შტერო!

***დაკა, ჭიათურა***

**კ.დ.** — მეჟდუ პროჩემ, ია ზდეს ჟივუ!

**მ.ს.** — ა პო ვაშემუ, ია ზდეს ნე ჟივუ?

(კ/ფ „მიმინო“)

***ოთარ წიკლაური, თბილისი***

**მ.ს.** — პრეზიდენტი ისტორიაში შევა როგორც „ედუარდ გამაერთიანებელი“, დიახ, მან გააერთიანა გერმანია, აღმოსავლეთ ევროპა და საქართველო...

**კ.დ.** — (აწყვეტინებს) საქართველო?! რას ბოდავ!

**მ.ს.** — ჰო, საქართველო გააერთიანა... მიწასთან!

***ელგუჯა შალამბერიძე, წყალტუბო***



კობა დავითაშვილი, მიხეილ სააკაშვილი

„თხა და გიგო“

***„კონტრა“, რუსთავი***

**კ.დ.** — მიშა, არ მორჩი ლაყბობას?

**მ.ს.** — კობა, რა მოგივიდა, ჯერ ნახევარი საკითხები განსახილველი დამრჩა!

**კ.დ.** — მე მივდივარ, გასაღებს დაგიტოვებ, ჰოდა, ყველა საკითხს ბოლომდე რომ განიხილავ, კარები ჩაკეტე, დარბაზში მარტო მე დავრჩი.

***ზაზა გობეჯიშვილი, სოხუმი (თბილისი)***

## ფოტო განწყობისთვის



– ეჭვიანმა ქმარმა შენ-ზინი რომ ჩაყსხა ცოლის, წაიკითხეთ? (გვ.20)

## წინა ნომრის კროსვორდის პასუხები



4/XI სავსე მთვარე
მაგნიტური დღე:
6/XI — 17-დან 20 სთ-მდე

# მოწამლული მკერდი



იმ ექსპერიმენტების მსხვერპლი, რომელსაც თავის თავზე ატარებს ამერიკელი მომღერალი კორტნი ლავი, მოულოდნელად გახდა მისი ძაღლი. მომღერალს მობეზრდა დიდი ბიუსტი და მკერდიდან იმპლანტები ამოიღო. მაგრამ, ეტყობა იმდენად შეეჩვია ამ თუნდაც ხელოვნურ, მაგრამ მაინც თავისი სხეულის ნაწილს, რომ კლინიკიდან ისინი შინ მიიტანა და სადაც მოხვდა, იქ მიაგდო. მომღერლის საყვარელმა ძაღლმა დაითრია ერთ-ერთი მათგანი და გემრიელად მიირთვა, მაგრამ ამას სავალალო შედეგი მოჰყვა, საცოდავმა სული განუტევა... კორტნი საშინლად განიცდის და მომხდარში საკუთარ თავს ადანაშაულებს.

**ყურადღება: „კვირის პალიტრის" (გაზეთის) საფოსტო (საკორესპონდენტო) ყუთებზე საავტორო უფლება დაცულია კანონით.©**

*„უფასო განცხადების ქვითარი" ჩააგდეთ „კვირის პალიტრისა" და „სიტყვა და საქმის" საფოსტო ყუთებში. ყუთები იცლება თბილისში ხუთშაბათობით 13 სთ-დან. მათი განთავსების ადგილებია - თბილისში: მეტროპოლიტენის ყველა სადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე; დიღმის ქუჩის კუთხეში; საბურთალოს ბაზრის შესასვლელთან; ორთაჭალაში - გორგასლის ქუჩაზე (ციხესთან) და ავტოვაგზალთან; მოსკოვის გამზირის ბოლოში; ჩოლოყაშვილის (5 დეკემბრის) ქუჩის ბოლოში; დიდუბის ავტოსადგურთან; დიდ დიღომში პეტრიწის ქ. 3 - სურსათის მაღაზიის წინ; მ-3 მ/რ-ნი, მ-15 კორპ. წინ - ავტობუსების გაჩერებასთან; დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის გამზ. გადაკვეთაზე, ბანკის წინ, ავტობუსის გაჩერებასთან; დავით აღმაშენებლის გამზ. მუსკომედიის წინ, გაჩერებასთან; ჩიქობავას (საბჭოს) მოედანზე; ზაარბრუკენის (ვორონცოვის) მოედანზე; ნაძალადევში კი „საქართველოსთან"; წერეთლის გამზ. გამოფენის წინ, გაჩერებასთან, „ოქროსთან" და სტადიონთან; დიდუბეში, „სამთო ქიმიის" გაჩერებასთან; დიღომში - მეგობრობის გამზ. პოლიციასთან, უნივერსიტეტის მიმდებარე გაჩერებასთან; მანქანების ბაზრობის ორივე შესასვლელთან; ვაკეში - კავსაძის ქუჩაზე; ჭავჭავაძის 46 და უნივერსიტეტის I კ.-თან; რუსთაველის 34; ბაგებში - გაჩერებასთან; გამსახურდიას გამზ. - ვეშაპურის დასაწყისში; ქავთარაძის ქუჩაზე - იზოტოპების ინსტიტუტთან, ბოლო (უნივერსიტეტის) გაჩერებასთან; ნუცუბიძის ქუჩაზე: II მ/რ-ის ასახვევთან და „საქართველოს ბანკთან".*

*ქალაქებში და რაიონებში: მცხეთა, კასპი, გორი, ქარელი, ხაშური, სურამი, ზესტაფონი, ქუთაისი, წყალტუბო, სამტრედია, თერჯოლა, ხონი, აბაშა, სენაკი, ზუგდიდი, ფოთი, ქობულეთი, ბათუმი, ოზურგეთი, ლანჩხუთი, რუსთავი, საგარეჯო, გურჯაანი, წნორი, სიღნაღი, ყვარელი, ლაგოდეხი, თელავი, ბორჯომი, ახალციხე — არსებული „სიტყვა და საქმის" საფოსტო ყუთები იცლება ოთხშაბათობით 10 საათიდან. ახმეტასა და დედოფლისწყაროში ყუთები დაიცლება ყოველი თვის ბოლო ხუთშაბათს 10 სთ.-დან. ყინვალსა და დუშეთში — თვის III კვირის ოთხშაბათს.*

„კვირის პალიტრის" უფასო განცხადების ქვითრით შემოსული განცხადებები გამოქვეყნდება „კვირის პალიტრის" დამატებაში — გაზეთში „სიტყვა და საქმე" (აქ განთავსებული განცხადება „კვირის პალიტრაზე" არანაკლებ ეფექტიანია).
„კვირის პალიტრაში" კი, ქვეყნდება მხოლოდ ფასიანი განცხადების ქვითრით შემოსული განცხადებები. ქვითრები იყიდება საგაზეთო ჯიხურებში (ფასი 4 ლარი — 20 სიტყვა).

(44) **უფასო განცხადების ქვითარი**

განცხადების ტექსტი ______________________________

______________________________

______________________________

______________________________

______________________________

სიტყვა და საქმე

*ვინიცობა ტექსტი გარკვევით დაწერილი: სიტყვათა მაქსიმალური რაოდენობა — 30 (მისამართის და ტელეფონის ნომრის ჩათვლით)*

*გაურკვევლად ნაწერი განცხადება არ გამოქვეყნდება*

№44 თბილისში ქვითარი „კვირის პალიტრის" ყუთებში ჩააგდეთ 7 ნოემბრის (ხუთშაბათი) 13.00 სთ-მდე.



**თარაზულად:** 1. ჰოლივუდის ავსტრალიელი მსახიობი; 4. წმინდა ოქრო; 6. მთავარი როლის შემსრულებელი ფილმებში: „ძველი თოფი", „შინაბერა"; 7. „აიდა", „დაისი", „ტოსკა". 8. საუკეთესო „მემატიანე" მწერი; 9. მილანის „ინტერის" ფორვარდი; 10. ძილისპირული სიმღერა; 14. ბრიტანეთის ძველი სახელწოდება; 18. ფაშისტთა ფრთიანი და ბალისტიკური რაკეტები; 20. პიესის ავტორი; 21. აბეზარი ფოტორეპორტიორი; 22. მიდამო, არემარე; 24. კოლორიტული პერსონაჟი ფილმში „არაჩვეულებრივი გამოფენა"; 26. უებარი „წამალი"; 28. სანათი საშუალება; 29. „ბაბეტა მიდის ომში" (მსახიობი); 30. დონ კიხოტის საჭურველთმტვირთველის სახელი; 31. მისი შეგრძნება აუცილებელია ცეკვისას; 32. რბილი ლითონი; 33. ნათურის „საჩრდილობელი".

**შვეულად:** 1. შენიღბვის უბადლო ოსტატი ცხოველი; 2. ეგნატე ნინოშვილის ნამდვილი გვარი; 3. უთმოდ დარჩენა; 4. მოლდავეთის ისტორიული ნაწილი; 5. რაიმე მოძღვრების განუხრელი მიმდევარი; 11. უდანაშაულობის საბუთი; 12. სპორტული ნაწარმი, ამერიკული ფირმა; 13. მკერავის იარაღი; 15. კეთრი; 16. კარგად მოხიარულე ცხენი; 17. კიმონოს ქამარზე დასამაგრებელი; 18. ფაფუა ჩვილის ენით; 19. თვალის ფოსო; 23. ნიდერლანდელი ფერმწერი; 24. მტრის ზურგში მებრძოლი; 25. სამშენებლო მასალა; 26. ავადმყოფური გადახრა ნორმისგან; 27. საკრავი, რომელსაც მარჯვენა ხელისთვის ფორტეპიანოს კლავიატურა აქვს.

შეადგინა რამაზ ალანია




* * *



ექიმო, ჩემს ქმარს ფსიქიკა აქვს სერიოზულად დარღვეული. საათობით ვუყვები რაღაცებს და ბოლოს, აღმოჩნდება, რომ სიტყვაც არ გაუგია.

— ეს დაავადება არ არის, პატივცემულო, ეს ღვთის ბოძებული ნიჭია!




**ფირმა „ბერმუხა"**
**ბრტყელი და თუნუქის სახურავების, საძირკვლების და აუზების ჰიდროსაიზოლაციო სამუშაოები ადგილობრივი და უცხოური მასალებით, რესპუბლიკის ტერიტორიაზე. გარანტია 10 წელი.**
წერეთლის გამზ. №55, ბინა №53
☎96-06-00; 35-15-05; 899-50-06-50

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.
მთავარი რედაქტორი დალი გენიაიშვილი
მთ. რედაქტორის მოადგილეები: ნეცა დეგაძე, გიორგი თევდორაშვილი
სარედაქციო კოლეგია
მის.: აკურის ქ. №8 (სპორტის სასახლის უკან)
ტელ. რედაქცია: 33-39-54
რეკლამა, ფაქსი: 33-50-32; 98-74-44
palitra@access.sanet.ge
www.opentext.ge/kvirispalitra
სარეგისტრაციო ნომერი 1515
„კვირის პალიტრა" ©
გამოდის ორშაბათობით
გაზეთი დაიბეჭდა გამომცემლობა „კოლორში".